საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

შ რ ო მ ე ბ ი

XI

ქუთაისი 1952—1953



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ა.ღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

1954

ა.ღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

შ რ ო მ ე ბ ი

4484

XI



ქუთაისი 1952—1953

დაიბეჭდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
Кутаисский Государственный Педагогический Институт
имени А. Цулукидзе

ТРУДЫ

КУТАИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА ИМЕНИ А. ЦУЛУКИДЗЕ

XI

КУТАИСИ 1952—1953

Печатается по постановлению Ученого совета
Кутаисского Педагогического Института

სარჩევი

გვერდი

დოც. ლ. ჭელიძე. ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის 20 წლისთავი . . . . . IX—XXIV

1. ეკონ. მეცნ. კანდ. გ. ჩხაიძე: ი. ბ. სტალინი სასაქონლო წარმოებისა და ღირებულების კანონის შესახებ სოციალიზმის დროს . . . . . 1—35

2. პროფ. ა. ბოჭორიშვილი. კანონზომიერების საკითხისათვის ფსიქოლოგიაში ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შუქზე . . . . . 36—56

3. ფილოლოგ. მეცნ. დოქტორი გ. როგავა. ნააფიქსარი დ-ს ფონეტიკური სახეცვლილებანი და ზეცა ფუძის აგებულების საკითხი . . . . . 57—65

4. დოც. ქ. ძოწენიძე. ზემოიმერული კილოკავი . 67—102

5. ფილოლოგ. მეცნ. კანდ. პ. ჯაჯანიძე. ზოგი ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში . . . . . 103—119

6. უფრ. მასწ. დ. მაჭავარიანი. უწყის ზმნის ეტიმოლოგიისათვის . . . . . 121—127

7. უფრ. მასწ. დ. მაჭავარიანი. ერთი ახალი სიტყვაწარმოებითი აფიქსი თანამედროვე ქართულში . . . . . 129—137

8. ფილოლოგ. მეცნ. კანდ. დ. გეწაძე. მესამე პირის სუბიექტის ნიშანი -დ ძველ ქართულში . . . 139—147

გვერდი

9. ასპირანტი კ. კუბლაშვილი. ბრძანებითი კილოს ზოგიერთი ფორმის შესახებ ძველ ქართულში . 149—158

10. დოც. შ. ჩხარტიშვილი. ფსიქოლოგიის ზოგიერთი პრობლემის შესახებ . . . . . 159—188

11. ასპირანტი გ. ბოჭორიშვილი. ფსიქოლოგიის ზოგიერთი პრობლემა კარლ მარქსის შრომებში . . . . . 189—209

12. პედაგოგ. მეცნ. კანდ. ი. ჯღარკავა. სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიკური იდეები „სიბრძნე სიცრუისას“ მიხედვით . . . . . 211—243

13. დოც. კ. მეძველია. რუსეთის 60-იანი წლების რევოლუციონერი მწერლები და თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე . . . . . 245—266

14. დოც. დ. ბრეგაძე. ქართველი პოეტები რუსეთში 267—304

15. უფრ. მასწ. ქ. კილასონია. ნ. ვ. გოგოლის შეხედულებათა საკითხისათვის ხელოვნებაზე . . 305—313

ОГЛАВЛЕНИЕ

стр.

Доц. Л. А. Челидзе. 20-летие Кутаисского Государственного Педагогического Института им. А. Цулукидзе . . . . . IX—XXIV

1. Канд. экон. наук Г. С. Чхаидзе. И. В. Сталин о товарном производстве и законе стоимости при социализме . . . . . 1—35

2. Проф. А. Т. Бочоришвили. К вопросу о закономерности в психологии в свете труда И. В. Сталина „экономические проблемы социализма в СССР . . . . . 36—56

3. Доктор филолог. наук Г. В. Рогава. Фонетические варианты окаменелого аффикса ი картвельских языков и состав грузинского слова ცაი „небо“ . . . . . 57—65

4. Доц. К. С. Дзоценидзе. Верхнеимерский говор 67—102

5. Канд. филолог. наук П. П. Джаджанидзе. К вопросу об отношении некоторых превербов и послелогов в древнегрузинском языке . . 103—119

6. Ст. преп. Д. П. Мачавариани. Этимология грузинского глагола ცურცხ . . . . . 121—127

7. Ст. преп. Д. П. Мачавариани. Об одном словообразовательном аффиксе в современном грузинском языке . . . . . 129—137

8. Канд. филолог. наук Д. О. Гецадзе. Показатель субъекта III лица -ი в древнегрузинском языке 139—147

стр.

9. Аспир. К. М. Кублашвили. О некоторых формах повелительного наклонения в древнегрузинском языке . . . . . 149—158

10. Доц. Ш. Н. Чхартишвили. О некоторых проблемах психологии . . . . . 159—188

11. Аспир. Г. А. Бочоришвили. Некоторые вопросы психологии в трудах К. Маркса . . 189—209

12. Канд. педагог. наук И. А. Джгаркава. Педагогические идеи в книге „О мудрости вымысла" Сулхана-Саба Орбелиани . . . . . 211—243

13. Доц. К. Н. Медзвелия. Революционные писатели России 60-ых годов и тергдалеули Кирилл Лордкипанидзе . . . . . 245—266

14. Доц. Д. Д. Брегадзе. Грузинские поэты в России . . . . . 267—304

15. Ст. преп. К. А. Киласония. К вопросу о взглядах Н. В. Гоголя на искусство . . . . . 305—313

ლ. ჯ ე ლ ი ძ ე

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის 20 წლისთავი

(1933 — 1953)

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი წარმოიშვა და განმტკიცდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვების საფუძველზე. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ქუთაისში! ამის შესახებ ოცნებაც კი არ შეეძლოთ ქუთაისის მშრომელებს არც მეფის თვითმპყრობელობისა და არც მენშევიკების ბატონობის დროს.

მეფის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, 1918 წლის თებერვალში, თბილისში საფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურის კერას — მომავალ სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც უნუგეშო მდგომარეობაში ატარებდა თავისი არსებობის პირველ წლებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნამდვილი აღორძინებისა და შეუფერხებელი განვითარების ხანა.

ს ტ ა ლ ი ნ ის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 15 წლისთავზე, 1933 წლის თებერვალში, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით ქ. ქუთაისში დაარსდა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გულთბილად მიიღო ქუთაისის ადგილობრივმა ხელისუფლებამ და მოსახლეობამ. პედაგოგიურ ინსტიტუტს დაეთმო ქალაქის საუკეთესო შენობები, გარდა ამისა, ქალაქის საბინაო ფონდიდან პროფესორ-მასწავლებელთათვის გამოყოფილ იქნა ორი საცხოვრებელი შენობა და რამდენიმე ცალკე ბინა.

ახალდაარსებული ინსტიტუტის კათედრების უმეტესობას სათავეში ჩაუდგნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოჩენილი პროფესორები, რომლებმაც დიდი მუშაობა ჩაატარეს კათედრების განმტკიცებისა და სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ უმაღლესი სკოლების განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ი. ბ. სტალინმა ფრიად სერიოზული ამოცანები დასახა უმაღლესი სკოლების მუშაკთა წინაშე. მან უსურვა აყვავება იმ მეცნიერებას, „რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარი, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით“.

ინსტიტუტის დირექციას ყოველდღიურ მუშაობაში დიდ დახმარებას უწევდნენ და უწევენ პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. ინსტიტუტის პარტორგანიზაციას მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლების საქმეში. პარტორგანიზაციის ყურადღების ცენტრში მუდამ იდგა და დგას სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების, მეცნიერული კადრების აღზრდის, შეგნებული დისციპლინის დანერგვისა და ინსტიტუტის მატერიალური ბაზის განმტკიცების საკითხები. პარტორგანიზაციის ნაყოფიერ მუშაობას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ კომუნისტი ამხანაგები ინსტიტუტის მუშაობის ყოველ უბანზე მოწინავეთა რიგებში დგანან.

* * *

1933 წლის თებერვალში ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის 4 ფაკულტეტის I და II კურსზე სწავლობდა 700 სტუდენტი. პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა განისაზღვრებოდა 65 ერთეულით, შენობაში იყო 20 კათედრა, 2 ლაბორატორია, 5 კაბინეტი, ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა 18.288 წიგნით. ინსტიტუტის წლიური ბიუჯეტი უდრიდა 1.887.840 მანეთს.

1937 წელს ინსტიტუტის 7 ფაკულტეტის (ენისა და ლიტერატურის, ფიზიკა-მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის, ფიზკულტურისა და პედაგოგიკის) ყველა კურსზე ირიცხებოდა 1.700-მდე სტუდენტი. პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა განისაზღვრებოდა 100 ერთეულით, არსებობდა 21 კათედრა, 5 ლაბორატორია და 23 კაბინეტი. ინსტიტუტის წლიური ბიუჯეტი შეადგენდა 6.000.000 მანეთს.

1936 წელს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა დაუსწრებელი სწავლების განყოფილება. 1941 წლამდე ამ განყოფი-

ლების ყველა კურსზე ყოველწლიურად სწავლობდა 1.500-ზე მეტი სტუდენტი. თავისი არსებობის მანძილზე დაუსწრებელი სწავლების განყოფილებამ სამუშაოდაწ მოუწყეტლივ უმაღლესი განათლება მისცა 800-მდე მასწავლებელს.

1938 წელს ინსტიტუტთან გაიხსნა საქსტერნო განყოფილება ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ფიზიკა-მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიისა და პედაგოგიკის ფაკულტეტებით.

1941 წლისათვის ინსტიტუტის 7 ფაკულტეტის ყველა კურსზე ირიცხებოდა 2.000-მდე სტუდენტი. პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა განისაზღვრებოდა 180 ერთეულით. არსებობდა 30 კათედრა, 9 ლაბორატორია და 28 კაბინეტი. დაუსწრებელი სწავლების განყოფილებისა და ექსტერნატის ჩათვლით, 1941 წელს სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა 4.000-მდე. ინსტიტუტის წლიური ბიუჯეტი უდრიდა 9 მილიონ მანეთს.

ინსტიტუტის მუდმივი ზრდისა და განუხრელი წინსვლის ციფრობრივი მაჩვენებლები ნათელს ხდის იმ უდიდეს დახმარებას, რასაც პარტია და მთავრობა უწევენ ინსტიტუტს.

სტუდენტთა კონტინგენტის, მეცნიერ მუშაკთა რაოდენობისა და მატერიალური ბაზის მიხედვით, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი შეყვანილია პირველი კატეგორიის პედაგოგიურ ინსტიტუტთა რიცხვში.

ინსტიტუტის დაარსების პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ადგილობრივი მეცნიერული კადრების აღზრდასა და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობისათვის მტკიცე მატერიალური ბაზის შექმნას. ინსტიტუტის განვითარება ამ მხრივაც აღმავალი ხაზით მიიმართება: 1938 წლამდე მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომი დაიცვა სამმა, ხოლო 1938 წლის შემდეგ — 70 მეცნიერმა მუშაკმა. პირველ ხანებში მეცნიერ მუშაკებს საშუალება არ ჰქონდათ ადგილობრივ გამოექვეყნებინათ თავიანთი გამოკვლევები. 1939 წელს საფუძველი ჩაეყარა ინსტიტუტის „შრომების“ გამოცემას, რამაც შექმნა პირობები მეცნიერული ნაშრომების ადგილობრივ გამოქვეყნებისა.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა თავისი არსებობის ოცი წლის მანძილზე სოციალისტურ სამშობლოს მისცა 6.800-ზე მეტი კვალიფიციური პედაგოგი (ისტორიკოსები, ლიტერატორები, ბუნებისმეტყველები, მათემატიკოსები, ლოგიკა-ფსიქოლოგიის, უცხოური ენების, პედაგოგიკისა და ფიზკულტურის მასწავლებლები), რომლებიც მუშაო-

ბენ საპასუხისმგებლო უბნებზე და პირნათლად ასრულებენ ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საპატიო მოვალეობას.

ინსტიტუტში აღზრდილი კადრები დაწინაურებულია აგრეთვე საპასუხისმგებლო თანამდებობებზე პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ნაწილმა წარმატებით დაამთავრა ასპირანტურა და მოიპოვა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მათი უმრავლესობა განაგრძობს მუშაობას ინსტიტუტში, ხოლო ნაწილი გამოყენებულია სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში ჩვენი ინსტიტუტის მრავალი სტუდენტი და კურსდამთავრებული ჩადგა ძლევამოსილი საბჭოთა არმიის რიგებში. საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის მრავალი მათგანი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, ხოლო ორს,—კ. ტყაბლაძეს და გ. ბახტაძეს, — მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ამჟამად ინსტიტუტს აქვს 7 ფაკულტეტი: ენისა და ლიტერატურის (ქართული, რუსული და ლოგიკა-ფსიქოლოგიის განყოფილებებით), ისტორიის, ფიზიკა-მათემატიკის (ფიზიკისა და მათემატიკის განყოფილებებით), საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიის, უცხოური ენებისა (გერმანული, ფრანგული და ინგლისური განყოფილებებით) და ფიზიკური აღზრდისა. დღეისათვის ინსტიტუტში, დაუსწრებელი სწავლების განყოფილების ჩათვლით, 3.000-მდე სტუდენტი სწავლობს.

* * *

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებამ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1938 წ. 14 ნოემბერს მიღებულმა გადაწყვეტილებამ პროპაგანდის დაყენების შესახებ საფუძველი ჩაუყარა ახალ, მძლავრ იდეურ-პოლიტიკურ აღმავლობას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, შექმნა ყველა პირობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად დაუფლებისათვის. საბჭოთა სტუდენტობამ და უმაღლესი სკოლის მუშაკებმა აქტიურად მოჰკიდეს ხელი ლენინ-სტალინის პარტიის გმირული ისტორიის შესწავლას.

1938-1939 ს. წ. შეიქმნა მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა, რომელსაც ამჟამად დოც. ა. ებრალიძე განაგებს. კათედრა მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა სტუდენტთა და პროფესორ-

მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა და ი. ბ. სტალინის ბრძნულ მითითებათა საფუძველზე.

კათედრის წევრები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში და ხშირად გამოდიან მოხსენებებით სამეცნიერო სესიებზე. კათედრას აქვს კარგად მოწყობილი კაბინეტი, რომელიც მომსახურებას უწევს საჭირო ლიტერატურითა და კონსულტაციებით სტუდენტობას, ლექტორ-თანამშრომლებს და ქალაქის წარმოება-დაწესებულებებს. კათედრის წევრების მიერ მრავალი ლექცია-მოხსენებაა წაკითხული როგორც ინსტიტუტში, ისე მის გარეთ. კათედრის წევრთაგან სადისერტაციო შრომები დაიცვეს ვ. კილაძემ, გ. ჩხეიძემ, ს. ხურცილავამ, ს. ნუცუბიძემ, ხოლო გ. ამიროვი, ნ. ჩიქობავა, გ. ბურჯანაძე, შ. გვენეტაძე და გ. აბაიშვილი ამჟამად მუშაობენ სადისერტაციო თემებზე.

ფილოსოფიის კათედრა, რომელსაც დოც. შ. კაკულია ხელმძღვანელობს, 1952 წელს გამოეყო მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრას. კათედრის წევრები ჩაბმული არიან სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში, მათ მიერ მრავალი საინტერესო ლექცია-მოხსენებაა წაკითხული როგორც ინსტიტუტში, ისე ქალაქის წარმოება-დაწესებულებებში. კათედრის წევრთაგან ბ. ურიდიას და ე. გულუას წარდგენილი აქვთ სადისერტაციო ნაშრომები მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ხოლო რ. ჯინჯოლია და გ. ბერიშვილი მუშაობენ სადისერტაციო თემებზე.

პოლიტიკური ეკონომიის კათედრა (გამგე დოც. ვ. ბენიძე) ნაყოფიერ პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას ატარებს სტუდენტთა და თანამშრომელთა შორის. ი. ბ. სტალინის კლასიკური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გამოსვლასთან დაკავშირებით კათედრამ საფუძვლიანად გარდაქმნა თავისი მუშაობა.

კათედრას აქვს კაბინეტი, რომელშიც ხშირად ეწყობა ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდისა და აღმავლობის ამსახველი გამოფენები. კათედრის წევრთაგან სადისერტაციო შრომები დაიცვეს ს. კარსანიძემ და გ. ჩხაიძემ. ამჟამად სადისერტაციო თემებზე მუშაობენ ლექტორები: ვ. ირემაძე და შ. დათუსანი.

პედაგოგიკის კათედრას 1947 წლამდე ხელმძღვანელობდა პროფ. გ. თაზიშვილი, ხოლო შემდეგ წლებში—დოც. დ. ყიფშიძე. 1952 წლიდან კათედრას განაგებს პედაგ. მეცნ. კანდიდატი ი. ჯღარკავა. კათედრა ნაყოფიერ მუშაობას ატარებს სტუდენტთა სასწავლო-საალმზრდელო პროცესის ნორმალურად წარ-

მართვისათვის, პედაგოგიური პრაქტიკის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. კათედრას მჭიდრო კავშირი აქვს ქალაქის სკოლებთან დახმარებას უწევს პედაგოგებს სასწავლო-მეთოდურ მუშაობაში, დიდ ყურადღებას აქცევს პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლის საკითხების დამუშავებას. კათედრა ხელმძღვანელობას უწევს ინსტიტუტთან არსებულ მშობელთა უნივერსიტეტს, სადაც კათედრის წევრების მიერ მრავალი მოხსენებაა წაკითხული სწავლა-აღზრდის საკითხებზე.

კათედრის წევრთაგან სადისერტაციო შრომა დაიცვა ი. ჯღარკავამ, სადისერტაციო თემებზე მუშაობენ პ. გულუა და ა. მიშველაძე.

ფსიქოლოგიის კათედრამ მუშაობა დაიწყო ინსტიტუტის დაარსებისთანავე, აკად. დ. უზნაძის ხელმძღვანელობით. შემდეგ წლებში კათედრის გამგედ არჩეულ იქნა პროფ. ა. ბოჭორიშვილი. ფსიქოლოგიის კათედრა ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ეწევა, კათედრის წევრთა გამოკვლევები იბეჭდებოდა როგორც ინსტიტუტის „შრომებში", ისე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემებში. კათედრის გამგის პროფ. ა. ბოჭორიშვილისა და დოც. შ. ჩხარტიშვილის ავტორობით გამოცემულ იქნა ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო. ფსიქოლოგიის კათედრას მნიშვნელოვანი მუშაობა აქვს ჩატარებული როგორც საშუალო სკოლის პედაგოგთა, ისე მეცნიერ მუშაკთა კადრების აღზრდის მხრივ. კათედრის გამგემ—ა. ბოჭორიშვილმა წარმატებით დაიცვა სადისერტაციო შრომა პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად და მიენიჭა პროფესორის წოდება. პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვეს შ. ჩხარტიშვილმა და მ. ზარქუამ. კათედრის ხელმძღვანელობით იზრდებიან ასპირანტები: ლ. ამბროლაძე, გ. ბოჭორიშვილი, გ. ზარანდია და ვ. კაკაბაძე. კათედრამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის აკად. ი. პ. პავლოვის მოძღვრების საფუძველზე.

რუსული ენის კათედრა არსებობს 1938 წლიდან. კათედრას მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებისა და სასწავლო-მეთოდური საკითხების დამუშავების საქმეში. კათედრის წევრები ჩაბმული არიან სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში, სისტემატურად კითხულობენ მოხსენებებს სამეცნიერო სესიებზე. კათედრის წევრთაგან სადისერტაციო შრომები დაიცვეს ქ. კვანტრემ და მ. სოვეტოვმა. საქართვე-

ლოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭათ ზ. ჩიკვაიძეს, ა. სულავას და მ. კანდელაკს. რუსული ენის კაბინეტი ყოველდღიურ დახმარებას უწევს სტუდენტებს რუსული ენის დაუფლების საქმეში.

ფიზიკურიაღზრდისა და სპორტის კათედრას (გამგე პ. ჯაფარიძე) სტუდენტთა და ლექტორ-თანამშრომელთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვის საქმეში მნიშვნელოვანი მუშაობა აქვს ჩატარებული. კათედრის ხელმძღვანელობით კარგად მუშაობენ ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის გუნდები. ასეულობით მოემზადნენ მზად I და II საფეხურის ნიშნოსნები. სპორტის რიგ სახეებში კათედრას მიღებული აქვს სხვადასხვა სიგელები.

* * *

ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტმა დიდი მუშაობა ჩაატარა კვალიფიციურ პედაგოგთა კადრების მომზადების დარგში; 20 წლის განმავლობაში მან გამოუშვა სხვადასხვა სპეციალობის (ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, ლოგიკა-ფსიქოლოგია და ქართული ენა) 1410 პედაგოგი. ფაკულტეტზე დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა მეცნიერული კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მუშაობა.

ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას ინსტიტუტის დაარსების პირველ წლებში ხელმძღვანელობდა აკად. კ. კეკელიძე, 1935 წლიდან 1942 წლამდე—პროფ. ა. ბარამიძე, მის შემდეგ კათედრას განაგებს დოც. კ. მეძველია. კათედრის წევრები წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობენ ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი, მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად, აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო სესიების მუშაობაში, სისტემატურად ბეჭდავენ თავიანთ გამოკვლევებს როგორც ინსტიტუტის „შრომებში", ისე სხვა გამოცემებში. კათედრის წევრებმა: კ. მეძველიამ, გ. ჯიბლაძემ, გ. სამხარაძემ, ქ. სანიკიძემ, დ. ბრეგაძემ, მ. მახათაძემ და ნ. მაისურაძემ მოიპოვეს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. თ. ნიჟარაძე და ო. გიორგაძე მუშაობენ სადისერტაციო თემებზე.

ქართული ენის კათედრას ინსტიტუტის დაარსების პირველ წლებში ხელმძღვანელობდა აკად. ვ. თოფურია, ამჟამად კათედრას განაგებს ფილოლოგ. მეცნ. დოქტორი გ. როგავა.

ი. ბ. სტალინის კლასიკური შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების“ გამოქვეყნების დღიდან დაიწყო ახალი ეტაპი კათედრის სასწავლო-სამეცნიერო მუშაობაში. ი. ბ. სტალინის ენათმეცნიერული მოძღვრების საფუძველზე კათედრის წევრები ინტენსიურად მუშაობენ ქართული ენის ისტორიის, დიალექტოლოგიისა და ზოგადი ენათმეცნიერების აქტუალური საკითხების შესწავლაზე. კათედრის წევრთა მეცნიერული გამოკვლევები იბეჭდება ინსტიტუტის „შრომებსა“ და სხვა გამოცემებში. ქართული ენის კათედრას გარკვეული დამსახურება მიუძღვის ნ. მარის მიმდევრების ანტიმარქსისტულ, ვულგარულ-მატერიალისტურ შეხედულებათა კრიტიკის საქმეში.

კათედრის გამგემ გ. როგავამ წარმატებით დაიცვა სადისერტაციო შრომა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. კათედრის წევრთაგან მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვეს ქ. ძოწენიძემ, ა. კიზირიამ და პ. ჯაჯანიძემ; დ. გეწაძეს წარდგენილი აქვს სადისერტაციო შრომა; დ. მაჭავარიანი და მ. ალავიძე მუშაობენ სადისერტაციო თემებზე. კათედრის ხელმძღვანელობით იზრდება ასპირანტი კ. კუბლაშვილი.

ზოგადი ენათმეცნიერების კათედრამ, რომელსაც აკად. გ. ახვლედიანი ხელმძღვანელობდა, მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა პედაგოგთა და მეცნიერ მუშაკთა კადრების აღსაზრდელად

საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრამ ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. კათედრის წევრებს მრავალი საინტერესო გამოკვლევა აქვთ დაბეჭდილი როგორც ინსტიტუტის „შრომებში“, ისე სხვა გამოცემებში. კათედრის წევრები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო სესიების მუშაობაში. კათედრის ხელმძღვანელობით აღიზარდნენ მეცნიერი მუშაკები ა. ბიბიჩაძე და ე. მეძველია. კათედრის წევრთაგან მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვეს ფ. გოკიელმა და ა. ბიბიჩაძემ, ლექტორი ე. მეძველია მუშაობს სადისერტაციო თემაზე.

რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ დოც. ა. ჩხეიძე და დოც. ნ. ქუთათელაძე. ამჟამად კათედრას განაგებს დოც. ნ. მაისურაძე. კათედრის წევრთაგან მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვეს ნ. ქუთათელაძემ და რ. პევნაიამ. ქ. კილასონია და ვ. ალანია ამჟამად მუშაობენ სადისერტაციო თემებზე.

ისტორიის ფაკულტეტმა 20 წლის განმავლობაში სამშობლოს მისცა ისტორიის 1.160 მასწავლებელი, რომლებიც პედა-

გოგიურ მუშაობას ეწევიან ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში. ისტორიის ფაკულტეტის კათედრებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერებისა და მეცნიერ მუშაკთა კადრების აღზრდის მხრივ.

სსრკ ხალხთა ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კათედრებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხების შესწავლაში. დოც. ი. ციხცაძემ, რომელიც წლების განმავლობაში განაგებდა სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრას, წარმატებით დაიცვა სადოქტორო შრომა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე და მიენიჭა პროფესორის წოდება; მრავალი საინტერესო გამოკვლევა დაწერა საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ პროფ. ს. კაკაბაძემ. საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესახებ მე-17-18 საუკუნეში სადისერტაციო შრომა დაიცვა ნ. შენგელიამ.

სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრას, რომელსაც შეუერთდა საქართველოს ისტორიის კათედრა, ამჟამად განაგებს დოც. კ. აფრიდონიძე. კათედრის წევრებმა დ. უჩანეიშვილმა და ი. მატარაძემ დაიცვეს სადისერტაციო შრომები მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად: მ. ბერძული, ა. გოგუაძე და დ. ჯანელიძე, რომლებმაც დაამთავრეს ასპირანტურის თეორიული კურსი, მუშაობენ სადისერტაციო თემებზე. კათედრის წევრები ხშირად ატარებენ ლექცია-მოხსენებებს და მონაწილეობენ სამეცნიერო სესიების მუშაობაში.

ახალი ისტორიის კათედრას უკანასკნელ წლებში განაგებდა პროფ. ალ. ნამორაძე, რომლის ხელმძღვანელობით აღიზარდნენ ასპირანტები: ნ. კუბლაშვილი, ი. კუბლაშვილი, ა. ხეინგია, ლ. სანიკიძე და ლ. სვანაძე. ამჟამად კათედრას ხელმძღვანელობს დოც. შ. აბრამიძე. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვეს შ. აბრამიძემ, ი. კუბლაშვილმა. სადისერტაციო შრომა წარდგენილი აქვს ლ. სანიკიძეს. კათედრის წევრთა მიერ მრავალი საინტერესო გამოკვლევაა დაწერილი ამ გამოკვლევათა ნაწილი დაბეჭდილია ინსტიტუტის „შრომებში“.

ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტმა 20 წლის განმავლობაში აღზარდა 805 პედაგოგი (ფიზიკოსი და მათემატიკოსი). ფაკულტეტის კათედრებმა ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს მეცნიერული კადრების მომზადებისა და კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობის მხრივ.

მათემატიკური ანალიზის კათედრას (გამგე დოც. გ. ხაჟალია) კვალიფიციური მასწავლებლებისა და მეცნიერ მუშაკთა კადრების აღზრდის საქმეში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. კათედრის წევრმა გ. გაბუნიამ დაამთავრა ასპირანტურის კურსი და დაიცვა სადისერტაციო შრომა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. კათედრის წევრი ასისტ. მ. ფხაკაძე მუშაობს სადისერტაციო თემაზე. სამეცნიერო კვალიფიკაციას იმაღლებენ კათედრის სხვა ასისტენტებიც. კათედრის გამგე დოც. გ. ხაჟალია ამჟამად მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე, მისი მეცნიერული ნაშრომები დაბეჭდილია სხვადასხვა გამოცემებში.

ალგებრა-გეომეტრიის კათედრას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა დოც. ი. მეცხვარიშვილი. ამჟამად კათედრას განაგებს უფრ. მასწ. ნ. გაბადაძე, რომელსაც უკვე წარდგენილი აქვს სადისერტაციო შრომა. კათედრის წევრები ხშირად გამოდიან საინტერესო მოხსენებებით სამეცნიერო სესიებზე, მათი გამოკვლევები დაბეჭდილია ინსტიტუტის „შრომებში“ და სხვა გამოცემებში.

ზოგადი ფიზიკის კათედრას ინსტიტუტის დაარსებიდან ხელმძღვანელობდა დოც. ლ. ხუციშვილი, რომელმაც დიდი მუშაობა ჩაატარა სტუდენტთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მხრივ; მის მიერ გამოცემულ იქნა ფიზიკის სახელმძღვანელო. კათედრის წევრებმა ვ. სულავამ და მ. გობეჯიშვილმა წარმატებით დაიცვეს სადისერტაციო შრომები. დოც. მ. გობეჯიშვილი ამჟამად განაგებს ზოგადი ფიზიკის კათედრას, ხოლო დოც. ვ. სულავა — თეორიული ფიზიკის კათედრას. ფიზიკის კათედრები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევითს დარგში. მათი ზოგიერთი შრომა დაბეჭდილია ინსტიტუტის „შრომებში“. კათედრების ინიციატივით კაბინეტ-ლაბორატორიებთან ერთად მოწყობილია სახელოსნო. გათვალისწინებულია ამ სახელოსნოს გაჯართოება პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებით.

მათემატიკისა და ფიზიკის მეთოდიკის კათედრა ჩამოყალიბდა ორი წლის წინათ. კათედრას ხელმძღვანელობს დოც. ა. კორძაძე. ფიზიკა-მათემატიკური დისციპლინების სწავლების მეთოდების გაუმჯობესებისა და პედაგოგიური პრაქტიკის სრულყოფილად ჩატარების საქმეში კათედრას მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის.

საბუნებისმეტყველო ფაკულტეტმა 20 წლის განმავლობაში აღზარდა სხვადასხვა სპეციალობის (ქიმიკოსი და ბიოლოგი) 1033 მასწავლებელი, რომლებიც მუშაობენ ჩვენი რესპუბლიკის სკოლებსა და ლაბორატორიებში. საბუნებისმეტყველო კათედრებს ნაყოფიერი მუშაობა აქვთ ჩატარებული პედაგოგთა და მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადებისათვის.

ზოოლოგიის კათედრა ცხოველთა ფიზიოლოგიისა და ზოოლოგიის კათედრას, რომელსაც ინსტიტუტის დაარსების პირველ წელს აკად. ი. ბერიტაშვილი ხელმძღვანელობდა, ცალკე გამოეყო 1935 წელს. ამ დროიდან ზოოლოგიის კათედრას განაგებს დოც. გ. კოკოჩაშვილი. კათედრის წევრები ჩაბმული არიან სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში. მათი გამოკვლევები იბეჭდება ინსტიტუტის „შრომებში". კათედრა დიდ ყურადღებას აქცევს მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადებას. კათედრის გამგემ გ. კოკოჩაშვილმა 1941 წ. წარმატებით დაიცვა სადისერტაციო შრომა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. კათედრის წევრთაგან სადისერტაციო შრომები დაიცვეს ი. გოშხეთელიანმა და ს. ხოჯევანიშვილმა, ხოლო დ. ხეცურიანი და ქ. სვანიძე მუშაობენ სადისერტაციო თემებზე. თ. კოხოძე ამთავრებს ასპირანტურას მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კათედრის წევრების მიერ მრავალი საინტერესო მოხსენებაა წაკითხული სამეცნიერო სესიებზე. კათედრასთან არსებობს ზოოლოგიისა და მიჩურინული ბიოლოგიის კაბინეტი, სასწავლო ზოომუზეუმი და სასკოლო საცდელი ნაკვეთი, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტებს პრაქტიკული მუშაობისა და საველე პრაქტიკის გავლის დროს. კათედრას მჭიდრო კავშირი აქვს სკოლებთან და საგრძნობ დახმარებას უწევს მასწავლებლებს.

ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრამ (გამგე დოც. ა. გოცირიძე) მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა სასწავლო-სამეცნიერო პროცესების ნორმალურად წარმართვისათვის. კათედრაზე შესრულებული ნაშრომები დაბეჭდილია ინსტიტუტის „შრომებში" და სხვა გამოცემებში. სამამულო ომის პერიოდში დოც. ა. გოცირიძემ დაწერა შრომა „სისხლის გადასხმის საფუძვლები", რომელმაც სპეციალისტებისაგან მაღალი შეფასება მიიღო. კათედრა ნაყოფიერ მუშაობას ატარებს სასწავლო-სამეცნიერო პრაქტიკაში აკად. ი. პ. პავლოვის მოძღვრების დანერგვისა და პოპულარიზაციისათვის.

არაორგანული ქიმიის კათედრის გამგედ ინსტიტუტის დაარსების პირველ წლებში მუშაობდა პროფ. ი. მოსეშვილი, ანალიზური ქიმიის კათედრის გამგედ — პროფ. მ. ბეჭაია, ხოლო ორგანული ქიმიის კათედრის გამგედ დოც. ი. გვერდწითელი. ამჟამად არსებობს ზოგადი ქიმიის კათედრა (გამგე დოც. ლ. ჰელიძე), რომელიც ემსახურება საბუნებისმეტყველო და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტებს. კათედრის წევრები ჩაბმული არიან სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში და ნაყოფიერად მუშაობენ მეცნიერული კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ქიმიის კათედრებმა ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს მეცნიერ მუშაკთა მომზადებისა და კათედრების მატერიალური ბაზის განმტკიცების მხრივ. ლ. ჰელიძემ და დ. გაბრიაძემ დაიცვეს სადისერტაციო შრომები ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ქიმიის კათედრებზე შესრულებული გამოკვლევები დაბეჭდილია ინსტიტუტის „შრომებსა“ და სხვა გამოცემებში. კათედრებთან მოწყობილია სამი ლაბორატორია (თვისებითი, რაოდენობითი და არაორგანული ქიმიის) და ორი კაბინეტი (არაორგანული და ორგანული ქიმიის).

ბოტანიკის კათედრას (გამგე დოც. ი. გიორგბერიძე) თვალსაჩინო მუშაობა აქვს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხრივ. კათედრის წევრები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო სესიების მუშაობაში, მათ მიერ შესრულებული გამოკვლევების ნაწილი დაბეჭდილია ინსტიტუტის „შრომებში“. კ. ჭანიშვილმა, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა კათედრას, წარმატებით დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად და მიენიჭა დოცენტის წოდება. კათედრის წევრ ნ. მანგალაძეს უკვე წარდგენილი აქვს სადისერტაციო ნაშრომი. კათედრას აქვს საცდელი ბაღი და სასწავლო კაბინეტები, რომელთა მოწყობაში. საგრძნობი წვლილი მიუძღვის უფრ. მასწ. ა. მიქელაძეს.

გეოგრაფიის ფაკულტეტი შეიქმნა 1936 წელს, მანამდე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან არსებობდა გეოგრაფიის სექცია. ფაკულტეტმა სამშობლოს მისცა გეოგრაფიის 706 მასწავლებელი.

ფაკულტეტთან უკანასკნელ წლამდე არსებობდა შემდეგი კათედრები: ფიზიკური გეოგრაფიის (გამგე დოც. გ. დევდარიანი), ეკონომიური გეოგრაფიის (გამგე დოც. შ. ქორიძე) და გეოლოგია-მინერალოგიის (გამგე დოც. გ. ჰელიძე). კათედრების მიერ მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული

ფაკულტეტის მატერიალური ბაზის შექმნისა და მეცნიერ მუშაკთა კადრების აღზრდის მხრივ. კათედრებთან მოწყობილ იქნა სასწავლო კაბინეტები და მეტეოროლოგიური სადგური. ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის წევრთაგან სადისერტაციო შრომები დაიცვეს გ. დევდარიანმა და ლ. მარუაშვილმა; ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის წევრთაგან — შ. ქორიძემ და გ. კვირიკაძემ; გეოლოგია-მინერალოგიის კათედრის წევრთაგან — გ. ჰელიძემ და ი. საღინაძემ. ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრიდან სადისერტაციო შრომა დამთავრებული აქვს ს. გვილავას. კათედრებზე შესრულებული მეცნიერული ნაშრომების ნაწილი დაბეჭდილია ინსტიტუტის „შრომებში". ფიზიკური გეოგრაფიის კათედრა, რომელსაც შეუერთდა გეოლოგია-მინერალოგიის კათედრა, მნიშვნელოვან მუშაობას ატარებს როგორც სასწავლო-მეთოდური, ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხრივ; კათედრის გამგე და წევრები თვალსაჩინო მუშაობას ატარებენ გეოგრაფიული საზოგადოების ხაზით.

1941-1945 წლებში ინსტიტუტთან არსებობდა უცხოურ ენათა ორწლიანი კურსები, ხოლო შემდეგ შეიქმნა უცხოურ ენათა ფაკულტეტი გერმანული, ფრანგული და ინგლისური განყოფილებებით. უცხოურ ენათა კურსებისა და ფაკულტეტის მიერ დღემდე გამოშვებულია უცხო ენების 345 მასწავლებელი.

ამჟამად ფაკულტეტზე შექმნილია გერმანული და ფრანგული ენების კათედრა (გამგე დოც. ა. ბიბიჩაძე). კათედრის წევრები ჩაბმული არიან სამეცნიერო კვლევითს საქმიანობაში, სისტემატურად მონაწილეობენ სამეცნიერო სესიების მუშაობაში და იმაღლებენ თავიანთ კვალიფიკაციას.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი ინსტიტუტთან არსებობს 1937—1938 სასწავლო წლიდან. 1942—1946 წლებში ფაკულტეტზე მიღება შეწყვეტილი იყო. თავისი არსებობის მანძილზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტმა გამოუშვა ფიზკულტურის 175 მასწავლებელი.

ფაკულტეტთან შექმნილია შემდეგი კათედრები: სპორტის (გამგე ნ. წერეთელი), ტანვარჯიშის (გამგე ს. ბასილაძე), ფიზიკური აღზრდისა და თეორიის (გამგე ნ. რამიშვილი). კათედრებს დიდი მუშაობა აქვთ ჩატარებული ფიზკულტურის კვალიფიციურ მასწავლებელთა მომზადების მხრივ. კათედრები ხელმძღვანელობენ ფაკულტეტთან არსებულ სექციებს, სადაც სტუდენტები იმაღლებენ თავიანთ სპორტულ დახელოვნებას. ფაკულტეტზე მომზადებულია მრავალი სახის სპეციალისტები (მათ I და

II საფეხურის ნიშნოსნები, მძლეოსნები, მეთხილამურეები, მოვარჯიშეები, ალპინისტები და სხვ.). ზოგიერთ სექციას ხელმძღვანელობენ სპორტის ოსტატები მასწ. ვ. გიგიაძე და სტუდენტი შ. ჩაჩხიანი. სპორტის ცალკეულ სახეებში ფაკულტეტს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი. სასწავლო-მეთოდური მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის მოწყობილია სპორტდარბაზები, მოედნები და კაბინეტები.

1934—1935 სასწ. წლიდან 1940-1941 სასწავლო წლამდე ინსტიტუტთან არსებობდა პედაგოგიკის ფაკულტეტი, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე გამოუშვა 238 მასწავლებელი.

* * *

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა, დაუსწრებელი სწავლებისა და საექსტერნო განყოფილების ჩათვლით, 20 წლის განმავლობაში სამშობლოს აღუზარდა სხვადასხვა სპეციალობის 6.829 მასწავლებელი, მათგან სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა და დიპლომი მიიღო 5.500 კაცმა.

წარჩინებულ კურსდამთავრებულთა ნაწილი მიღებულ იქნა ინსტიტუტთან არსებულ ასპირანტურაში. 1933-1952 წ. წ. ასპირანტურაში ჩაირიცხა 67 კაცი, მათგან თეორიული კურსი დაამთავრა 50 კაცმა. მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო შრომა დაიცვა ასპირანტურის 25 კურსდამთავრებულმა.

1938 წლიდან ინსტიტუტში ყოველწლიურად ტარდება მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო სესიები. 1953 წლამდე ჩატარებულია 16 რიგითი სამეცნიერო სესია, სადაც წაკითხულ იქნა 525 მოხსენება. ცალკეული კათედრების ძალებით ჩატარდა 19 სამეცნიერო სესია და წაკითხულ იქნა 165 მოხსენება. ასპირანტებმა ჩაატარეს 3 სამეცნიერო სესია და წაიკითხეს 22 მოხსენება. ამრიგად, ინსტიტუტში ჩატარებულია სულ 38 სამეცნიერო სესია, რომლებზედაც წაკითხულ იქნა 700-ზე მოხსენება.

ინსტიტუტის კათედრების ხელმძღვანელობით სისტემატურად ტარდებოდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. 1953 წლამდე ჩატარებულია 12 კონფერენცია, სადაც მოსმენილ იქნა 250 მოხსენება.

1949 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ინიციატივით მოეწყო სტუდენტთა I რესპუბლიკური კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის, სუხუმის, ბა-

თუმის, სტალინირის, გორის, თელავისა და ზუგდიდის პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების სტუდენტები. ამ კონფერენციაზე წაკითხულ იქნა 51 მოხსენება. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ შემდეგ წლებში ჩატარებულ რესპუბლიკურ კონფერენციებზე სისტემატურად მონაწილეობდნენ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები. მრავალმა მათგანმა მიიღო ჯილდო კარგი მოხსენების ჩატარებისათვის.

1949-1950 სასწ. წელს ინსტიტუტში დაარსდა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, რამაც დიდად შეუწყო ხელი სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობის გაუმჯობესებას. ამჟამად ინსტიტუტის ყოველ კათედრასთან არსებობს სტუდენტთა სამეცნიერო წრე. კათედრები ყოველდღიურ დახმარებას უწევენ სტუდენტთა სამეცნიერო წრეებს, ხელმძღვანელობენ იმ სტუდენტებს, რომლებსაც აღებული აქვთ ესა თუ ის თემა მოხსენების მოსამზადებლად. კათედრის წევრთა უშუალო ხელმძღვანელობით და სტუდენტთა ბეჯითი, გულმოდგინე მუშაობით მრავალი საინტერესო და მეცნიერული ღირებულების მქონე მოხსენება დაიწერა. სტუდენტთა საინსტიტუტო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხულია 331 მოხსენება.

პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ფართოდ გაშლას საგრძნობლად შეუწყო ხელი „შრომების“ გამომცემლობის დაარსებამ ინსტიტუტში 1939 წელს. 1953 წლამდე გამოიცა ინსტიტუტის „შრომების“ 10 ტომი, სადაც დაბეჭდილია 200-მდე გამოკვლევა მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. ამ უკანასკნელ წლებში ინსტიტუტთან დაარსდა სტამბაც. ინსტიტუტის სტამბაში იბეჭდება როგორც სამეცნიერო შრომები, ისე სხვა სასწავლო-მეთოდური მასალები, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში ინსტიტუტს დიდ დახმარებას უწევს ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა (გამგე ა. კოპალაძე), რომლის წიგნადი ფონდი დღითი დღე იზრდება. 1933 წელს ბიბლიოთეკას ჰქონდა 18.288 წიგნი. შემდეგ წლებში ასეული ათასობით მანეთი იხარჯებოდა წიგნადი ფონდის შესავსებად. 20 წლის მანძილზე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 11-ჯერ გაიზარდა: ამჟამად ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკასა და ცალკე კათედრების სპეციალურ ბიბლიოთეკებში 200.000-მდე წიგნი და ჟურნალი ირიცხება. ბიბლიოთეკაში შედგენილ იქნა და ინსტიტუტის „შრომებში“ დაიბეჭდა ბიბლიოგრაფიული მასალები: „ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დისერ-

ტაციები“ და „ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სესიები და კონფერენციები“.

ინსტიტუტის კოლექტივი მნიშვნელოვან მუშაობას ატარებს ინსტიტუტს გარეთაც, მას მჭიდრო კავშირი აქვს ქალაქის საშუალო სკოლებთან. კათედრები ხშირად ატარებენ ლექცია-მოხსენებებს და კონსულტაციებს მასწავლებელთათვის, უწევენ მათ მეთოდურ დახმარებას, განსაკუთრებით სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარების დროს.

1946-1947 სასწ. წელს ინსტიტუტთან დაარსდა მშობელთა უნივერსიტეტი, რომელიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მშობელთა პედაგოგიზაციისათვის. მშობელთათვის ლექციები იკითხება როგორც ადგილზე, ისე ზოგიერთ რაიონში. კვალიფიციური ლექტორების მიერ მშობელთა უნივერსიტეტში 300-მდე ლექციაა წაკითხული.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ზრდისა და განვითარების მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, თუ რა მუშაობა ჩაატარა ინსტიტუტის კოლექტივმა 20 წლის მანძილზე სასწავლო-სამეცნიერო პროცესის გაუმჯობესებისა, პედაგოგიური და მეცნიერული კადრების აღზრდისა და მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში.

პედაგოგიური ინსტიტუტის დირექციისა და ორგანიზაციების წინაშე უდიდესი ამოცანები დგას: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დადგენილებით გათვალისწინებულია პედაგოგთა კადრების რიცხვის ზრდა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და პოლიტექნიკური სწავლების შემოღება, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო მუშაობის გაუმჯობესება.

ინსტიტუტის კოლექტივი მომავალშიც ენერგიულად იმუშავებს, რათა დროულად და ხარისხიანად შეასრულოს სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის გეგმები, განამტკიცოს სასწავლო და შრომის დისციპლინა, აღზარდოს მაღალკვალიფიციური პედაგოგთა კადრები, განამტკიცოს მატერიალური ბაზა, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კადრების ზრდას და ამით თავისი წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XI, 1952—1953.

გ. ჩხაიძე

ი. ბ. სტალინი სასაქონლო წარმოებისა და ღირებულების კანონის შესახებ სოციალიზმის დროს

ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ უდიდეს მოვლენას წარმოადგენს არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ ნაშრომში ყოველმხრივ გამოკვლეულია სოციალისტურ საზოგადოებაში მატერიალური დოვლათის წარმოებისა და განაწილების კანონები, სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მეცნიერული საფუძვლები, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ძირითადი წინაპირობები.

სასაქონლო წარმოებისა და ღირებულების კანონის საკითხებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკურ ეკონომიაში. ამხანაგმა სტალინმა თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ყოველმხრივ გააშუქა სასაქონლო წარმოებისა და ღირებულების კანონის ისტორიული ხასიათი, სასაქონლო წარმოების საკითხის სწორად გადაჭრის მნიშვნელობა სოციალიზმის გამარჯვებისათვის, სასაქონლო წარმოების აუცილებლობა და განსაკუთრებული ხასიათი სოციალიზმის პირობებში, სასაქონლო წარმოების ბედის საკითხი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის დროს.

* * *

ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში სასაქონლო წარმოების ბუნების სწორად გაგებისათვის სახელმძღვანელო დებულებას წარმოადგენს ის, რომ „არ შეიძლება განვიხილოთ სასაქონლო წარმოება, როგორც თვითკმარი, გარემომცველი ეკონომიკური პირობებისაგან დამოუკიდებელი რამ“[1].

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952, გვ. 17.

სასაქონლო წარმოება არის წარმოება გაცვლისათვის, წარმოება გაცვლის მიზნით, მაგრამ სასაქონლო წარმოება და გაცვლა ერთდროულად არ აღმოცენებულან, გაცვლა უფრო ადრე აღმოცენდა, ვიდრე სასაქონლო წარმოება. ენგელსი გაცვლის აღმოცენებას პირველყოფილ-თემური წყობილების დროს უკავშირებს შრომის დროებით დანაწილებას ქვის იარაღების წარმოებაში. განვითარების დაბალ საფეხურზე, მეჯოგე ტომების გამოყოფამდე, გაცვლა მხოლოდ ტომის ფარგლებში ხდება და მას შემთხვევითი ხასიათი აქვს, რადგან გაცვლის საგანს მხოლოდ შემთხვევით დარჩენილი ნამეტი პროდუქტები შეადგენენ.

სასაქონლო წარმოება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარებისა და წარმოების იარაღებზე კერძო საკუთრების წარმოშობის საფუძველზე აღმოცენდა.

შრომის პირველმა დიდმა საზოგადოებრივმა დანაწილებამ — მეჯოგეობის გამოყოფამ მიწათმოქმედებიდან — პირველად გახადა შესაძლებელი რეგულარული გაცვლა; ყოველგვარი პირობა შეიქმნა სხვადასხვა ტომის წევრებს შორის გაცვლის, როგორც მუდმივი წესის დასამყარებლად, გასავითარებლად და გასამტკიცებლად.

მეჯოგე ტომების მიერ დამზადებული პროდუქტები არა მარტო უფრო მეტი იყო, ვიდრე სხვა ტომებისა, არამედ უფრო სხვანაირიც. ამ პროდუქტების ნაწილს მეჯოგე ტომები ცვლიდნენ სხვა პროდუქტებზე. თავდაპირველად ტომი უცვლიდა ტომს გვართა მამასახლისების შემწეობით, ხოლო შემდეგ, როცა ჯოგების კერძო საკუთრებაში გადასვლა დაიწყო, თანდათან გაძლიერდა გაცვლა-გამოცვლა ცალკე პირებს შორის. „საქონლის გაცვლა-გამოცვლა, — წერს მარქსი, — იწყება საზოგადოებრივი ორგანიზმის კიდურებზე, მათი შეხების ადგილზე სხვა საზოგადოებრივ ორგანიზმთან ანდა ამ ორგანიზმის წევრებთან“ [1].

შრომის მეორე დიდ საზოგადოებრივ დანაწილებას წარმოადგენდა ხელოსნობის გამოყოფა მიწათმოქმედებიდან, რასაც თან ახლდა გაცვლის შემდგომი განვითარება, სასაქონლო წარმოების გაჩენა. ენგელსი ამის შესახებ წერს: „წარმოების ორ დიდ და მთავარ დარგად, მიწათმოქმედებად და ხელოსნობად, დაყოფასთან ერთად ჩნდება წარმოება უშუალოდ გაცვლისათვის, — საქონლის წარმოება; ხოლო საქონლის წარმოებასთან ერთად ჩნდება ვაჭრო-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1930, გვ. 53.

ბაც არა მარტო ტომის შიგნით და ტომის საზღვრებზე, არამედ უკვე ზღვისიქითა ქვეყნებთანაც“ [1].

სასაქონლო წარმოება და მიმოქცევა მონათმფლობელურ წყობილებაში ემყარებოდა მონათმფლობელურ მეურნეობას. თავიანთ მეურნეობაში წარმოებული პროდუქტების ნაწილს მონათმფლობელები ჰყიდდნენ ბაზარზე, ე. ი. მონური შრომის პროდუქტების განსაზღვრული ნაწილი იქცეოდა საქონლად.

საწარმოო ძალთა და შრომის დანაწილების შემდგომმა განვითარებამ ფეოდალურ საზოგადოებაში გამოიწვია სოფლისგან ქალაქის გამოყოფა; ქალაქების შექმნის პროცესი იმავე დროს ბაზრის შექმნის პროცესიც იყო. ქალაქსა და სოფელს შორის დამყარდა რეგულარული საქონელგაცვლა. თავდაპირველად საქონელგაცვლა თვით მწარმოებლების მიერ ხდებოდა, ხოლო შემდეგ ამ საქმეში სულ უფრო და უფრო დიდ როლს ასრულებს შუამავალი — შემსყიდველი, ვაჭარი. მიუხედავად ამისა, სასაქონლო წარმოება კაპიტალიზმამდელ საზოგადოებრივ ფორმაციებში მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა: „ძველი აზიური, ანტიური და სხვ. წარმოების დროს შრომის პროდუქტის საქონლად გადაქცევა და ამიტომ ადამიანის ყოფნაც საქონლის მწარმოებლის სახით მეორეხარისხოვან როლს ასრულებს, მაგრამ ეს როლი მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რაც უფრო ძლიერდება სათემო ცხოვრების რღვევის პროცესი“ [2].

სხვაგვარადაა საქმე კაპიტალიზმის დროს: კაპიტალიზმი წარმოადგენს სასაქონლო წარმოების განვითარების უმაღლეს საფეხურს, სადაც არა მარტო შრომის პროდუქტი, არამედ ადამიანის სამუშაო ძალაც საქონელია. „აქ ყველაფერი საქონლის სახეს იღებს, ყველგან გამეფებულია ყიდვა-გაყიდვის პრინციპი, აქ თქვენ შეგიძლიათ იყიდოთ არა მარტო სახმარი ნივთები, არა მარტო სასმელ-საჭმელი, არამედ ადამიანების სამუშაო ძალაც, მათი სისხლიც, მათი სინდისიც“ [3].

კაპიტალიზმის ისტორიულ განვითარებაში ორი მომენტია მნიშვნელოვანი. ერთი ის, რომ უშუალო მწარმოებლის ნატურალური მეურნეობა იქცევა სასაქონლო მეურნეობად; მეორე ის, რომ სასაქონლო მეურნეობა იქცევა კაპიტალისტურ მეურნეობად. ორივე ამ გარდაქმნას თავისი საფუძველი აქვს. პირველი გარდაქმნა შრომის

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 375.
[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1930, გვ. 45.
[3] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 311.

საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე ხდება, ხოლო მეორე გარდაქმნა — ცალკეულ, განკერძოებულ საქონელმწარმოებელთა შორის კონკურენციის საფუძველზე. კაპიტალისტური წარმოების პროცესი განუწყვეტლივ აიძულებს მუშას, გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა იმისათვის, რომ იარსებოს, ხოლო კაპიტალისტს აძლევს საშუალებას, იყიდოს იგი და გამდიდრდეს.

ამგვარად, სასაქონლო წარმოება არის საზოგადოებრივი წარმოების ისეთი ორგანიზაცია, სადაც პროდუქტებს აწარმოებენ ცალკეული მწარმოებლები. თვითეული მათგანი სპეციალდება ერთი რომელიმე სახის პროდუქტის დამზადებაში. საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭიროა პროდუქტების ყიდვა-გაყიდვა ბაზარზე, რის გამოც ეს პროდუქტები საქონლად იქცევიან.

* * *

წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობის პირობებში სასაქონლო წარმოება თავისთავში შეიცავს ანტაგონისტურ წინააღმდეგობას. სასაქონლო წარმოება, ერთი მხრივ, დაქუცმაცებულია წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ძალით, მეორე მხრივ, მრავალრიცხოვანი კერძო მწარმოებლები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან შრომის დანაწილების გამო. რამდენადაც წვრილი საქონელმწარმოებლები ურთიერთდაკავშირებული არიან შრომის დანაწილების საფუძველზე, იმდენად მათი შრომა საზოგადოებრივი ხასიათისაა; ხოლო რამდენადაც სასაქონლო წარმოებას საფუძვლად უდევს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, იმდენად საქონელმწარმოებელთა შრომა გვევლინება, როგორც კერძო შრომა. წინააღმდეგობა საზოგადოებრივსა და კერძო შრომას შორის სასაქონლო წარმოების ძირითადი წინააღმდეგობაა. ცალკეული, ინდივიდუალური საქონელმწარმოებლები განკერძოებულად აწარმოებენ რა საქონელს ბაზრისათვის, კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, თვითეული მათგანი ცდილობს ძვირად გაყიდოს, იაფად იყიდოს. ამის აუცილებელი შედეგია უმცირესობის გამდიდრება და უმრავლესობის გაღატაკება, რაც იწვევს დამოუკიდებელ მწარმოებელთა დაქირავებულ მუშებად, ხოლო მრავალრიცხოვან წვრილ საწარმოთა მცირერიცხოვან მსხვილ საწარმოებად გადაქცევას.

საქონელს აქვს სახმარი ღირებულება და ღირებულება. საქონლის იმ თვისებას, რომ იგი ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, სახმარი ღირებულება ეწოდება; ხოლო საქონელი,

როგორც ადამიანის შრომის განსაზღვრული რაოდენობის გამოხატულება, არის ღირებულება. საქონლის სახმარი ღირებულება და ღირებულება პირობადებულია საქონელში განხორციელებული შრომის ორმაგი ხასიათით — შრომის კონკრეტული და აბსტრაქტული ხასიათით. ყოველი შრომა, როგორც კერძო შრომა (მაგ. თერძობა, ფეიქრობა და სხვ.), როგორც სამუშაო ძალის განსაკუთრებული მიზანშეწონილი ფორმით დახარჯვა, კონკრეტული შრომაა; ხოლო იგივე შრომა, როგორც სამუშაო ძალის დახარჯვა ფიზიოლოგიური მნიშვნელობით (ტვინის, კუნთების, ნერვების და სხვ. პროდუქტიული დახარჯვა), როგორც შრომა საერთოდ, აბსტრაქტული შრომაა. კონკრეტული შრომა ქმნის საქონლის სახმარ ღირებულებას, ხოლო აბსტრაქტული შრომა კი — საქონლის ღირებულებას. ამგვარად, საქონლის სახმარი ღირებულება და ღირებულება გაპირობებულია საქონელმწარმოებლის შრომის ორმაგი ხასიათით — შრომის კონკრეტული და აბსტრაქტული ხასიათით, ხოლო შრომის ორმაგი ხასიათი კი — საქონელმწარმოებლის შრომის თავისებურებით, კერძო და საზოგადოებრივი შრომით.

სახმარი ღირებულება აქვს არა მარტო საქონელს, არამედ პროდუქტსაც, მაგრამ, პროდუქტის სახმარი ღირებულებისაგან განსხვავებით, საქონლის სახმარი ღირებულება საცვლელი ღირებულების ნივთიერი მატარებელია, ე. ი. საქონელს, როგორც მოხმარების საგანს, იმიტომ ამზადებენ, რომ გაცვალონ, გაყიდონ, მისი ღირებულების რეალიზაცია მოახდინონ. საქონელმწარმოებელმა წინასწარ არ იცის, მის მიერ დამზადებული პროდუქტი გაიყიდება თუ არა. ამას იგი გაიგებს მხოლოდ ბაზარზე. მისი შრომა, როგორც საზოგადოებრივი შრომა, გამოიხატება არა უშუალოდ, არამედ გაცვლის გზით. საქონელმწარმოებელი თავისი შრომის, როგორც საზოგადოებრივი შრომის, რეალიზაციას მხოლოდ მაშინ ახდენს, როდესაც საქონელი გაიყიდება.

საქონელმწარმოებლის შრომა, როგორც საზოგადოებრივი შრომა, გამოიხატება ღირებულების, ანუ მისი სუბსტანციის — აბსტრაქტული შრომის სახით. რამდენადაც სახმარი ღირებულება კერძო შრომის, კონკრეტული შრომის შედეგია, ხოლო ღირებულება კი — საზოგადოებრივი შრომისა, აბსტრაქტული შრომისა, იმდენად, თავისი მხრივ, წინააღმდეგობა კერძოსა და საზოგადოებრივ შრომას შორის გამოიხატება წინააღმდეგობით კონკრეტულსა და აბსტრაქტულ შრომას შორის, სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას შორის.

საზოგადოებრივი წარმოების ყოველ დარგში მოქმედებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მომუშავე საქონელმწარმოებლები. პირობები, რომლებშიც თვითეული მათგანი აწარმოებს საქონელს, სხვადასხვანაირია. რაც უფრო ძლიერია ესა თუ ის მწარმოებელი ეკონომიკურად, რაც უფრო სრულყოფილ ტექნიკას იყენებს იგი, მით უფრო ნაკლებ შრომას ხარჯავს პროდუქტის ერთეულზე, მით უფრო იაფად შეუძლია გაყიდოს იგი. საქონელმწარმოებელთა შორის არსებობს განსხვავება, დახელოვნებისა და უნარის მიხედვითაც. მაშასადამე, ერთისა და იმავე სახის საქონლის ერთეულზე ცალკეულ მწარმოებელთა შრომის დანახარჯები არ არის ერთნაირი. საზოგადოება მოცემული საქონლის ბაზარზე გამოტანილ მთელ მასას ღებულობს, როგორც ერთ საქონელს. ბაზარი ანგარიშს არ უწევს იმას, თუ რამდენი შრომა დახარჯა ამა თუ იმ მწარმოებელმა საქონლის დასამზადებლად. ბაზარი ერთნაირ ფასს აწესებს მოცემული სახისა და ხარისხის საქონლის ყველა ერთეულისათვის. საქონლის ღირებულების სიდიდე განისაზღვრება არა ცალკეული მწარმოებლის შრომის ინდივიდუალური დანახარჯებით, არამედ საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობით, ე. ი. შრომის იმ რაოდენობით, რომელიც საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების მოცემულ დონეზე აუცილებელია საშუალოდ დაიხარჯოს მოცემული სახის საქონლის ერთეულის წარმოებაზე; სხვანაირად, დრო, რომელსაც მწარმოებელთა უმრავლესობა ხარჯავს ამა თუ იმ საქონლის წარმოებაზე, არის საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო.

ამგვარად, წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებაზე დამყარებული სასაქონლო წარმოების პირობებში ამა თუ იმ საქონლის წარმოებაზე ინდივიდუალური დანახარჯების საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებამდე დაყვანის ობიექტური აუცილებლობა ხორციელდება, როგორც კონკურენციის იძულებითი ძალა, ბაზრის იძულებითი ზემოქმედება.

წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობის დროს სასაქონლო წარმოება ბაზრის სტიქიას ემორჩილება. სხვადასხვა კერძო შრომა საზოგადოებრივი ერთობლივი შრომის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ამ კერძო შრომათა საზოგადოებრივი ხასიათი ფაქტიურად გაცვლის დროს გამოვლინდება. მაშასადამე, წარმოებითი ურთიერთობა გამოდის არა როგორც მწარმოებელთა უშუალო საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოების პროცესში, არამედ როგორც ნივთების საზოგადოებრივი ურთიერთობა, ხოლო

ბაზრის სტიქიის ბატონობა კი გვეველინება, როგორც ნივთების ბატონობა მწარმოებლებზე, რასაც თან სდევს სასაქონლო ფეტიშიზმი.

* *
*

ი. ბ. სტალინი თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ აკრიტიკებს იმ მცდარ შეხედულებას, რომ სასაქონლო წარმოებამ ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში, თითქოს, უნდა მიგვიყვანოს კაპიტალიზმამდე. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სასაქონლო წარმოება არ შეიძლება გავაიგივეოთ კაპიტალისტურ წარმოებასთან. სასაქონლო წარმოებას კაპიტალისტურ წარმოებად გადაქცევა შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ წარმოების საშუალებებზე არსებობს კერძო საკუთრება, თუ სამუშაო ძალა წარმოადგენს საქონელს და, მაშასადამე, არსებობს სისტემა დაქირავებული მუშების ექსპლოატაციისა კაპიტალისტების მიერ. სადაც ეს პირობები არ არის, იქ სასაქონლო წარმოებამ არ შეიძლება კაპიტალიზმამდე მიგვიყვანოს.ასე, მაგალითად, სასაქონლო წარმოება არსებობდა მონათმფლობელური წყობილების დროს და მომსახურებას უწევდა მას, მაგრამ კაპიტალიზმი არ წარმოუშვია, ვინაიდან არა მარტო წარმოების საშუალებები, არამედ მონებიც მონათმფლობელების სრულ საკუთრებას შეადგენდნენ, არ არსებობდა დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის სისტემა, წარმოების მონათმფლობელური წესი შეუძლებელს ხდიდა სამუშაო ძალის გადაქცევას საქონლად. სასაქონლო წარმოება არსებობდა ფეოდალიზმის დროსაც და მომსახურებას უწევდა მას, მაგრამ კაპიტალიზმი არ წარმოუშვია, თუმცა მოანზადა ზოგიერთი პირობა კაპიტალისტური წარმოებისათვის.

ფეოდალიზმის წიაღში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების ბაზას წარმოადგენდა მარტივი სასაქონლო მეურნეობა, რომელიც ქალაქად არსებობდა ამქრული ხელოსნობის ფორმით, ხოლო სოფლად კი — გაცვლაში სულ უფრო და უფრო მეტი ზომით ჩაბმულ გლეხურ მეურნეობათა ფორმით.

XIV და XV საუკუნეში ევროპაში სწრაფად გაიზარდა ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა, რომლებმაც თავიანთი გავლენის სფეროში მოაქციეს ამქრული ხელოსნობა და ფეოდალური სოფელი. XV საუკუნის დამლევისა და XVI საუკუნის დასაწყისის დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ძირითად მიზეზს ევროპის მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება წარმოადგენდა, რომელმაც ოქროზე, რო-

გორც გაცვლის საშუალებაზე, გაძლიერებული მოთხოვნა გამოიწვია. დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა შექმნეს ახალი მსოფლიო ბაზარი, რის შედეგადაც წარმოიშვა გაძლიერებული მოთხოვნა ევროპული მრეწველობის პროდუქტებზე. მომწიფდა ეკონომიკური პირობები წვრილი ხელოსნური წარმოებიდან ჯერ მანუფაქტურულ, ხოლო შემდეგ მანქანურ წარმოებაზე, მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლისათვის.

სასაქონლო ურთიერთობის ზრდამ მდგომარეობა არსებითად შეცვალა: კონკურენცია შეიჭრა ამქართა შიგნით, დაიწყო გამოყოფა უფრო შეძლებული ოსტატებისა, რომლებიც თავიანთ საწარმოებს აფართოებდნენ ამქრის წესდებისადმი ანგარიშის გაუწევლად. თუ წინათ ხელოსანი დაკვეთაზე ან შინაური ბაზრისათვის მუშაობდა და მას უშუალოდ მომხმარებელთან ჰქონდა საქმე, ამიერიდან იგი იძულებული ხდება უფრო ფართო, მისთვის უცნობი ბაზრისათვის მუშაობაზე გადავიდეს. ამან გამოიწვია აუცილებელი მოთხოვნა შუამავალზე — შემსყიდველზე, ვაჭარზე. შემსყიდველი უშუალოდ თვით ხელოსანთა წრიდან გამოდის. პირველ ხანებში იგი სავაჭრო ოპერაციებს უთავსებს ხელოსნურ საქმიანობას, ხოლო შემდეგ მთლიანად ვაჭრობაზე გადადის.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების იგივე პროცესი მიმდინარეობდა სოფლადაც. სასაქონლო წარმოების განვითარებამ გაადიდა ფეოდალების მოთხოვნილება ფულზე. ამასთან დაკავშირებით, ფეოდალები ნატურალური რენტიდან გადავიდნენ ფულად რენტაზე. ფულად რენტაზე გადასვლამ აიძულა ყმა გლეხი ეწარმოებინა პროდუქტები ბაზარზე გაყიდვის მიზნით. სასაქონლო — ფულადი ურთიერთობის განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა გლეხობის დიფერენციაციის პროცესი. გლეხობის ეკონომიკურად ძლიერმა ფენამ იწყო დაქირავებული შრომის გამოყენება, ხოლო გლეხობის ძირითადი მასა კი ღატაკდებოდა. გლეხობის დიფერენციაციის პროცესმა, თავისი მხრივ, ხელი შეუწყო ბაზრისა და სასაქონლო ურთიერთობის ზრდას, ვინაიდან კულაკურმა მეურნეობებმა, გააფართოვეს რა დაქირავებული შრომის გამოყენება, გაადიდეს წარმოება ბაზრისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაქირავებული შრომა არსებობდა როგორც დამხმარე საქმე. „დაქირავებული მუშათა კლასი, — წერს მარქსი, — რომელიც წარმოიშვა მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში, შეადგენდა მაშინ და შემდეგ საუკუნეშიც ხალხის ფრიად უმნიშვნელო ნაწილს, რომელიც თავისი მდგომარეობის მძლავრ დასაყრდნობ წერტილს პო-

ულობდა სოფლად დამოუკიდებელ გლეხურ მეურნეობაში და ქალაქად — ამქრულ ორგანიზაციებში. სოფლად და ქალაქად დამქირავებლები და მუშები სოციალურად ახლოს იმყოფებოდენ ერთმანეთთან. შრომის დამორჩილება კაპიტალისადმი მხოლოდ ფორმალური იყო, ე. ი. თვით წარმოების წესი ჯერ კიდევ სპეციფიურ კაპიტალისტურ ხასიათს არ შეიცავდა" [1].

სასაქონლო წარმოება გარკვეული პერიოდის მანძილზე მომსახურებას უწევს ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებასაც, მაგრამ თუ კი მას კაპიტალიზმი არ წარმოუშვია მონათმფლობელური და ფეოდალური წყობილების დროს, მით უმეტეს, იგი კაპიტალიზმს ვერ წარმოშობს ჩვენში, სადაც წარმოების საშუალებებზე არსებობს საზოგადოებრივი საკუთრება და ლიკვიდირებულია დაქირავებული შრომის სისტემა, ექსპლოატაციის სისტემა. „სასაქონლო წარმოებას ჩვენში, — წერს ამხანაგი სტალინი, — არა აქვს ისეთი შეუზღუდველი და ყოვლისმომცველი გავრცელება, როგორც კაპიტალისტურ პირობებში, რომ იგი ჩვენში მოქცეულია მკაცრ ფარგლებში ისეთი გადამწყვეტი ეკონომიკური პირობების მეოხებით, როგორიც არის წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, დაქირავებული შრომის სისტემის ლიკვიდაცია, ექსპლოატაციის სისტემის ლიკვიდაცია" [2].

ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" ამხანაგმა სტალინმა ცხადყო იმ შეხედულების მცდარობა, რომ, თითქოს, პარტია არასწორად მოიქცა, როდესაც ძალაუფლების ხელში აღებისა და წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაციის შემდეგ მაშინვე არ მოსპო სასაქონლო წარმოება. იმოწმებდნენ ენგელსის შემდეგ ფორმულას: „როცა საზოგადოება წარმოების საშუალებებს დაეპატრონება, მოისპობა საქონლის წარმოება და ამავე დროს პროდუქტების ბატონობა მწარმოებლებზე" [3]. მიუთითებს რა ენგელსის ამ ფორმულის არასიზუსტეზე (ვინაიდან მითითებული არაა, ეხება საქმე საზოგადოების მიერ წარმოების **ყველა** საშუალების თუ მისი მხოლოდ ნაწილის დაუფლებას), ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ „ანტი-დიურინგის" სხვა ადგილას ენგელსი ლაპარაკობს საზოგადოების მიერ „წარმოების **ყველა** საშუალების" დაუფლებაზე და ასეთ პირო-

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1930, გვ. 680.

[2] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 17.

[3] ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 337.

ბებში სასაქონლო წარმოების მოსპობის შესახებ, რაც უთუოდ სწორია. მაშასადამე, თავის ფორმულაში ენგელსს მხედველობაში აქვს ისეთი ქვეყნები, სადაც კაპიტალიზმი და წარმოების კონცენტრაცია საკმაოდ განვითარებულია როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში იმისათვის, რომ მოხდეს ქვეყნის წარმოების **ყველა** საშუალების ნაციონალიზაცია, მათი გამოცხადება საერთო-სახალხო საკუთრებად და, ამასთან დაკავშირებით, მოისპოს სასაქონლო წარმოება; მაგრამ ენგელსის ფორმულა პასუხს არ იძლევა და არც ევალება პასუხის გაცემა შემდეგ კითხვაზე: როგორ მოიქცეს პროლეტარიატი და მისი პარტია იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც, მოიპოვება ხელსაყრელი პირობები პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ასაღებად, კაპიტალიზმის დასამხობად, სადაც კაპიტალიზმმა მრეწველობაში იმდენად მოახდინა წარმოების საშუალებათა კონცენტრაცია, რომ შესაძლებელია მათი ნაციონალიზაცია, მაგრამ სადაც სოფლის მეურნეობა, კაპიტალიზმის ზრდის მიუხედავად, ჯერ კიდევ იმდენად დაქუცმაცებულია წვრილ და საშუალო-მესაკუთრე მწარმოებელთა შორის, რომ შეუძლებელია დაისვას ამ მწარმოებელთა ექსპროპრიაციის საკითხი? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი მოგვცა ვ. ი. ლენინმა თავის შრომებში „სასურსათო გადასახადის შესახებ“ და თავის განთქმულ „კოოპერაციულ გეგმაში“. ამხანაგი სტალინი მიუთითებს, რომ ლენინის პასუხი აღნიშნულ კითხვაზე მოკლედ შემდეგია:

„ა) არ გავუშვათ ხელიდან ხელსაყრელი პირობები ძალაუფლების ხელში ასაღებად, პროლეტარიატმა აიღოს ძალაუფლება, ამასთან არ დაელოდოს იმ მომენტს, ვიდრე კაპიტალიზმი შეძლებდეს წვრილ და საშუალო ინდივიდუალურ მწარმოებელთა მრავალმილიონიანი მოსახლეობის გაჩანაგებას;

ბ) მოვახდინოთ წარმოების საშუალებათა ექსპროპრიაცია მრეწველობაში და გამოვაცხადოთ იგი საერთო-სახალხო კუთვნილებად;

გ) რაც შეეხება წვრილ და საშუალო ინდივიდუალურ მწარმოებლებს, თანდათან გავაერთიანოთ ისინი საწარმოო კოოპერატივებად, ესე იგი მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებად, კოლმეურნეობებად;

დ) ყოველნაირად გავავითაროთ ინდუსტრია და შევუქმნათ კოლმეურნეობებს მსხვილი წარმოების თანამედროვე ტექნიკური ბაზა, ამასთან კი არ მოვახდინოთ მათი ექსპროპრიაცია, არამედ,

პირიქით, გაძლიერებით მოვამარაგოთ ისინი პირველხარისხოვანი ტრაქტორებითა და სხვა მანქანებით;

ე) ქალაქისა და სოფლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკური დაკავშირებისათვის კი შევინარჩუნოთ გარკვეული დროით სასაქონლო წარმოება (გაცვლა ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით), როგორც გლეხებისათვის **ერთადერთი მისაღები** ფორმა ქალაქთან ეკონომიკური კავშირურთიერთობისა, და მთელი ძალღონით გავშალოთ საბჭოთა ვაჭრობა, სახელმწიფოებრივი და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო ვაჭრობა, და გამოვდევნოთ საქონელბრუნვიდან ყველა და ყოველგვარი კაპიტალისტი“ [1].

ლენინ-სტალინის პარტიამ დასახა რა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ბრძოლის პროგრამა, გადაჭრით უკუაგდო მენშევიკებისა და მარქსიზმის სხვა მტრების მოთხოვნა, რომ პროლეტარიატმა არ უნდა აიღოს ძალაუფლება ხელში, ვიდრე კაპიტალიზმი არ მოახდენს მილიონობით წვრილ და საშუალო მწარმოებელთა გაჩანაგებას, ე. ი. ვიდრე არ მოხდება წარმოების საშუალებათა სათანადო კონცენტრაცია სოფლის მეურნეობაშიც. ასევე, პარტია ვერ დაადგებოდა იმ უაზრო და დანაშაულებრივ გზას, რომელსაც გვთავაზობდნენ ტროცკისტები და მშრომელი ხალხის სხვა მტრები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ძალაუფლების ხელში აღებისთანავე უნდა მოგვეხდინა წვრილ და საშუალო მწარმოებელთა ექსპროპრიაცია, მათი წარმოების საშუალებათა განსაზოგადოება. „ასეთი გზა, — წერს ამხანაგი სტალინი, — ძირს გამოუთხრიდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ყოველგვარ შესაძლებლობას, დიდი ხნით გადაისვრიდა გლეხობას პროლეტარიატის მტრების ბანაკში“ [2].

ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ ჩვენი ქვეყნის მშრომელები წაიყვანა ვ. ი. ლენინის მიერ დასახული გზით, რომლის ბრწყინვალე გამართლებას წარმოადგენს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ისტორია.

* * *

სასაქონლო წარმოება კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გარდამავალ პერიოდში ორმაგი ბუნებისა იყო: ერთი მხრივ, იგი უმთავრე-

---

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 15.

[2] იქვე, გვ. 15.

სად ემსახურებოდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის განმტკიცებას, ე. ი. ემსახურებოდა სოციალიზმის საქმეს; მეორე მხრივ, ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო ვაჭრობისა და ფულის გამოყენების ზოგიერთი შესაძლებლობა კაპიტალისტური ელემენტების მიერ. სასაქონლო წარმოების ამ ორმაგმა ბუნებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაში. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა პროლეტარული სახელმწიფოს განსაკუთრებული პოლიტიკა იყო, რომელიც გულისხმობდა კაპიტალიზმის დაშვებას, როდესაც სახალხო მეურნეობის მბრძანებელი მწვერვალები პროლეტარული სახელმწიფოს ხელშია. იგი გულისხმობდა კაპიტალისტური და სოციალისტური ელემენტების ბრძოლას, სოციალისტური ელემენტების როლის ზრდას კაპიტალისტური ელემენტების საზიანოდ, კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალისტური ელემენტების გამარჯვებას, სოციალიზმის საძირკვლის აგებას, ანტაგონისტური კლასების მოსპობას.

ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ ამხილა და გაანადგურა ტროცკისტები, რომლებიც „ამტკიცებდნენ", რომ გარდამავალ პერიოდში ვაჭრობა და ფულის სისტემა თავისი ბუნებით იმადვე რჩებიან, რასაც ისინი კაპიტალიზმის დროს წარმოადგენენო; ი. ბ. სტალინმა თავის საანგარიშო მოხსენებაში XIV პარტიულ ყრილობაზე აღნიშნა: „საქმე სრულებითაც ის არ არის, რომ ვაჭრობა და ფულის სისტემა «კაპიტალისტური ეკონომიკის» მეთოდებია. საქმე ის არის, რომ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტები, რომლებიც კაპიტალისტურ ელემენტებს ებრძვიან, ეუფლებიან ბურჟუაზიის ამ მეთოდებსა და იარაღს კაპიტალისტური ელემენტების დასაძლევად, რომ ისინი **წარმატებით** იყენებენ მათ კაპიტალიზმის **წინააღმდეგ, წარმატებით** იყენებენ მათ ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკვლის ასაგებად. მაშასადამე, საქმე ის არის, რომ, ჩვენი განვითარების დიალექტიკის მეოხებით, ბურჟუაზიის ამ ინსტრუმენტების ფუნქციები და დანიშნულება **პრინციპულად,** ძირეულად იცვლება, იცვლება სოციალიზმის სასარგებლოდ, კაპიტალიზმის საზიანოდ"[1].

გარდამავალი პერიოდის დაწყებიდანვე წარმოების გადამწყვეტი საშუალებები ჩვენს ქვეყანაში საერთო-სახალხო საკუთრებას წარმოადგენდნენ, ისინი არ შედიოდნენ საქონელმიმოქცევაში. პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა ემყარებოდა ისეთ მტკიცე საფუძვლებს,

[1] ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 7, გვ. 404.

როგორიცაა: სოციალისტური მრეწველობის წამყვანი როლი სახალხო მეურნეობაში, ნაციონალიზებული ტრანსპორტი, ნაციონალიზებული მიწა და ბანკები, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და სხვა. ქვეყნის შიგნით ვაჭრობის თავისუფლება შეზღუდული იყო, ვითარდებოდა და მტკიცდებოდა სახალხო მეურნეობის გეგმიანი წარმართვა. ასეთ პირობებში დღითიდღე იზრდებოდა ორგანიზებული საქონელმიმოქცევის ხვედრითი წონა და მნიშვნელობა. პროლეტარიატის დიქტატურა სასაქონლო წარმოებასა და ვაჭრობას იყენებდა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, მსხვილ სოციალისტურ მრეწველობასა და წვრილგლეხურ მეურნეობას შორის ეკონომიკური კავშირის განმტკიცებისათვის, წვრილგლეხური მეურნეობის სოციალისტური მეურნეობის რელსებზე გადაყვანისათვის როგორც ქალაქად, ისე სოფლად სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის.

სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში მარქსისტულ-ლენინური თეორიის უდიდესი ზეიმია. ამ თეორიის ყოვლისმძლე ძალა ერთხელ კიდევ დასტურდება სოციალისტური მშენებლობის მიღწევებით სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, რომლებიც ფართოდ იყენებენ საბჭოთა კავშირის მდიდარ გამოცდილებას. „უეჭველია,— ამბობს ამხანაგი სტალინი, — რომ ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის, სადაც კი არის წვრილ და საშუალო მწარმოებელთა მეტად თუ ნაკლებად მრავალრიცხოვანი კლასი, განვითარების ეს გზა ერთადერთი შესაძლებელი და მიზანშეწონილი გზაა სოციალიზმის გასამარჯვებლად“ [1].

* * *

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ ახლებურად დაისვა სასაქონლო წარმოების საკითხი: როგორია სასაქონლო წარმოების ბედი იმ პირობებში, როცა ინდივიდუალური, კერძო მწარმოებლების ნაცვლად მოქმედებენ გაერთიანებული სოციალისტური მწარმოებლები (სახელმწიფო, კოლმეურნეობები, კოოპერაცია)? ამ საკითხის ყოველმხრივი მეცნიერული დამუშავება პირველად მოცემულ იქნა ამხანაგ სტალინის შრომებში.

ამხილა და გაანადგურა რა მცდარი შეხედულება, რომ ჩვენს ქვეყანაში წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების ბატონობის დამკვიდრებისა და დაჩქარებული შრომის ექსპლო-

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 16.

ატაციის ლიკვიდაციის შემდეგ სასაქონლო წარმოება, თითქოს, უნდა მოისპოს, ი. ბ. სტალინმა ყოველმხრივ დაასაბუთა სასაქონლო წარმოების აუცილებლობა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განვითარების მთელი პერიოდისათვის. საქმე იმაშია, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — რომ ამჟამად ჩვენში არსებობს სოციალისტური წარმოების ორი ძირითადი ფორმა: სახელმწიფოებრივი და საკოლმეურნეო. სახელმწიფო საწარმოებში როგორც წარმოების საშუალებანი, ისე წარმოების პროდუქცია საერთო-სახალხო საკუთრებას შეადგენენ. საკოლმეურნეო საწარმოებში კი, მიუხედავად იმისა, რომ წარმოების საშუალებები (მიწა, მანქანები) სახელმწიფოს ეკუთვნის, პროდუქცია ცალკეულ კოლმეურნეობათა საკუთრებაა. სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ სახელმწიფო საწარმოთა პროდუქციას განაგებდეს მაშინ, როდესაც საკოლმეურნეო პროდუქციას მხოლოდ კოლმეურნეობები განაგებენ. კოლმეურნეობებს არ სურთ თავიანთი პროდუქტების სხვაგვარად განსხვისება, თუ არა საქონლის სახით, რომელზედაც გაცვლით მათ სურთ მიიღონ მათთვის საჭირო საქონელი. გარდა სასაქონლო ურთიერთობისა, ე. ი. გარდა ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით გაცვლისა, სხვა ეკონომიკური კავშირურთიერთობა ქალაქთან ამჟამად კოლმეურნეობებისათვის მიუღებელია, „ამიტომ სასაქონლო წარმოება და საქონელბრუნვა ჩვენში ამჟამად ისეთსავე აუცილებლობას წარმოადგენენ, როგორსაც ისინი წარმოადგენდნენ, ვთქვათ, ოცდაათი წლის წინათ“ [1].

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყოველმხრივ უზრუნველყოფენ საწარმოო კავშირის განმტკიცებას ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, ამასთანავე ქმედითს ზომებს ღებულობენ საქონელბრუნვის გაშლისათვის, საბჭოთა ვაჭრობის გაშლისათვის. ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ გაანადგურა წვრილბურჟუაზიული მოლაყბენი, რომლებიც მოითხოვდნენ ვაჭრობისა და ფულის მოსპობას, როცა ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის პერიოდში შევიდა. „საწარმოო კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, — წერს ი. ბ. სტალინი, — არის კავშირის ძირითადი ფორმა. მაგრამ მარტო საწარმოო კავშირი საკმაო არ არის. იგი უნდა შევავსოთ სასაქონლო კავშირით იმისათვის, რომ კავშირი ქალაქსა და სო-

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 18.

ფელს შორის მტკიცე და განუწყვეტელი გახდეს. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ საბჭოთა ვაჭრობის გაშლის გზით“ [1].

ამხანაგმა სტალინმა იმავე დროს მიუთითა საბჭოთა ვაჭრობის თავისებურების შესახებ, რომ საბჭოთა ვაჭრობა არის ვაჭრობა დიდი და პატარა კაპიტალისტების გარეშე, დიდი და პატარა სპეკულანტების გარეშე; რომ საბჭოთა ვაჭრობა განსაკუთრებული სახის ვაჭრობაა, რომელსაც დღემდე არ იცნობდა ისტორია.

ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, ი. ბ. სტალინმა ყოველმხრივ გააშუქა სასაქონლო წარმოების ბუნება სოციალიზმის დროს, გვიჩვენა მისი პრინციპული განსხვავება კაპიტალისტური სასაქონლო წარმოებისაგან; ჩვენი სასაქონლო წარმოება განსაკუთრებული სახის სასაქონლო წარმოებაა იმიტომ, რომ იგი არის სასაქონლო წარმოება კაპიტალისტების გარეშე; ჩვენს სასაქონლო წარმოებას ძირითადად საქმე აქვს გაერთიანებულ სოციალისტურ მწარმოებელთა საქონელთან; ჩვენი სასაქონლო წარმოების მოქმედების სფერო შეზღუდულია პირადი მოხმარების საგნებით და იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კაპიტალისტურ წარმოებად განვითარდეს; ჩვენი სასაქონლო წარმოების ხვედრი ის არის, რომ თავის „ფულად მეურნეობასთან“ ერთად მომსახურება გაუწიოს სოციალისტური წარმოების განვითარებისა და განმტკიცების საქმეს.

ი. ბ. სტალინი გვასწავლის, რომ წარმოების საშუალებები, რომელნიც იწარმოებიან სახელმწიფო საწარმოების მიერ და გამოიყენებიან ჩვენი ქვეყნის შიგნით, არ წარმოადგენენ საქონელს; „საქონელი,— წერს ამხანაგი სტალინი,—არის წარმოების ისეთი პროდუქტი, რომელიც მიეყიდება ყოველ მყიდველს, ამასთანავე საქონლის გაყიდვის დროს საქონელმფლობელი კარგავს მასზე საკუთრების უფლებას, მყიდველი კი ხდება საქონლის მესაკუთრე, რომელსაც შეუძლია გადაყიდოს, დააგირაოს, დაალპოს ის“ [2].

საქონლის ეს განსაზღვრა არ შეიძლება მიუდგეს წარმოების საშუალებებს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, წარმოების საშუალებები სახელმწიფოს მიერ ნაწილდება თავის საწარმოებს შორის, იგი ყოველ მყიდველს როდი „მიეყიდება“; მეორე, წარმოების საშუ-

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 13. გვ. 214.

[2] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში გვ. 56.

ალებების ამა თუ იმ საწარმოსათვის გადაცემის დროს სახელმწიფო არ კარგავს საკუთრების უფლებას მათზე; მესამე, საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლებმაც სახელმწიფოსაგან მიიღეს წარმოების საშუალებები, არათუ მათი მესაკუთრენი არ ხდებიან, არამედ მათ ამტკიცებენ, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს რწმუნებულთ წარმოების საშუალებათა გამოყენებაში, თანახმად სახელმწიფოს მიერ მიცემული გეგმებისა. მიუხედავად ამისა, ჩვენში წარმოების საშუალებათა ღირებულებაზე, თვითღირებულებაზე და ფასზე იმიტომ ლაპარაკობენ, რომ, ჯერ ერთი, ეს აუცილებელია კალკულაციისათვის, ანგარიშსწორებისათვის, საწარმოთა შემოსავლიანობისა და წამგებიანობის განსაზღვრისათვის, საწარმოთა შემოწმებისა და კონტროლისათვის; მეორე, ეს აუცილებელია იმის გამო, რომ საგარეო ვაჭრობის ინტერესებისათვის განვახორციელოთ უცხო სახელმწიფოებისათვის წარმოების საშუალებათა მიყიდვის საქმე. მხოლოდ საგარეო ვაჭრობის სფეროში ჩვენი წარმოების საშუალებანი მართლაც საქონელს წარმოადგენენ და იყიდებიან.

ამგვარად, წარმოების საშუალებები, რომელნიც დამზადებულია ჩვენი საწარმოების მიერ, საგარეო ვაჭრობის ბრუნვის სფეროში წარმოადგენენ საქონელს, ინარჩუნებენ საქონლის თვისებებს არსებითადაც და ფორმალურადაც, ხოლო ქვეყნის შიგნით ეკონომიკური ბრუნვის სფეროში ისინი კარგავენ საქონლის თვისებებს, აღარ წარმოადგენენ საქონელს, ინარჩუნებენ საქონლის მხოლოდ გარეგნულ გარსს (მაგ. კალკულაცია და სხვ.).

სხვაგვარადაა საქმე პირადი მოხმარების საგნების მიმართ, რომელნიც იწარმოებიან სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და კოოპერაციის მიერ. მათი რეალიზაცია ჩვენში ხდება თავისუფლად, ყიდვა-გაყიდვის გზით და, მაშასადამე, წარმოადგენენ საქონელს. ისინი საქონელს წარმოადგენენ საგარეო ვაჭრობის ბრუნვის სფეროშიც.

სოციალისტური მეურნეობის პირობებშიც საქონელს აქვს როგორც სახმარი ღირებულება, ისე ღირებულება, მაგრამ საქონელი საბჭოთა მეურნეობაში არ შეიცავს და არც შეიძლება შეიცავდეს ანტაგონისტურ წინააღმდეგობას. ამისი მიზეზი უნდა ვეძიოთ თვით შრომის ხასიათში სოციალიზმის დროს. შრომა ჩვენში წარმოადგენს არა კერძო, არამედ უშუალოდ საზოგადოებრივ შრომას. თვითეული მუშაკის შრომა უშუალოდ გამოდის, როგორც მთელი საზოგადოებრივი შრომის რგოლი.

თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში წარმოების მიზანია მაქ-

სიმალური მოგების მიღება. მოხმარება კაპიტალიზმს იმდენად ესაჭიროება, რამდენადაც ის უზრუნველყოფს მოგების ამოქაჩვის ამოცანას. სახმარი ღირებულებისა და ღირებულების წარმოება დამორჩილებულია მაქსიმალური მოგების მიღების უზრუნველყოფის კანონისადმი. სოციალიზმის პირობებში წარმოების მიზანია არა მოგება, არამედ ადამიანი და მისი მოთხოვნილებანი. სახმარ ღირებულებას ჩვენში იმიტომ აწარმოებენ, რომ მოსახლეობის მოთხოვნილება დააკმაყოფილონ. სახმარი ღირებულების წარმოებასთან ერთად უდიდესი ყურადღება ექცევა საქონლის ღირებულებას, ღირებულების შემცირების უზრუნველყოფას. სახმარი ღირებულებისა და ღირებულების წარმოება ჩვენში ექვემდებარება მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფის კანონს.

სოციალიზმის დროს, სადაც წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება არსებობს და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება ხორციელდება, წარმოებითი ურთიერთობანი ხასიათდებიან, როგორც ექსპლოატაციისაგან თავისუფალი მუშაკების ამხანაგური თანამშრომლობისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების ურთიერთობანი. ასეთ პირობებში ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობანი არ გამოიხატება ნივთთა ურთიერთობით. თვითეული მუშაკის შრომა უშუალოდ გამოდის, როგორც გეგმიანად ორგანიზებული საზოგადოებრივი შრომა. სოციალისტურ მეურნეობაში არ არსებობს წარმოების ანარქია და კონკურენცია, არ არსებობს ბაზრის სტიქია, ამიტომაც არ არსებობს ნივთთა ბატონობა ადამიანებზე, არ არსებობს სასაქონლო ფეტიშიზმი.

სასაქონლო წარმოება გულისხმობს ფულისა და ფულადი მიმოქცევის აუცილებლობას. ფული შენარჩუნებულ იქნება თვით კომუნიზმის პირველი ფაზის დამთავრებამდე. საბჭოთა ფული ძირეულად განსხვავდება კაპიტალისტური ფულისაგან, იგი სოციალისტური მეურნეობის ის ინსტრუმენტია, რომელიც გამოიყენება საქონელმიმოქცევის გაშლისათვის, აღრიცხვისათვის, სამეურნეო ანგარიშისათვის, სოციალისტურ წარმოებაზე კონტროლისათვის და სხვა. ფული საბჭოთა მეურნეობის პირობებში არ შეიძლება გადაიქცეს კაპიტალად. იგი არ წარმოადგენს და არც შეიძლება წარმოადგენდეს ექსპლოატაციის იარაღს. ფული მომსახურეობას უწევს სოციალისტურ სახალხო მეურნეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმის დროს სასაქონლო წარმოების არსებობასთან დაკავშირებული ეკონომიკური კატეგორიები თავიანთ ბუნებას იცვლიან. ამხანაგმა სტალინმა მოგვცა სოციალიზმის ეკონომიკური კატეგორიების ფორმისა და შინაარსის ურთიერთდამოკიდებულების ღრმა მეცნიერული განსაზღვრა, კლასიკურად გამოიყენა რა ამისათვის მარქსისტული მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდი. „საქმე ისაა, — წერს ამხანაგი სტალინი, — რომ ჩვენს სოციალისტურ პირობებში ეკონომიკური განვითარება მიმდინარეობს არა გადატრიალებათა წესით, არამედ თანდათანობითი ცვლილებების წესით, როდესაც ძველი პირწმინდად კი არ უქმდება უბრალოდ, არამედ თავის ბუნებას იცვლის ახლისდა მიხედვით, ინარჩუნებს რა მხოლოდ თავის ფორმას, ხოლო ახალი უბრალოდ კი არ სპობს ძველს, არამედ შეიჭრება ძველში, ცვლის მის ბუნებას, მის ფუნქციებს, ამასთან კი არ ამსხვრევს მის ფორმას, არამედ იყენებს მას ახლის განვითარებისათვის. ასეთია საქმის ვითარება არა მარტო საქონლის, არამედ ფულის მიმართაც ჩვენს ეკონომიკურ ბრუნვაში, ისევე როგორც ბანკების მიმართაც“ [1].

სასაქონლო წარმოების აუცილებლობა ჩვენს ქვეყანაში გაპირობებულია ორი ძირითადი საწარმოო სექტორის — სახელმწიფოებრივი და საკოლმეურნეო სექტორის — არსებობით. ცხადია, როცა მათ ნაცვლად ჩვენ გვექნება ერთი ყოვლისმომცველი საწარმოო სექტორი, რომელსაც უფლება ექნება განაგოს ქვეყნის მთელი სამომხმარებლო პროდუქცია, მაშინ საქონელმიმოქცევა მისი „ფულადი მეურნეობითურთ“ გაქრება, როგორც სახალხო მეურნეობის ზედმეტი ელემენტი.

* * *

სასაქონლო წარმოებასთან დაკავშირებულია ღირებულების კანონის მოქმედება. ღირებულების კანონს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეკონომიკურ კანონთა შორის. იგი არ მიეკუთვნება იმ კანონთა რიცხვს, რომელთაც ძალა აქვთ ისტორიული განვითარების ყველა პერიოდისათვის, რადგან იგი შეიძლება მოქმედებდეს მხოლოდ განსაზღვრულ ეკონომიკურ პირობებში. ამასთანავე ღირებულების კანონი არ წარმოადგენს ისეთ კანონს, რომელიც მოქმედებს მხოლოდ ერთ რომელიმე საზოგადოებრივ ფორმაციაში.

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 57.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ღირებულების კანონი არ წარმოადგენს და არც შეიძლება წარმოადგენდეს კაპიტალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონს იმიტომ, რომ, **ჯერ ერთი,** ღირებულების კანონი, უპირველეს ყოვლისა, სასაქონლო წარმოების კანონია, რომელიც კაპიტალიზმამდე არსებობდა და განაგრძობს არსებობას კაპიტალიზმის შემდეგაც. ენგელსის თქმით, ღირებულების კანონი უკვე იმ დროიდან მოქმედებს, როცა სასაქონლო წარმოება აღმოცენდა (ხუთი-შვიდი ათასი წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

პირველყოფილი ადამიანები იმდენად განვითარებულნი კი უნდა ყოფილიყვნენ, რომ არ გაეცვალათ საქონელი მათ წარმოებაზე დახარჯული სამუშაო დროის უექვივალენტოდ: იმის აუცილებლობა, რომ პროდუქტის წარმოებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებაა საჭირო, ხელს უწყობდა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სწორი გზის მოძებნას, ხოლო ის გარემოება, რომ გაცვლაში შესულ საგანთა სახეობა განსაზღვრული იყო და მათი წარმოების ხერხი ხშირად რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში უცვლელი რჩებოდა, თავის მხრივ აადვილებდა ამ საქმეს.

სასაქონლო წარმოების აღმოცენებამ ხელი შეუწყო პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლას, მაგრამ ამის შემდეგაც ოჯახის მეთაურები მშრომელ გლეხებად დარჩნენ და აწარმოებდნენ მათთვის აუცილებელ ყველა საგანს. ის მცირეოდენი რამ, რასაც გაცვლის გზით ღებულობდნენ, უმთავრესად ხელოსნური ნაწარმი იყო, რომლის დამზადების წესები და პირობები კარგად ცნობილი იყო გლეხისათვის, მაგრამ რომელსაც თვითონ არ აწარმოებდა ნედლეულის შოვნის სიძნელის ან ნაყიდი საგნის უკეთესი ხარისხისა და მნიშვნელოვანი სიიაფის გამო. მაშასადამე, გლეხს საკმაო წარმოდგენა ჰქონდა სამუშაო დროის იმ რაოდენობაზე, რომელიც საჭირო იყო გაცვლის გზით მიღებული საგნების დასამზადებლად. რას ხარჯავდნენ გლეხი და ხელოსანი ამ საგნების დამზადებაზე? შრომას და მხოლოდ შრომას. შეეძლოთ თუ არა მათ პროდუქტები გაეცვალათ სხვაგვარად, თუ არა დახარჯული შრომის პროპორციულად? ცხადია, არ შეეძლოთ. შეუძლებელია ვიგულისხმოთ, რომ, მაგალითად, გლეხი თავის 10 საათიანი შრომის პროდუქტს ხელოსნის 1 საათიანი შრომის პროდუქტზე გაცვლიდა. მაშასადამე, ასეთ პირობებში პროდუქტებზე დახარჯული სამუშაო დრო გასაცვლელ საგანთა რაოდენობრივი განსაზღვრის ერთადერთი შესაფერისი საზომია. კიდევ მეტი, ყოველგვარი სხვა საზომი წარმო-

უდგენელი იყო. ამგვარად, ნატურალური გლეხური მეურნეობის მთელი პერიოდისათვის დამახასიათებელია ისეთი გაცვლა, რომლის დროსაც გასაცვლელ საქონელთა რაოდენობას ტენდენცია აქვს სულ უფრო და უფრო მეტი ზომით შეუფარდდეს მათში განხორციელებული შრომის რაოდენობას, ე. ი. მათ ღირებულებას.

ლითონის ფულზე გადასვლა უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ნაბიჯი იყო წინ, მაგრამ ამ გადასვლის შედეგად ღირებულების სამუშაო დროით განსაზღვრამ უკვე შეწყვიტა ნათლად გამოსვლა სასაქონლო მიმოქცევის ზედაპირზე. პრაქტიკის თვალსაზრისით, ღირებულების გადამწყვეტ საზომად იქცა ფული და ეს მით უფრო მეტად, რაც უფრო მრავალგვაროვანი გახდა საქონელი, რომელიც ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა, რაც უფრო ნაკლებ ცნობილი იყო ამ საქონელთა დამზადებისათვის აუცილებელი სამუშაო დრო. ენგელსის თქმით, ღირებულების კანონს ძალა აქვს მარტივი სასაქონლო მეურნეობის მთელი პერიოდის მანძილზე. მიუხედავად ამისა, კაპიტალისტურ წყობილებამდე ღირებულების კანონი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მთელი საზოგადოებრივი წარმოების რეგულატორი, ვინაიდან მეურნეობის კაპიტალიზმამდელი ფორმები ძირითადად ნატურალური იყო. პროდუქტთა მასის უდიდესი ნაწილი პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მზადდებოდა. არ არსებობდა ის ობიექტური პირობები, როცა ღირებულების კანონი საზოგადოებრივი წარმოების რეგულატორის როლში გამოდის. კაპიტალიზმამდელ კლასობრივ ფორმაციებში „პიროვნული დამოკიდებულება ახასიათებს ...როგორც მატერიალური წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობას, ისე ამ უკანასკნელის საფუძველზე აგებული ცხოვრების ყველა სფეროს“ [1].

ღირებულების კანონი კაპიტალისტური წარმოების პირობებში შემდეგნაირად მოქმედებს: საქონელმწარმოებლები წარმოებას ეწევიან არა რაიმე საერთო გეგმით, არამედ თავიანთი შეხედულებისამებრ, საზოგადოებრივი მოთხოვნა მათთვის უცნობია როგორც თვისების, ისე რაოდენობის მხრივ. ესა თუ ის საქონელი შეიძლება ბაზარზე დღეს საკმაო რაოდენობით არ იყოს, მაგრამ ხვალ გადამხდელუნარიან მოთხოვნაზე მეტად იქნეს მიწოდებული. მიუხედავად ამისა, ბოლოს და ბოლოს, მოთხოვნა კმაყოფილდება და წარმოება სტიქიურად ეწყობა მოთხოვნილ საქონელთა კვალობაზე. როგორ ხდება ამ წინააღმდეგობის „შერიგება“? ამ

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1930, გვ. 43.

წინააღმდეგობის „შერიგება“ ხდება კონკურენციით. როგორ აღწევს ამას კონკურენცია? კონკურენცია ამას იმით აღწევს, რომ ღირებულებაზე დაბლა სწევს იმ საქონელთა ფასს, რომელთა მიწოდება სჭარბობს მათზე გადამხდელუნარიან მოთხოვნას, ხოლო ღირებულებაზე მაღლა სწევს იმ საქონელთა ფასს, რომელთა მიწოდება მათზე გადამხდელუნარიან მოთხოვნაზე ნაკლებია. ამგვარად, კონკურენცია აგრძნობინებს მწარმოებლებს, რომ მათ დაუმზადებიათ ან მეტი რაოდენობით, ან არასაკმაო რაოდენობით. აქედან ორი რამ გამომდინარეობს: ჯერ ერთი, ის, რომ საქონლის ფასის მუდმივი გადახრა ღირებულებიდან ის პირობაა, რომელშიც და რომლითაც ღირებულებას მარტოოდენ არსებობა შეუძლია. მხოლოდ კონკურენციისა და მასთან ერთად საქონლის ფასის მუდმივი რყევითაა შესაძლებელი, რომ ღირებულების კანონი ხორციელდება და საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროით საქონლის ღირებულების სიდიდის განსაზღვრა სინამდვილედ იქცევა. საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა რეალურად არსებობს წარმოებაში, მაგრამ საქონელმწარმოებლები, რომლებიც დამოუკიდებლად აწარმოებენ, მხოლოდ გაცვლაში გამოააშკარავებენ, თუ რომელ საწარმოთა შრომის დანახარჯი იქნება საზოგადოებრივად აუცილებელი. მეორე, ის, რომ პროდუქტთა ფასების ღირებულებასთან შედარებით, დაცემით თუ გადიდებით, საქონელმწარმოებლები თავიანთ საზარალოდ თუ სასარგებლოდ, გებულობენ, რა და რამდენ პროდუქტს საჭიროებს ან არ საჭიროებს საზოგადოება.

კაპიტალიზმის პირობებში ღირებულების კანონს მოქმედების ფართო სფერო აქვს. ღირებულების კანონის საფუძველზე ხდება ფულის გადაქცევა კაპიტალად. წარმოების სასაქონლო ფორმა იპყრობს ახალ საქონელს, — სამუშაო ძალას, და ამით სასაქონლო წარმოება წარმოების საყოველთაოდ გაბატონებულ ფორმად ხდება. ამასთანავე იბადება ზედმეტი ღირებულება — არაშრომითი შემოსავლის ეს სპეციფიური კატეგორია, რომელიც მხოლოდ კაპიტალისტურ მეურნეობას ახასიათებს. ზედმეტი ღირებულება გამოდის მოგების ფორმაში, ზედმეტი ღირებულების ნორმა კი — მოგების ნორმის ფორმაში. კონკურენცია კაპიტალისტური წარმოების სხვადასხვა დარგთა მოგებას აწონასწორებს და ჩამოყალიბდება მოგების საერთო ანუ საშუალო ნორმა, საქონლის ღირებულება გამოდის წარმოების ფასის ფორმაში და ა. შ.

მეორეც, ღირებულების კანონი არათუ არ განსაზღვრავს კაპიტალისტური წარმოების არსებას და კაპიტალისტური მოგების საფუძვლებს, არამედ არც კი აყენებს ასეთ პრობლემას.

მარქსისტული ფილოსოფია გვასწავლის, რომ კანონი გამოხატავს ბუნებაში და საზოგადოებაში ობიექტურად არსებულ მოვლენათა კავშირს, მათ ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთგაპირობებულებას. კანონი გამოხატავს არა ყოველგვარ, არამედ არსებით ურთიერთობას. პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთ ასეთ კანონს წარმოადგენს ღირებულების კანონი, რომელიც, მაგალითად, გამოხატავს სასაქონლო წარმოების არსებით ურთიერთობას. ღირებულების კანონი მოითხოვს, რომ საქონლის ფასს (საქონლის ღირებულების ფულად გამოხატულებას) საფუძვლად ედოს ამ საქონლის დამზადებაზე დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა, რომ საქონელთა გაცვლა ხდებოდეს მათში გასაგნობრივებული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის შესაბამისად.

მარტივი სასაქონლო მეურნეობის პირობებში საქონლის გაყიდვა ღირებულების მიხედვით იმას ნიშნავს, რომ საქონლის მწარმოებელმა მიიღოს თავისი შრომის ექვივალენტი, თავისი შრომის დანახარჯების ანაზღაურება. მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის პირობებში საქონლის რეალიზაციამ უნდა უზრუნველყოს კაპიტალისტისათვის ზედმეტი ღირებულება, მოგება და არა მხოლოდ მოგება, არამედ საშუალო მოგება ან კიდევ ზემოგება. ყოველ შემთხვევაში, საშუალო მოგება რენტაბელობის უდაბლესი ზღვარია, რომლის ქვემოთაც კაპიტალისტური წარმოება შეუძლებელი ხდება. რაც შეეხება თანამდროვე კაპიტალიზმს, მის მამოძრავებელ მიზანს წარმოადგენს მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფა.

ამგვარად, კაპიტალისტური წარმოების მამოძრავებელსა და მისი განვითარების ყველა უმთავრესი პროცესის განმსაზღვრელ მიზანს იმპერიალიზმამდელ პერიოდში წარმოადგენს ზედმეტი ღირებულების წარმოება და მითვისება, კაპიტალისტური მოგების მიღება და მისი თანდათანობითი ზრდა, ხოლო იმპერიალიზმის პერიოდში კი— მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა. ღირებულების კანონი, როგორც ეს მისი მოთხოვნებიდან ჩანს, არც კი აყენებს ასეთ პრობლემებს. მაშასადამე, თუ მარტივი სასაქონლო მეურნეობის პირობებში ღირებულება მიზიდულობის ცენტრია, რომლის ირგვლივაც მოძრაობენ საქონლის ფასები, იმპერიალიზმამდელი კაპიტალიზმის პირობებში მიზიდულობის ასეთ ცენტრს წარმოადგენს კაპიტალისტური მოგების წარმოშობა და მისი თან-

დათანობითი ზრდა, ხოლო თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში კი — მაქსიმალური მოგება.

ღირებულების კანონის საფუძველზე, საკონკურენტო ბრძოლაში ფასების მერყეობის მექანიზმის საშუალებით, წარმოებს შრომისა და კაპიტალის სტიქიური განაწილება მეურნეობის სხვადასხვა დარგებსა და საწარმოებს შორის, კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ღირებულების კანონის მოქმედებას კაპიტალიზმის დროს თან სდევს ჭარბწარმოების პერიოდული ეკონომიკური კრიზისები, საწარმოო ძალთა ნგრევა. ამგვარად, „ღირებულების კანონი შეიძლება იყოს წარმოების რეგულატორი მხოლოდ კაპიტალიზმის დროს, წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების არსებობის დროს კონკურენციის, წარმოების ანარქიის, ჭარბწარმოების კრიზისების არსებობის დროს“ [1].

* * *

ღირებულების კანონი არსებობს და მოქმედებს სოციალისტური წყობილების დროსაც. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. „იქ, სადაც არის საქონელი და სასაქონლო წარმოება, არ შეიძლება ღირებულების კანონიც არ იყოს“ [2].

საბჭოთა ეკონომისტებს შორის დიდი დაბნეულება იყო ღირებულების კანონის მოქმედების საკითხშიც სოციალიზმის დროს. ერთნი უარყოფდნენ ღირებულების კანონის მოქმედებას ჩვენში. მეორენი თვლიდნენ, რომ ღირებულების კანონი მოქმედებს სოციალიზმის პირობებში და დარჩება კომუნიზმის დროსაც. ცნობილია, აგრეთვე, რომ საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართო გავრცელება მიიღო ღირებულების კანონის „გარდაქმნილი“ სახით მოქმედების არასწორმა, იდეალისტურ-სუბიექტივისტურმა ფორმულამ. მხოლოდ ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს გენიალურმა შრომამ „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შეიტანა სრული სიცხადე და გარკვეულობა ამ საკითხში. „ღირებულების კანონის მოქმედების სფერო ჩვენში, — წერს ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი, — ვრცელდება უწინარეს ყოვლისა საქონელმიმოქცევაზე, ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით საქონელთა გაცვლაზე, უმთავრესად პირადი მოთხოვნილების საქონელთა გაცვლაზე. აქ, ამ სფეროში, ღირე-

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 26.

[2] იქვე, გვ. 21.

ბულების კანონი ინარჩუნებს, რა თქმა უნდა, გარკვეულ ფარგლებში რეგულატორის როლს“ [1].

წარმოების საშუალებები, რომლებიც დამზადებულია ჩვენი საწარმოების მიერ და გამოიყენებიან ქვეყნის შიგნით, გამოდიან ღირებულების კანონის მოქმედების სფეროდან, ვინაიდან საქონელს არ წარმოადგენენ. მაშასადამე, ღირებულების კანონის მოქმედების სფეროში რჩება უმთავრესად პირადი მოთხოვნილების საქონლები, რომელთა ყიდვა-გაყიდვა ხდება თავისუფლად. ღირებულების კანონის მარეგულირებელი ზემოქმედება საქონელმიმოქცევაზე გამოიხატება შემდეგში:

ა) მოხმარების საგნებზე ფასების განსაზღვრისას ანგარიში ეწევა მათს ღირებულებას, ფასების სიდიდე გავლენას ახდენს საქონელთა მიწოდებისა და მოთხოვნის თანაფარდობაზე. მოხმარების საგნები იყიდება, როგორც საქონელი, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება ხდება ფულადი ფორმით. ამიტომ ხელფასის სიდიდე ფასების მოცემული დონის დროს განსაზღვრავს საზოგადოებრივი შრომის პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც მიმოქცევის სფეროს გავლით მიდის მშრომელთა პირად მოხმარებაში. გლეხობის შემოსავალიც განსაზღვრული ზომით ფასების დონეზეა დამოკიდებული. მაშასადამე, თანაფარდობა მოსახლეობის ფულად შემოსავალსა, ფართო მოხმარების საქონელთა ფასების დონესა და ამ საქონელთა რაოდენობას შორის არ შეიძლება თვითნებური იყოს, იგი განისაზღვრება გეგმიანად.

ბ) ჩვენში არ არის ფასების „თავისუფალი“ თამაში, როგორც ამას ადგილი აქვს კაპიტალიზმის დროს. საბჭოთა სახელმწიფო პირადი მოხმარების საგნებზე ფასების დაწესებისას ანგარიშს უწევს ღირებულების კანონს, მაგრამ გამომდინარეობს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის განმსაზღვრელი როლიდან. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნებია: „მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“ [2].

გ) საბჭოთა სახელმწიფო ანგარიშს უწევს საქონელმიმოქცევის

---

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 21.

[2] იქვე, გვ. 44.

მოთხოვნილებას და განსაზღვრავს მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობას, რათა არ დაირღვეს სწორი თანაფარდობა მოთხოვნა-მიწოდებას შორის.

დ) საკოლმეურნეო ბაზარზე საქონელთა ფასები საბჭოთა სახელმწიფოს მარეგულირებელი ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, მაგრამ განსაზღვრული ზომით მაინც აქვს ადგილი საქონელთა ფასების გადახრას მათი ღირებულებიდან.

ი. ბ. სტალინი გვასწავლის, რომ ღირებულების კანონს არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რეგულატორის როლი სოციალისტურ წარმოებაში. წარმოების საშუალებები და სამუშაო ძალა ჩვენში არ წარმოადგენენ საქონელს და, მაშასადამე, სახალხო მეურნეობის დარგებს შორის მათი განაწილების რეგულატორი არ შეიძლება ღირებულების კანონი იყოს.

საბჭოთა სახელმწიფო, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონისა და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ეკონომიკური კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ახდენს წარმოების საშუალებათა და სამუშაო ძალის განაწილებას მეურნეობის დარგებსა და საწარმოებს შორის.

სოციალისტურ წარმოებაში ღირებულების კანონს რომ რეგულატორის მნიშვნელობა ჰქონდეს, მაშინ ჩვენში უნდა ხდებოდეს წარმოების საშუალებათა და სამუშაო ძალის სტიქიური განაწილება სახალხო მეურნეობის დარგებს შორის; მაშინ ჩვენში მთელი ძალ-ღონით უნდა განვითარებულიყო არა მძიმე, არამედ მსუბუქი ინდუსტრია, როგორც უფრო რენტაბელური; მაშინ ჩვენში უნდა დახურულიყო მძიმე მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები, რომლებიც ჯერ კიდევ არარენტაბელურია ან ნაკლებ რენტაბელურია; მაშინ ჩვენში უნდა ხდებოდეს მუშების გადაყვანა ნაკლებრენტაბელური საწარმოებიდან უფრო რენტაბელურში, ხოლო თუ ყოველივე ეს არ ხდება, იმიტომ, „რომ ღირებულების კანონის მოქმედების სფერო ჩვენში შეზღუდულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების არსებობით, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონის მოქმედებით, — მაშასადამე, შეზღუდულია აგრეთვე ჩვენი წლიური და ხუთწლიანი გეგმებით, რომლებიც წარმოადგენენ ამ კანონის მოთხოვნების დაახლოებით ასახვას“ [1].

---

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 26,

ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ამხანაგი სტალინი მიუთითებს იმ ზემოქმედებაზე, რომელსაც ღირებულების კანონი ახდენს სოციალისტურ წარმოებაზე. „საქმე ის არის,—წერს ამხანაგი სტალინი,—რომ სამომხმარებლო პროდუქტები, რაც აუცილებელია წარმოების პროცესში სამუშაო ძალის დანახარჯის დასაფარავად, ჩვენში იწარმოება და საღდება როგორც ღირებულების კანონის მოქმედებას დაქვემდებარებული საქონელი. სწორედ აქ აშკარავდება ღირებულების კანონის ზემოქმედება წარმოებაზე. ამასთან დაკავშირებით ჩვენს საწარმოებში აქტუალური მნიშვნელობა აქვთ ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამეურნეო ანგარიშისა და რენტაბელობის საკითხი, თვითღირებულების საკითხი, ფასების საკითხი და სხვ.“ [1].

საზოგადოებრივი წარმოება სოციალიზმის დროსაც იყოფა ორ ქვეგანყოფილებად: წარმოების საშუალებათა წარმოებად და მოხმარების საშუალებათა წარმოებად. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი თავისი ნატურალური ფორმის მიხედვით იყოფა ყოველგვარი სახის წარმოების საშუალებებად და ყოველგვარი სახის პირადი მოხმარების საგნებად.

წარმოების საშუალებები ჩვენი ქვეყნის შიგნით ეკონომიკური ბრუნვის სფეროში არ წარმოადგენენ საქონელს და, მაშასადამე, გამოდიან ღირებულების კანონის მოქმედების სფეროს ფარგლებიდან. პირადი მოხმარების საგნები, პირიქით, რომელთა ყიდვა-გაყიდვა თავისუფლად ხდება და რომლებიც წარმოების პროცესში სამუშაო ძალის დანახარჯის დაფარვას ხმარდება, იწარმოება და საღდება, როგორც ღირებულების კანონის მოქმედებას დაქვემდებარებული საქონელი; სამომხმარებლო პროდუქტები ღირებულების კანონის მოქმედებას ექვემდებარებიან როგორც წარმოების სფეროში, ისე გასაღების სფეროში, მაგრამ, ცხადია, განსაზღვრულ ფარგლებში.

საზოგადოებრივი წარმოების მეორე ქვეგანყოფილებაში დამზადებული პირადი მოხმარების საგნები მოიხმარება როგორც თვით ამ ქვეგანყოფილების, ისე პირველი ქვეგანყოფილების მუშაკების მიერ და, მაშასადამე, საერთოდ ხმარდება საზოგადოებრივი წარმოების პროცესში სამუშაო ძალის დანახარჯების დაფარვას, სამუშაო ძალის აღწარმოებას. ამგვარად, ღირებულების კანონი

---

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 22.

ზემოქმედებას ახდენს წარმოებაზე არა მარტო მოხმარების საგანთა მწარმოებელ დარგებში, არამედ წარმოების საშუალებათა მწარმოებელ დარგებშიც. ორივე დარგში წარმოების პროცესის დროს ადგილი აქვს სამუშაო ძალის დანახარჯებს, რომელთა დასაფარავად, აღსადგენად აუცილებელია მოხმარების საგნები.

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს: სამომხმარებლო პროდუქტების წარმოება და გასაღება ღირებულების კანონის მოქმედებას რომ ექვემდებარება, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ღირებულების კანონი რეგულატორის როლს ასრულებდეს ჩვენს სოციალისტურ წარმოებაში. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სოციალისტური სახელმწიფო პირადი მოთხოვნილების საქონლებზე ფასების განსაზღვრის დროს მხედველობაში ღებულობს მათ წარმოებაზე საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯებს, ანგარიშს უწევს წარმოების რეალურ შესაძლებლობას, ითვალისწინებს განსაზღვრული ზომით თანაფარდობას მოთხოვნა-მიწოდებას შორის, რათა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ზრდის უზრუნველყოფასთან ერთად სისტემატურად გააუმჯობესოს მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობა.

წარმოების საშუალებანი ჩვენი ქვეყნის შიგნით ეკონომიკური ბრუნვის სფეროში საქონელს არ წარმოადგენენ და გამოდიან ღირებულების კანონის მოქმედების სფეროს ფარგლებიდან, მაგრამ ინარჩუნებენ საქონლის მხოლოდ გარეგნულ გარსს. მათი წარმოების ხარჯები, ისევე როგორც მოხმარების საგნების წარმოების ხარჯები, აღრიცხულ უნდა იქნეს ღირებულების ფორმაში, ფულად ფორმაში. ეს აუცილებელია კალკულაციისათვის, ანგარიშსწორებისთვის, საწარმოთა შემოსავლიანობისა და წამგებიანობის განსაზღვრისათვის და სხვა.

ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ამხანაგი სტალინი განსაკუთრებით მიუთითებს, რომ ღირებულების კანონს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს **მარეგულირებელი** ზემოქმედება ჩვენს სოფლის მეურნეობაში წარმოებული ნედლეულის ფასზე, ვინაიდან, ჯერ ერთი, სოფლის მეურნეობის ნედლეულის ფასები მტკიცე, გეგმით დაწესებული ფასებია და არა „თავისუფალი“ ფასები, მეორეც, ამ ნედლეულის წარმოების ოდენობას განსაზღვრავს არა სტიქია, არამედ გეგმა. ბოლოს, სოფლის მეურნეობის ნედლეულის წარმოებისათვის აუცილებელი წარმოების იარაღები თავმოყრილია არა ცალკე პირთა ხელში, ან პიროვნებათა ჯგუფების ხელში, არამედ სახელმწიფოს ხელში.

იმის გამო, რომ წარმოების პროცესში სამუშაო ძალის დანახარჯების დასაფარავად აუცილებელი სამომხმარებლო პროდუქტების წარმოება და გასაღება ღირებულების კანონის ზემოქმედებას ექვემდებარება (რითაც აშკარავდება ღირებულების კანონის ზემოქმედება წარმოებაზე), ჩვენს საწარმოებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სამეურნეო ანგარიში, რენტაბელობა, თვითღირებულება, ფასი და სხვა. ეს იმიტომ, რომ სამუშაო ძალის აღწარმოება სოციალისტური გაფართოებული აღწარმოების არსებითი მხარეა; ეს იმიტომ, რომ შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპის განუხრელად გატარება იწვევს მუშაკის მატერიალურ დაინტერესებას თავისი შრომის შედეგებით და, მაშასადამე, ადიდებს მისი შრომის მწარმოებლურობას, რის საფუძველზედაც მტკიცდება სამეურნეო ანგარიში, როგორც სოციალისტურ საწარმოთა გეგმიანი მართვის მეთოდი, იზრდება პროდუქცია, მცირდება მისი თვითღირებულება, ხოლო თვითღირებულების შემცირების შედეგად იზრდება სოციალისტური დაგროვება, იზრდება და მტკიცდება სოციალისტურ საწარმოთა რენტაბელობა.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ღირებულების კანონის ზემოქმედება წარმოებაზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს წარმოებისადმი ხელმძღვანელობის დროს. ეს უნერგავს ჩვენს სამეურნეო მუშაკებს წარმოების პროცესის რაციონალურად წარმართვის სულისკვეთებას და აჩვევს მათ დისციპლინას; ასწავლის სამეურნეო მუშაკებს ზუსტად იანგარიშონ საწარმოო სიდიდენი და არ გაერთონ ზეპირად აღებულ „საორიენტაციო მონაცემებზე“ ლაყბობით; ეს ასწავლის მათ ეძიონ, იპოვონ და გამოიყენონ წარმოების წიაღში დამალული ფარული რეზერვები, სისტემატურად გააუმჯობესონ წარმოების მეთოდები, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, განახორციელონ სამეურნეო ანგარიში და მიაღწიონ საწარმოთა რენტაბელობას.

ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ი. ბ. სტალინმა გააკრიტიკა ის ამხანაგები, რომლებიც თვლიდნენ, რომ, რამდენადაც ჩვენი გეგმიანი სახალხო მეურნეობა რენტაბელურ საწარმოთა გვერდით უშვებს არარენტაბელურ საწარმოთა არსებობასაც, ამით იგი, თითქოს, კლავს თვით რენტაბელობის პრინციპს სახალხო მეურნეობაში. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ცალკეულ საწარმოთა, აგრეთვე, წარმოების ცალკეულ დარგთა რენტაბელობას უდიდესი მნიშვნე-

ლობა აქვს სოციალისტური წარმოების განვითარებისათვის, მაგრამ რენტაბელობის საკითხისადმი ერთადერთი სწორი მიდგომა იქნება, თუ ავიღებთ რენტაბელობას მთელი სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით და ისიც, ვთქვათ, 10-15 წლის მიხედვით.თუ რენტაბელობის საკითხს ამ მხრივ მივუდგებით, მაშინ „რენტაბელობა ცალკეულ საწარმოთა და წარმოების ცალკეულ დარგთა თვალსაზრისით ოდნავადაც ვერ შეედრება იმ მაღალ რენტაბელობას, რასაც ჩვენ გვაძლევს სოციალისტური წარმოება, რომელიც თავიდან გვაცილებს ჭარბწარმოების კრიზისებს და უზრუნველყოფს ჩვენთვის წარმოების განუწყვეტელ ზრდას“ [1].

* * *

თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ი. ბ. სტალინმა ცხადყო ღირებულების კანონის „გარდაქმნილი“ სახით მოქმედების ფორმულის ანტიმარქსისტული ბუნება. ამ ფორმულას გასავალი ჰქონდა ჩვენს ზოგიერთ ეკონომისტებს შორის. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მეცნიერების კანონები წარმოადგენენ ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტური პროცესების ასახვას. ღირებულების კანონიც ობიექტური კანონია. ღირებულება გამოვლინდება და გამოიხატება ფასში ობიექტურად, ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად. ამ კანონის მოქმედებას კაპიტალიზმის დროს თან ახლავს ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისები, საწარმოო ძალთა ნგრევა. სოციალიზმის დროს ღირებულების კანონის მოქმედების სფერო შეზღუდულია ისეთი ობიექტური პირობებით, როგორიცაა: წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, დაქირავებული შრომის სისტემის ლიკვიდაცია და სხვა. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ადამიანებს შეუძლიათ კანონების აღმოჩენა, მათი შესწავლა, თავიანთ მოქმედებაში ამ კანონების გათვალისწინება და გამოყენება საზოგადოების ინტერესებისათვის, მათ შეუძლიათ სხვა მიმართულება მისცენ ზოგიერთი კანონის ნგრევითს მოქმედებას, შეზღუდონ მათი მოქმედების სფერო, მაგრამ ადამიანებს არ შეუძლიათ კანონების „მოსპობა“, „გარდაქმნა“, „ჩამოყალიბება“. ის, ვინც უარყოფს მეცნიერების კანონების ობიექტურ ხასიათს, სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებზე

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 60.

დგება, არსებითად უარყოფს მეცნიერებას, უარყოფს ყოველი განჰვრეტის შესაძლებლობას და, მაშასადამე, უარყოფს საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ხელმძღვანელობის შესაძლებლობას.

სასაქონლო წარმოება და ღირებულება არ წარმოადგენენ მუდმივ კატეგორიებს, ისინი ისტორიული ხასიათისაა. ღირებულება წარმოადგენს საქონელში გასაგნობრივებული შრომის საზოგადოებრივ-ისტორიულ გამოხატულებას. ადამიანები მუდამ ხარჯავდნენ და მომავალშიც დახარჯავენ შრომას მათთვის საჭირო საგნების წარმოებაზე, მაგრამ საქონლის მწარმოებელთა საზოგადოებაში ეს შრომა ღირებულებაში გამოიხატება. „შრომის პროდუქტი, — წერს მარქსი, — ყოველნაირ საზოგადოებრივ პირობებში მოხმარების საგანია. მაგრამ მოსახმარი ნივთის წარმოებაზე დახარჯულ შრომას მხოლოდ ისტორიულად განსაზღვრული განვითარების ხანა გამოხატავს, როგორც ამ ნივთის „საგნობრივ“ თვისებას, ე. ი. ღირებულებას და ხდის ამ შრომის პროდუქტს საქონლად“ [1].

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა გამომდინარეობენ სასაქონლო წარმოებისა და ღირებულების კანონის ისტორიული განსაზღვრულობის ფაქტიდან. თავის საანგარიშო მოხსენებაში XVII პარტიულ ყრილობაზე ი. ბ. სტალინმა გაანადგურა წვრილბურჟუაზიულ-მომემარცხენე შეხედულება, რომელიც თვლიდა, რომ საბჭოთა ვაჭრობამ თავისი სტადია განვლო და საჭიროა მოვაგვაროთ პროდუქტების პირდაპირი გაცვლა, უნდა გავაუქმოთ ფული, რომელიც უბრალო ანგარიშსწორების ნიშნად იქცაო. „ამ ადამიანებს, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომლებიც ისევე დაშორებული არიან მარქსიზმს, როგორც ცა დედამიწას, ცხადია, არ ესმით, რომ ფული ჩვენში დარჩება ჯერ კიდევ დიდხანს, თვით კომუნიზმის პირველი სტადიის — განვითარების სოციალისტური სტადიის — დამთავრებამდე. მათ არ ესმით, რომ ფული წარმოადგენს ბურჟუაზიული ეკონომიკის იმ იარაღს, რომელიც თავის ხელში აიღო საბჭოთა ხელისუფლებამ და შეუფარდა სოციალიზმის ინტერესებს იმისათვის, რომ მთელი სიმძლავრით გაშალოს საბჭოთა ვაჭრობა და ამით მოამზადოს პირობები პროდუქტების პირდაპირი გაცვლა-გამოცვლისათვის“ [2].

როგორც ვხედავთ, ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ XVII პარტიულ ყრილობაზე გაუსვა ხაზი საბჭოთა ვაჭრობისა და ფულის

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1930, გვ. 28.
[2] ი. სტალინი, თხზ., ტ. 13, გვ. 361-362.

მნიშვნელობას სოციალისტური მშენებლობისათვის, განიხილა რა ისინი, როგორც ერთ-ერთი საშუალება პროდუქტგაცვლის მოსამზადებლად.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ისეთ ეკონომიკურ მოვლენებს, როგორიცაა საკოლმეურნეო-ჯგუფური საკუთრება და საქონელმიმოქცევა, ჩვენი პარტია და ხელისუფლება წარმატებით იყენებენ ამჟამად. ამ ეკონომიკურ მოვლენებს უეჭველად დიდი სარგებლობა მოაქვთ ჩვენი საზოგადოებისათვის, სარგებლობას მოიტანენ უახლოეს მომავალშიც, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი სწორედ უკვე ახლა იწყებენ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების მძლავრი განვითარების დამუხრუჭებას, ვინაიდან ხელს უშლიან იმას, რომ მთელი სახალხო მეურნეობა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა, სრულად მოიცვას სახელმწიფოებრივმა დაგეგმვამ.

ი. ბ. სტალინი გვასწავლის, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა და განაწილების კომუნისტური პრინციპი გამორიცხავს ყოველგვარ საქონელგაცვლას, გამორიცხავს პროდუქტის გადაქცევას საქონლად. სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისათვის სხვა ღონისძიებებთან ერთად საჭიროა თანდათანობითი გადასვლების გზით საკოლმეურნეო საკუთრება ავიყვანოთ საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე და, ასევე, საქონელმიმოქცევა თანდათანობითი გადასვლების გზით შევცვალოთ პროდუქტგაცვლის სისტემით, რათა სახელმწიფო დაგეგმვამ სრულად მოიცვას მთელი სახალხო მეურნეობა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა.

კოლმეურნეობა არ არის ჩვეულებრივი საწარმო, იგი არ არის არც იმ მიწის მესაკუთრე, რომელსაც ამუშავებს, და არც წარმოების იმ ძირითადი იარაღების მესაკუთრე, რომლის დახმარებითაც მუშაობს. მიწა და წარმოების ძირითადი იარაღები საერთო-სახალხო საკუთრებას შეადგენენ. კოლმეურნეობას შეუძლია სრულიად თავისუფლად განაგოს მხოლოდ საკოლმეურნეო პროდუქცია, მაგრამ ამ პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი, საკოლმეურნეო პროდუქციის ნამეტი, კოლმეურნეობებს ბაზარზე გააქვთ და ყიდიან, ასე რომ საკოლმეურნეო პროდუქციის ეს ნაწილი საქონელმიმოქცევის სისტემაში შედის. ამოცანა იმაში მდგომარეობს, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — რომ საკოლმეურნეო წარმოების ნამეტი ამოვრთოთ საქონელმიმოქცევის სისტემიდან და მოვაქციოთ იგი სახელმწიფო მრეწველობასა და კოლმეურნეობებს შორის პროდუქტგაცვლის სისტემაში, რადგან პროდუქტგაცვლის სისტემა მოითხოვს იმ პროდუქციის უაღრესად გადიდებას, რომელსაც ქალაქი აწვდის

სოფელს, ამიტომ იგი შემოღებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული აჩქარების გარეშე. ქალაქის ნაწარმის დაგროვების კვალობაზე. ი. ბ. სტალინი მიუთითებს, რომ პროდუქტგაცვლა, რომლის ჩანასახებიც ჩვენ ამჟამად მოგვეპოვება სოფლის მეურნეობის პროდუქტთა „დასაქონლების“ სახით, უნდა განვავითაროთ პროდუქტგაცვლის ფართო სისტემად ისე, რომ კოლმეურნეობები თავიანთი პროდუქციისათვის ღებულობდნენ ფულსაც, მაგრამ უმთავრესად კი აუცილებელ ნაწარმს.

პროდუქტგაცვლის სისტემა შეამცირებს საქონელმიმოქცევის მოქმედების სფეროს და გააადვილებს სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლას; იგი შესაძლებლობას მისცემს კოლმეურნე გლეხობას მიიღოს სახელმწიფოსაგან უფრო მეტი პროდუქცია და უფრო იაფად, ვიდრე ღებულობენ საქონელმიმოქცევის დროს, ამასთანავე საშუალებას მოგვცემს კოლმეურნეობათა ძირითადი საკუთრება, საკოლმეურნეო წარმოების პროდუქცია, მოვაქციოთ საერთო-სახალხო გეგმიანობის საერთო სისტემაში.

პროდუქტგაცვლას სრულიად სხვა შინაარსი აქვს, ვიდრე საქონელგაცვლას, თუმცა გაცვლის ფორმა მაინც რჩება. „სახელმწიფო პროდუქტი — სოციალისტური ფაბრიკის პროდუქტი, — წერს ვ. ი. ლენინი, — რომელიც გლეხის სურსათზე გადაიცვლება, არ არის საქონელი პოლიტიკურ-ეკონომიური აზრით, ყოველ შემთხვევაში არა მარტო საქონელია, უკვე აღარ არის საქონელი, კარგავს საქონლის ხასიათს“ [1].

ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, ამხანაგმა სტალინმა ცხადყო იმ შეხედულების მცდარობა, რომელიც თვლიდა, რომ კომუნისტური საზოგადოების მეორე ფაზაში ღირებულების კანონი შეინარჩუნებს თავის ძალას, როგორც წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის ურთიერთობათა რეგულატორი, მათ შორის შრომის განაწილების რეგულატორი. აღნიშნულ შეხედულების დამცველებმა დაიწყეს, რომ ღირებულების კანონი ისტორიული კატეგორიაა, რომ იგი დაკავშირებულია სასაქონლო წარმოებასთან და ამ უკანასკნელის გაქრობასთან ერთად გაქრება. „კომუნისტური საზოგადოების მეორე ფაზაში, — წერს ამხანაგი სტალინი, — პროდუქტების საწარმოებლად დახარჯული შრომის რაოდენობა განიზომება არა შემოვლილი გზით, არა ღირებულებისა და მისი ფორმების მეშვეობით, როგორც ეს

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 32, გვ. 487, IV გამ.

არის ხოლმე სასაქონლო წარმოების დროს, არამედ პირდაპირ და უშუალოდ — პროდუქტების საწარმოებლად დახარჯული დროის რაოდენობით, საათების რაოდენობით. რაც შეეხება შრომის განაწილებას, შრომის განაწილება წარმოების დარგებს შორის რეგულირებულ იქნება არა ღირებულების კანონით, რომელიც იმ დროისათვის დაკარგავს ძალას, არამედ პროდუქტებზე საზოგადოების მოთხოვნილებათა ზრდით. ეს იქნება ისეთი საზოგადოება, სადაც წარმოება რეგულირებულ იქნება საზოგადოების მოთხოვნილებებით, ხოლო საზოგადოების მოთხოვნილებათა აღრიცხვას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიენიჭება მგეგმავი ორგანოებისათვის“ [1].

* * *

ი. ბ. სტალინის კლასიკურ ნაშრომს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის, მთელი ჩვენი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. ეს ნაშრომი მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების შემოქმედებითი განვითარების კლასიკური ნიმუშია. ამ ნაშრომში მოცემული საპროგრამო დებულებებითა და დასკვნებით ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხი შეაიარაღა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის ნათელი პროგრამით, შეაიარაღა ყველა ქვეყნის მშრომელები კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის მძლავრი იარაღით. საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების ცოდნით შეიარაღებულ კომუნისტურ პარტიას ლენინ-სტალინის დროშით საბჭოთა ხალხი მიჰყავს წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

---

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 25.

Г. С. ЧХАИДЗЕ

И. В. СТАЛИН О ТОВАРНОМ ПРОИЗВОДСТВЕ И ЗАКОНЕ СТОИМОСТИ ПРИ СОЦИАЛИЗМЕ

Резюме

1. И. В. Сталин в своем гениальном труде „Экономические проблемы социализма в СССР“ всесторонне разработал вопросы товарного производства и закона стоимости при социализме.

Товарное производство появилось на базе развития общественного разделения труда и возникновения частной собственности на орудия и средства производства, оно постепенно развивалось в докапиталистических общественно-экономических формациях, а при капитализме достигло наивысшей ступени своего развития.

2. Товарищ Сталин учит, что необходимость товарного производства при социализме обусловлена существованием двух основных производственных секторов — государственного и колхозного. Наше товарное производство представляет собой товарное производство особого рода потому, что оно является товарным производством без капиталистов, имеет дело в основном с товарами объединенных социалистических производителей, сфера его действия ограничена предметами личного потребления и никак не может развиться в капиталистическое производство. Товарное обращение с его „денежным хозяйством“ исчезнет тогда, когда появится один всеобъемлющий производственный сектор с правом распоряжения всей потребительской продукцией страны.

3. С товарным производством связано действие закона стоимости. „Сфера действия закона стоимости распространяется у нас прежде всего на товарное обращение, на обмен товаров через куплю-продажу, на обмен главным образом товаров личного потребления. Здесь, в этой области, закон стоимости сохраняет за собой, конечно, в известных пределах роль регулятора“ (И. Сталин).

Закон стоимости не имеет регулирующего значения в социалистическом производстве, но его воздействие распространяется и на производство, что необходимо учитывать при руководстве производством.

4. Переход от социализма к коммунизму и коммунистический принцип распределения продуктов исключает всякий товарный

обмен, исключает превращение продуктов в товары. И. В. Сталин учит, что для перехода от социализма к коммунизму вместе с другими мероприятиями необходимо путем постепенных переходов поднять колхозную собственность до уровня общенародной собственности, а товарное обращение тоже путем постепенных переходов заменить системой продуктообмена, для полного охвата всего народного хозяйства, особенно сельского хозяйства государственным планированием.

Для того, чтобы поднять колхозную собственность до уровня общенародной собственности, нужно выключить излишки колхозной продукции из системы товарного обращения и включить их в систему продуктообмена между государственной промышленностью и колхозами. Это сократит сферу действия товарного обращения, облегчит переход к коммунизму, даст возможность включить основную собственность колхозов, продукцию колхозного производства, в общую систему общенародного планирования. Колхозное крестьянство будет получать от государства гораздо больше продукции и более дешевым ценам, чем при товарном обращении.

5. Произведение И. В. Сталина „Экономические проблемы социализма в СССР“ является классическим примером творческого развития марксистско-ленинской науки.

Коммунистическая партия, вооруженная знанием законов общественного развития, под знаменем Ленина-Сталина ведет советский народ вперед, к победе коммунизма.

ალ. ფულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XI, 1952—1953.

ა. გოგოლიშვილი

კანონზომიერების საკითხისათვის ფსიქოლოგიაში ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შუქზე *

ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომელიც გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის წინ და რომელიც საფუძვლად დაედო ყრილობის მუშაობას, უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტია. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად და პოლიტიკური ეკონომიის შემდგომი განვითარებისათვის, არამედ უკლებლივ ყველა მეცნიერული დისციპლინისათვის.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომლის გადაჭრაც მოგვცა ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა თავის გენიალურ შრომაში, შეეხება ბუნებისა და საზოგადოების კანონების ხასიათს, ამ კანონების ასახვას მეცნიერებაში და მეცნიერების ობიექტურ მნიშვნელობას საერთოდ. იმას, რაც ამ საკითხების შესახებ არის ნათქვამი ი. ბ. სტალინის ნაშრომში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ მეცნიერებათათვის, რომელთა საკვლევ საგანს კავშირი აქვს საზოგადოებასთან, საზოგადოების განვითარების კანონებთან. ეს განსაკუთრებით ითქმის ფსიქოლოგიის შესახებ.

კანონზომიერების საკითხი ფსიქოლოგიაში, სამწუხაროდ, დაუსრულებელი დისკუსიის საგანი გახდა საბჭოთა ფსიქოლოგებს შორის. ი. ბ. სტალინის აღნიშნული ნაშრომი იძლევა ნათელსა და

* წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის X სამეცნიერო სესიაზე 1953 წ. 6 იანვარს.

გარკვეულ მითითებებს ფსიქოლოგიის ამ საარსებო საკითხის გადასაჭრელად. საბჭოთა ფსიქოლოგთა ვალია, დაუყოვნებლივ და მთელი ენერგიით დაეწაფონ სიბრძნის ამ წყაროს და კონკრეტული მეცნიერული დასკვნები გააკეთონ ფსიქოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის.

ამ შრომის მიზანია, მიუთითოს ფსიქოლოგიის ერთ-ერთ, მაგრამ ძირითად გზაზე, რომელიც ნაკარნახევია საზოგადოების კანონების ბუნებით და კონკრეტულ-ისტორიული ადამიანის შემეცნების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მეცნიერება პრაქტიკული მოთხოვნილების ნიადაგზეა წარმოშობილი, პრაქტიკაა მეცნიერული შემეცნების კრიტერიუმიც. თეორიამ უნდა გვიჩვენოს, თუ როგორ არის შემეცნება შესაძლებელი, როგორია შემეცნების სტრუქტურა და რა ობიექტური (და სუბიექტური) პირობებია საჭირო იმისათვის, რომ შემეცნება შესაძლებელი გახდეს. შემეცნება, როგორც ფაქტი, აღარ საჭიროებს თეორიულ დასაბუთებას. დიდი ხანია, რაც იგი კაცობრიობის განვითარების ისტორიითაა დასაბუთებული. საკითხი მხოლოდ იმის ახსნას ეხება, თუ როგორაა შესაძლებელი შემეცნება. ამიტომ ყოველგვარი თეორია, რომელიც იმის ნაცვლად, რომ შემეცნების ფაქტი გასაგები გახადოს, მის შეუძლებლობას ამტკიცებს, ნამდვილად არის არა შემეცნების თეორია, არამედ მისი უარყოფა, შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი აზრი, ე. ი. ისეთი აზრი, რომელიც ცდილობს დასაბუთების გზით დაამტკიცოს დასაბუთების შეუძლებლობა.

შემეცნება ლოგიკურად მეორეული აქტია შემეცნების საგანთან შედარებით. შემეცნების პროცესი საგნის შექმნის პროცესი კი არ არის, არამედ მისი ასახვის, მისი წვდომის აქტია, ამ პირველ პირობას შემეცნებისას უნდა დაერთოს მეორე პირობაც, რომელიც საგნის ცვალებადობაში, მის მოძრაობაში მდგომარეობს. ურთიერთობა საგანთა და მოვლენათა შორის, მათი ურთიერთმოქმედება არის მეორე ობიექტური პირობა შემეცნებისა, მაგრამ იმისათვის, რომ საგანთა და მოვლენათა უსაზღვრო მრავალსახეობას მეცნიერული გამოთქმა მიეცეს, საჭიროა მას წესი და კანონზომიერება ახლდეს თან. დებულება — „ყველაფერი მოძრაობს“ — შემეცნების მხოლოდ ერთი პირობათაგანია, რომელიც თუმცა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. მართალია, საგანთა მოძრაობით მათი კანონიც მოცემულია და რეალურად საგანი და კანონი განუყრელად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, მაგრამ აბსტრაქ-

ციაში მათი გათიშვა შესაძლებელია და თვითეული მათგანის ლოგიკური ანალიზი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს შემეცნების თეორიისათვის. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ მოძრაობისა და კანონის ცნებები ისტორიულადაც უკავშირდებიან ერთმანეთს. სწორედ მოძრაობის გნოსეოლოგიურ გააზრებას უნდა მიეყვანა ფილოსოფია კანონის ცნებამდე, მხოლოდ კანონის ცნებას შეეძლო ცვალებადობის იმგვარი „მოთოკვა“, რომ მისი შემეცნება შესაძლებელი გამხდარიყო. ცდებოდა ძველი მეტაფიზიკა, როცა მოძრაობა შემეცნების დაბრკოლებად მიაჩნდა, ცდება ახალი მეტაფიზიკა, როცა კანონში მოძრაობის უარყოფას ხედავს. კანონის გარეშე წარმოუდგენელია მოძრაობის არსებობა, მოძრაობა კანონს ასულდგმულებს, მოძრაობის მუდმივობა მისი კანონის მუდმივობას ემყარება, ამიტომ ამბობს ენგელსი: „ყველაფერი ცვალებადია, მუდმივია მხოლოდ ცვალებადობის კანონები“ [1].

მოძრაობა შეიძლება იყოს სხვადასხვა სიჩქარისა. შემეცნებისათვის ეს გარემოება დაბრკოლებას არ წარმოადგენს. საკითხი მხოლოდ კანონის კანონზომიერების არსებობას შეეხება. იქ, სადაც კანონის ობიექტური არსებობაა აღიარებული, საგნის სწრაფი ცვალებადობა შემეცნებისათვის დაბრკოლებად ვერ მოგვევლინება, ხოლო კანონგარეშე წარმოდგენილი მოძრაობა, რა გინდ ნელიც უნდა იყოს იგი, შემეცნებისათვის გამოუსადეგარი იქნებოდა. ამ საკითხზე ერთგვარი დისკუსიაც იყო ჩვენში ლოგიკოსთა და ფილოსოფოსთა შორის. ზოგი იმ აზრს იცავდა, რომ მოვლენები, მართალია, იცვლება, მაგრამ არც ისე სწრაფად, რომ მათი შემეცნება შეუძლებელი იყოს, რომ კანონზე ლაპარაკს საფუძველი ეცლებოდეს ამის გამო. მიუთითებდნენ იმაზე, რომ საქმის ობიექტურ ვითარებას უფრო ჰერაკლიტეს ფორმულა შეესაბამება, ვიდრე კრატილესა, რომლის მიხედვით ერთსა და იმავე მდინარეში ერთჯერაც არ შეიძლება თითქოს ტანის დაბანა [2]. განმეორება და სიმრავლე მოვლენებისა შეიძლება ხელს უწყობდეს კანონის აღმოჩენას და, ამდენად, შემეცნების ფსიქოლოგიისათვის ამ გარემოებას თავისაჩინო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამის გამო მას არ მიენიჭება ლოგიკურ-ობიექტური აუცილებლობის პრედიკატი. ასე შეიძლება იფიქროს მხოლოდ მხოხავი ემპირიზმის ნიადაგზე მდგომმა ინდუქტივისტმა. ნამდვილად განმეორების გამო კი არ ჩნდება კანონი, არამედ თვით გან-

[1] ფრ. ენგელსი, „ბუნების დიალექტიკა, გვ. 409.
[2] იხ. „Вопросы философии“, 1950. № 2, გვ. 217.

მეორება ემყარება კანონს, როგორც ერთ-ერთ თავის პირობას. მოვლენა შეიძლება მხოლოდ ერთჯერ მოხდეს და ძლიერ სწრაფადაც, მაგრამ მაშინაც იგი ობიექტური კანონითაა განსაზღვრული. ის ფაქტი, რომ შეიძლება ვიმსჯელოთ მოვლენის უსწრაფეს ცვალებადობაზე, მისი შემეცნების სასარგებლოდ ლაპარაკობს და არა ამის წინააღმდეგ (ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი მიუთითებდა იმაზე, რომ ფერების გამომწვევი ფიზიკური მოვლენები უდიდესი სისწრაფით ხასიათდებიან, მაგრამ ეს არ ხდის მათ მიუწვდომლად აზროვნებისათვის).

ბუნებისა და საზოგადოების კანონების შესახებ ორგვარი „თეორია“ არის უმთავრესად ცნობილი ბურჟუაზიულ მეცნიერებაში, ორივე ერთიმეორეზე უფრო მანკიერი და მოკლებული მეცნიერულ საფუძველს.

ე. წ. ფიქციონალიზმი, რომელიც საბოლოოდ მახიზმზე დადის, უარყოფს კანონების ობიექტურად არსებობის ფაქტს და, აქედან გამომდინარე, საერთოდ უარყოფს ობიექტურ აუცილებლობას. ეს შეხედულება ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ იუმის ხელში. მიზეზობრიობის, ობიექტურად არსებობის უარყოფამ იუმი სკეპტიციზმამდე და აგნოსტიციზმამდე მიიყვანა. ბუნებისმეტყველების კანონები მან ჩვეულებაზე და შემთხვევითს ასოციაციებზე დაამყარა და ამით ბუნებისმეტყველებას ობიექტური მნიშვნელობა დაუკარგა. ამის შედეგია იუმის აგნოსტიციზმი. არსებითად ამ თვალსაზრისს ავითარებდა მახი, როცა მეცნიერების ამოცანებიდან ახსნა ამოიღო და ერთადერთ ამოცანად „ეკონომიური აღწერა“ გამოაცხადა. ცნობილია ის აბსურდული დასკვნები, რომლებიც მიიღო მახმა ამ წანამძღვრებიდან. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ მ ა ძირფესვიანად გაანადგურა მახიზმი თავის გენიალურ ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ მ ა ცხადყო, რომ მახიზმი, როგორც ფილოსოფიური სუბიექტივიზმის უკიდურესი ფორმა, ვერ ასაბუთებს მეცნიერების ფაქტს და სკეპტიციზმისა და სოლიპსიზმის ჭაობში ეფლობა.

იდეალიზმის მეორე სახეობა, კანტიანიზმი, იუმის მოძღვრებიდან ამოდის: კანტი ეთანხმება იუმს იმაში, რომ გამოცდილება მიზეზობრიობას არ შეიცავს, და ამ დებულებას აფასებს, როგორც დოგმატური ძილისგან მისი გამოღვიძების მიზეზს, მაგრამ კანტი არ მიდის იუმის გზით და ცდილობს მიზეზობრიობის საგნობრივი მნიშვნელობის დასაბუთებას. აქ იღებს სათავეს კანტის აპრიორიზმი, მისი ტრანსცენდენტალური იდეალიზმი. დღეს საქვეყნოდ ცნობილია, რომ ტრანსცენდენტალიზმი შემეცნების ობიექტურობას ვერ ასაბუთებს და „ტრანსცენდენტალურ ილუზიას“ ვერ შორდება.

გარკვეულია ისიც, რომ ტრანსცენდენტალური ილუზია ეუფლება არა მარტო კანტის „დიალექტიკას“, არამედ მის „ანალიტიკასაც“. შემეცნების ობიექტურობას პრაქტიკა ამტკიცებს. ის ფაქტი, რომ მეცნიერების მონაცემი და მისი ვარაუდი ყოველ ნაბიჯზე ისტორიულ-პრაქტიკულ დადასტურებას ჰპოვებს ბუნებაზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედების პროცესში, ამტკიცებს იმას, რომ ბუნებასა და საზოგადოებას აქვთ თავიანთი ობიექტური კანონები, რომლებიც გარედან, სუბიექტიდან კი არ არიან შეტანილი ბუნებასა და საზოგადოებაში, არამედ თვით ბუნებისა და საზოგადოების წიაღში მოქმედი კანონებია. ეს კანონები დამოუკიდებელი არიან ცნობიერებისაგან და არ ემორჩილებიან ადამიანის თვითნებობას. „ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეს კანონები, შეიცნონ ისინი, შეისწავლონ ისინი, გაითვალისწინონ ისინი თავიანთ მოქმედებაში, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შეცვალონ ან გააუქმონ ისინი“ [1].

სუბიექტური იდეალიზმი ვერ უარყოფს იმ აზრს, რომ შემეცნებისათვის მოვლენების წესიერება და კანონზომიერებაა საჭირო, მაგრამ, რადგან იდეალიზმი ობიექტურ კანონზომიერებას არ ცნობს, იძულებულია წესრიგის საფუძვლად სუბიექტის მოღვაწეობა, მისი ორგანიზატორული მუშაობა გამოაცხადოს. თავისთავად არსებული ობიექტური სინამდვილე ან სრულიად უარყოფილია, ან წარმოდგენილია უცვლელი ელემენტების ქაოსური გროვის სახით, სადაც წესრიგი და კანონი აზროვნებამ უნდა შეიტანოს. ამ შეხედულებას ემყარება ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილი ატომისტური ფსიქოლოგია და „შემეცნების ორგანიზატორული როლის“ ცნება.

წინააღმდეგ ამ მეტაფიზიკური „თეორიისა“, მატერიალისტური დიალექტიკა საგნებსა და მოვლენებს ურთიერთკავშირში წარმოიდგენს. ბუნებასა და საზოგადოებაში საგნები და მოვლენები „ორგანულად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, დამოკიდებული არიან ერთმანეთისაგან და განაპირობებენ ერთმანეთს“ [2].

ამ დამოკიდებულებას საგანთა და მოვლენათა შორის ობიექტური ხასიათი აქვს. საგანთა და მოვლენათა შესწავლა, მათი ნიშან-თვისებების შემეცნება შესაძლებელია მხოლოდ მათს ურთიერ-

---

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952, გვ. 4.

[2] ი. სტალინი, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, 1940, გვ. 4.

თობაში, საგანთა და მოვლენათა ურთიერთმოქმედების პირობებში. საგნებისა და მოვლენების არსებობის ფორმა და პირობა არის იმავე დროს მათი შემეცნების ძირითადი, ობიექტური პირობაც. შემეცნების აქტები კი არ ქმნიან შესაცნობის წესებს, არამედ პირიქით, შემეცნების აქტის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საგნისა და მოვლენის საკუთარი წესრიგის საფუძველზე.

სინამდვილის მეტაფიზიკური წარმოდგენა იწვევს აზრს კანონისა და მოვლენის დროში დაშორების შესახებ. სუბიექტური იდეალიზმი მეცნიერების კანონებში გულისხმობს პირობითი ნიშნების სისტემას. ასეთი შეხედულება საბოლოოდ აბსოლუტურ რელატივიზმში გადადის. წინააღმდეგ ამისა, ლენინური ასახვის თეორია გვასწავლის, რომ შემეცნება სუბიექტურის შეტანა კი არ არის ობიექტურ სინამდვილეში, არამედ ობიექტური საქმის ვითარების ასახვაა, მისი გადმოღებაა. შემმეცნებელმა სუბიექტმა კანონი კი არ უნდა შეიტანოს სინამდვილეში, არამედ მისგან უნდა გამოიტანოს იგი. მეცნიერების კანონი, აზროვნებაში მოცემული კანონი, ყოველთვის მეორეულია და იმდენად არის გამართლებული, ე. ი. ჰეშმარიტად მეცნიერული, რამდენადაც იგი ობიექტურად, ცნობიერების გარეთ არსებულის ასახვას, გააზრებას წარმოადგენს.

არანაკლებია შეცდომა ობიექტური იდეალიზმისა, როცა ის ამტკიცებს, რომ კანონი ყოველთვის უსწრებს წინ მოვლენას და მისი არსებობის ლოგიკურ პირობას წარმოადგენს. ნამდვილად მოვლენა და კანონი განუყრელად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან: სადაც მოვლენაა, იქ კანონიც არის. მოვლენა კანონს შეიცავს, კანონის მიხედვით ხდება და კანონი ყოველთვის მოვლენისა და საგნის კანონია. თვით კანონთა შორის არსებული ურთიერთობაც კანონზომიერი ხასიათისაა. კანონებს შეუძლიათ მეტნაკლებად გამოავლინონ ერთიმეორე და განსაზღვრულ პირობებში შეაჩერონ კიდეც გამოვლინების პროცესი, მაგრამ მოსპობით ისინი ერთმანეთს არა სპობენ; „ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეს კანონები, შეიცნონ ისინი და, დაეყრდნობიან რა მათ, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის, სხვა მიმართულება მისცენ ზოგიერთი კანონის ნგრევითს მოქმედებას, შეზღუდონ მათი მოქმედების სფერო, გასაქანი მისცენ სხვა კანონებს, რომლებიც გზას იკაფავენ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ მოსპონ ისინი ან შექმნან ახალი ეკონომიკური კანონები“ [1]. განსაზღვრულ პირობებში

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952, გვ. 6.

ესა თუ ის კანონი ძალას კარგავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის მოსპობას, გაუქმებას ან შეცვლას; ეს არის სხვადასხვა კანონთა შორის კანონზომიერი ურთიერთობა, რომლის საფუძველზე ერთი კანონის მოქმედება შეიძლება შეიზღუდოს მეორე კანონის სრულყოფილად გამოვლენის მიზნით[1].

ფსიქოლოგიას, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთან აქვს საქმე. ფსიქოლოგიური კანონზომიერების საკითხები მჭიდროდ არიან დაკავშირებული იმ შეხედულებებთან, რომლებიც ადამიანს შეეხება. ფსიქოლოგია ვალდებულია, საფუძვლიანად შეისწავლოს ყოველი სახის კანონი, რომელიც ადამიანის სპეციფიკას შეეხება. ადამიანზე თეოლოგიურ-რელიგიურმა მეტაფიზიკურმა შეხედულებებმა, რომლებიც ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის მეშვეობით გავრცელდა, ძლიერ შეუშალა ხელი ადამიანის მეცნიერულად შესწავლის საქმეს. ის ფაქტი, რომ ბუნებისმეტყველება ადამიანის ყველაზე არსებითი ნაწილის, თავის ტვინის, შესწავლის დროს ასცდა თავის ობიექტური კვლევის გზას და არამეცნიერული მეთოდების გამოყენებაზე გადავიდა, ნაწილობრივ შეპირებული იყო იმ ყალბი აზრით, რომ ადამიანი ზებუნებრივი, ღვთაებრივი არსებაა და ამიტომ ბუნების ობიექტური კვლევის ჩვეულებრივი მეთოდებით მისი შესწავლა შეუძლებელია. ი. სეჩენოვმა და განსაკუთრებით ი. პავლოვმა ექსპერიმენტულად დაამტკიცეს, რომ ბუნებისმეტყველებას არავითარი საფუძველი არა აქვს ადამიანის ტვინის შესწავლა არაბუნებისმეტყველური მეთოდებით აწარმოოს. ადამიანი ბუნების განვითარების უმაღლესი პროდუქტია და ბუნების კანონები ადამიანში თავისებურ გამოვლინებას ჰპოვებენ.

მაგრამ ადამიანი არ არის მარტო ბუნების შვილი. ის, უპირველეს ყოვლისა, სოციალური არსებაა, საზოგადოების წევრია და, ცხადია, რომ საზოგადოების კანონზომიერება არსებითი მნიშვნელობისაა ადამიანისათვის.

საზოგადოების განვითარების კანონების აღმოჩენას დიდხანს უშლიდა ხელს ბურჟუაზიულ მეცნიერებაში გავრცელებული აზრი ადამიანის „თავისუფლების“, მისი კანონგარეშე არსებობის შესახებ. თუ ადამიანი თავისუფალი არსებაა იმ აზრით, რომ მისი მოქმედება არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება, თუ ადამიანი ამორთულია მიზეზობრიობის ჯაჭვიდან, მაშინ როგორღა

---

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952, გვ. 6.

უნდა წარმოვიდგინოთ საზოგადოების განვითარების კანონები? სად არის მაშინ იმის გარანტია, რომ საზოგადოებაც, რომელიც ადამიანებისაგან შედგება, მიზეზობრიობის გარეთ არ დარჩება?

სოციოლოგიის ეს ძირითადი პრობლემა საბოლოოდ გადაჭრეს მარქსმა და ენგელსმა მეცნიერული სოციალიზმის თეორიის შექმნით. დიალექტიკური მატერიალიზმის გამოყენებამ საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ საშუალება მოგვცა ობიექტური კანონების აღმოჩენისა. ეს კანონები, მსგავსად ბუნების კანონებისა, დამოუკიდებელი არიან ცნობიერებისაგან და ზოგჯერ ადამიანთა ცნობიერებისა და ნება-სურვილების წინააღმდეგაც მოქმედებენ. ეს ფაქტი იმას ადასტურებს, რომ ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს საზოგადოების კანონებს, არამედ, პირიქით, საზოგადოების ყოფიერების ფორმები განსაზღვრავენ ადამიანთა ცნობიერებას. ადამიანი საზოგადოების უჯრედია და საზოგადოების კანონების მოქმედებას ემორჩილება. საზოგადოების არსებობისა და განვითარების კანონების აღმოჩენა ნიშნავს იმასაც, რომ ადამიანიც კანონზომიერებას ემორჩილება, ისიც ჩართულია მიზეზობრიობის ჯაჭვში და ობიექტური შემეცნების საგანს წარმოადგენს. ნამდვილი მეცნიერება ადამიანის შესახებ შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც აღმოჩენილ იქნა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონი, „რომელიც განაგებს ადამიანის სხეულებრივსა და სულიერ ყოფიერებას“ [1].

ცნობილია, რომ მარქსიზმის კლასიკოსები არასოდეს არ უარყოფდნენ ადამიანის თავისუფლებას, მის აქტივობასა და შეგნების რეალურ მნიშვნელობას. თავისუფლებისა და აუცილებლობის მეტაფიზიკური დაპირისპირება, სადაც ეს ცნებები წარმოდგენილია, როგორც ურთიერთგამომრიცხველი სიდიდეები, დიდი ხანია დაგმობილია. აუცილებლობა მხოლოდ იქ გამორიცხავს თავისუფლებას, სადაც აუცილებლობის შეგნება არაა მიღწეული, სადაც ობიექტური აუცილებლობა არაა აზროვნებაში ასახული. მეტაფიზიკურსა და გულუბრყვილო აზროვნებას თავისუფლების პირობად აუცილებლობის, კანონების, გაუქმება მიაჩნია. ნამდვილად, ასეთი რამ შესაძლებელიც რომ იყოს, იგი ადამიანს მისცემდა არა საძიებელ თავისუფლებას, არამედ სრულ უმწეობაში ჩააგდებდა მას; ადამიანს აღარ ეცოდინებოდა არაფერი იმის შესახებ, თუ რას მოუტანს მას ხვალინდელი დღე, რას გამოიწვევს მის მიერ მიღე-

[1] ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 337.

ბული ღონისძიება. თუ მოვლენათა ურთიერთობა აუცილებლობის კანონს არ ემორჩილება, მაშინ არ არსებობს არავითარი გარანტია წინასწარგანჭვრეტისა, შეგნებული მოქმედებისა და ადამიანი ფატალიზმის სრული მონა ხდება. იმისათვის, რომ ადამიანმა გაბედულად, შეგნებულად, გამარჯვების რწმენით იმოქმედოს, აუცილებელია მოვლენათა შორის კანონზომიერი დამოკიდებულება იყოს და მას, ადამიანს, ჰქონდეს ამ კანონზომიერების შემეცნება. მხოლოდ კანონის შესაბამისი აზროვნება და მოქმედება აძლევს ადამიანს თავისუფლებას, მხოლოდ აუცილებლობის შეგნებაში უნდა დავინახოთ ადამიანის ერთადერთი შესაძლებელი თავისუფლება. ი. ბ. სტალინი გვასწავლის: „ენგელსი ამ თავისუფლებას უწოდებს „შეცნობილ აუცილებლობას". ხოლო რას შეიძლება ნიშნავდეს „შეცნობილი აუცილებლობა"? ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები, შეიცნობენ რა ობიექტურ კანონებს („აუცილებლობას"), სავსებით შეგნებულად გამოიყენებენ მათ საზოგადოების ინტერესებისათვის. სწორედ ამიტომ ამბობს ენგელსი იქვე, რომ:

„ადამიანთა საკუთარი საზოგადოებრივი მოქმედების კანონები, რომლებიც მათ დღემდე უპირისპირდებოდნენ როგორც უცხო, მათზე გაბატონებული ბუნების კანონები, ამიერიდან საქმის სრული ცოდნით გამოყენებული და, ამრიგად, დამორჩილებული იქნება ადამიანის მიერ" [1].

ადამიანის თავისუფლება ისტორიული კატეგორიაა. მისი კონკრეტული შინაარსი სხვადასხვაა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სოციალ-ეკონომიკურ პირობებში. მეცნიერების ზრდა და შემეცნებული კანონების გამოყენება ადამიანების ინტერესებისათვის ზრდის ადამიანის თავისუფლებას. უმეცრება ამცირებს ადამიანების თავისუფლებას. ბუნების განვითარების ძირითადი კანონების შემეცნება წინ უსწრებდა საზოგადოების განვითარების კანონების შემეცნებას, ამიტომ ბუნების სტიქიური მოვლენებისაგან გამოწვეულ უბედურებას ადამიანი უფრო ადრე შეებრძოლა, ვიდრე საზოგადოების სტიქიონების არასასურველ შედეგებს. მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმი გვაძლევს საშუალებას, საზოგადოების განვითარების კანონები საზოგადოების ინტერესებისათვის გამოვიყენოთ და ამ გზით ადამიანის საზოგადოებრივ მოქმედებას თავისუფლება მივანიჭოთ. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, რომელიც აღმოაჩინა

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952, გვ. 6-7.

ი. ბ. სტალინმა და რომლის ნათელი და ზუსტი ფორმულირება მოგვცა თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, არის ის კანონი, რომლის მიხედვით და რომლის საფუძველზედაც გეგმავენ საბჭოთა თავისუფალი ადამიანები თავიანთ მოქმედებას. იზრდება რა საბჭოთა ადამიანების შემეცნება სოციალიზმის კანონებისა, ამით იზრდება მათი, საბჭოთა ადამიანების, თავისუფლებაც.

ფსიქოლოგიას, პირველ რიგში, ადამიანთან ჰქონდა ყოველთვის საქმე. მეცნიერება ადამიანის შესახებ შეუძლებელია გაჩენილიყო მაშინ, როცა ადამიანი წარმოდგენილი იყო კანონგარეშე არსებად, ღვთაებრივი წარმოშობის ქმნილებად, ზებუნებრივ მოვლენად. კაცობრიობის მოწინავე მოაზროვნეებიც, რომელნიც მატერიალისტურ თვალსაზრისზე იდგნენ ბუნების შესწავლის დროს, იდეალისტურ პოზიციებზე გადადიოდნენ. როცა საქმე მიდგებოდა საზოგადოების კანონების შემეცნებაზე. ასეთი იდეალისტური შეცდომებისაგან არც ლ. ფეიერბახი იყო მთლიანად თავისუფალი და არც კლასიკური რუსული ფილოსოფიის ბრწყინვალე წარმომადგენლები. მხოლოდ მარქსმა და ენგელსმა ჩაუყარეს მტკიცე საფუძველი საზოგადოებაზე მეცნიერულ შეხედულებას. მხოლოდ მარქსისა და ენგელსის წყალობით იქნა მეცნიერებიდან განდევნილი ის ანტიმეცნიერული აზრი ადამიანის არაბუნებითობის შესახებ, რომელიც გადაულახავ დაბრკოლებად ეღობებოდა წინ მეცნიერული ფსიქოლოგიის შექმნას. დებულება საზოგადოების ობიექტური კანონების შესახებ, პოლიტიკური ეკონომიის ობიექტური კანონების შესახებ შეიცავს დებულებას ადამიანის ფსიქიკური განვითარების ობიექტური კანონების არსებობის შესახებ. ადამიანი — ისტორიის სუბიექტი, ადამიანი — საზოგადოების წევრი, ჩართულია ისტორიის პროცესში მთელი თავისი არსებით, თავის ნებისყოფითა და ცნობიერებით. ამიტომ ამბობდა მარქსი: „ჩვენ ვხედავთ, რომ მრეწველობის ისტორია და აღმოცენებული საგნობრივი ყოფიერება მრეწველობისა არის ადამიანის არსებითი ძალების გადაშლილი წიგნი, გრძნობადად ჩვენ წინ მდებარე ადამიანის ფსიქოლოგია...“ [1].

[1] „Мы видим, что история промышленности и возникшее предметное бытие промышленности есть раскрытая книга человеческих сущностных сил, чувственно преллежащая пред нами человеческая психология...“. (Маркс и Энгельс, Соч. т. III, стр. 628).

„ფსიქოლოგია, რომლისათვისაც ეს წიგნი დახურულია, ... არ შეიძლება გახდეს ნამდვილად შინაარსიან და რ ე ა ლ უ რ მეცნიერებად“ [1].

ადამიანის ფსიქოლოგია, მაშასადამე, მოცემულია მრეწველობაში, მრეწველობის ისტორიაში. რადგან მრეწველობა და მისი ისტორია ობიექტურ კანონებს ემორჩილება, ობიექტურ კანონებს ემორჩილება ადამიანიც, მისი ცნობიერებაც, რომელიც თვალსაჩინოდ არის გამოვლენილი „ისტორიის უველაზე უფრო მისაწვდომ ნაწილში“ [2].

მარქსიზმ-ლენინიზმის დებულება საზოგადოების კანონების ობიექტურობის შესახებ, პოლიტიკური ეკონომიის კანონების ობიექტურობის შესახებ ზოგმა ვერ გაიგო ისე, როგორც საჭირო იყო; ობიექტურობა საზოგადოების კანონებისა საერთოდ და პოლიტიკური ეკონომიისა კერძოდ ზოგს გაუგია, როგორც სტიქიურობის ფუნქცია, სტიქიურობის უბრალო ლოგიკური შედეგი. მ ა რ ქ ს ი ს დებულება საზოგადოებრივი განვითარების კანონების ობიექტურობის შესახებ გაგებული იყო, როგორც იმის მტკიცება, რომ კანონების ობიექტურობა მათ შეუმეცნებლობას ემყარება. საზოგადოებრივი მოვლენები, ამის მიხედვით, ობიექტური იმიტომ არიან, რომ მათ სტიქიური ხასიათი აქვთ, ხოლო სტიქიური ხასიათი იმიტომ აქვთ, რომ ისინი შეგნებული არ არიან და მათ შეგნებული მმართველი არა ჰყავთ. როგორც კი ეს პირობა იქნება დაკმაყოფილებული, როგორც კი საზოგადოების დღემდე მოქმედი კანონები გაცნობიერებული იქნება და ადამიანები შეგნებულად შეუდგებიან ისტორიის მართვას, ეს კანონები, თითქოს, მყისვე კარგავენ დამოუკიდებლობას და ადგილს უთმობენ ადამიანების „თავისუფალ“ სურვილებს.

ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი ძირფესვიანად არღვევს ამ შეხედულებას და მეცნიერულად ცხადყოფს ამ „თეორიის“ სიყალბეს, ანტიმარქსისტულობას.

საზოგადოების განვითარების კანონები ობიექტური იმიტომ კი არ არიან, რომ ისინი, სანამ მათი შეგნება იქნებოდეს მიღწეული, სტიქიურად მოქმედებენ, ამ კანონების შეგნება და მათი საზოგადოების ინტერესებისათვის გამოყენება კანონების გაუქმებას კი არ

[1] „Психология, для которой эта книга закрыта,... не может стать действительно содержательной и р е а л ь н о й наукой“. (Маркс и Энгельс. Соч. т. III, გვ. 629).

[2] იქვე, გვ. 629.

ემყარება, არამედ ამ კანონების შემეცნებას და მათ შესაბამისად მოქმედებას.

ანტიმარქსისტული შეხედულება — სოციალიზმის დროს ეკონომიკის ობიექტური კანონების გაუქმების შესახებ — აუქმებს პოლიტიკურ ეკონომიას, როგორც მეცნიერებას; ამით უქმდება ფსიქოლოგიაც, როგორც მეცნიერება: თუ ადამიანი იმის გამო, რომ მან საზოგადოების განვითარების კანონები შეიგნო, თვითონ ამ კანონებს აუქმებს და, მაშასადამე, უკანონოს სფეროში თავსდება, ისპობა ფსიქოლოგიაც. იქ, სადაც ობიექტური კანონები წინასწარ არსებულად არ იგულისხმება, მეცნიერება შეუძლებელია. ამხანაგი სტალინი წერს: „ამრიგად, პოლიტიკური ეკონომიის კანონები სოციალიზმის დროს წარმოადგენენ ობიექტურ კანონებს, რომლებიც ჩვენი ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ეკონომიკური ცხოვრების პროცესების კანონზომიერებას ასახავენ. ადამიანები, რომლებიც უარყოფენ ამ დებულებას, არსებითად უარყოფენ მეცნიერებას, ხოლო უარყოფენ რა მეცნიერებას, ამითვე უარყოფენ ყოველი განჭვრეტის შესაძლებლობას, — მაშასადამე, უარყოფენ ეკონომიკური ცხოვრების ხელმძღვანელობის შესაძლებლობას“ [1].

კანონზომიერების პრობლემა ფსიქოლოგიაში მსჯელობის საგნად გადაიქცა იმის შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ბუნების შესწავლის ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო მექანიცისტურ ფიზიკას. ბუნებისმეტყველებამ თავის საკვლევ საგნად მხოლოდ ობიექტური მოვლენები ცნო. სუბიექტური მოვლენების შესწავლა ფსიქოლოგიას დაეკისრა ისე, რომ თვით სუბიექტურის განსაზღვრის საქმე ბუნებისმეტყველების კომპეტენციაში დარჩა. ფაქტიურად ფსიქოლოგიას დაეკისრა ყოველივე იმის შესწავლა, რაც უვარგისი აღმოჩნდებოდა ბუნებისმეტყველებისათვის. ფსიქოლოგიას იმჯერად არ ჰქონდა თავისი საკვლევი ობიექტის საკუთარი კრიტერიუმი.

ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში, უმთავრესად ვუნდტის გავლენით, ბუნებისმეტყველების პრინციპები და ფსიქოლოგიის ამოცანები განსაზღვრული იყო, როგორც აზროვნების აპრიორული მოთხოვნილების ლოგიკური შედეგი: იმისათვის, რომ შექმნილიყო ბუნებისმეტყველება, ე. ი. ცოდნის ისეთი სისტემა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა შინაგანი წინააღმდეგობისაგან და, მაშასადამე,

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952, გვ. 10-11.

ლოგიკურ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა, საჭირო იყო ემპირიული სინამდვილის სათანადო გადამუშავება. ვინაიდან ვუნდტისა და მისი მრავალრიცხოვანი მიმდევრების შეხედულებით, ემპირიული სინამდვილე თავისთავად ჯერ კიდევ მხოლოდ პოტენციალურად შეიცავს ფიზიკის საგანს და ფსიქოლოგიური კვლევის საფუძველს, საჭიროა ეს მთლიანი გამოცდილება გაიყოს ორად: ობიექტურ და სუბიექტურ მოვლენებად, რათა შესაძლებელი გახდეს ბუნებისმეტყველებისა და ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინების, არსებობა. ბუნებისმეტყველებისა და, მით უმეტეს, ფსიქოლოგიის კანონზომიერება აქ მოცემულად, ობიექტურად არსებულად კი არ იგულისხმება, არამედ იგი მიეწერება აზროვნების მიერ შექმნილ მოვლენათა რიცხვს. ემპირიული ფაქტები, როგორც ისინი არსებობენ სინამდვილეში, თითქოს არ ემორჩილებიან იმ კანონებს, რომელთაც ეძებს მეცნიერება და რომლის გარეშე მეცნიერება წარმოუდგენელია. აქ აზროვნება კი არ ეგუება ფაქტებს, არამედ თვით ფაქტები უნდა გადამუშავდნენ იმგვარად, რომ აზროვნების მოთხოვნილება დააკმაყოფილონ. ამ აზრს იცავდა ბურჟუაზიულ ფსიქოლოგთა უმრავლესობა, იდეალიზმის სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები (მიუნსტერბერგი, ნატარპი, ბერგსონი, ციჰენი და სხვ.).

ცნობილია ის გადაულახავი სიძნელეები, რომელთა წინაშე აღმოჩნდა ფსიქოლოგია ასეთი წანამძღვარების მიღების გამო: თუ ის მოვლენები, რომლებიც მთლიანი გამოცდილებიდან გამოყოფილ იქნენ იმის გამო, რომ ისინი კანონზომიერების დადგენას უშლიდნენ ხელს, როგორღა მოხერხდება ამ მოვლენების მეცნიერული შესწავლა? სრულიად გაუგებარია, როგორ ხდება, რომ მოვლენა ერთ მეცნიერებას, ბუნებისმეტყველებას, არ აძლევს საშუალებას დაადგინოს კანონზომიერება, ხოლო მეორე მეცნიერებას, ფსიქოლოგიას, ყოველგვარ პირობებს უქმნის კანონზომიერების დასადგენად? როგორ ხდება ისეთი სასწაული, რომ ერთი და იგივე მოვლენა ხან ეგუება კანონზომიერებას, ხან კი ეწინააღმდეგება მას? თუ სუბიექტური ეწოდება იმას, რაც კანონზომიერებას ეწინააღმდეგება, როგორღაა შესაძლებელი მეცნიერება სუბიექტურის შესახებ, როგორაა შესაძლებელი მეცნიერება იმ დანაშთის შესახებ, რომელიც დანაშთია იმდენად, რამდენადაც იგი კანონზომიერების გარეთ არის წარმოდგენილი, კანონზომიერებას არ ეგუება? შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ბურჟუაზიული ფსიქოლოგი აშკარად აღიარებს აღნიშნულ ლოგიკურ შეუსაბამო-

ბას და ფსიქოლოგიას სრულიად „ათავისუფლებს“ კანონზომიერების აღმოჩენის მოვალეობისაგან. ფსიქოლოგიის ამოცანად აქ კანონზომიერების აღმოჩენა კი არ ივარაუდება, არამედ მისი დაშლა, მეცნიერების მიერ აგებული სისტემის რეკონსტრუქცია, რაც საერთოდ მეცნიერების გაუქმებას მოასწავებს.

ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის მეორე გზა ფსიქიკური სინამდვილის კონსტრუქციაში ხედავს გამოსავალს. ამ მიმართულების დამცველები შეუძლებლად თვლიან ფსიქიკური მოვლენების კანონებს არსებობას. იმისათვის, რომ ფსიქოლოგია შეიქმნეს როგორც ნომოთეტური მეცნიერება, მათი აზრით, საჭიროა მოვლენების ხელოვნური კონსტრუქცია, იმგვარი გადამუშავება, როგორსაც მოითხოვს მეცნიერების ბუნება. აქაც, მაშასადამე, ლაპარაკია არა მოვლენების ასახვაზე, არა იმის წვდომაზე, რაც თავისთავად, ჩვენი ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად არსებობს, როგორც ობიექტური კანონზომიერება, არამედ ამ მოვლენების გადაკეთებაზე, აპრიორული კანონების შესაბამისად. ასეთი შეხედულება შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მხოლოდ იქ, სადაც წინასწარ არის დაშორებული ერთიმეორეს მოვლენა და კანონი, სადაც ნაგულიხმევია მოვლენების არსებობა კანონების გარეშე და სადაც შემეცნების საგანი შემეცნების პროდუქტად არის წარმოდგენილი.

წინააღმდეგ ასეთი შეხედულებისა, მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ სინამდვილე საერთოდ და კერძოდ ფსიქიკური სინამდვილეც არსებობს, როგორც კანონზომიერების შემცველი ფაქტი. არც ერთი სახე სინამდვილისა არ საჭიროებს კანონის შეტანას აზროვნების მხრიდან, პირიქით, აზროვნების ძირითადი ამოცანა ის არის, რომ ობიექტურად არსებული კანონი ასახოს. მხოლოდ ასახვის მიზნით საგნებთან და მოვლენებთან მისვლას შეუძლია უზრუნველყოს მეცნიერული შემეცნება, მხოლოდ კანონის ობიექტურობას შეუძლია მოგვცეს ობიექტური ჭეშმარიტება.

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ფსიქოლოგიის კრიზისისა, კანონზომიერებასთან დაკავშირებით, იმაში მდგომარეობს, რომ პირველადი ფსიქოფიზიკური მთლიანობის დაშლის გზით მიღებული ფსიქიკური აბსტრაქცია საქმის რეალური მდგომარეობის ასახვად არის წარმოდგენილი. რასაკვირველია, მეცნიერება აბსტრაქტული მუშაობის გარეშე არ შეიძლება განვითარდეს, მაგრამ ლოგიკური შეცდომაა, ამ გზით მიღებული ცნებები მოვიყვანოთ წინააღმდეგობაში იმ რეალობასთან, რომლიდანაც ისინი გადმოღებული არიან. მეცნიერულია მხოლოდ ისეთი აბსტრაქცია, რომელიც, მართალია,

განცალკევებულად, მაგრამ მაინც იმას გვაძლევს, რაც მოვლენაში ობიექტურად არსებობს. აზროვნების ისტორია არა ერთ „პრობლემას“ იცნობს, რომლის საფუძველსაც აბსტრაქციისა და აბსტრაქტული ცნებების უმართებულო გამოყენება წარმოადგენს.

ადამიანზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. კონკრეტულ-ისტორიული პიროვნება ცხოვრობს და ვითარდება მრავალმხრივი ზემოქმედების პირობებში, მასზე მოქმედებს გეოგრაფიული გარემო, ადამიანთა კოლექტივი თავისი სპეციფიკური თვისებებით, თავისი ენით, ზნეჩვეულებით, თავისებური ფსიქიკური წყობით და სხვ. ადამიანის ფსიქოლოგია ანგარიშს უწევს ყოველივე ამას და ცდილობს, ადამიანის მმართველი კანონების შესწავლის დროს ყოველ ფაქტორს, რომელიც კი მონაწილეობას იღებს ადამიანის განვითარებაში, სათანადო ყურადღება მიაქციოს. ამ თვალსაზრისით წარმოებული კვლევა-ძიების ნიადაგზე ჩამოყალიბდა ფსიქოლოგიის მრავალი დარგი: გეოფსიქოლოგია, ისტორიული ფსიქოლოგია, ეთნიური ფსიქოლოგია, პროფესიული ფსიქოლოგია და სხვ. დღემდე ფსიქოლოგიის ეს დარგები არსებობენ და ვითარდებიან თავთავისთვის, ცალ-ცალკე, ერთიმეორის გვერდით. საბოლოო სურათი ფსიქოლოგიისა ამ ასპექტში გვაგონებს სოციოლოგიის მდგომარეობას, სანამ ათვისებული არ იყო მოძღვრება ისტორიის მატერიალისტურად ახსნის შესახებ და ე. წ. „ფაქტორების თეორია“ იყო გავრცელებული. როგორც ცნობილია, „ფაქტორების თეორია“ უძლური იყო როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. ის არ იძლეოდა ერთ მთლიან მეცნიერებას საზოგადოების შესახებ და ვერ ხელმძღვანელობდა ადამიანთა საზოგადოებრივ მოქმედებას. მხოლოდ მეცნიერული სოციალიზმის თეორიის შექმნით მოხერხდა საზოგადოების მამოძრავებელ ძალთა გააზრება ერთ მთლიან სისტემად და მათი პრაქტიკული გამოყენება საზოგადოების საკეთილდღეოდ. ეს სისტემა ემყარება იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ საზოგადოების განვითარების ძირითადი ფაქტორი ეკონომიკური ცხოვრებაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს სხვა მომენტების მოქმედებას.

მარქსისტულმა ფსიქოლოგიამ ამ შემთხვევაშიც მარქსისტულ სოციოლოგიას უნდა მიბაძოს. ადამიანის სულიერი ცხოვრების განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების მატერიალური წარმოების წესს, მის თავისებურებას. ფსიქოლოგიის მრავალფეროვნება და მისი საკვლევი საგნისადმი მრავალმხრივი მიდგომა გამართლებულია საქმის რეალური ვითა-

რებით, მაგრამ არაა დასაშვები ამ თვალსაზრისთა ურთიერთობის წარმოდგენა კოორდინაციის პრინციპის მიხედვით, სადაც ადამიანის ცნობიერებაზე მოქმედი ყოველი ფაქტორი თავისთავში ჩაკეტილად არის ნაგულისხმევი. მატერიალისტური დიალექტიკა გვიკარნახებს, აქ არსებული საქმის ვითარება სუბორდინაციის პრინციპის მიხედვით გავიაზროთ. ადამიანის სპეციფიკის ძიება საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების პრიზმაში განჭვრეტით უნდა წარმოებდეს. ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგები ამ გზით მიღებული ცოდნის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდნენ ერთ მთლიან ფსიქოლოგიურ სისტემად. ჩვენ გვესაჭიროება ის „რეალური ფსიქოლოგია“, რომელიც ადამიანის ბუნებას საზოგადოების ეკონომიკაში კითხულობს. ჩვენ გვჭირდება მეცნიერულად დახვეწილი, ზუსტად ჩამოყალიბებული მეთოდები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ, ამოვიკითხოთ ადამიანის ბუნება საზოგადოების მატერიალური წარმოების პირობებში, შრომის სოციალურ ფორმებში. ეს არის მარქსისტული ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი თეორიული ამოცანა, რომელიც ორგანულად უკავშირდება ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულ ამოცანებს.

ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მა თავის კლასიკურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გარკვევით მიგვითითა იმაზეც, რომ საზოგადოების განვითარების კანონების ობიექტური ხასიათი არა თუ არ ეწინააღმდეგება ადამიანის აქტივობას, არამედ, პირიქით, ამ აქტივობის რეალურ საფუძველს ქმნის: „ამბობენ, რომ ეკონომიკური კანონები სტიქიურ ხასიათს ატარებენ, რომ ამ კანონების მოქმედება გარდუვალია, რომ საზოგადოება უძლურია მათ წინაშეო. ეს არ არის სწორი. ეს არის კანონის გაფეტიშება, კანონებისადმი დამონება. დამტკიცებულია, რომ საზოგადოება უძლური არ არის კანონების წინაშე, რომ საზოგადოებას შეუძლია, რაკი იგი შეიცნობს ეკონომიკურ კანონებს და დაეყრდნობა მათ, შეზღუდოს მათი მოქმედების სფერო, გამოიყენოს ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის და „მოთოკოს“ ისინი, როგორც ამას ადგილი აქვს ბუნების ძალებისა და მათი კანონების მიმართ, როგორც ამას ადგილი აქვს დიდი მდინარეების გადმოხეთქვის ზემოთ მოყვანილ მაგალითში“ [1]. ადამიანი კანონების მონაა, სანამ შეიცნობდეს მათ, მაგრამ ადამიანი სასურველ შედეგს გამოაღებინებს ამ კანონებს, როცა მიაღწევს მათს სწორ ასახვას.

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952, გვ. 7.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება არაჩვეულებრივი სიჩქარით მიდის წინ. იგი თანდათანობით გადადის კომუნიზმში. საბჭოთა ადამიანების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა — მათი ცნობიერება, მათი შეგნება კვალდაკვალ მისდევდეს ცხოვრების განვითარებას და მთლიანად სოციალისტური და კომუნისტური იყოს მათი ფსიქიკაც და იდეოლოგიაც. ეს ამჟამად უაღრესად აქტუალური ამოცანაა, რომლის გადაჭრაშიც ფსიქოლოგიამ თვალსაჩინო როლი უნდა ითამაშოს. საბჭოთა ადამიანების ცნობიერებაში კიდევ მოიპოვება აქა-იქ ძველი, კაპიტალისტური ბაზისის ნიადაგზე აღმოცენებული ფსიქიკური წყობის გადმონაშთები. ბრძოლა ამ გადმონაშთების წინააღმდეგ მით უფრო ნაყოფიერი იქნება, რაც უფრო ღრმად შევისწავლით ადამიანის ფორმირების კანონებს, ეკონომიკური კანონების ადამიანზე ზემოქმედების ფაქტებს. მაგრამ ჩვენ წინაშე დგას არა მარტო ნეგატური ამოცანა — ბურჟუაზიული სოციალური წყობის გადმონაშთების ლიკვიდაციის ამოცანა, არამედ უმთავრესი პოზიტიური ამოცანა — საბჭოთა ადამიანებში ახალი, კომუნისტური შეგნების ელემენტების დანერგვის ამოცანა. მასების პოლიტექნიკური აღზრდა, რომელიც ერთ-ერთი ძირთადი პირობაა ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისა, ფსიქოლოგიას, პედაგოგიკასთან ერთად, ბევრ რამეს ავალებს. სანამ ეს მეცნიერებანი ხასიათდებიან, როგორც ჩამორჩენილნი, ისინი ვერ შეასრულებენ თავის მოვალეობას. ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს გენიალური ნაშრომები ენათმეცნიერების საკითხებსა და სოციალიზმის ეკონომიკურ პრობლემებზე გვაძლევენ თეორიულ საფუძველს და მტკიცე რწმენას იმისას, რომ ფსიქოლოგია მალე დააღწევს თავს ჩამორჩენილობას და მოგვცემს საბჭოთა ადამიანების ფსიქიკური ცხოვრების მეცნიერულ ასახვას.

А. Т. БОЧОРИШВИЛИ

К ВОПРОСУ О ЗАКОНОМЕРНОСТИ В ПСИХОЛОГИИ В СВЕТЕ ТРУДА И. В. СТАЛИНА „ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ СОЦИАЛИЗМА В СССР“

Резюме

1. Гениальный труд И. В. Сталина „Экономические проблемы социализма в СССР“ создает новый этап в развитии советской науки. Этот труд имеет значение не только для политической экономии, но и для всех наук без исключения. Сталинское учение об объективности законов науки является той истиной, без которой наука невозможна.

2. Законы науки представляют собой отражение объективно существующих в природе и обществе законов. Буржуазная „теория“, отрицающая существование объективных законов, не может обосновать истину науки и впадает в агностицизм и субъективизм. Ни объективный, ни субъективный идеализм не могут объяснить тот факт, что законы науки имеют практическое объективное применение при преобразовании природы и общества.

3. Законы, существующие в природе и обществе сами по себе, объективны, независимы от сознания, не подчиняются волевым актам человека. „Люди могут открыть эти законы, познать их, изучить их, учитывать их в своих действиях, использовать их в интересах общества, но они не могут изменить или отменить их“ (И. Сталин).

4. Предметы и явления природы и общества „органически связаны друг с другом, зависят друг от друга и обусловливают друг друга“ (И. Сталин). Эта зависимость между предметами и явлениями имеет характер объективного закона. Изучить предметы и явления, познать их признаки и свойства можно только в их взаимоотношениях, в условиях взаимодействия предметов и явлений. Форма и условие существования предметов и явлений являются в тоже время и условием их познания. Предметы и явления не нуждаются в пришедших извне, сверхестественных законах, для того, чтобы их познание стало возможным. Каждое явление и предмет природы и общества существуют как законный, содержащий в себе закон, факт. Объективное условие познания — закономерность явления и предмета — создана не актом

познания, а предшествует акту познания и является условием его реализации.

5. Ошибочно утверждение субъективного идеализма, что закон прилагается к явлению, как средство его регулирования. Ошибочно и то мнение объективного идеализма, как будто закон предшествует явлению. Явление и закон неразрывно связаны друг с другом, явление содержит в себе закон, совершается по закону и закон всегда является законом явления и предмета. Данные в науке законы объективны, научны постольку, поскольку они правильно отражают независимые от сознания объективные законы.

6. Открытию законов развития общества долго мешало распространенное в буржуазной науке мнение о „свободе" человека, о пребывании его вне закона. Одним из основных положений научного социализма является то, что человеческое общество так же подчиняется объективным законам, как и природа; человек, как член общества, включен в круг действия социальных законов. Настоящая наука о человеке стала возможной только после того, как были открыты объективные законы развития общества, „которые управляют телесным и духовным бытием человека" (Ф. Энгельс).

7. Первым условием свободы человека является необходимость, сознание которой и есть единственно возможная свобода. Только осознанный закон дает человеку свободу, которая непрерывно растет вместе с ростом познания законов природы и общества. Разговор об активности человека лишен конкретного содержания, пока не осознана та мысль, что основой активности является сознание необходимости, познание объективных законов.

8. Общеизвестным фактом является искание объективного основания для научного познания психологических явлений. Много бесплодного труда потратила в этом направлении буржуазная психология как идеалистическая, так и механистическая. Ни у идеализма, ни у механистического материализма нет такого понятия объективного, которое могло бы пригодиться в качестве опоры психологии — у идеализма потому, что у него вообще нет понятия реального объекта, а механистический материализм не признает специфических объективных законов существования и развития общества, вне которых психология человека, как само-

стоятельная научная дисциплина, неосуществима. Сталинское положение об объективных законах общества является основой научного познания человека, логической базой реальной психологии.

9. Вследствие той необыкновенной сложности, которая характеризует предмет изучения психологии, является оправданным многообразие психологии, ее многосторонний подход к своему объекту. раззитием и творчеством человека управляют многие факторы, но решающим и ведущим всегда является экономика общества. На этом принципе строится основная психологическая дисциплина, которая оказывает теоретическое руководство всем остальным психологическим дисциплинам.

10. Психология только тогда будет успешно изучать психологические особенности человека и вести борьбу с буржуазными пережитками в сознании людей, когда она станет действительно реальной наукой, для которой „история промышленности и возникшее предметное бытие промышленности есть раскрытая книга человеческих сущностных сил, чувственно предлежащая пред нами человеческая психология (К. Маркс).

ა.ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XI, 1952—1953.

ვ. როგავა

ნააფიძსარი დ-ს ფონეტიკური სახეცვლილებანი და ზეცა ფუძის აგებულების საკითხი

ნივთთა გრამატიკული კლასის აფიქსი დ ქართველურისა და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების საერთო კუთვნილებაა. ეს აფიქსი ფუძეში შეზრდილი სახით დადასტურებულია რიგ სიტყვებში: ქართ. დათვი[1], ჭან. დიმჭკუ „ჭიანჭველა“[2], ზან. დიშქა „შეშა“[3], სვან. დოშდულ „მთვარე“[4], ქართ. დოკონი (გურ.) „ბოკონი“ და სხვ... რიგ შემთხვევებში კი ეგევე დ სახელის ფუძისეულ თანხმოვანთან ასიმილაციით გადასული ჩანს სათანადო თანხმოვნებში — თ, ტ, ჯ, ჩ, ჭ, ზ... მაგალითად, ძვ. ქართ. თთუე ← *დთუე, ზან. თუთა ← *დუთა „მთვარე“[5], ზან. თუნთი ← დუთ-ი „დათვი“[6], ქართ. ტყემალი ← დყემალ-ი[7], ქართ. ჭინჭველ-ი ← ჯინჭველ-ი ← დინჭველი[8], ჭინჭარ-ი ← ← ჯინჭარ-ი ← დინჭარ-ი[9], ზან. ზესკუ || ზესქვ-ი „შაშვი“ ← დესქვ-ი[10]...

დ კლასნიშანშეზრდილი ფუძეები ქართველურ ენებში მეტ შემთხვევაში ფონეტიკურად შეცვლილი სახით უნდა გვხვდებოდეს, განსაკუთრებით კი გააფრიკატებული სახით. დ აფიქსის გააფრი-

---

[1] არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 88.
[2] იქვე, გვ. 113.
[3] იქვე, გვ. 157.
[4] იქვე, გვ. 203.
[5] იქვე, გვ. 203.
[6] იქვე, გვ. 239.
[7] იქვე, გვ. 126.
[8] იქვე, გვ. 114.
[9] მისივე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 174.
[10] მისივე, შედარ. ლექს., გვ. 105.

კატება-გასპირანტება ძირისეულ თანხმოვნებთან შორეული ასიმილაციის საფუძველზე უნდა მომხდარიყო უმთავრესად მას შემდეგ, რაც ამ აფიქსმა დაკარგა ფუნქცია და შეეზარდა ფუძეს.

დ ნააფიქსარი ელემენტი **ჯ — ჩ — ჭ** და **ძ — ც — წ** ძირისეულ თანხმოვნებთან ასიმილაციის შედეგად შეიძლება გადავიდეს სათანადო აფრიკატებში, ხოლო ძირისეულ **ს** და **ზ** სპირანტებთან ასიმილაციით გადავიდეს **ზ** თანხმოვანში.

I. ნააფიქსარი **დ** ძირისეულ შიშინა აფრიკატებთან ასიმილაციით გადასული ჩანს შიშინა აფრიკატებში:

სვან. **ჯ**იჯვ („ძვალი“) ← *დ იჯვ[1].

ქართ. **ჩ**იჩვირ-ი ← *დ იჩვირ-ი, შდრ. **ნ**იჩვირ-ი. **ჩ**იჩვირ-ი ← *ჯ იჩვირ-ი ← *დ იჩვირ-ი. *დ იჩვირ-ში **დ** კლასნიშანია **ნ**იჩვირის **ნ**-ს ეკვივალენტი. ამოსავალი სახეობის *დ იჩვირ-ის თავის დროზე არსებობას ადასტურებს ქართული ტუჩ-ი. ფუძე ტუჩ იმავე სავარაუდო *დ იჩვირ-ის უდეტერმინანტო ვარიანტია. ნააფიქსარი **დ** ძირისეულ **ჩ** ყრუ ბგერასთან ასიმილაციით გამკვეთრებულა: ტუ-ჩ ← *დუ-ჩ ← *დუ-ჩვ ← *დი-ჩვ[2].

ტუჩ ფუძის წინასახეობის დუჩ-ის ოდესღაც არსებობას ადასტურებს დრუნჩ-ი. საყურადღებოა ფონეტიკის თვალსაზრისით *დუჩ ფუძეში — მომდევნო ყრუ ფშვინვიერი **ჩ**-ს გავლენით. ანალოგიური ფაქტი სხვაც დასტურდება. მას მნიშვნელობა აქვს საერთოდ მკვეთრი ბგერების წარმოშობის საკითხისათვის ქართველურ ენებში.

ქართულის დასავლურ კილოებში გავრცელებულია სიტყვა ჭენჭყო, შდრ. მეგრ. ჭენჭყი „ჭაობიანი ადგილი“. მეგრულშივე ჭენჭყ-ის მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ლენჭყ-ი. ორსავე ფუძეში ძირია **ჭყ**, რაც ქართულ წყ (წყ-ალ) ძირის ზანური შესატყვისი ჩანს. ლენჭყ- ფუძეს გამოეყოფა **ლე**- ნივთთა კლასის აფიქსი, ხოლო ჭენჭყ- ფუძეში **ჭე** უნდა მომდინარეობ-

---

[1] არნ. ჩიქობავა, ქართული ძვალ ფუძის ზანური შესატყვისობისათვის, საკ. მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, № 1, 1940.

И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, 1914, გვ. 364.

[2] ანალოგიური ფაქტები სხვაც შეიძლება დავასახელოთ. მაგალითად, მეგრ. ლუღ — („ლეღვი“) ← ლა-ღვ-, შდრ. მეგრ. მალაღური ← მა-ლაღვ--ურ-ი „ლეღვის მჭამელი ჩიტი“: ლაღვ → ლუღვ → ლუღ.

დეს **დე-** კლასნიშნისაგან. **ნ** ფონეტიკურადაა განვითარებული: *დე-(ნ)ჰყ→*ჯე-(ნ)ჰყ→ჰენჰყ-.

საინტერესოა ლეჩხუმურში შემონახული სიტყვა ლაჰე იმავე ჰენჰყოს მნიშვნელობით[1]. ლაჰე უნდა იყოს იმავე ზანური ლენჰყ და *დენჰყ ფუძეების ვარიანტი, სადაც ძირეული ნაწილი **ჰ** შემონახულია **ყ**-ს განუვითარებლად. შდრ. მეგრ. ჰ-ორ-ოფა „წვიმიანი წელი“, სიტყვა-სიტყვით — წყლიანობა[2]. **ლა-** ლაჰე ფუძეში კლასნიშანია, ხოლო **-ე** — დეტერმინანტის თანხმოვანდაკარგული ელემენტი უნდა იყოს. ლეჩხუმურ ლაჰ-ე ფუძის შესატყვისია სვანური ლი-ც←*ლი-წ „წყალი“[3].

ქართულის დასავლურ კილოებში ჰაჰა იხმარება თირკმელის მნიშვნელობით. ეგეევე სიტყვაა მეგრულშიც. ჰაჰა უნდა მომდინარეობდეს *დაჰა-საგან, სადაც ძირია **ჰ**, ხოლო **დ** ნივთთა კლასის ნიშანი. ძირისეული **ჰ** უნდა უკავშირდებოდეს ზანურ ჰ-უ („ნაწლევი“, „წელი“) ფუძეს. მეგრულში ეგეევე ძირი დადასტურებულია ო-ჰიშ- („წელი“) ფუძეში[4]. *და-ჭ-ა→*ჯა-ჭ-ა→ჭა-ჭ-ა. ქართულის დიალექტებში ჰაჰა ზანურიდან უნდა იყოს შესული.

ქართ. ჰუჰრუტანა სიტყვაში ჰრუტ უკავშირდება ჰვრეტ ზმნის ფუძეს. თავკიდური **ჰუ** უნდა იყოს მიღებული ნივთთა კლასის **დუ**, უკეთ **დი** ნიშნისაგან — სრული ასიმილაციის საფუძველზე: ჰუჰრუტანა←*ჯუჰრუტანა←ჯი-ჰრუტანა←*დი-ჰრუტანა.

*ჯუჰრუტანა ვარიანტის თავის დროზე არსებობის დამადასტურებელია იმერულში შემონახული ჯუჯრუტანა, მიღებული *ჯუ-ჰრუტანა-საგან პროგრესული ასიმილაციით. შდრ. მეგრ. ჰი-ჰკიტია „ჯინჭველი“←*ჯი-ჰკიტია (რეგრესული ასიმილაციით) || ჯი-ჯგიტია←*ჯი-ჰკიტია (პროგრესული ასიმილაციით)[5].

---

[1] მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, 1938, გვ. 149.

[2] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 21.

[3] იქვე, გვ. 21.

[4] არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 70.

[5] იქვე, გვ. 114.

ჰუჰრუტანა სიტყვის ამოსავალი ფუძე ჰრუტ←ჰვრეტ დრეკადია: ჰვრეტს=ჰვრიტა[1]. ამდენადვე -ეტ ნასუფიქსარი ნაწილია. ჰვირ ფუძე გვხვდება სიტყვებში ჰვირ-ი „შეხედვა“ (საბა ორბელიანი), ჰვიროობა „ჰვრეტა“ (საბა ორბელიანი), გამჰვირვალე და სხვ... ქართული ჰვირ ფუძის შესატყვისია მეგრული ჰკორ სიტყვაში ოჰკორიე „სარკმელი“, ე. ი. საჰვრეტელი. ყურადღებას იპყრობს ამ მხრივ საბასეული განმარტება სიტყვისა სარკმელ-ი „სახლთ სასინათლო ანუ გადასაჰურეტი“ (ლექსიკონი).

ცნობილია აგრეთვე სხვა მაგალითები ნააფიქსარი დ-ს გააფრიკატებისა ჰ ძირისეულ თანხმოვნებთან ასიმილაციით:

ქართ. ჰინჰარ-ი ← ჯინჰარი ← დინჰარ-ი[2], შდრ. მეგრ. ჰუჰელე („ჰინჰარი“) ← ჯუჰელე ← დუჰელე.

ქართ. ჰინჰველ-ი ← ჯინჰველ-ი ← დინჰველ-ი...[3]...

ქართ. ჯაჰვ-ი ← დაჰვ-ი[4].

II. ნააფიქსარი დ ფუძისეულ ძ — ც — წ სისინა აფრიკატებთან ასიმილაციით გადადის სათანადო აფრიკატებში:

ქართ. ძუძუ ← დუძუ[5].

ქართ. ცარცვავს ← ძარცვავს ← დარცვავს[6].

მეგრ. ძიცა („სიცილი“) ← დიცა[7] (ნაწილობრივი ასიმილაციით).

ქართ. წიწვ (წიწვიანი) ფუძეში ძირი უნდა იყოს წვ, რაც უნდა უკავშირდებოდეს ქართულ-ზანურ ფუძეს ფიჰვ ← ბი-ჰვ. წიწვ უნდა იყოს მიღებული დიწვ-ისაგან, სადაც დი- ნააფიქსარი ელემენტია — ბი-ჰვ → ფიჰვ ფუძის ბი-ს მორფოლოგიური ეკვივალენტი: წიწვ ← ძიწვ ← დიწვ. ბეწვ ფუძეც შეიძლება ამავე ძირს შეიცავდეს. უპრეფიქსოდ ეგევე ძირი უნდა გვქონდეს ძვ. ქართულის ფუძეში წუ-ელ-ი.

---

[1] ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 230.

[2] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძ. უძვ. აგებულება, გვ. 174.

[3] მისივე, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 114.

[4] გ. როგავა, „ჯაჰვ ფუძის შედგენილობისათვის“, აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XXIV, 1951.

[5] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვ. აგებ., გვ. 170.

[6] მისივე, შედარ. ლექს. გვ. 372.

[7] იქვე, გვ. 381.

ჭან. წიწ-ი „ნაწლავი" (ხოფური კილოკავით)[1]; სხვა კილოკავებში იხმარება ჭუ. წიწ ფუძის ძირი უნდა იყოს ბოლოკიდური წ, შდრ. ქართ. წ-ელ-ი, ხოლო თავკიდური წი- უნდა იყოს მიღებული დი- აფიქსისაგან: წიწ ← *ძიწ ← *დიწ.

ქართ. წინწკალ-ი „ნაბერწყალთ ნაწილი" (საბა ორბელიანი) უნდა იყოს მიღებული დი(ნ)წკალ-ისაგან, რომელშიც დი- ნააფიქსარი ელემენტია, ხოლო წკ- ძირი, ნ ფონეტიკური ჩანართია. ეგევე წკ ძირი უნდა იყოს სიტყვაში ნაპერწკალ-ი || ნაბერწყალ-ი. ნაპერწკალ-ში ნა- სიტყვაწარმოებითი აფიქსია. პერწკალ ← ბე-რწკალ. ბე- ნააფიქსარი ნაწილია, რ ფონეტიკური ჩანართია. წიწკალ ← *ძინწკალ ← *დინწკალ. წინწკალ ფუძის პარალელურად იხმარება წინწკლ-ი[2]. წინწკლ-ი ← წინწკალ. რედუქცია დეტერმინანტის სმოვნისა უნდა გამოეწვია წი მახვილიან მარცვალს.

III. ნააფიქსარი დ ძირისეულ სპირანტთან ასიმილაციით გადადის სისინა სპირანტში.

ზან. ზეხქვ-ი („შაშვი") ← *დე-სქვ-ი[3].

მეგრ. ზიხხირ-ი („სისხლი") ← *დიცხირი[4].

სვან. ზეხრა („ცაცხვი") ფუძის ძირისეული ნაწილია სხ ← ცხ, შდრ. ქართ. ცა-ცხ-ვ-ი ← სა-ცხ-ვ-ი[5], რა სუფიქსია. შდრ. სვან. ჯიჰ-რა „მუხა" და სხვა... ზე უნდა მომდინარეობდეს დე- ნივთთა კლასის აფიქსისაგან. ზე-სხ-რა ← *დე-სხ-ხა, შდრ. ჭან. დუცხუ[6].

სვან. ზისყ || ზგსყ („რწყილი") ფუძეში ძირია წყ, შდრ. ქარ. რ-წყ-ილ-ი და ზან. წყ-ირ-ი. ზი მიღებულია დი- ნააფიქსარი ელემენტისაგან. სვან. ხყ კომპლექსის შესატყვისია ამ შემთხვევაში ქართულსა და მეგრულში წყ კომპლექსი.

ქართულ-ზანურ წყ || წკ კომპლექსებს სვანურში ხშირად შეესატყვისება სყ || სკ: ქართ. მარწყვი: სვან. ბახყ („მარწყვი"), მეგრ. ღვენწკი („ჭია"): სვან. ღვახყ („ჭია"), მეგრ. წკირი („წვეტიანი ჯოხი"): სვან. ხკგრე || სკგრი („წვეტიანი ჯოხი"), მეგრ.

---

[1] Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, 1910, გვ. 219.

[2] ი. ჟყონია, სიტყვის-კონა, გვ. 67.

[3] არნ ჩიქობავა, შედარ. ლექსიკონი, გვ. 105.

[4] იქვე, გვ. 72.

[5] იქვე, გვ. 129.

[6] იქვე, გვ.

გარწკინდი „ბეჭედი (თითისა)“: სვან. მგსკად „ბეჭედი (თითისა)“ და სხვა...

სვანურის ვითარება ყველა ამ შემთხვევაში მეორეული უნდა იყოს.

სვან. ზგსკი („მშრალი“) ზედსართავი სახელის ძირია **სკ**, ზგ-**დი**-საგანაა მიღებული. შდრ. ზან. სქირუ („მშრალი“) ← სქურუ ← *სქურუ (შდრ. ქართ. მშრალი).

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილ მასალებში ძირისეული **ს** სპირანტი **დ** ნივთთა კლასის პრეფიქსს მხოლოდ ნაწილობრივ იმსგავსებს: ზი-სყ ← *დისყ, ზგსკი ← *დგსკი და სხვა... სრული ასიმილაციის ეჭვმიუტანელი შემთხვევა არა გვაქვს. ქართ. სისხლ-ის ტიპის მაგალითებში თავკიდური **ს** ნივთთა კლასის **ს** ექსპონენტია[1].

წარმოდგენილი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ აფრიკატები — **ჯ** — **ჩ** — **ჭ**, **ძ** — **ც** — **წ** ნააფიქსარ **დ**-ს ასიმილაციის საფუძველზე გადააქცევენ სათანადო აფრიკატებად, რის გამო ხშირად ერთსა და იმავე სიტყვაში გვხვდება ორი ერთნაირი აფრიკატი: სვან. **ჯ**იჯვ, ქართ. **ჭ**ინჭველ, **ჭ**ინჭარ, **ჩ**იჩვირ, **ჭ**უჭრუტანა, **ც**არცვ და სხვ... უნდა ვიფიქროთ, რომ შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში, სადაც ასეთი აფრიკატები ერთი და იგივე ორჯერ გვხვდება სიტყვის ფუძეებში (როგორიცაა წიწილ-, ზან. ჭუჭულ და სხვა). თავკიდური აფრიკატი ნააფიქსარი **დ**-ს ფონეტიკური ვარიანტი შეიძლება იყოს. ცხადია, ასეთი ფუძეები შეიძლება სხვა გზითაც იყოს მიღებული (ფუძის განმეორებით თუ სხვადასხვა ფუძეების შეერთებით...), მაგრამ ასეთი შემთხვევების რაოდენობა შედარებით ნაკლები უნდა გვქონდეს.

ნააფიქსარი **დ** ძირისეულ აფრიკატთან ჩამოთვლილ მაგალითებში ყველგან იძლევა ისევ აფრიკატს, მეღერსა თუ ყრუს. ამ კანონზომიერი მოვლენის გადახვევის ერთ-ერთი საყურადღებო მაგალითი უნდა გვქონდეს ჩვენთვის საინტერესო **ზეცა** სიტყვის სახით.

ძველს სალიტერატურო ენაში **ზეცა** და **ცა** სინონიმებია:

...ნათლის-ცემაჲ იოვანესი ზეცით იყო ანუ კაცთაგან... (მ. 21, 25 C).

...ნათლის-ცემაჲ იოვანესი ცით გარდამო იყო ანუ კაცთაგან... (მრ. 11, 30 C).

---

[1] არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 72.

ქართული სიტყვა ზეცა წარმოადგენს ერთ-ერთ იმ სიტყვათაგანს, რომლის აღნაგობაში ნ. მარი თავისი მრუდი სათვალეებით ეძებდა ე. წ. „ახალი მოძღვრების“ ანტიმეცნიერული, ანტიმარქსისტული დებულებების გამართლებას.

ნ. მარი მრავალ ადგილას ეხება ზეცა სიტყვას. მისი აზრით, ზეცა მიღებულია ზე, ზემო და ცა-საგან. ცა სიტყვა, „ახალი მოძღვრების“ მიხედვით, პოლისემანტური სიტყვა იყო. იგი აღნიშნავდა თურმე როგორც ცა-ს (ცა), ისე მიწასაც (ქვეყანა) და წყალსაც (წყალი) || ზღვას (ზღვა). შემდეგში თურმე ცის (ცა) მნიშვნელობის გამოსაყოფად მას დაერთო მსაზღვრელი სიტყვა ზე (ზემო): ზე-ცა, ზემო-ცა.

ამის შესახებ ნ. მარი წერს: „Ведь палеонтолологией речи установлено, что как „небо“, „земля“ и „море“ назывались одним словом, как бы „небесами“ трех плоскостей, верхнего (нашего неба), земли (нижнего неба) и моря (преисподнего или подземного неба), т. е. все три понятия обозначались одним словом так отождествляемые органическим элементом „огонь“, равно „воздух“, с „небом“ верхним, „земля“ с „небом“ нижним и „вода“ с небом подземным обозначались одним и тем же словом, и лишь для выхода из этого полисемантизма (многозначимости) слов к термину для уточнения стало прибавляться слово, обозначающее плоскость данного предмета... груз. ზე-ცა „небо“, буквально „верхнее небо“, наше „небо“.

სხვა ადგილას ნ. მარი იმეორებს ამავე დებულებას და ცა ფუძის ვარიანტად თვლის ძველი ქართულის შთა-ს. „так как ცა, — წერს ნ. მარი, — значило, как значит и теперь наше „небо“, по представлению доисторического человека — „верхнее небо“, отсюда у грузин же теперь уже понятное другое название этого неба ზე-ცა, букв. „верхнее небо“, а ცა значило по дифференциации „нижнее небо“, звуча в древне-литературном с разложением შთა“[1].

შთა პრევერბს, ცხადია, არაფერი აქვს საერთო ცა ფუძესთან. შთა, როგორც ცნობილია, მიღებულია შე და და პრევერბების შერწყმით[2].

---

[1] Н. Марр, О происхождении языка, ტ. II, გვ. 192.

[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1942, გვ. 238.

ამავე ზეცა სიტყვას ნ. მარი კიდევ სხვა ადგილას უკავშირებს ზედა ზმნისართ-თანდებულს.

იგი წერს: „Раньше мы находили наши опорные пункты главным образом в своеобразном диффузном положении вещей таких языков (яфетической системы), как, напр., грузинский, где зе-да (← зе-да → зе-ца) означает „верх", „на" и одновременно „небо" [1].

зе-да თანდებულ-ზმნისართის да- зе-ца-ს სახელის ца-სთან დაკავშირება და ამოსავალ ვითარებად *зе-да-ს მიჩნევა უსაფუძვლოა. ამისი მსგავსი ფონეტიკური გადასვლები ქართველური ენების მონაცემების მიხედვით არ დასტურდება. სემანტიკური კავშირიც მათ შორის ნებისმიერია. ნავარაუდევ зе-да ვარიანტის да-ს გამოცხადება ამოსავალ ვითარებად ნ. მარს დასჭირდა იმისათვის, რომ ეს д დაეკავშირებინა აფხაზურ სიტყვასთან а-дз „წყალი".

ქართ. зеца, ჩვენი აზრით, უნდა მომდინარეობდეს *дэ-ца-საგან, სადაც дэ- ნივთთა კლასის ექსპონენტი უნდა იყოს. ამას ადასტურებს სვანურის ვითარება, სადაც აქამდის შემონახული ჩანს ეგევე д ნააფიქსარი ნაწილი, სვან. დეც „ცა":

დეც სერ ლასგიდ დემთე გვარა.

„ცის გარდა გადასახედი არსად გვქონდა" [2].

ამოსავალ *дэ-ца-ს უნდა მოეცა შორეული ასიმილაციით дзеца. ასეთი რამ არსად არ დასტურდება. дэ-ца-ს მოუცია зе-ца. ამ შემთხვევაში д- აფრიკატის გასპირანტება, ჩვენი აზრით, ხალხური ეტიმოლოგიის შედეგია, სახელდობრ, *деца-ს *дэ-ца-ში გადასვლის მომენტში მომხდარა *дэ-ца-ს გააზრიანება зе-цад, земо-цад.

д- კლასნიშნიანი зе-ца (←*дэ-ца) და უკლასნიშნო ца ვარიანტების გარდა, ქართულში უნდა გვქონდეს ამ ფუძის ს- კლასნიშნიანი მესამე ვარიანტიც — სასა.

სასა სიტყვა გვხვდება ძვ. ქართულში. საბა ორბელიანს ეს სიტყვა მითითებული აქვს ძველი აღთქმის წიგნით. მართლაც сасаа გვხვდება დასახელებულ ძეგლში (ნაბეჭდში): ...და ნაყოფი მისი ტკბილ сасаса შინა ჩემსა (ქება ქებათა, 2,$_2$).

---

[1] Н. Марр, Безличные, недостаточные, существительные и вспомогательные глаголы, ტ. IV, გვ. 308.

[2] სვანური პოეზია, ა. შანიძის, ვ. თოფურიას და მ. გუჯეჯიანის მიერ გამოცემული, 1939, გვ. 40.

სასა უნდა იყოს მიღებული *სა-ცა-საგან, სადაც იმავე ცა ფუძის სა- აფიქსი *დე-ცა- ფუძის დე-ს მორფოლოგიური ეკვივალენტია. სა-სა მივიღეთ *სა-ცა-საგან პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე. სასის მნიშვნელობით ქართულის დიალექტებში იხმარება ცა (გურული). მეგრულშიც სასას აღნიშნავს ცა. ცა და სასა სიტყვების სემანტიკური ერთიანობა სხვა ენათა მასალების მიხედვითაც დასტურდება, შდრ. რუს. небо და нёбо.

ამგვარად, ნ. მარი მისმა „თეორიულმა პრეტენზიებმა“ და კონკრეტული ენების გრამატიკული წყობის ისტორიისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის უგულებელყოფამ ამ შემთხვევაშიც მიიყვანა ფაქტების ნებისმიერ ინტერპრეტაციამდის.

ი. ბ. სტალინმა საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ-ერთ ამოცანად დასახა ნ. მარის შეცდომების უარყოფა. საბჭოთა ენათმეცნიერების ვალია, ნ. მარის ე. წ. „ახალი მოძღვრების“ დებულებათა უარყოფასთან ერთად, ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების შუქზე გადასინჯოს ყველა ის კონკრეტული ენობრივი ფაქტი, რის საფუძველზედაც ცდილობდა ნ. მარი აეგო თავისი საენათმეცნიერო „მოძღვრება“, განსაკუთრებით კი უნდა გამოიყოს ისეთი ფაქტები, რომლებიც ერთი შეხედვით თითქოს გარკვეულ მეცნიერულ ანალიზს ემყარებიან.

Г. В. РОГАВА

ФОНЕТИЧЕСКИЕ ВАРИАНТЫ ОКАМЕНЕЛОГО АФФИКСА დ КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКОВ И СОСТАВ ГРУЗИНСКОГО СЛОВА ზეცა „НЕБО“

Резюме

В работе показаны случаи полной (и частичной) ассимиляции в основах имен (и глаголов) картвельских языков окаменелого аффикса (префикса) დ с корневыми аффрикатами и спирантами — ძ-ც-წ, ჯ-ჩ-ჭ, ს... Дана критика марровского толкования грузинского слова ზეცა „небо“ в свете трудов И. В. Сталина. Доказывается, что груз. ზეცა восходит к *დეცა. В основе *დეცა корневым элементом является ც(ა), დე- — окаменелый аффикс грамматического класса вещей. В первичном виде эта основа сохранилась в сванском языке, сванск. დეც „небо“.

ალ. ფულუქიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XI, 1952—1953.

ძ. ძოწენიძე

ზემოთმერული კილოკავი

ი. ბ. სტალინის ფუძემდებელ ენათმეცნიერულ შრომებში სხვა საკითხებთან ერთად დასაბუთებული მეცნიერული გადაწყვეტა პოვა საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების ურთიერთობის საკითხმაც.

წინააღმდეგ ნ. მარისა და მისი მიმდევრებისა, რომლებიც „კლასობრივი“ ენების აღიარებითა და „კლასობრივი“ დიალექტების განსაკუთრებული მნიშვნელობის გახაზვით საერთო-სახალხო ენებს უგულებელყოფდნენ, ი. ბ. სტალინი ნათელს ხდის, რომ ენის, როგორც სპეციფიკური საზოგადოებრივი მოვლენის, ბუნება განსაზღვრავს საერთო-სახალხო ენის აუცილებლობასაც და უფრო მცირე ერთეულების — ტერიტორიული დიალექტების არსებობასაც.

ტერიტორიული დიალექტების თავისებურებანი, რომლებიც ეხება ძირითად ლექსიკურ ფონდსაც და გრამატიკულ წყობასაც, კი არ უარყოფს, არამედ ადასტურებს საერთო-სახალხო ენის არსებობას. საერთო-სახალხო ენა ემყარება იმას, რაც საერთოა ტერიტორიული დიალექტების ძირითად ლექსიკურ ფონდსა და გრამატიკულ წყობაში.

„კლასობრივი“ დიალექტებისაგან განსხვავებით, ადგილობრივი (ტერიტორიული) დიალექტები, აღნიშნავს ი. ბ. სტალინი, „ემსახურებიან ხალხის მასებს და აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამის გამო ზოგიერთი ადგილობრივი დიალექტი ერების შექმნის პროცესში შეიძლება საფუძვლად დაედოს ეროვნულ ენას და განვითარდეს დამოუკიდებელ ეროვნულ ენად“ [1].

ეროვნული ენა წარმოადგენს საერთო-სახალხო ენის უმაღლეს ფორმას. იგი ამავე დროს სალიტერატურო ენაცაა, რომელსაც საფუძვლად უძევს გარკვეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარე-

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1951, გვ. 41.

მოებათა შედეგად ერთ-ერთი ტერიტორიული დიალექტი, მაგრამ საზრდოობს სხვა ტერიტორიული დიალექტების მასალითაც. თავის მხრივ სალიტერატურო ენა ზემოქმედებას ახდენს დიალექტებზე. მით უფრო ძლიერდება სალიტერატურო ენათა ზემოქმედება ტერიტორიულ დიალექტებზე, მით უფრო მალე ქრება დიალექტური განსხვავებანი, რაც უფრო მაღალია კულტურის განვითარების დონე. ამიტომ, ცხადია, ყველაზე მეტად ტერიტორიულ დიალექტებზე სოციალისტური საზოგადოების სალიტერატურო ენები მოქმედებს.

ი. ბ. სტალინის მოძღვრება ენისა და დიალექტების შესახებ დიდ შესაძლებლობას იძლევა მოგვარდეს სალიტერატურო ენათა და ტერიტორიულ დიალექტთა ურთიერთობა, გეგმაშეწონილად წარიმართოს სალიტერატურო ენათა განვითარება, ცალკეული ენებისა და დიალექტების კვლევა.

ეს ნარკვევი იმერული დიალექტის ზემოიმერულ კილოკავს შეეხება. მართალია, გრამატიკულ ლიტერატურაში ზემოიმერულის ზოგი თავისებურების შესახებ მითითებანი მოგვეპოვება, მაგრამ არა გვაქვს ზემოიმერულის ნიშანდობლივი მონაცემების სისტემატური ანალიზისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომი[1].

წინამდებარე ნარკვევი ზემოიმერულის თავისებურებათა სისტემატიზაციის ცდაა. იგი ზემოიმერულის სრულ დახასიათებას ვერ იძლევა: მასში წარმოდგენილია ენობრივი თავისებურებანი, რომლებიც მხოლოდ ჭიათურისა და საჩხერის რაიონების სოფლების მეტყველებაზე დაკვირვების შედეგადაა შემჩნეული.

ძირითადად ვემყარებით სოფ. წირქვალში, სოფ. ზედუბანსა (ჭიათურის რაიონი) და სოფ. პერევში (საჩხერის რაიონი) შეკრებილ მასალებს. დაკვირვება ვაწარმოეთ სოფ. ზოდის, სოფ. ხრეითისა და სოფ. პერევისის მეტყველებაზეც (ჭიათურის რაიონი), რომ შეგვემოწმებინა, რამდენად დამახასიათებელია ზემოიმერულისათვის მოხსენიებულ სამ სოფელში შეკრებილი მასალებით შენიშნული გრამატიკული და ლექსიკოლოგიური თავისებურებანი.

ი. ბ. სტალინის მოძღვრების თანახმად, დიალექტის თავისებურებას მისი ლექსიკა (კერძოდ, ძირითადი ლექსიკური ფონდი)

---

[1] ორჯონიკიძის რაიონის მეტყველება შესწავლილი აქვს პ. ჯაჯანიძეს. იხ. პ. ჯაჯანიძე, ვახანურას მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, გვ. 63-79.

და გრამატიკული წყობა განსაზღვრავს, მაგრამ ამ ნარკვევში, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ჩვენს ხელთ არსებული მასალები იძლეოდა, წარმოდგენილია მხოლოდ ზემოიმერულის გრამატიკული წყობა. ზემოიმერულის ლექსიკოლოგიური მასალები ცალკე იქნება განხილული.

ფონეტიკური მოვლენები

ფონეტიკური შედგენილობით ზემოიმერული სალიტერატურო ქართულისაგან არ სხვაობს. გამონაკლის შემთხვევებში სახელის ბოლოკიდური ხმოვნის შემდეგ მოხვედრილი **ი** თითქოს ჲ-ის აკუსტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ჩვეულებრივ კი სრული **ი** აღიქმება.

ზემოიმერულში ყურადღებას იქცევს მახვილის საკითხი, მაგრამ იგი სპეციალურ კვლევას მოითხოვს და აქ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით. წინასწარ შეგვიძლია აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ზემოიმერულს უნდა ჰქონდეს დინამური მახვილი, ადგილის მიხედვით სალიტერატურო ქართულის. მსგავსად ნახმარი, მაგრამ ტონური მახვილის ელემენტებით. მაგალითად: მე́ვიდა ი კაცი... დარი́სპანო, ი ბიჭი ქვე იყო ა́ქა... ჩემზე უკეთესი არა ხარ შე́ნე,.. მა́მხსენი, ბატონო...

ფონეტიკური პროცესებიდან პირველად განვიხილავთ **ასიმილაციას.**

თანხმოვნებში თითქმის პროგრესული ასიმილაცია ჭარბობს რეგრესულს, ხმოვნებში კი რეგრესული ასიმილაცია გვხვდება უპირატესად.

თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია გვაქვს, როცა:

1. ფშვინვიერ ხშულს მოსდევს მჟღერი ხშული: დოუმწი**ფთა**, **თფ**ენულოფს, მოუ**თფ**ენია... გაკე**თთა**, შეუერ**თთა**, შეფე**თთა**, შეშფო**თთა**... დავაშკა**ცთა**... **ჩთ**ილი, გამო**ჩთა**, დაა**ჩთა**... ჩაცუცქ**თა**... ჩაფიქრ**თა**...

2. აბრუპტივს მოსდევს მჟღერი ხშული: **ტპ**ა, **ტპ**ორი... გაბრო**ტტა**... დამიწ**ყტა**, დამამიწ**ყტა**, მიატ**ყტა**... **კპ**ილი, **ტკ**პილი, **ტკ**პილიკვერი... **კტ**არი...

3. ყრუ ნაპრალოვანს მოსდევს მჟღერი ხშული: დეინტერე**სთა**... **ხთ**ება, მო**ხთა**, წა**ხთა**, გაცო**ცხთა**, გამიხერ**ხთა**... დათან**ხმთა**, შეთან**ხმთენ**...

ალბათ, სალიტერატურო ქართულის გავლენით (იგულისხმება ქარფლურის გავლენაც), დასახელებული სიტყვები უასიმილაციოდაც გვხვდება და არც თუ იშვიათად.

ხმოვანთა შორის პროგრესული ასიმილაციის ნიმუშები უნდა იყოს: **სერეპიონი**, ნამუშევერი, სამუშევერი...

თანხმოვანთა შორის რეგრესული ასიმილაციის მაგალითებია: **საპჭო... პტერი... ყმაყოფილი... შაშუალი...** ვა**შკ**აცი, დავა**შკ**აცთა... **ლელ**იგია, მოდუ**მებ**ული...

ამ უკანასკნელ სიტყვაში დამსგავსება ადგილის მიხედვითაა.

ერთი შემთხვევა შეგვხვდა, როცა სალიტერატურო ქართულის ასიმილირებული სიტყვა უასიმილაციოდ იხმარება: **სეშ**ის ურემი (წირქვალი).

თუ აქ მეორეული მოვლენა არაა, არქაიზმი უნდა გვქონდეს. **-ში** თანდებულის გავლენით უნდა აიხსნას, სისტემატურად რომ იხმარება: **შახში, შახლეფში...**

მიცემითის **-ს-** სა და **-ში** და **-თან** თანდებულების გავლენით წინამავალი მჟღერი ასიმილირდება: ვირე**ფს**, აქლემე**ფს**... კარე**ფთან**, გვერ**თთან**... ბაკე**ფში**... ბა**ხში**.

მომდევნო თანხმოვნის მიხედვით, მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი **ს-** ზ-ს ან შ-ს იძლევა: მი**ზდევს**... **შ**ამს,..

პირველ შემთხვევაში დამსგავსება ბგერის რაგვარობის მიხედვითაა, მეორე შემთხვევაში — ადგილის მიხედვით.

ობიექტური პრეფიქსი **გ-** ქ-დ იქცევა, **გვ** — **ქვ**-დ: მო**ქც**ემ, შე**ქრთო**, და**ქრჩა**, და**ქვჩაგრა**, **ქვთხ**ოვა...

თანხმოვანთა შორის ასიმილაცია ზოგჯერ სრულია, ზოგჯერ — ნაწილობრივი, კონტაქტურიცაა და დისტანციურიც. ეს თანაბრად შეეხება როგორც პროგრესულ, ისე რეგრესულ ასიმილაციას. დისტანციური ასიმილაციის დროს ასიმილატორსა და ასიმილირებულს ჰყოფს, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშიც აღნიშნულია, უპირატესად **ვ** თანხმოვანი, იშვიათად **მ** და **რ** სონორი ბგერები, ხმოვანთაგან — **ა, ე** და **უ**-ც.

რეგრესული ასიმილაცია განსაკუთრებით გავრცელებულია ხმოვნებში. ჩვეულებრივია ზმნისწინის **ა** და **ო** ხმოვნების დამსგავსება ფუძის **ი, ე** და **უ** ხმოვნებთან. ფუძის **ი** და **უ** ხმოვნები ზმნისწინის **ა** ხმოვანს ნაწილობრივ იმსგავსებს, ხოლო **ე** ხმოვანი — სრულად. ზმნისწინის **ო** ხმოვანს კი ნაწილობრივ იმსგავსებს **ი** ასიმილატორი, **ე** და **უ** ასიმილატორები — სრულად. ასიმილატორი უშუალოდ მოსდევს ასიმილირებულს ან მათ ჰყოფს **ვ** ბგერა.

გვხვდება ზმნისწინთა სალიტერატურო ქართულისებური ხმარებაც — ხმოვნური შედგენილობის შეუცვლელად.

ასიმილაციის ნიმუშებია:

ა → ე: ეიტანა, ეიღო... ეეგდო, ეეწვა, ეეყვანა, ეევდი...

ა → ო: ოურჩევია, ოუშვია, ოუწყვეტია, ოუხთა, ოუხსნეს...

და → დე: დეიმალა, დეინახა, დეიკარქა, დეიღუპა.. დეეძინა, დეევეცი...

და → დო: დოუძახა, დოუკრა, დოუმწიფა, დოუბარა...

გა → გე: გეიკეთა, გეიგო, გევიდა, გეიშალა... გეეღვინძა, გეეფიქრებია...

გა → გო: გოუგეს, გოუკეთებია, დოუძინებია...

წა → წე: წევიდა, წეიღო... წეეყვანა, წეეგლიჯა...

ჩა → ჩე: ჩეიცვა, ჩევიდა... ჩეეყვანა, ჩეეგდო...

ჩა → ჩო: ჩოუვარდა, ჩოუდევი, ჩოურწყევი...

მო → მე: მეიტანა, მეიკლა, მევიდა... მეეკლა, მეენდომებია, მეეყვანა...

ასეთ ვითარებას გვიჩვენებს ჩვენ მიერ შესწავლილი ჰიათურის რაიონის სოფლების მეტყველება, პერევის (საჩხერის რაიონი) მეტყველების მიხედვით კი **ი** ხმოვანი, ჩვეულებრივ, ვერ ახდენს გავლენას ზმნისწინისეულ **ო** ხმოვანზე[1]. ამ მხრივ იგი გვერდში უდგას აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოებს. მაგალითად:

მოვიდა, ამოიღო, ამოიტანა, მოიპარა, წამოიყვანა, წევიდწამოვიდა...

პერევში ასე იხმარება ეს ზმნისწინი უწიგნურ პირთა მეტყველებაშიაც.

მო ზმნისწინი **მა**-ს სახითაც გვხვდება. აღმოსავლურ ბარის კილოებსა და ფერეიდნულში ეს ზმნისწინი ჩვეულებრივ ამგვარად იხმარება. ამ კილოებში **მო** ზმნისწინის **მა**-დ ცვლა ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს მიერ ახსნილია მათი არტიკულაციის შედარებით მეტი უკანაენისმიერობით[2].

ზემოიმერულში პროცესი ასე შორს არ არის წასული. **მო**-ზმნისწინი **მა**-ს სახით გვევლინება, ჩვეულებრივ, იმ შემთხვევაში, როცა მას მოსდევს სონორი **მ**:

---

[1] ზემოიმერულის ზოგ სოფელში ი და ე ხმოვნების ასიმილაციური გავლენის უქონლობის შესახებ იხ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, დიალექტთა შერევის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, VII, 9—10, გვ 633—636.

[2] იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, უნივ. მოამბე. ტ. VII, გვ. 210.

მამყევით, მამეწონა, მამდევენ, მამკლას, მამიკლა, მამატყუა, მამიკვდა, მამიტანა, მამიწერა, მამითავა, მამიყვანეთ... მამგონი, მამვლელი...

შე- ზმნისწინიც გვხვდება **შა-** ზმნისწინის სახით:

შამოგვივიდა, შამოქვხვთა, შამოსულა, შამოუარეს, შამოგესიენ, შამომახვთერეს, შამოხტა, შამორაგვა, შამოხვევია, შამოგითვალა... შამოხოული, შამომატებული, შამოდგომა, შამოღმართი...

მ ბგერის უშუალო მეზობლობა საკმარისი პირობაა, რომ **მო-** ზმნისწინი **მა-**დ მოგვევლინოს, მაგრამ **შე-** ზმნისწინის **შა-**დ ქცევისათვის მხოლოდ მისი მეზობლობა რომ არ კმარა, ჩანს შემდეგი მაგალითებით:

შემიყვანა, შემიგდო, შემახვთერა, შემაქეზა, შემაგულიანა...

ქვემოიმერულის მიმართ შესაძლებლობა გვქონდა აღგვენიშნა, რომ **შე-** ზმნისწინის **შა-**დ ქცევისათვის აუცილებელია, რომ მას დაერთოს **მო-** ზმნისწინი. სადაც ეს პირობა დაცული არ არს, იქ **შე შა-**ს ვერ იძლევა. ზმნისწინის ხმოვნური შედგენილობის შეცვლაში **ო-**ს უნდა ედვას წილი, ამიტომ **შემო-**ს ნაცვლად ყველგან **შამო** გვხვდება-თქო [1].

ასეთივე ვითარებაა ზემოიმერულშიც. ორი შემთხვევა შევნიშნეთ მხოლოდ, რომ **შა-** ზმნისწინია და მას **მო** არ მოსდევს: შაირთო, შავიდენ.

საფიქრებელია, აქ ქართლურის გავლენა გვქონდეს.

ხმოვანთა შორის რეგრესული ასიმილაცია გვაქვს სხვა შემთხვევებშიც:

ნოშო, მოორე, აქოური, სადოური, ბროწოული, რუსუდანისოული. ამათისოული, ეშმაკოულობა, რო უყავი, ვეღარევინ, ამისანეები, მისთანეები, ამხელეები, ძირმაგარეები, ბრიგადეები...

დისიმილაცია, სხვა კილო-თქმათა მსგავსად, ჩვეულებრივ სონორ ბგერებს ახასიათებს. პროგრესული დისიმილაციაც გვხვდება და რეგრესულიც:

კალონი, უკალონობა, ალანი (=ალალი) [2], უმანდელი, ლევიზორი, დელექტორი... პროკულოი, ცხენოსალი...

ხმოვნებს შორის დისიმილაციის მაგალითებია: კენაფი, წიქერა...

---

[1] იხ. ქ. ძოწენიძე, ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, გვ. 42.

[2] იხ. პ. ჯაჯანიძე, ვახანურას მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი, გვ. 65.

მეტათეზისიც უმეტესად სონორ ბგერებს და სონოროობით მათთან ახლოს მდგომ **ვ** ბგერას ახასიათებს. მეტათეზისი გვხვდება როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური:

გა**ძრიელ**და, ნას**ლ**იკა, ფ**ლ**იტვები, ვიტო**ნკ**ა, ხა**ვრ**ეზი, **შრუნ**ი, და**მბ**ული, სუ**რიელ**ი, **დრგ**ემლი (=გრდემლი)...

ჩვეულებრივ გადასმულია პირველი პირის სუბიექტური და ობიექტური პრეფიქსები: ნა**ვხ**ე, ნა**მხ**ა.

ასევე გადანაცვლებულია ამ სიტყვაში მიმღეობის **მ**: ნა**მხ**ავი.

მეტათეზისი არასონორ თანხმოვნებთანაც გვხვდება: **ხს**ეული, გა**სხ**ნილი, **ასხ**ნა, მო**შულ**ული...

ბგერის დაკარგვის მხრივ ზემოიმერული თითქმის არ სხვაობს ქვემოიმერულისაგან და სხვა კილო-თქმებთან შედარებითაც თავისებურს არაფერს იძლევა.

ახალი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით, **მ** ბგერის დაკარგვა ჩანს: ტერი, ხარე, გელი, თა, სხალი, ტრედი, წყერი, თვარე, ზეთუნახავი. ღვდელი, ჰედელი. კვტარი, ჟავე (გვხვდება **ბ**ჟავეც), წიფე, თელი, კითხავი, შიერი, ბედისწერალი, რო, რატო, ხო...

მ-ს გარდა იკარგვის სხვა სონორებიც, მაგრამ არა ისე ხშირად: კდე (გვხვდება ასიმილირებულიც: კტე), ხემწიფე, მიდორი, სიმიდი, ამიდი, გლიცეინა, ბძოლა, გაზდა, ბძანება, სახს, სახში...

რგ იკარგვის: კაი, კაათ, კაათმყოფი (არც თუ იშვიათად გვხვდება კარჭი, კარჭათ, კარჭათმყოფი).

გ-ს დაკარგვითაა მიღებული: კითხვითი სიტყვა რავარი, შეკვეცით — რავა.

ქვემოიმერულში, ზემოიმერულისაგან განსხვავებით, ეს სიტყვა დისიმილირებული სახით გვხვდება: რავალი.

დაკარგულია **ს** ბგერაც: ცენა (=სცენა), ძირ(=ძირს)...

ც ნაწილაკის გარეშე იხმარება: მაინ (=მაინც).

ჰ არ არის სიტყვებში: ექტარი, აერი.

„აერი“ გვხვდება ქართული ენის სხვა კილოებშიც. გვხვდებოდა ძველ ქართულშიაც.

დისიმილაციური დაკარგვის შედეგადაა მიღებული ფეხიშველი [1].

ქვემოიმერულის მსგავსად, დადასტურებითი **ჭე** და **კი** ნაწილაკების **ე** და **ი** ხმოვნების დაკარგვისა და **ხო** ნაწილაკის **ო** ხმოვნის გაუმარცვლოვნების შემდეგ, **ჭ**, **კ** და **ხ** შეეზარდა ნომდევნო უარ-

[1] იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. 1949, გვ. 201.

ყოფითობის არ || არა ნაწილაკს და მივიღეთ: ქ'არ ააცილა ე ნიშანი? ქეთოს კ'არ მოუკლამს ისი... მე ვასილის გულისდედა(=ნამდვილი დედა) კ'არა ვარ... შავი ყურძენი ხ'ვარ გაქთ მადანა?

ასევეა მიღებული თ'ვერ (=თუ ვერ): თ'ვერ მოხვალ, მითხარი...

რედუქცია ზემოიმერულში სუსტადაა განვითარებული, რაც იქიდან ჩანს, რომ ზოგი ხმოვან-ფუძიანი სახელი, რომელთაც ახალ სალიტერატურო ქართულში ფუძე ეკუმშებათ, უკუმშველადაა წარმოდგენილი:

რძალის, გზა წყალისი, ამბავები, ბაწარები, მაშვალები... მაშვალობა...

ბგერის ჩამატებაც, სხვა კილო-თქმებთან შედარებით, თავისებურს არაფერს გვიჩვენებს. სიტყვებში უმეტესად სონორი ბგერების განვითარება. შეინიშნება.

მ განვითარებულია სიტყვებში: ნამძვი, ჯიმში (გვხვდება მჯიმიც), ხამფანგი, ნამყოფი, ნამყოფიერობა, მხნიერი. ნამწვიმარი, ნამქვრივალი, დამქვრივდა, მემცხვარე, მემფრინველე.

ამ უკანასკნელ სიტყვაში **მ** განვითარებული დღევანდელი ქართულის თვალსაზრისით ჩანს, სინამდვილეში იგი შემონახულია (ძველ ქართულში იხმარებოდა მფრინველი). „ნამქვრივალსა“ და „დამქვრივდა“-ში გამოჩენილ **მ**-ზეც კაცს შეიძლებოდა ეფიქრა, ძირეული **მ** არის შემონახული, ოღონდ ადგილმონაცვლებულიო, **ვ**-ც რომ არ გვქონდეს.

განვითარებულია სხვა სონორებიც: ხალინჩა, ანგური, ანტლასი, ფინთილი, კალინცო, მენდალი, ანგრე, უნცქირა, ინგლოვა, გააღვინძა... კულბო... ქვირშა, რძღვენი. ყმარწვილი [1].

ვხვდებით სხვა ბგერათა განვითარების შემთხვევებსაც: ბოძვი, ბრძოლვა, კამბეჩი, ნიქვთი, დაფსკვნა...

ბგერათა შენაცვლება აკუსტიკურად მსგავსი ბგერების არასწორი აღქმის შედეგია და ყველა კილოს ახასიათებს მეტ-ნაკლებად. ერთმანეთს ენაცვლება უპირატესად თანხმოვნები.

მ | ვ: თემზი, თემზაობა (პერევი), ამდარი, გაამდარდა, ნამთი, კარამი, ხამსი, ქამთარაძე, დამამიწუტა, მასკვლავი (რ-ც დაკარგულია), გირმაქა, სამსე, შემსილი, მამნებელი, დღემანდელი...

ჩანს, ზემოიმერულშიც **ვ** წყვილბაგისმიერი ბგერა უფროა, ვიდრე კბილბაგისმიერი.

---

[1] ვ. თოფურიას აზრით, რ აქ შეიძლება მეტათეზისმომხდარი იყოს: ყმარწვილი ← ყრმა + წვილი ← ყრმაჲ + წული, ქართლური, არილი, გვ. 136.

ბ | **ვ**: თებზი, სათებზაო, საბარცხალი, **ბ**არცხნა, პარასკე**ბ**ი...

ბ | **მ**: **ბ**რავალი, **ბრ**ავალჟამიერი, **ბრ**ავალძარღვა, **ბრ**უნდი, **ბ**ჟავე...

მ | **ნ**: სამთელი, ეი**მ**ტერესება, დავა**მ**გრიოთ...

ნ | **მ**: **ნ**ეფე, **ნ**ეფობა, მინი**მ**უ**ნ**ი, მიე**ნ**ხრობი...

ნ | **ლ**: წე**ნ**ი (სხეულის ნაწილი) ისირცხვი**ნ**ა, საგ**ნ**ესი მიწა...

ლ | **ნ**: ორდე**ლ**ი...

ლ | **რ**: ტუ**ლ**ფა, ა**ლ**ხეინათ, ინდოუ**ლ**ი[1], ტა**ლ**ხუნა...

ნ | **რ**: გულთმეცა**ნ**ი (ქვემოიმერულში: მეცარი)...

ჭ | **გ**: დაკარ**ჭ**ული, კარ**ჭ**ი[2].

ძ | **ზ**: **ძ**ვინი, **ძ**ურგი, ბელ**ძ**ინი, **ძ**ოდი (ზოდი სოფლის სახელია)...

ძ | **ც**: მო**ძ**ვი...

ხ | **შ**: **შ**იტყვა, **შ**აუკეთესო... (ამ სიტყვების ამგვარი ხმარება ხშირი არ არის).

სტ კომპლექსი, ქართლურის მსგავსად, იძლევა **შტ** კომპლექსს: **შტ**ოლი, **შტ**ოლბა, **შტ**ვირი, ჩაა**შტ**ვენს, ნე**შტ**ორა...

ბგერათა კომპლექსის ცვლა:

ოვა → ოა → უა: გამ**უა**რდა, თხუა...

ვე → ო: მიჩ**ო**ვა, მიჩ**ო**ული, ყ**ო**ბა, გვირღ**ო**ვენ, მიხ**ო**მდა...

ვი → უ: წ**უ**მა, წ**უ**ვი...

ო → ვე: ქ**ვე**ბულეთი, გე**ვე**ლოგები (წირქვალი).

ო → ვა: მიაწ**ვა**და (წირქვალი), მარტ**ვა**, ლაღ**ვა**დეხი (=ლაგოდეხი).

მორფოლოგიური მოვლენები

ბრუნება

სახელობითს ბრუნვაში ხმოვნით გათავებულ ფუძეებთან მეტწილად **ი** იხმარება. ეს თანაბრად ეხება როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებს:

არ მქონდა მეტი ჰკუაი... ნახეს ი სისხლიანი დანაი... გევისროლე ქვაი... ავათ იყო სიძეი... გამათევიეთ ღამეი... ფიცხი არი ლობიოი... ი გოგოი ქვე მომიკეტა... სუროი

---

[1] ასევე იხმარება ეს სიტყვა ქართლურში. იხ. ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 139.

[2] გ. ახვლედიანის მიერ ამ სიტყვაში გ-ს ნაცვლად ჭ-ს ხმარება ახსნილია, როგორც თამხმოვანთა წინ გ-ს დაყრუების შედეგად მიღებული ჭ-ს ხმარების (ყარჭ-ს) განზოგადება სხვა პოზიციაშიც, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 227.

იყო გზაზე გაფენილი... ამ ბიჭს დიდხანს აწოვეს ძუძუი... კოტესან იყო ილიაი... ევაი ყველას ჯობდა... გრამიტონას ბიჭია სავლეი... ალექსანდრეი არის ესე... აქ დეებარებია ვაროი... კ'არ დეიყვირეფს გაბოი... ქვე მოსულიყო ღუტუი..

მოთხრობითში **მ** თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებთან ისმის ერთი **მ**: აქლემა გვიან იარა... ქათამა კვერცხი დადო... ჩემა დამ წეიყვანა...

სახელობითის მსგავსად, მოთხრობითშიც — ასევე ყველა სხვა ბრუნვაში — შეინიშნება როგორც თანხმოვან-ფუძიან, ისე ხმოვან-ფუძიან საზოგადო და საკუთარ სახელთა დაბოლოების გაიგივების ტენდენცია: ი გოგოი გალახა დედამა... ე ხარები წეიყვანა ამ გლახამა გასაყიდათ... ახლა ქვე აპატივა ი დამა... ესი მოგიტანა გრიშამა... ე მაქსიმემა ყიდა და ჰამა...

მიცემითი თანხმოვნით დაბოლოებული სახელებისა ფორმანტ-მოკვეცილი იხმარება, მაგრამ ეს მოვლენა არც ისე იშვიათია, როგორც ქვემოიმერულში და არც ისე ხშირია, როგორც კახურსა და განსაკუთრებით ქიზიყურში[1]:

გეერეკა ჩემ დედამთილ ცხვრები... სადილ ვჭამ... ზღაპარ რავა ვიტყვი... ეგონა ნაწილ გევიტანო... ავკიდეთ ბატ ოთხი კოდი... გამაატანე იმ რძალ ხელსაქმეი... ეს თვალი ამ თვალ გაგიფუჭებსო... არაფერი აკლია შტოლ... ხვალ ამა უნა კიდე... მაგა სუქანაი ქვია... ი ჩემი შვილი იმა არ აყვა...

ქვემოიმერულისგან განსხვავებით, მიცემითი ბრუნვა ემფატიკური ხმოვნითაც არის წარმოდგენილი და არც თუ იშვიათად: გადააფარა კაბაი აკვანსა... ზდის ამ კრავსა... შვენდოდა თავხურაი ქალსა... დათვსა მამაჩემი კლემდა... სიმიდი მოუტანა ნატაშასა... რა უნდოდა ვენერასა...

ნათესაობითში დაყენებულ მსაზღვრელთანაც იკარგვის **ხ**. ეს პროცესი ქვემოიმერულშიც შეინიშნება, მაგრამ სპორადული ხასიათი აქვს:

ჩემი რძალი აუგი გარეთ არ გამიტანია... ქმარი უცოლობის დროს იყო ისი აქ... კაცი ჩადგა ბოსლი კარეფში... ე თაგვი წამალია... ათიოდე კვახი მარცვალია... გეიგონა ადამიანი ხმაი... ძირნამყოფა მიწი ვაშლი და შაქრი ჰარხალი უნდა გეეკეთებიათ ნახევარ ექტარზე...

[1] იხ. არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, გვ. 67-68, მისივე: ხ ბგერის დასუსტება ქიზიყურში, ენიმკის მოამბე, ტ. 1, გვ. 66-67.

მიცემითში **ს**-ს დაკარგვა რომ მოხშირებული არ იყოს, ნათესაობითის ამგვარი ვითარებისათვის საანალოგიო ბაზად უნდა მიგვეჩნია მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები, რომლებიც ახალი მნიშვნელობის გამოხატვის გამო **ს**-ს დაცვის საჭიროებას აღარ გრძნობდნენ[1].

ს იკარგვის ნათესაობითში ასეთ შემთხვევებშიაც:

ბეღლი წინ გავათიე ღამეი... საბძლი უკან კვახია... დღეი ამის შემდეგ ვერ მოვალთ...

ფუძე-უკვეცელ სახელთა მსგავსად, თანხმოვან-ფუძიან და ხმოვან-ფუძიან კვეცილ სახელთა ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელს, როცა ის უშუალოდ მოსდევს საზღვრულს ან გათიშულია მისგან, ემფატიკური **ა** გაუჩინარებული აქვს და მისი ადგილი **ი**-ს უჭირავს. როგორც ემფატიკურ -**ა**-ს ხმარების შემთხვევაში, ამ -**ი**-ს საშუალებითაც იქმნება კონსტრუქციის დახშულობა და მსაზღვრელ-საზღვრულის კავშირიც უზრუნველყოფილია[2]:

ქე კი დააწითლე გვერდები ე რ ვ ე უ ლ ი ს ი... მერე ქვე მევიდა დრო ჩემი წ ა მ ო ს ვ ლ ი ს ი... უფროსი შ ი ლ ი (მაზლის ცოლი) ამ ქ ა ლ ი ს ი ჩააჯენს კოკორს... ი გოგოც დახვთა და ძროხაც იმ კ ა ც ი ს ი... გეერჩია სიმიდი ვ ა ს ი ლ ი ს ი... ვიყურე ტირილი მ ე გ რ ე ლ ე ბ ი ს ი... ტუფლი და კაბა შეინახა ამ თავისი დ ე დ ი ს ი... ყოველნაირი ვიცი თქმა ს ი ტ ყ ვ ი ს ი... უმალ გამკეთებელია ს ი გ ლ ა ხ ი ს ი... სინა გინდა ფ ო ლ ა დ ი ს ი... დაკერვა მიყვარს ძ ვ ე ლ ი ს ი... სიცოცხლე მინდა ხ ა ლ ხ ი ს ი... სუნი იყო ს ა ქ ო ნ ლ ი ს ი... ძარღვები გამიჩერდა ხ ე ლ ე ბ ი ს ი...

ი გვაქვს განმარტოებულ მსაზღვრელთანაც:

აპა, თუ დეიჯეროს კ ა ც ი ს ი... კაცის სახელია თუ ქალის? — ქ ა ლ ი ს ი... — რამდენი წლისა ხარ? — ო ც დ ა შ ვ ი დ ი ს ი... — რამდენი კილოსი გაქ შენე სიაი? — ს ა მ ო ც დ ა ც ა მ ე ტ ი ს ი...

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ს ბრუნვაშიც თანხმოვან-ფუძიანი და ხმოვან-ფუძიანი კვეცილი სახელები, ისე როგორც უკვეცელი სახელები, **ი**-ს დაირთავენ:

წყალს ვიღეფ მ უ ჭ ი თ ი... ეგერ მიდიოდა ჩ ა ფ ი თ ი... მეიტანა უკვდავების წყალი შ უ შ ი თ ი... თ ო ხ ი თ ი გადავჩხრიკე ქვევრა... მ ა შ ი ნ ი თ ი გოუკეთა ემან... ჩემი ხ ე ლ ი თ ი ჩავაჯინე ტაშტში და მარწყვის ს ა პ ნ ი თ ი დავბანე... გამომეკიდა გოგუცაი ქ ვ ი თ ი... ნაკელი ვაზიდიე ხარს უ რ მ ი თ ი... ხნემდენ ი ფ უ ტ კ რ ი თ ი...

[1] იხ. არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 67-68.

[2] იხ. არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 70-71.

მოჰრა კაილითი... მოწამლულია თოფის წამლითი... მოწიწკნა ფჩხილითი... ამემსო თვალი პტვერითი...

ზემოიმერულის ნათესაობითში შემჩნეული ვითარება ფშაურშიც აღინიშნება[1]. ფშაურიდან ეს თავისებურება თავის პოეზიაში შემოტანილი აქვს ვაჟა-ფშაველას[2]. მოქმედებითის ამგვარი წარმოება კი ქართულის არც ერთ კილოში არ დასტურდება.

რა დანიშნულებისაა ეს ი?

ზემოიმერულის ნათესაობითსა და მოქმედებითს ბრუნვებში გაჩენილი ი ელემენტის მორფოლოგიურ და სინტაქსურ თვისებათა შესახებ იგივე უნდა ვთქვათ, რაც ახალი სალიტერატურო ქართულის ფუძე-უკვეცელ სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებითში გამოვლენილი ი-ს მიმართ აქვს აღნიშნული არნ. ჩიქობავას, ე. ი. იგი ემფატიკურ ა-ს ბადლად უნდა მივიჩნიოთ[3].

სხვაგვარად არ შეიძლება გაგებულ იქნას პარალელური ფორმების ხმარება:

უკმაყოფილოა ამ ხალხითა.

მაგრამ: ეზო გეიმსო ხალხითი.

ერთ ფრაზაშიც კი ა და ი ერთმანეთის გვერდით გვხვდება:

ეს თავლა სამსე იყო ხარითა, კამბეჩითა და ძროხითი.

სამთელი დეინთო ფეხითა და თავითი.

უთანდებულო მოქმედებითის ანალოგიით ი გვხვდება -განთანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ბოლოსაც:

მეიტანე შენი სახლიდანი... მოუარა ძაღლს გვერდიდანი... გადმეიხედა კაცმა სერიდანი... დავბრუნდი ომიდანი... დასუსტებული იყო ტკივილიდანი...

თივას მევიტან აქედანი... არაფერი არ გამოდის ექიდანი... კვერცხი მოდის მაღლიდანი...

ასეთ შემთხვევებში პერევის მეტყველებაში ჩვეულებრივ -ა იხმარება:

ამევიდა ჰიათურიდანა... აქ იყო ატოციდანა... გოგოი შიერი მევიდა ჩხარიდანა...

წამიყვანა აქიდანა... უშტვინავს ექიდანა... გამოტრიალდენ მერე იქიდანა...

---

[1] იხ. ალ. ლეკიაშვილი, ივრის-ხეური ფშაური; სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, 1941, გვ. 163.

[2] იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 90.

[3] იხ. არნ. ჩიქობავა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში, თბ. სახ. უნ. შრომები, XXIII, 1942, გვ. 71-95.

ვითარებითი ბრუნვის ნიშნად მხოლოდ თ აღიქმება: ამ ფასათ არ ღირს... ექიმათ დანიშნეს... სასიმიდე დაწვეს შეშათ...

ვითარებითი ბრუნვა გავრცობილი ფორმითაც იხმარება: მამაჩემი იყო ძაან ავათა... ახლა შკოლაში ვარ დარაჯათა...

ქონების აღმნიშვნელი **-იან**-სუფიქსიანი სახელების ვითარებითში ჩვეულებრივ დ არ შეინიშნება[1]: დაფქულიანა დაწვეს... წამეიყვანა ი გოგო სალამურიანა... წამოსულიყვენ ქალიანკაციანა... ხოხობი შამფურიანა გაფრინდა...

ერთი შემთხვევა შეგვხვდა, რომ **-თვის**-თანდებულიანი ნათესაობითის ფუნქციითაა ნახმარი ვითარებითი და დ არა აქვს: ხაბაკი გევისამაგისეთ (=გავინაწილეთ) ჩვენ-ჩვენა...

თანხმოვან-ფუძიან საკუთარ სახელთა წოდებითში (მიმართვის ფორმაში), ამავე ფუძიან საზოგადო სახელთა ანალოგიით, უპირატესად **-ო** გვაქვს:

დარისპანო, იმ კაცის საქმე მომაშორე... დანიელო, გამოხედე, ვინ არი... ილარიონო, შენ ჯანმთელი კაცი ყოფილხარ... ედიშერო, მოდი აქა... თამარო, თამარო, მარიამი რო სტირის, უთხარი: ნუ სტირი, მარიამო!.,

ასეთი ვითარება შეიმჩნევა ქვემოიმერულშიც[2].

მრავლობითის **-ებ** ფორმანტის დართვისას **ა** ხმოვნით დაბოლოებული საზოგადო სახელები უპირატესად არ იკვეცება (ასიმილირდება კი ხშირად)[3]:

ხალიჩაები გაშალა... ლოკოკინაები დადიან... ბიძაები ჯარში იყვენ... ჩამეიარეს მამაებმა... ბიცოლაებმა თქვეს... ამ სხვაეფს უთხრა...

-ია-სუფიქსიანი სახელებიც გვხვდება უკვეცელი: გააკეთეფს ცომის კვატიაეფს...

აქა-იქ გვხვდება მეორე მრავლობითის ფორმები: იყო დაძმანი... ცხრა ძმანი არიან...

ზოგი სახელის მრავლობითში ფუძის დეტერმინანტი სუფიქსი სრული სახითაა წარმოდგენილი: დაჯექით ცალ ხარეს ი ორივე დანები... მეორე ხარეზეა სამი ძმანები...

---

[1] იხ. არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 18.

[2] იხ. შ ძიძიგური, К характеристике нижнеимерского говора грузинского языка, გვ 125.

[3] იხ. აქვე. ფონეტიკური მიმობილვა, გვ. 72.

თანდებულიანი სახელები

-თან თანდებულის **თ** ზოგჯერ იკარგვის მიცემითი ბრუნვის ნიშანთან:

ბიჭი წევიდა ხემწიფესან... სიტყვასანა დაღეჭა არ უნდა არაფერ ხმელ საჭმელს...

ასეთივე ვითარება აღინიშნება ქვემოიმერულშიც. ქართლურში, პირიქით, ცვლილება ბრუნვის ნიშანს ეხება და არა თანდებულს.

ეს თანდებული **თანა**-ს სახითაც გვხვდება და მეტწილად ჩვენებითი ნაცვალსახელის ნათესაობითს ბრუნვასთან იხმარება **თ**-ს დაკარგვით: იმისანა ჯეჯილი ამევიდა, თვალს მოქჭრიდა...

-ვით თანდებული ნათესაობითს ბრუნვასთანაც გვხვდება: ბიჭისავით იქცევა... ძვალისავით გედიქცა... ყვავილისავით გეიშალა ..

მეტად იშვიათად იგი **ვეთ** თანდებულის სახით გვაქვს: ხვლიკსავეთ არი...

თ-ს დაკარგვის შემდეგ **-ვე**-ს სახეს იღებს: არი ე ქალი მზესავე...

-ში თანდებული **-შიდა**-ს სახითაც გვევლინება: ვერ შეხვალ შახშიდაო... სამი ოყა ყველი მივეცი იმ ძაფშიდაო...

ა-ს მოკვეცით გვაქვს: მიდის მებადური წყალშიდ... აკაკი წერეთელი ლექციებს კითხულობდა ჭიათურაშიდ..,

ასევე **-ზე** თანდებული, ძველი ქართულისებურად, **-ზედა**-ს სახითაც გვხვდება:

ცხელ-ცხელი პურები ეყარა შტოლზედაო... კალისტამ იმუშავა ტრაქტორზედა...

შემდეგ ზმნიზედის ნაცვლად, თანდებულის ფუნქციით, მიცემითთან იხმარება **უკან || უკანი**: მას უკან დიდი დრო გევიდა... მას უკანი დეიკარჭა... გაამდარებულა მას უკანი... წამოდგა ქალი მას უკანი...

-თვის თანდებულის პარალელურ ვარიანტს ქმნის **-თვინ**: იაკაკი ჩვენთვინ, ხალხისთვინ, კაი იყო, მომავლისთვინ ფიქრობდა... ოჯახისთვინ ანგრეჯობდა... საქმისთვინ წუხან...

ეს თანდებული ზოგჯერ **ა**-თია გავრცობილი: ქათმები ქე მყამს მომავლისთვინა...

-თვის-თანდებულიანი ნათესაობითის მნიშვნელობით იხმარება ისდა — იზდა — იზა ტიპის წარმოება: ცაზე მასკვლავები მაქ შოთაზა დათვლილი... ამ საქმიზა ვერ გავცთები...

-ებრ თანდებული **-ეფ**-ის სახითაც გვხვდება[1] და დაერთვის ან ფუძეს ან მიცემითის ფორმას: სხვეფ არა უჭირს რა... თქვენსაეფ რო მუშაობა ვერავინ შეძლოს, არ დაცინოთო, — გვეტყოდა დედა...

-გან-თანდებულიანი ნათესაობითის ფუნქციით კითხვაზე „ვისგან“ ან „რისგან“ ორიოდე შემთხვევაში იხმარება **იდ-ან, იდ-გინ** ტიპიც: გევიგონე მუშიდან, რო იმას არ მეეხმარებიო... მოიმისპო ჩემიდგინ საბარცხალი...

-მდის-თანდებულის პარალელურ ვარიანტად გვაქვს-**მდინ:**

ამაღლობამდინ იყო სოფელში... ბაწარი გააბით ამ გამოქვაბულამდინაო...

-მდის-თანდებულის **-მდი** სახეობაც გვხვდება: დეიყვანა ჰური შუამდი... არ მევიდა მოორე დღემდი...

ნაცვალსახელები

შენ, ჩვენ, თქვენ პირთა ნაცვალსახელები ჩვეულებრივ **შენე, ჩვენე, თქვენე**-ს სახით გვხვდება:

ჩემზე სულელი რო იქნები შენე, რა უნდა მიქნა... მანდ იყავი შენე... ემან არ გაგაცთინოს შენეო... რამდენი ქალი აქა ვართ ჩვენე... ყველა გვჯობია ჩვენე... დეიწყეთ თქვენე მუშაობაი... აპა, ილაპარაკეთ თქვენეო...

რით აიხსნება პირთა ნაცვალსახელების ასეთი სახით ხმარება? მენა, შენა, ჩვენა, თქვენა-ს **ნა** ელემენტის ანალოგიით ხომ არ შეიძლებოდა **ნე** სადეტერმინაციოდ გამოგვეყო?

ვფიქრობთ, ასეთი შესაძლებლობა უნდა გამოირიცხოს.

> **შენიშვნა. ე** ზემოიმერულში სხვა შემთხვევებშიც გვხვდება: მიტო არ წევედი მეცე... ხვთები შენცე... მიღებული ვიყავით ჩვენცე... ჩეროში ძილმა მომკლა დღესე...

ალბათ, ზემოიმერულისთვისაც ამოსავალი შენა, ჩვენა, თქვენა ნაცვალსახელებია, რომელთა ბოლოკიდური **ა** სახელობითის **-ი** ფორმანტის დართვის შედეგად ნაწილობრივი ასიმილაციით **ე**-დ ქცეულა, თვითონ **ი** კი დაკარგულა (შენაი — შენეი — შენე).

ჩვენებითი ნაცვალსახელები **ის, ეგ, ეს** მხოლოობითი რიცხვის სახელობითს ბრუნვაშიც სრული სახით წარმოგვიდგება და მხო-

[1] იხ. პ. ჯავახიძე, ვახანურას მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი, გვ. 70.

ლოდ წინადადების დამოუკიდებელ წევრებად იხმარება[1]. დოუწერე ისი... მდივნის მოტანილია ისი... წევიდა ისი... როცა ადამიანი გატყუეფს, ისი გაბრმავეფს და გამასხარავეფს... რა არი ეგე... მანქანას არ მიყვება ეგე... მანგრე უნდა ქქონდეს ეგეო... გეიგო ამ გერმა ესე... თესლია ესე... რათ ღირდა ესე[2]...

ისი-ს ანალოგიით ესე-ს გვერდით ესი-ც მოიპოვება: ვინ არი ესი?.. გევიგე ახლა ესი... ვისია ესი?..

ესე ნაცვალსახელი მეტწილად სხვა ბრუნვებშიაც ინარჩუნებს ჩვენებითობის **ე** ხმოვანს (გურულში, პირიქით, სახელობითს ბრუნვაშიაც პირველ პირთან სიახლოვეზე მიუთითებს ჩვენებითი ნაწილაკი **ა**, რომელიც დართულია **გ** ნაცვალსახელურ ძირზე): ემან ააყვავა ქვეყანა... ემან უნდა შეკეროს... იცის ემან ეს ამბავი...

გავრცობილი სახითაც იხმარება: ვეღარ აცხოვრა ემანა... ემანა მე კაი სიტყვები მითხრა... ემანაო მამაძაღლი მითხრაო...

ემას პაწუა ბიჭი ყამდა... ემას დაკითხეს... ემას ჯერ არ დოუძინებია... კენჭი ქონდა ემასა...

ს-ს მოკვეცით: ემა ქონია ე საქმე... უყურე ეხლა ემა... ვერ გაწმინდამ ემა!..

ემისგან კაის ნურაფერს მეელი... ემისკენ წევიდა...

ესე, ეგე, ისი ნაცვალსახელები მსაზღვრელად გამოყენებისას ხშირად მოკემულია **ე, ი**-ს სახით: გამოჩთა ე ნიშანი... არ უნახამთ ე ყანაი... ჩასაწერია ე ჩემი დგომიაობაი... მერე მოუტანა ი წერილი... ჩაფშტვენს ი ბოვში შტვირში...

დანარჩენ ბრუნვებში მონაცვლე ფუძეები **ე-ემ, მა** და **ი**-ს სახითაც გვხვდება და ახალი სალიტერატურო ქართულის მსგავსადაც — თანხმოვანთან ერთად.

უთხრა ემ ბებერმა... ემ ქალმა იწუხა... ემ სახლში ვასილის ძმაი არი... კოხი (=ავი) დედამთილი ყამ ე ქალ და დაწუხებულია... ე ჩემი რძალი ქვე ჯობია მა დას... ნუ მაყრი მა პტვერს.. ჩამეიტანა ი გოგომ პირბადეი... მელა ქვე უყურებდა ი ქათმეფს...

მრავლობითი რიცხვის მოთხრობითს ბრუნვაში ჩვენებითი ნაც-

---

[1] იხ. არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხის-ტყაოსანში", ენიმკის მოამბე, ტ. III, 1938, გვ. 221; მისივე: მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, გვ. 104.

[2] ეგ და ის ნაცვალსახელები ზემოიმერულისებურად იხმარება ივრის-ხეურ ფშაურში. იხ. ალ. ლეკიაშვილი, ივრის-ხეური ფშაური, გვ. 162.

ვალსახელები -**ებ**--სუფიქსით ნაწარმოებ საზოგადო სახელთა ანალოგიით ბრუნვის ნიშანს დაირთავს: ემათმა იციან... ემათმა ჩეიტანონ... იარეს მაგათმა კაი ხანი... ი ხაბაკი მაგათმა გადმოატანიეს... იმათმა შტოლი გაშალეს... ჩამეიარეს იმათმა...

იშვიათად ირიბ ბრუნვებში შევხვდებით ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელ წარმოებასაც: ვეუბნებიყე მაგენს... მაგენისთვის ვერ მევიკლამ თავს...

მოხშირებულად იხმარება კუთვნილებითი ნაცვალსახელი ემისი და მეტწილად საზღვრულის შემდეგ გვხვდება. ასევე ითქმის სხვა კუთვნილებითს ნაცვალსახელებზეც: მოვიდა მამა ემისი... მამა ემისმა გადამარჩინა... არაფერი არ უთხრა მამა ემისს... მოვიდა მამა მათი.

თავისი ნაცვალსახელი სალიტერატურო ქართულისებურადაც იხმარება და აღმოსავლური კილოების მაგვარადაც — მისის[1] ფუნქციით: წამოაცვამს თითზე ბეჭედს დედა თავისს... ხელმწიფე მეიყვანს მამა თავისს...

მაგრამ: მერე უთხრა თავისმა მამამ... მამა თავისი ეტყვის ამ გოგოს.., მევიდა ე ბიცოლა თავისი...

კითხვით ნაცვალსახელთაგან განუსაზღვრელი ნაცვალსახელის მისაღებად ფართოდაა გამოყენებული **მე** ნაწილაკი:

მე ნაწილაკი მეტწილად მიცემითი ბრუნვის ფორმას დაერთვის, ამიტომ, ახალი სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, შეუხორცებელი (ძველი) წარმოება გვაქვს: მე რავა ვეტყვი ვისმე... უნა, რო ვისმე მოაკვლევიოს... შეიძლება შეცთომაში შევყავარ ვისმე... დევილაპარაკეფ რასმე... მოვყვეთ რასმე...

აქა-იქ ვხვდებით ნარევ წარმოებასაც: გობები ექნება კიდე ვისმეს... იმათი ქონება შეიცამს ბევრ რასმეს...

ნათესაობითში მხოლოდ თანდებულიანი ფორმები გვხვდება. როგორც ძველ ქართულში, **მე** ნაწილაკი სახელს უფრო ხშირად თანდებულის შემდეგ დაერთვის:

რა დოუშავებია ვისთვისმე... უნდოდა ვისთანამე მოჯამაგირედ დამდგარიყო...

თანდებული შეიძლება ბოლოშიც შეგვხვდეს ნარევი წარმოების შემთხვევაში:

---

[1] იხ. არნ. ჩიქობავა. გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 80; მისივე: დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხის-ტყაოსანში", გვ. 215.

ნეტა მეკითხა ვისმესთვინ...

ვინ და **რა** ნაცვალსახელებზე **ღა, ცა**, ნაწილაკის დართვისას სალიტერატურო ქართულის დამახასიათებელი რიგი შეცვლილია და გვაქვს ვინცაღა, რაღაცა.

რეგრესული ასიმილაციის შედეგადაა მიღებული ვინძაღა, რაძაღა:

ვინძაღა ლაპარაკოფს... რაძაღა სასაცინოთ გამეიგონეთ... რაძაღა უთხრა სიმონკამ... რას მიხვთება ექიმი ხორცში რაძაღაა...

პროგრესული ასიმილაციის მოქმედებით აიხსნება: ვინცახა სხვა მეგონე შენე... ეს მეფის შვილ მოარგო ვინცახამ... ივლიანემ გამიგო მე რაცახა არი...

ცა ნაწილაკის ა-ს მოკვეცით გვაქვს: ვინცხა ვაჭარი მოსულა... რაცხა მინა სხვაზე მეტი...

ამ ნაცვალსახელთა რეგრესული და პროგრესული ასიმილაციის შედეგად მიღებული ფორმების კონტამინაციის ნიადაგზე უნდა გვქონდეს:

ვინძახა მოდის... ბოსელში იყო ვინძახაი... ჩვენი საყანეი გადაყოლია ვინძახასაო... რაძახა ქენი, კიდევ ლაპარაკოფ?.. ბოგირზე რაძახა დიდი აგდია.., რაძახას ეუბნება... რაძახაზე ზისი ბოვში...

ეს ნაცვალსახელები ზემოიმერულში სამივე სახით იხმარება, მაგრამ განსაკუთრებით ხშირად ამ უკანასკნელი სახით გვხვდება

სიტყვათა წარმოება

კნინობითობის საწარმოებლად, მეტწილად თანხმოვან-ფუძიან საკუთარ სახელებში, ფართოდაა გამოყენებული სუფიქსი -ა: ლევანა ჩამეიდა... პლატონა ქვე მიხვთა... ჩვენი სოფლისკენ ბილიკა მიდის... მე რომ ქვევრა მაქ შენახული, ის ქვევრა მომიხადე... თხები ჩვენმა პარმენამ გაგვიყიდა... ვასილას უნდოდა წამოსვლაი... გავყევით იმ ბილიკას...

საკუთარ სახელთა კნინობითობისათვის გვხვდება **-ია** მაწარმოებელიც, რომლის დართვისას ა ხმოვნით დაბოლოებული სახელები ბოლოკიდურ ხმოვანს იკვეცენ[1]:

თინია (→თინაია) აწვალებდა... მოდის აქა თომია... გრიშიამ არ ქნა...

ადამიანის სადაურობის აფიქსი **-ელ** ნივთის სადაურობის აღსა-

[1] იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 118.

ნიშნავადაც იხმარება: საჩხერელი ხახვი კაია... ძოდელი ხილით ეიმსო ბაზარი...

სახელებს „სადაური“ და „აქაური“, ალბათ, ნივთის კატეგორიისაგან ადამიანის კატეგორიის გასარჩევად, **-ელ** სუფიქსი დაერთვის:

— სადაურელი ხარ? — სადაურელი? — აქაურელი.

სადაურობის გამოსახატავად დასახელებულ სიტყვათა ამგვარი წარმოება ჯავახურშიც დასტურდება[1].

-ება სუფიქსის ადგილას **-ობა** სუფიქსიც იხმარება: თვალი აგიხილა და ქვეყნიერობა დაგანახვა... მისთანა უბედურობა არ შემხვთერია... წარმოობაში მუშაოფს...

უფროობითი ხარისხის საწარმოებლად, როგორც ეს ა. შანიძეს აქვს აღნიშნული, — გვხვდება მხოლოდ **ე-ც**[2]: იოსება უხნე იყო ყველაზე... ბიძაჩემი ჩემზე უხნეა... ჩემი ქმარი ჩემზე უმაღლე იყო... ძინწარეზე უნწარესი, შაქარზე უგენრიელე (= უგემრიელესი)...

უფრთობითი ხარისხის ასეთი წარმოება არქაულობის ნიშანს ატარებს და ქართულ კილოთაგან მხოლოდ ზემოიმერულშია შემონახული.

ზმნა

პირველი პირის სუბიექტის ნიშანი **ვ** იკარგვის **უ** ხმოვნის წინ: ქვეც გოუცინე და ქვეც მევეფერე... პარმენას უთხარი ეს ამბავი, როგორც მეევედი... საპჯოში უჩივლე დანიელას, ისე გავმწარდი...

ეს მოვლენა ძველ ქართულსაც ახასიათებს და ქართული ენის თითქმის ყველა კილო-თქმასაც.

მესამე პირის სუბიექტური ნიშანი **-ს** იკარგვის „აქვს“ და „არის“ ზმნასთან ჩვეულებრივ: ბიქტორს აქ კაი საწნახელი... ქალს მოაქ გობები (იკარგება **ს**-სთან ერთად **ვ**-ც)... ბრიგადირად დარისპანი არი... კაი ქალი არი...

მეორე პირის სუბიექტისა და მესამე პირის ობიექტის ნიშნის ხმარების გარკვეული წესი უკვე აღარ არსებობს. თუ იხმარება მეორე სუბიექტური და მესამე უბიექტური პირის პრეფექსები,

---

[1] იხ. ა. მართიროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950, გვ. 294.

[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 140.

ჰ-სა და ს-ს სახით გვხვდება. მომდევნო ბგერების მიხედვით ს შ-ს ან შ-ს იძლევა.

მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი თავის ადგილასაა ნახმარი ამ მაგალითებში: აგერ ჩალის კონა და კეთილი ინებე და დასწევი... უთხარი, ნუ სტირი, მარიამო!.. დასწერე შენ ჯვარი...

სწორად არის ნახმარი მესამე პირის ობიექტური პრეფიქსიც მაგალითებში, როგორიცაა:

დაჰკრა ი კაცს მათრახი... წამოვარდა ე ბიჭი ზეზე და სტაცა იმას ხელი... შესთხოვა მადლი ი კაცს... თეო რას შესწირამს იმას... მიზდევს დევი ი ბიჭს... შეშჩივლა თხოველმა დიდარს თავის დარდი...

ჩვეულებრივ უპრეფიქსოდ იხმარება: მ ი ც ა პური იმას... დოუძახეს ამ კაცს და მ ი ც ე ს ქისა...

მეორე მხრივ, პრეფიქსი გვხვდება ისეთ ადგილას, სადაც მის ხმარებას გამართლება არა აქვს:

ჩემი შვილი ესცა ამ ქალს... მესცა ღორი პირზე... დეისწერა პირჯვარი... ტყუილა გვისწერია პირჯვარი...

აწმყოში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში ი-თი გათავებული ზმნის ფუძეებთან, -ენ სუფიქსის ანალოგიით, -ან-ის ადგილას -ენ გვხვდება:

ყველანი წავლიენ სამუშაოთ... ე ბიჭი და მისი სტუმარი გაშტერებული არიენ...

ეს მოვლენა, ქვემოიმერულთან შედარებით, გაცილებით ნაკლებ გავრცელებულია.

ყველგან, სადაც სალიტერატურო ქართულში -ნენ სუფიქსი იხმარება, გვაქვს -ენ:

წერდენ, მალავდენ, აკეთებდენ, დეიმალენ, მევიდენ...

თემის ნიშნების ხმარებისას ზემოიმერულისათვის ნიშანდობლივად უნდა გამოიყოს:

ა) აწმყოში და აწმყოსაგან ნაწარმოებ მყოფადში მხოლოობითი რიცხვის სამივე პირში, ხოლო მრავლობითი რიცხვის პირველსა და მეორე პირში სალიტერატურო ქართულის -ავ სუფიქსის ადგილას ჩვეულებრივ -ამ იხმარება:

ვთესამ, ვკლამ, ვბოჭამ, ჩეხამ, ხრამს ძინამს, ბარამს, დევინახამთ, დავხოცამთ, ვართამთ, გავწეწამთ, ზოგამთ, შემოქწირამთ...

ბ) მარტივფუძიან და ხმოვანმონაცვლე ზმნებთანაც -ამ გამოიყენება:

ვწერამ, გატეხამს, გლიჯამს, კრიფამს, გრიხამს...

გ) **-ევ** სუფიქსის ადგილას გვხვდება **-ემ**: მოუხვემ, შოურემ, ვაძლემ, ვწუემ, გამოირკვემ, შეიწუემ, აძლემს, ამძრემს, ლემს, აქცემს...

დ) **-ოვ**-ის ადგილსაც **-ომ** შეიმჩნევა: მახსომს, თომს, ძომს, ითხომს...

ე) **-ებ** და **-ობ** სუფიქსები, ჩვეულებრივ, ბოლოკიდური მჟღერის დაყრუებით წარმოგვიდგება: ვაგეფ, აკეთეფ, გაპონიეფ, აწითლეფს, თხოულოფს, ცნოფს...

იშვიათად ამ სუფიქსთა ადგილას გვხვდება **-ემ**, **-ომ**: გავაკეთემ, გაგაციემ, გარიგემ, მაკლემს, შეუმსემთ, ვგებულომ, ვმუშაომ, ვლაპარაკომ ..

-ევ, **-ოვ**, **-ებ**, **-ობ** თემის ნიშნების ადგილას ნახმარი სუფიქსები აწმყოდან უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ პირველ კავშირებითსაც გადაჰყვება.

თემის ნიშანთა ასეთი ხმარება, რომელიც ზემოიმერულს განასხვავებს ქვემოიმერულისაგან და აახლოებს აღმოსავლურ ბარის კილოებთან, შეიძლება ქართლურის გავლენის შედეგი იყოს[1]. ქართლურთან ერთად, აწმყოს ასეთი სუფიქსაცია მეტად ნიშანდობლივია მესხურ-ჯავახურისათვის[2].

სალიტერატურო ქართულის სუფიქსიანი აწმყოს ადგილას ვხვდებით უსუფიქსო აწმყოსაც (მაშასადამე, მყოფადსაც):

მიხედე იმ ბოვშს, ქათმეფს ხოცს... თინია ნიგოზს ბოჭს... ანდრო ქუჩას ხვეტს... ბაბუცა ნახს ფეხსაცმელეფს... თამარაი ვერც გარეცხს, ვერც შეკერს... შეშას დავჩეხ... საქონელს გარეკს ბაბილოი... რაზე ხოცენ იმ ხალხს... საპმელს მოპარენ იმ ქალს... ისე ემუქრის, ისე ემუქრის, იმა კი არ ფიქრობს, მეევრევი თუ არაო. იმას ეჩხუბის... შენ გემუქრიან...

აფიქსი არა გვაქვს სხვა შემთხვევებშიც:

მომზადილი გვაქვს ხარჯი... მოტაცილი იყო ელისაბედი... დაწყილი იყო მუშაობა... დაწყიდან თუ არაარი ფუფუნებაში ბოვში, უფრო უტკივარი გამოდის...

სალიტერატურო ქართულისა და ყველა სხვა კილოსთან შედარებით ზემოიმერულის თავისებურებად უნდა გამოიყოს: აწმყოში (ასევე მყოფადში) მრავლობითი რიცხვის მესამე პირში **-ავ** სუფიქსის ადგილას **-ევ**-ის ხმარება:

---

[1] იხ. ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 141-142.

[2] იხ. ა. მარტიროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის. გვ. 295.

ქალები დადიან და ისინი ფქვევენ წისკვილზე... კოლმეურნეები ბარევენ ვენახეფს... წირევენ და თან ერთმანეთს აიმედებენ... კინაში (=ხაფანგში) შეიმწყვრევენ და მოკლევენ ი დათვს... თავს აღარ იზოგევენ... ჩემ კარმიდამოს ბიჭები დახნევენ... წიწილები კენკევენ სიმიდსა... ერთი მორეს მეგობრობას კითხევენ... ბაბუცას ლამაზ კაბას შეუკერევენ...

ასეთ შემთხვევაში **-ამ** სუფიქსიც გვხვდება: კლამენ, ბარამენ, კითხამენ, თესამენ...

აწმყოში, მესამე პირის მრავლობითს რიცხვში, **-ავ** სუფიქსის ადგილას **-ევ** სუფიქსის ხმარება ზემოიმერულს ქართული ენის კილო-თქმათა შორის თავის საკუთარ ადგილს აკუთვნებს.

-ევ სუფიქსს განსაკუთრებით ფართო მოხმარება აქვს სოფ. პერევში, ჩვენი დაკვირვების დანარჩენი ობიექტების მიხედვით კი მისი გამოყენება უფრო მეტად უფროსი თაობის მეტყველებაში შეიმჩნევა.

აწმყოს მრავლობითი რიცხვის მესამე პირში **-ამ**-სუფიქსიან ზმნებშიც **-ევ** გვხვდება წარმოების უნიფიკაციის შედეგად:

დგევენ ჩერგილეფს... ჩაადგევენ ხორცს... ოჩხურს აწყობენ და ღვინოს სვევენ... მიწასაც ისვევენ თავზე... შამერტყევენ ქამრეფსა...

აწმყოში **-ავ**-სუფიქსიანი ზმნების მესამე პირის მრავლობითს რიცხვში **-ევ**-ის ხმარება არ შეიძლება ფონეტიკურ ნიადაგზე აიხსნას, **-ენ** სუფიქსით გამოწვეულ ასიმილაციას მიეწეროს. ასიმილაციის შედეგად **-ავ**-სუფიქსიან ზმნებს ზემოიმერულის აწმყოში მესამე პირის მრავლობითს რიცხვში, რაკი დანარჩენ პირებში ჩვეულებრივ **-ამ** სუფიქსი აქვს, **-ემ** უნდა ჰქონოდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჩვენ ზემოიმერულში **-ემ**-ს ვერ შევხვდებით. აქ ასიმილაცია რომ არაფერ შუაშია, ჩანს იქიდანაც, რომ აწმყოს მრავლობითი რიცხვის მესამე პირში **-ამ**-სუფიქსიან ზმნებშიც **-ევ** გვაქვს და არა **-ემ**. ეს ფაქტი მით უფრო ხაზგასასმელია, რომ ზემოიმერულში ძლიერია „ვინის მანით შეცვლის ტენდენცია“.

არნ. ჩიქობავას აზრით, აწმყოს საწარმოებლად ქართული ენის ერთი რიგის კილოებში **-ევ** სუფიქსი უნდა გვქონოდა, მეორე რიგის კილოებში **-ავ**[1].

ზემოიმერულის **-ავ** სუფიქსიანი ზმნების აწმყოს მესამე პირის

[1] იხ. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1948, გვ. 99.

მრავლობითს რიცხვში გადმონაშთის სახით შემონახული **-ევ** სუფიქსი სწორედ აწმყოს საწარმოებელ არქაულ ფორმანტად უნდა მივიჩნიოთ[1]. ეს მით უფრო ითქმის, რომ „ევ კილოს, რომელიც ძველად უფრო ენა უნდა ყოფილიყო, ვიდრე კილო, — როგორც ეს აღნიშნული აქვს ა. შანიძეს, — თავისი კვალი უფრო მეტად ზემოსა და შუა იმერეთში დაუტოვებია“[2].

შენიშვნა. ჩვენი დაკვირვების ობიექტის სახელებშიც — პერ**ევი**, პერ**ევი**სა — შემონახულია **-ევ** სუფიქსი. ა. შანიძის მიხედვით, გეოგრაფიულ სახელებში **-ევ** სუფიქსი მრავლობითის აღმნიშვნელია. ამ მხრივ სრული ანალოგია გვაქვს **-ებ** სუფიქსისა, რომელიც სახელებში მრავლობითს რიცხვს გამოხატავს, ზმნებში კი აწმყოს საწარმოებელია.

-ევ-სუფიქსიანი აწმყო უნდა მივიჩნიოთ ამოსავლად უწყვეტლისათვის. უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ პირველ კავშირებითში, სამივე პირში, მხოლობითსა და მრავლობითს რიცხვშიც, ერთგვარი — **-ევ**-სუფიქსიანი — წარმოება უნდა გვქონოდა. მაგრამ დღევანდელ ზემოიმერულში მისი ხმარების ნაშთი შემოგვრჩა მხოლოდ აწმყოს მესამე პირის მრავლობითს რიცხვში.

შენიშვნა. **-ევ**-სუფიქსიანი უწყვეტლისათვის **-ევ**-სუფიქსიანი აწმყო რომ არის ამოსავალი, ამას ცხადად ადასტურებს ბათუმის რაიონის სოფ. აჭარის აღმართის, სოფ. ქედ-ქედისა და სოფ. თხილნარის მეტყველება. როგორც ჩანს, რაც მეტად საყურადღებოა, ამ სოფლების მეტყველებაში აწმყოს სამივე პირში (და აქედან უწყვეტელსა და პირველ კავშირებითშიც) **-ავ**-სუფიქსის ადგილას **-ევ** სუფიქსი დასტურდება (ხედ**ევ**, აკოჭ**ევ**, ზიდევ)[3].

დავასახელოთ უწყვეტლის ნიმუშები: ვხედევდი მის დაღუპვას... ქალიშვილს ნახევდა... მინადორა სიძის ქუდსა კერევ-

---

[1] იხ. ქ. ძოწენიძე, **ევ** სუფიქსისათვის ზემოიმერულში, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. X, გვ. 52-58.

[2] იხ. ა შანიძე, ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 8, 1941, გვ. 766.

[3] მ. ცინცაძე, დაკვირვებანი ბათუმის რაიონის მოსახლეობის მეტყველებაზე, თეზისები, საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა მეოთხე სამეცნიერო კონფერენცია, სტალინირი, 1952, გვ. 24.

და... ვინც კაი თვალით ჩვენ არ გვხედევდეს, ცუდი მას ქონდეს... კლევდენ ქათმეფსა...

ასეთ შემთხვევაში ძველ ქართულში **-ევ-დ** და **ვი-დ** ტიპთა შეხამება გვაქვს (პირველსა და მეორე პირში, ჩვეულებრივ, **ევ-დ** იხმარება, მესამე პირში — **ვი-დ**), გურულში **ვი-დ** ტიპის წარმოება დასტურდება, ხევსურულსა, მთა-რაჭულსა და ფერეიდნულში კი, ზემოიმერულის მსგავსად, **ევ-დ** ტიპისა. ერთი კია, ამ კილოთაგან განსხვავებით, ზემოიმერულის უწყვეტელში უპირატესად **-ემ** გვხვდება:

ვართემდი მატყლს... ქვე ვკერემდი ხოლმე... ი გოგოს მეტს ველარ ნახემდი... რა მოღალემდა საქმითა... ამ დრომდი ვხნემდით, ვთესემდით, გარე-ყანეფში ვბარემდით... ნახემდენ კვალსა...

უწყვეტლის ამგვარი წარმოების გამო **-ავ**-სუფიქსიანი ზმნები გარჩეული არ არის **-ამ**-სუფიქსიანებისაგან, რომელთაც აგრეთვე **-ემ** აქვთ უწყვეტელში:

თუთუნს ვსვემდი... თოფს უსვემდა ხელს... რაღას იზემდა... ვასხემდით ჩაის... დადგემდენ ურმეულს...

ზემოიმერულში ადრე **-ავ** და **-ამ**-სუფიქსიანი ზმნების უწყვეტელი, აწმყოს მსგავსად, გარჩეული უნდა ყოფილიყო. სხვაობა მერეა მოშლილი.

-ავ-სუფიქსიანი უწყვეტელის ადგილას **-ამ**-სუფიქსიანი უწყვეტელიც გამოიყენება: დავმალამდი კაბას... დედა ბუჯერს ხვეტამდა... კლამდა ხოლმე ი გოგოსა... ხედამდენ მათ კაი კაცობასა...

სალიტერატურო ქართულის **-ავ**-სუფიქსიანი ზმნები უსუფიქსოდაც გვხვდება უწყვეტელში, რაც ძველი ვითარების უკუფენა უნდა იყოს: მე კ'არ ვლანძღდი ი ხალხს... წვერს ვიპარცთი... ბოსტანში დევინახთი წვანილს... ჰინჭარს უხარშთი ჰუკებს... შეკერდენ კაი-კაი კაბეფს... იპარდენ ხილს...

ზემოიმერულის **-ავ**-სუფიქსიანი უწყვეტლის ადგილას უსუფიქსო უწყვეტლის ხმარებას ფონეტიკური მიზეზები ვერ გაგვირკვევს[1]. აქ სუფიქსი არა გვაქვს იმიტომ, რომ ის არც აწმყოში გვქონია. მარტივფუძიანი უწყვეტლისათვის დასაყრდენია მარტივფუძიანი აწმყო.

---

[1] შდრ. ლ. კიკნაძე, პირველი სეოიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, თბ. უნივ. შრომები, XXXII, გვ. 339.

ე-თი ნაწარმოები ზმნების წყვეტილის პირველსა და მეორე პირში -ევ სუფიქსიც დასტურდება[1]: მე შევრთევი ცოლი ძალათი... ერთი დღე მოვსპევი ფეხსაცმელები ამ საწიკელა ტალახში... იმათ ვერ ვენდევი... დაცხევი, ბიჭო!... ჩოურწყევი 15 ჩაფი ღვინო... ვერ მოვრწყევი... დავრგევი ხახვი... ნება დაგვრთევით...

ასეთი წარმოება განსაკუთრებით გავრცელებულია ქართლურში[2], გვხვდება მთა-რაჭულშიც[3].

კავშირებითს მეორეში მოსალოდნელი ე-ს ადგილას უპირატესად ო იხმარება: ხვალ შეიძლება მევიდო... ეს პოვში გეიზარდოს, დავაშკაცდოს, ხეზე შევიდოს და დეიღუპოს... უნდა გადმოხტოს და მიცოს... გედევიდოთ ახლა იქით... გაჩერდონ თავისთვის... შეუდგონ სიმიდის გარჩევას... უნდა დაცალცალდონე ქალები... რო მოკვდონ, არ მივცემ... სამასი შრომა დღე უნდა მოგცონ... რა ქნან, რო არ მიცონ...

ოე-ს ნაცვლად კავშირებითს პირველშიც გვხვდება: კაათ რო მუშაობდონ, რა გვიჭირდა... უნდა იცოდონ ესი.. მეორეს რო მომცემდონ, რა აჯობეფს... სანამ ისინი გაამზადებდონ მას, მე ქვე მოვალ... სანამდე ვახშმათ დაჯდებოდონ, ქვეყანას მევიელი... უნდა ეფერებოდონი ბოვშს...

საანალოგიო ბაზას დასახელებული შემთხვევებისათვის -ო-თი ნაწარმოები კავშირებითი მეორე წარმოადგენს.

კავშირებითის ასეთი წარმოება ზემოიმერულის გარდა დასტურდება აჭარის (ბათუმის რაიონის) ზოგი სოფლის მეტყველებაში[4].

ზემოიმერულს, ქვემოიმერულის მსგავსად, ფორმათა წარმოებაში ნაირნაირობა ახასიათებს. ამიტომაა, რომ ყველა მორფოლოგიური კატეგორიის გამოსახატავად პარალელური ფორმები მოგვეპოვება. გამონაკლისს არ წარმოადგენს თურმეობითი პირველიც.

მეტად იშვიათად თურმეობითს პირველში გვხვდება ასეთი წარმოება: ი ბიჭი ქვე ნაცნობა იმას...

---

[1] ამის შესახებ იხ. გ. როგავა, აორისტისა და კავშირებითი მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მგრულში, საქ. მეც. აკად. მოამბე, ტ. VI. № 18, 1945, გვ. 647-653.

[2] ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 143.

[3] შ. ძიძიგური, ქართული ენის მთა-რაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, გვ. 80.

იხ. მ. ცინცაძე, დაკვირვებანი ბათუმის რაიონის მოსახლეობის მეტყველებაზე, გვ. 24.

ამგვარი წარმოება ზანური ნორმაა[1] და უფრო მეტად ქვემოიმერულისთვისაა დამახასიათებელი.

ზემოიმერულისათვის ნიშანდობლივია **-ია** დაბოლოება **-ავ** და **-ამ**-სუფიქსიანი ზმნების თურმეობითს პირველშიც: როგორც მითქვია, ისე ვიტყვი... არც ამათ უთქვიათ ჭისის მნიშვნელობა... ჩემი ძმა ალექსი შენ დაგიღუპია... ეს კრამიტი მოუპარიათ...

იშვიათია **-ნ-ია** ტიპის წარმოება: შეშა მე გამიყიდნია... ნიკოს ქალი მოუტაცნია...

თურმეობითს მეორეშიც ვხვდებით **-ა** სუფიქსის წინ **ნ**-ს: უნა ესწავლნა იმას... ნეტა გეყიდნაი მოზვერი... სხვას რო დეეწერნა წერილი, კაი იყო... იმას რო არ დეეღუპნე, რა მიჭირდა... ბადე უნდა გეშალნა...

ეს მოვლენა გვხვდება მთიულურში[2], განსაკუთრებით გავრცელებულია გარეკახურსა[3] და ქართლურში[4]. შეიძლება, ქართლურის გავლენით გვქონდეს ზემოიმერულში თურმეობითი პირველისა და მეორის **ნ**-იანი დაბოლოება.

-ია დაბოლოებიანი თურმეობითი პირველის ანალოგიით თურმეობითს მეორეშიც ვხვდებით **-ია** დაბოლოებას: ოსებისთვის ტანისამოსი გეეხთია... მაინც უნდა ეთქვია ისე...

ამგვარი შემთხვევები ხშირი არ არის.

თურმეობითს მეორეში **-ოდ** სუფიქსის ადგილას იშვიათად ვხვდებით ნამყოს მეშველ ზმნას: ნეტა არ მოვსწრებულიყავი ამ გაჭირვებას... კიტრები არ ვარგიყო...

აქაც ანალოგიური წარმოება გვაქვს.

სალიტერატურო ქართულის **-ოდ** სუფიქსის ნაცვლად ზოგჯერ მეშველი ზმნა „იყო“ არის ნახმარი „შეიძლება“ ზმნაშიც: ტყეში ცხოვრება აღარ შეიძლებიყო... აღარ შეიძლებიყო, რო არ ექნათ...

ალბათ, რაჭულის გავლენას ამ შემთხვევაში ვერ გამოვრიცხავთ.

იშვიათად, საფიქრებელია, რაჭულის გავლენითვე, კავშირებითი მესამე იხმარება თურმეობითი მეორის ნაცვლად: სამჯერ

---

[1] იხ. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 146.

[2] იხ. არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, ენიმკის მოამბე, ტ. II, გვ. 53.

[3] იხ. არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 72-73.

[4] იხ. ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 143.

უნდა წამოსულიყოს გრიშია... გივი უნდა ჩამოსულიყოს... ვითომც დღეს არავინ ყოფილიყოს ჩემ ოჯახში...

შუალობითი კონტაქტის **-ინ** სუფიქსი **ი**-ს სახითაცაა წარმოდგენილი: სულელს რაზე მოვაკვლევიეფ ჩემ შვილს... ნუ მათქმევიეფ... აკითხვიე კითხავს.. ბარემ გავაკეთებიოთ ი საქმე...

ვნებითის წარმოებაში **-ენ** სუფიქსზე დართულ **-დ** ბოლოსართს იყენებს წყვეტილში „ხტება“ ზმნა: მივედი იქა და ჩამოვხტენდი... მოვწიე ღობე და გადავხტენდი... გადმოვხტენდი და არ ჩოუვარდიყე ხელში...

ამ ზნის **ე**- პრეფიქსიანი დინამიკური ვნებითის წყვეტილში **-უნ** სუფიქსიც გვხვდება: მოწყურდა და დეეხტუნა წყალს.

ჩაწერილი მასალების მიხედვით, ასეთი წარმოებისა მხოლოდ ეს ერთი მაგალითია შენიშნული.

„დგანან“ ზმნა, — როგორც ლიტერატურაშიც აღნიშნულია, — „დგარან“ ზმნის სახითაც გვხვდება: სტუმრები მარანთან დგარან...

„ფიქრობს“ ზმნაში **-ობ** სუფიქსის ნაცვლად აწმყოს მეშველი ზმნაა ნახმარი პირველსა და მეორე პირში: ვფიქრავარ კაათ წავა საქმე... შენც მასე ფიქრავხარ?... ვფიქრავართ ბრიგადა სხვას არ ჩამორჩება...

საანალოგიო მასალას აქ მეშველზმნებდართული სტატიკური ზმნები იძლევა.

სალიტერატურო ქართულის „სწავლობს“ ზმნის ადგილას იშვიათად შევხვდებით მიმღეობაზე დართულ **-ობ** სუფიქსიან წარმოებასაც: უსაზრო ბოვშია, იზდება და ჰკუას ვერ სწავლულოფს.

უწყვეტელში ერთ შემთხვევაში **-დ** სუფიქსის ნაცვლად **-ოდ** შეგვხვდა: არაფერი არ გააჩნოდათ...

„უნდა“ — როგორც დამოუკიდებლად ნახმარი, ისე ნაწილაკამდე ჩამოქვეითებული — არქაული სახითაც იხმარება და არც თუ იშვიათად: მინა, მარა დაფეთებული კ'არა ვარ... ლამაზი ქვა უნა... წამოსვლა გვინა... ჩხუბი უნოდათ... ეს საქმე შენ უნა გააკეთო... უნა მოვსულიყავით, მარა ვერ მოვახერხეთ...

ზმნებთან იხმარება **-ყე** ნაწილაკი ჰიათურის რაიონში[1], სოფელ

---

[1] შდრ. ვ. ფანჩვიძე, მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში იმერული კილოს მიხედვით, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, № 10, გვ. 848.

პერევში (საჩხერის რაიონი) კი მისი ხმარება არ დასტურდება. შესაძლებელია აქ „ქართლურის გავლენამ მოუსწრაფა მას სიცოცხლე“.

-ყე ნაწილაკი გამოხატავს ირიბი ობიექტური პირის, პირდაპირი ობიექტური პირისა და ინვერსიულ ზმნებში მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის მრავლობითობას[1].

-ყე ნაწილაკი ირიბი ობიექტური პირის მრავლობითობის აღსანიშნავად: ვეხვერწეყე ბოვშეფს... გასარგებლეფყე თქვენ... ვეკოწიაწეყე ი ხეეფს... გადავყევიყე სტუმრეფს... შევხვთიყე ამხანაგეფს... გინდა გოუწყერიყე, გინდა ნუ გოუწყრებიყე...

-ყე ნაწილაკი პირდაპირი ობიექტური პირის მრავლობითობის აღსანიშნავად:

ერთი-სამი დღე დაამწყვრიოსყე ი ყურძნის ქურდები და მერე გამოუშვასყე... მე გავზარდეყე მულები... მინა, რო წევიყვანოყე ე ბოვშები... ე საძაგლები გინდა გალახეყე, გინდა ნუ გალახავყე...

როგორც ვხედავთ, ზემოიმერულში -ყე ნაწილაკის ხმარება სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტის აღსანიშნავადაც ფაქტია[2].

-ყე ნაწილაკი მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის აღსანიშნავად:

ძაძა აქყე (=აქვსყე) ი ქალეფს სარჩევი... ი ჩვენ მეზობლეფს ერთი სახლი ქონდაყე... თქვენ ქყამდესყე ფუტკარი... ე საჭმელი ქვე მოუჯამიაყე ი ბატკანს... ბაგრატის შესახებ იმათ უთქვამსყე...

-ყე ნაწილაკი ქვემოიმერულშიც სისტემატურად იხმარება. ზოგ თქმაში ამ ფუნქციით გამოიყენება, ზოგ თქმაში კი მისი ფუნქციები გაფართოებულია.

ზემოიმერულში კახურის მსგავსად, მაგრამ არა ისე ხშირად, **-ყე** ნაწილაკის ფუნქციით **-თ** სუფიქსიც იხმარება: კითხათ იესო ქრისტემ სამ ძმეფს... იმან უთხრათ იმ ძმეფს, გებრალებოდეთ თხოველიო...

---

[1] იხ. არნ. ჩიქობავა, ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I, II, 1923-24, გვ. 32-68.

[2] შდრ. ვ. ფანჩვიძე, მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში იმერული კილოს მიხედვით, გვ. 849.

ფორმაუცვლელი სიტყვები

ადგილის ზმნიზედები ნაირნაირი სახით იხმარება: რა ხანია არ ვყოფილვარ აქა... საზარალო კოხი არ მოსულა აქა... მე უნდა წევიდე ამაღამვე იქა... მივიდა იქა ქალი...

ეს ზმნიზედები ხშირად იხმარება ბოლოკიდურ **ა**-ს გარეშეც.

„მანდ“ ზმნიზედის მნიშვნელობითაა ნახმარი **ექ**: ექ არ იქნება ამდენი ტალახი... გუშინ ექ, წყაროზე, ჩასულიყო...

ექით გეიარა... ექით ჩემი მაზლისწულებია... ექითკენ წევიდა... წამევიდა ექიდან...

ამ ზმნიზედებს **ნა** ნაწილაკიც დაერთვის ისევე, როგორც ქვემოიმერულში, მაგრამ მასთან შედარებით უფრო იშვიათად იხმარება:

აქანა იყო დარისპანი... აქანა შემხვთა დიდი ბიძგინა წყალი... ვერ ევიტანე ე დოუძლურებელი ტანი ექანა... მოვალ ექანა, წყაროზე, და პირს დევიბან... იქანა იყო...

შედარებით უფრო ხშირად გვხვდება ასეთი სახით: ანგარიშს ვადგენ აქანას... ჩამოაგდო აქანას... ის იყო კიდო აქანას... აქანასაო ჩვენ არ გვაქ იარაღიო... რო მიატან იქანას, ფულს გამეიტან...

„აქაურის“, „მანდაურისა“ და „იქაურის“ მნიშვნელობით, თითქოს იმ უხერხულობის დასაძლევად ამ სიტყვათა განურჩეველად ხმარება რომ იწვევს ადამიანისა და ნივთის კატეგორიის სახელებთან, იხმარება აქის, ექის, იქის: გამიჩთა აქის მაშვალი... მევიდა აქის მაყარი... იქის ბალახი კაია...

„მანდ“ ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება **მადანა-ც** (მა-დ--ა-ნა): შავი ყურძენი ხ'ვარ გაქთ მადანა... მადანა უპასუხე ახლა... დიდი ბაწარი იყო მადანა...

მადანა მაანას სახითაც გვხვდება: მაანა ნუ ხარ... პარკი ლობიო იქნება მაანა... რანაირი ფხალია მაანა... მარგალიტა არაა მაანა?..

კითხვაზე „საიდან“ იხმარება **მაიდან**: მაიდან მოდის... საწნახელი წეიღო მაიდანი...

კითხვითი ზმნიზედა „სად“ იხმარება **სადანას** სახით: მადანა ჩემი დანა არი. — სადანა?.. სადანა აძოეფ იმ ძროხასა?...

პარალელური ვარიანტია **სანა**: მაჩვენე სანა წერია...

მიმართებითი ზმნიზედები ჩვეულებრივ ამგვარად იხმარება: მოდი და სადანაც გინდა, იქანა დეესახლე... ნახე იქ, საანაც წვება ხოლმე...

„სად“ კითხვითი სიტყვა **დ**-ს მოკვეცითაც გვხვდება: შვილი სა მყამს... სა მიდიხარ...

სანა სიტყვიდანაა ნაწარმოები **-მდის** თანდებულის დართვით სანამდის[1], რომელიც ზემოიმერულში უფრო ხშირად იხმარება **სანემდის** სახით (სანა || სანე). დამოკიდებული წინადადების ამ კავშირის კორელატი მთავარში არის მანემდი: სანემდი ნაჯახს მეიტანდა, მანემდი დაწოლილა... სანემდი ადამიანი ცოცხალია, შრომაც უნდა უყვარდეს...

სანემდის შეკვეცილი სახითაც იხმარება: სანემ სახლს არ მოათავეფ, მანემდი ვერ წამოქყობიო... სანემი ღორს არავინ მოკლამს, არ მეისვენებენ...

გაოცების აღსანიშნავად იხმარება შორისდებული ‘იმე: ‘იმე, კოჭახარი გაგსიებია შენე... ‘იმე, რა ჭიხინჭიხინით მოდიან გოგოები...

გაკვირვება-დადასტურების გამოსახატავად ნახმარია შორისდებული მაპა, ალბათ, როგორც ქართლური **მა** (=მაშ) და იმერული აპა-ს (=აბა) შერწყმის შედეგი.

სტეფანესას ყოფილიყო პირველი ქალის დედაი, მაპა, გოგო!.. არ მიიღეს მაშინ, მაპა!.. ხო ნახე მამაი? — კი, კი, მაპა! რანაირათ არი ესი, დედა, გაგიგონია დედაკაცსა კრავი ყოლებოდესო! — მაპა!

სინტაქსური მოვლენები

საზღვრული მრავლობითს რიცხვში დგას, თუ ის განსაზღვრულია: ა) რაოდენობითი რიცხვითი სახელით: სამი ძმები იყვენ... ექვსი ძმები იყვენ... ოთხი აფხანიკები არიან... ექვსი ბიჭები დაბერდენ... წეიყვანა სამივე ქალიშვილები... ხუთი გოგოები მყამდენ... ორი გოგოებია...

ბ) გაურკვეველი რიცხვითი სახელით: მეიყვანა ბევრი ჩიტები...

გ) განსაზღვრებითი ნაცვალსახელით: საღამოს ყველა ბრიგადები მოხვალთ... ვთხომ ყველა ამხანაგებს...

დ) განუსაზღვრელი ნაცვალსახელით: ზოგიერთი ბრიგადეები სულითა და გულით შეუდგენ მუშაობას... ზოგიერთმა ამხანაგებმა ქე აარიდეს თავი მუშაობას... დავხარჯეთ რა-

[1] იხ. გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. VIII, გვ. 373.

მოდენიმე შრომადღეები... რამოდენიმე შრომადღეებით დავეხმაროთ...

ქვემდებარე მოთხრობითს ბრუნვაში გვხვდება შერწყმულ წინადადებაში გარდაუვალ ზმნასთანაც, თუ მას გარდამავალი ზმნა მოსდევს: ადგა დევმა და დოუწყო ი ბიჭს ძებნა... ძმამ ადგა და გადმოახტუნა ცხენი... ამ ბიჭმა არ შეეპუა და დეიარა ოთახები... ახლა მივიდა ამ კაცმა და წაკრა თავში ხელი...

ქვემდებარესა და შემასმენელს შორის შეთანხმება აზრის მიხედვითაა:

ახლა შედგენე ხალხი... გამდიდრდენეს ხალხი... ხალხი აყვირდენ... გამიმართლებენ შვილს ხალხიც... აგირჩიეს ხალხმა... ძალიან ბევრი საზოგადოება იყვენ... დეედებოდენ თელი სოფელი... წევიდოდენ ყანაში ორივე... ბევრი მოვიდენ ადრე... ყველა მიხვთენ... ზოგმა იმუშავეს კაათ...

არც თუ ისე ხშირად, როგორც ქვემოიმერულში, ადამიანის აღმნიშვნელ ქვემდებარესა და შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმება დარღვეულია: ესენი იყო სამღვდელოება... მევიდა მეზობლები... სტუმრები შეზარხოშთა... ქალებმა ყურძნის კრეფა დეიწყო...

უარყოფითობის გაძლიერების მიზნით გამოყენებულია ორმაგი უარყოფა[1], როგორც ქართული ენის ყველა სხვა კილოში: აქ არავითარი არავინ არი მე და შენს მეტი... ვერაფერი ვერ ისწავლა... ვერაფერს ვერ ხვთება... იმის მეტმა ვერავინ ვერ წეიკითხა... ვერავინ ვერ მაჯობებდა პურის მკაში...

სისტემატურად იხმარება დადასტურებითი ნაწილაკი **ქვე**, რომელიც **ქე**-ს სახითაც გვხვდება. ეს ნაწილაკი ყოველგვარ წინადადებაში გამოიყენება: მარტივში, შერწყმულში, რთულში: ელისაბედს ქმარი ქვე ყამდა ავათ... ი ბიჭს თურმე ის ქვე ნაცნობა... ქვეც ვთიბევდი კაათ და ქვეც ვხნევდი .. გაათავა ჰამა და ი ჰური ქვეც ამოფხიკა, ქვეც ამოცალა... ეგენი ქვე წამევიდენ დაბ მე ქვე დავრჩი... მარჯვე ქალია, მარა ავთვალი ქვე არი... თუ დააჯარიმეფ, ქვე უნა მოხსნა მერე... თუ გასაზდელი იქნება, ქე გეიზდება... რასაც მოვკრეფ, ქეც წევიღეფ...

სხვათა სიტყვის **ო** ნაწილაკის წინ თუ თანხმოვანია, მათ შორის ჩვეულებრივ **ა** ხმოვანი გამოვლინდება: ცოცხალი არსება

[1] იხ. ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში, წელიწდეული, გვ. 74-116.

ვარაო... წევიდოთაო, მოვხადოთაო და ვჭამოთ ქონი, ნუ დავწყტებით შიმშილით... თუ მართალია, ძროხას დოუკლამაო... ორივე ერთად წევიდოთაო... რო შეხვალ, სახშიდაო, არ დაგამიწყტესაო...

წარმოდგენილი ცნობების თანახმად ცხადი ხდება, რომ ზემოიმერულში დასავლური კილოებისთვის ნაშანდობლივ ენობრივ მონაცემებთან ერთად გვხვდება რიგი მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენები, რომლებიც მას უანსაკუთრებით აახლოებს აღმოსავლურ ბარის კილოებთან. მაგრამ არის მთელი რიგი მორფოლოგიური თავისებურებანი (სახელთა ბრუნებისას გარკვეულ შემთხვევებში ემფატიკურ ა-ს ადგილას ი-ს გამოვლენა, პირთა და ჩვენებით ნაცვალსახელთა თავისებურებანი, ზედსართავთა უფროობითი ხარისხის მხოლოდ ე-თი წარმოება, ზმნიზედების თავისებურებანი, ავსუფიქსიანი ზმნების აწმყოს მესამე პირის მრავლობითს რიცხვში შემონახული აწმყოს საწარმოებელი არქაული -ევ სუფიქსი, კავშირებითს მეორესა და ზოგჯერ პირველშიც მოსალოდნელ ე-ს ნაცვლად ო-ს გამოყენება), რომლებიც ზემოიმერულს გამოჰყოფს ქვემოიმერულისაგან და ქართული ენის კილო-თქმათა შორის თავის საკუთარ ადგილს აკუთვნებს.

მეტყველების ნიმუშები

ერთი ხემწიფე იყო და ერთი ბიჭი ყამდა მარტვა. შეიქნა საცოლო და შეჯდა ცხენზედა და წევიდა ქალის სათხოვრათ. რო მიდის და ბებერი დახვთა გზაზე. „სა მიხვალ, შვილოო?“ ი ბიჭმა უთხრა: „არ არი შენი საქმეო“ — „მე ქვე ვიცი, სა მიდიხარაო“ — „რა იციო?“ — „ვიციო. თუ დამიჯერეფ შენეო, მე გასწავლი კაი ქალსაო“. — „დაგიჯერეფ, მარამაო, რო ტყუილი გამოვიდოს, ხო მოქკლამ, ცოცხალი არ გადაგარჩენაო“. — „წადი შენეო, — ასე უთხრა, — ამა და ამ ადგილასაო ერთი კტე არიო, იმ კტესაო კარები აქო. გააღე ი კარები და შედი იმ კარეფშიდაო. იმ კარეფს რო გააღეფ და შეხვალ კტეში, სამი ლერწამი დაქხვთებაო. ამ სამ ლერწამშიდაო, რომელიც შუაში იყოს, იმას მოკიდე ხელი და წამოიღეო. რო მოკიდო ხელი და გამოხვიდო კარეფშიდაო, უკან აღარ მიიხედო, ჩქარა მიკეტე კარებიო“.

რო გამოატანა ე ლერწამი ემ ბიჭმა და გამოვიდა აქეთა, გედიქცა ქალათ ლერწამი. გამოვიდა ქალი მარა, იმისანა არი თურმე, როგორც მზე და მთვარე. მერედა რო მოყამს ქალი შახშიდა,

დახვთა ისევ ის ქალი გზაში, სხვა ქალი. გედიქცა გლახათ კაი ქალი. ამან გადააქცია. შეაძულა ამ კაცს, თურმე თვითონ უნა, რო წაყვეს. ი ქალი წყალში გადააგდებია. გედიქცა თემზად ქალი, ი წყალში რომელიც ჩააგდო ისი. იქაურელ ხემწიფესა ჯოგი ყამს. მეჯოგეები უდგია. რო მიიყვანებენ ჯოგსა წყალზედ, გაშხვართალდება თემზი და არაფრით არ დაალევიეფს ჯოგს წყალსა .. მირეკევენ, აღარ დაალევიეფს, მირეკევენ აღარ დაალევიეფს. ის უნდა გააგებიოს ი ხემწიფესა, თავის თავგადასავალი.

მივიდენ მეჯოგეები ხემწიფესან და უთხრეს: „ჯოგი წყურილით გვეხოცებაო, დახვთება თემზი და დააფეთეფს ჯოგსაო. — „წეიღეთ თქვენე ბადეი, ესროლეთ და გამეიყვანეთაო“. ის უნა თურმე თემზსაც, დეიჭირეს ე თემზი და მოიყვანეს ხემწიფესან. ახლა ამ ხემწიფის რძალმა დეიჯინა თურმე, რომეო თქვენ რო თემზი მეიყვანეთ, იმისი ძვლები თუ არ დამიგეთ და იმაზე არ დამაწვინეთ, მე არ მოვრჩებიო. დააწვინეს ამ თემზის ძვლებზე. წევს თურმე ზედე. თემზის ნახარში ბახში გადააქციეს. ამოვიდა იმაზე ალვისხე. ახლა ის დეიჯინა ემ ქალმა. ალვისხე თვარ მოვერით, არ მოვრჩებიო. წევიდენ და მოჭრეს ე ალვისხეი. მერე რო ჭრიან იმასა, იქანა მოსახლე ყოფილა, შახში მარტვა ერთი კაცი ყოფილა, იმის ბახში გადავარდა ნაფოტი. ეიღო ე ნაფოტი დ გააკეთა ნაფოტის საბარცხალი. რო დეიბარცხნის თავს ე კაცი, კედელში გააკეთეფს საბარცხალსა. მერე თვითონ წამოვა სამუშაოთ. საბარცხალი გედიქცევა ქალათ. მიაკეთეფს, მოაკეთეფს სუყველიფერს და რო იტყვის, აწი მოვა კაციო, შევა კედელში. მერე რო უხვთება ამ კაცს სუყველიფერი გაკეთებული, კვიროფს: „ამ შახში ვინ შემოდის და ვინ მიკეთეფს იჯრასაო“. მოუდარაჯდა კაცი და რო გამოვიდა კარში და მეეფარა საცხა, გამოვიდა ქალი და რო ფათუროფს შახში და გვის შახსა, შევარდა კაცი შახში. არი ე ქალი მზესავე. მიაძახა ამ ქალმა: „შენ მამა და მე შვილიო“.—„ვინ ხარ შენეო,— ამ კაცმა დოუწყო ლაპარაკი, — სიდან მოხვედი, რავაა შენი საქმეო“. — „დაჯექი შენეო და მე მოგიყობი სუყველიფერსაო“. მოუჯდა ე ქალი გვერდით და ელაპარაკება. ახლა უთხრა ემას, რომეო თუ შენ ჩემი მამა ხარ, დამიპატიჟე ხემწიფე თავის შვილიანრძლიანათ.

ხოდა, ორი ხოხობი დაკლა. თურმე ხოხობი ყამს იმ კაცსა. ერთ ქვე ხარშამს თურმე, მეორეს ცეცხში წვამს. თვითონ თან ატრიალეფს, თან დალაპარაკოფს თავის თავგადასავალს. სანემდი ვახშმათ დაჯდებოდნ, ე ხემწიფე ყურს უგდეფს. რო გაათავა

ლაპარაკი, ამ ხოხოფს უთხრა ქალმა: „თუ ტყუილი იყოს, ხოხობო, დეიწვი და თუ მართალი იყოს, გაფრინდიო“. თურმე ე ხოხობი შამფურიანა გაფრინდა. თურმე ბუძგამს ხემწიფი რძალს, ფიქრობს გლახათ წამივიდა საქმეო. ხემწიფე თავის შვილიანა დაფიქრებულია. ჰამეს ვახშამი და რო წევიდენ იქიდანა, გამოაბეს რაშის ძუაზე ე ქალი და ნაწილ-ნაწილათ დააწიწკნიეს ცხენს. ამ ქალ მოკიდეს ხელი და წეიყვანეს. ასეა, სიმართლე თავის გზას მოძებნის.

მარო სამსონის ასული შუკაიძე (68 წ.)
პერევი.

ამბობენ, არ იყო ნაპალეონის დაოტებაიო (=მოსვენება), სულ ბრძოლობდაო. ქვე წამევიდა თურმე ე ნაპოლეონი რუსეთში: შევიდოთ რუსეთში და ჩვენი ძალა ვანახოთ რუსებსაო. თურმე სულ აბრეშუმის ტანისამოსში ყამს გამოწყობილი ჯარი. რუსეთში თურმე ერთი კითხავი დახვთა. კითხავს უთხრა: „მიკითხავე შენეო: ომს წავაგეფ თუ მევიგეფ და რა მომელისაო“. კითხავმა უთხრა: „ცოცხალი დარჩები, არ მოქკლევენ შენე, მარა ომს წააგეფო“. „თუ შენ მართალ ამბოფო, მაშინ მიხვთები, უკან რო კაცი მოდის ცხენითი, ი ცხენი მაკეთ არი და რა ყამსაო?“ „ულაყი კვიცი ყამსო, შუბლზე თეთრი აქაო“. უბძანა ჯარისკაცეფს ნაპალეონმა, გაჭრეს ცხენი და მართალი იყო. ნაპალეონმა თქვა: „ომს წავაგეფ, მარა ნაპალეონს არ ჩევეია უკან დახევაიო“. მევიდა ნაპალეონი რუსეთში და მალა (=მართლა) წააგო ომი: შოუკრეს რუსებმა აქედანი-იქედანი გზები, გეიყივნა ჯარი. დარჩა ნაპალეონი მარტვა. დეიჭირეს ნაპალეონი და რაძაღა ცივი ადგილი იყო და გადაასახლეს იქა.

ნაპალეონის ისტორია გამეორდა მას უკანი: ჰიტლერი რო სულელი არ ყოფილიყო, დეინახთა, რა მოუვიდა ნაპალეონს და რუსეფთან არ დეიწყებდა ომს. როგორც რო ჰიტლერი ამბობდა, მე უნდა ვიყო თელ ქვეყნიერობაზე ყველაფერიო, ნაპალეონიც ასე იყო, ხოდა წააგო თავი.

ილარიონ უაველაშვილი (80 წ.)
ზედუბანი.

მე ბარათაშვილის ყმა ვიყავი. ნამზითი ვიყავი. აბაშიძის ქალი შეირთო ი ბარათაშვილმა. ჯერ აბაშიძესთან ვიყავით ჩვენე. მერე შეექნათ სიძე-სიმამრს ჩხუბი. ი აბაშიძე არ მელევნებოდა. მამაჩემა იცოდა მეკურდღლეობაი. კურდღლეფს ქვე კლევენ ახლაც, მარამა მამაჩემი სხვა იყო. თელი დღეები კურდღლეს დემდა. არ ემეტებ-

ოდა ბატონს, კურდღლებს ვერავინ დამიჭერსაო. ოთხი ძმები ვიყავით ჩვენე და ბარათაშვილმა წაგვიყვანა მზითეფში. როზგი იცოდა ჩვენმა ბატონმა. დამკვრელი თუ ღონიერათ არ დაქკრემდა, არ შეიძლებოდა. შეგვძაგდა თავი. ერთი ძმა მყამდა. ცხენი უნოდა. წევედი და ზედარგანში მოჯამაგირეთ დოუდექი გაფრინდაშვილს. ფული ევიღე, უყიდე ცხენი ჩემ ძმას. მისი ფასი არ იყო-რა ოთხფეხი. მერე სუყოლიფერი მევიკელით და გამევისყიდეთ თავი. ი ცხენი ქვე წაგვართვა ბატონმა, დახოულიყო იქა და დამხჩვალიყო ი ბედოური. თავი რო გამევისყიდეთ, გეეგო ბატონიშვილს, თფილიში იყო ისი.

გაგულისებულა: „დედის მზითეფს მამაჩემს მივცემო?“ კიდე გამევისყიდეთ თავი. მერე მევედით იქა, მევინგროვეთ თავი და ეს სახლები სულ ახლა ევიშენეთ. ე ბოვშები ქვე დავზარდეყე და ახლა ქვე მემსახურებიან. მე ბევრი ვიცი, რო ჩეიარეს ამ ქვევით მამაებმა. შვილები რო არ მეფერებოდონ, ჩემი ბებერი ძვლები ვერ მოატანდა აქამდინ. ე ბიჭი შკოლიდან რო გამევიყვანე, ვერ ვქენი კაი, ახლა ქვე მეჩხუბის.

თქვენე მოგიყობიყე ახლა, ნამთი რო ვიყიდე პირველათ. ზესტაფონში ქვა ჩევიტანეთ (მე შავ ქვაშიც მიმუშავია) გვითხრა ჩვენმა მამიდას ქმარმა: ბიჭო ლევანაო, მისთანა მოსულა წყალი, ცეცხლი ეკიდებაო. გვითხრა იმ გამომყიდველმა: სოფლის ახლოს არ მიიტანოთაო. ბოყოველი იყო ე ჩემი მამიდას ქმარი. ამეეთხარა მიწაი და ჩეედგა იმაში. მე ჰალაში დავტოვე წისქვილთან. კრუშკაები (=ჭრაქი) გააკეთეს, კანდელა მეიღეს რაძახაი. ცეცხლის მთებელი მე ვიყავი. ხმელი შეშა ქვქონდა მამზადილი. დავაყრიდით, როგორც შეევატყობდით, რო მოაკდებოდა.

მე შავ ქვაშიც მიმუშავია. სანემდი შემეძლო მუშაობაი, ჯანს არ ვიზოგემდი. ახლაც ვმუშაოფ კოლექტივში, 3 ექტარი გავთოხნე მარტვა მე. რორგორც სიარულზე მეეხმარება უძლურ კაცს ჯოხი, ისე მეხმარება თოხი. თოხნაში ახალგაზდები ვერ მაჯობეფს. ცოცხალ-კვტარი არ უნდა იყო კაცი. სხვას არ უნდა შეაჩერდე ხელში. საქმე რო გეყვარება, კაცი ვერ გაგაფუჭეფს.

ლევან მეცხვარიშვილი (107 წ.)
წირქვალი.

К. С. ДЗОЦЕНИДЗЕ

ВЕРХНЕИМЕРСКИЙ ГОВОР

Резюме

В верхнеимерском говоре наряду с грамматическими нормами, характерными для западных наречий, наблюдаются морфологические и синтаксические явления, приближающие его к восточным наречиям грузинского языка.

Вместе с тем выявляется целый ряд морфологических особенностей (при склонении имён засвидетельствовано ი вместо эмфатического ი: ჩაფითი, თიხითი, ხალხითი... образование превосходной степени имён прилагательных лишь суффиксом ე: უმაღლე, უხნე, უგემრიელე... наличие суффикса ევ в формах III лица множ. числа настоящего и будущего времён: კლევენ, ბარევენ, დარგევენ... употребление — ო в сослагательном II, а иногда и в сослагательном I вместо ожидаемого — ე: გადმოხტოს, მიცოს, მუშაობდონ и др.), которые резко отделяют верхнеимерский говор от нижнеимерского и отводят ему особое место среди наречий и говоров грузинского языка.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XI, 1952—1953.

ა. ჯაჯანიძე

ზოგი ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში

ენის სტალინურ მოძღვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პრობლემას ენის განვითარების შესახებ. ი. ბ. სტალინის ნაშრომში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ მეცნიერული საბუთიანობით მკაცრადაა გაკრიტიკებული და უკუგდებული ნ. მარის იდეალისტური თვალსაზრისი ენის აფეთქების გზით განვითარებისა. ი. ბ. სტალინმა დაადგინა, რომ ენა თავისი შინაგანი კანონებით ვითარდება. მისი განვითარება უშუალოდ დაკავშირებულია საზოგადოების განვითარებასთან. ენაში ყველაფერი ერთნაირად არ იცვლება: ენის საფუძველი მეტად ნელა იცვლება, ლექსიკური შემადგენლობა კი — გაცილებით უფრო სწრაფად. ენის განვითარებაში აფეთქებებს ადგილი არ აქვს.

ი. ბ. სტალინმა გენიალურად დაახასიათა ენის განვითარების მთელი პროცესი: „ნამდვილად ენის განვითარება ხდებოდა არა არსებული ენის მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ არსებული ენის ძირითადი ელემენტების გაშლისა და სრულყოფის გზით. ამასთან ენის ერთი თვისებრიობიდან მეორე თვისებრიობაში გადასვლა ხდებოდა არა აფეთქების გზით, არა ძველის ერთბაშად მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ ენის ახალი თვისებრიობის, ახალი სტრუქტურის ელემენტების თანდათანობითი და ხანგრძლივი დაგროვების გზით, ძველი თვისებრიობის ელემენტების თანდათანობით კვდომის გზით“ [1].

ი. ბ. სტალინის ეს ფორმულა ენის განვითარების შესახებ უტყუარ დადასტურებას პოულობს ქართულ ენაშიც. ამას ნათლად გვიჩვენებს მისი გრამატიკული წყობის ცალკეულ მოვლენათა ანალიზიც. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ: „არ შეიძლება ენა,

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1951, გვ. 25.

მისი სტრუქტურა განვიხილოთ როგორც ერთი რომელიმე ეპოქის პროდუქტი. ენის სტრუქტურა, მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი მთელი რიგი ეპოქების პროდუქტია“ [1].

ახალი სალიტერატურო ენის წინსვლისა და შემდგომი აყვავებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენის ისტორიის საკითხების სტალინური მოძღვრების მიხედვით დამუშავებასა და საფუძლიან შესწავლას.

ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლების გრამატიკული წყობის ნორმათა გამორკვევა-დადგენა ქართული ენის ისტორიისათვის არასოდეს ისე აქტუალური არ ყოფილა, როგორც დღესაა. მაგრამ იგი თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ ხელს უნდა უწყობდეს ახალი სალიტერატურო ენის განვითარებას, მისი სადავო ნორმების დადგენას.

წარმოდგენილი ნაშრომი ძველი ქართულის გრამატიკული წყობის ერთ საკითხს არკვევს ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლების მიხედვით. იგი ერთი მთლიანი შრომის ნაწილია.

* * *

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ერთ დროს ქართულში ზმნისწინი და თანდებული დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვები იყო, მაგრამ, ჯერხნობით ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ისინი გაცვთდნენ, დამოუკიდებლობა დაკარგეს, მიეკედლნენ ზმნას ან სახელს და თითოეულმა მათგანმა თავისი ფუნქცია იქ გაიჩინა [2].

„იგივეობა ამით არ ამოიწურება, — წერს ა. შანიძე, — ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე „სიტყვა“ (ოდესღაც დამოუკიდებელი), სახელთან თანდებულად არის გამოყენებული, ზმნასთან კი — პრევერბად“ [3]. ჩანს, რომ ზმნისწინისა და თანდებულის, გენეტურად ამ ორი ერთგვარი მონაცემის, პირვანდელი ფუნქციაც ერთნაირი უნდა ყოფილიყო: ზმნისწინი ზმნაში გამოხატული მოქმედების მიმართულებას აღნიშნავდა, თანდებულიც უთუოდ ამასვე გამოხატავდა ჯერ სივრცესა, ხოლო შემდეგ დროშიც.

---

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1951, გვ. 24.

[2] ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვ. 1, გვ. 253.
გ. თოფურია, სვანური ენა, I, გვ. 64.
ა. მარტიროსოვი, თანდებულები ქართულში, იბერ-კავკ. ენათმეცნ., I, გვ. 203.

[3] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვ. 1, გვ. 253.

წამოყენებული მოსაზრებისათვის მეტად საინტერესო და ფასეულია, ერთი მხრით, შე, შთა, შემო, შთამო, ზმნისწინებისა და შინა თანდებულის, ხოლო, მეორე მხრით, გან, გამო პრევერბებისა და გან თანდებულის ურთიერთობისა და გამოყენების კანონზომიერების დადგენა ძველ ქართულში.

შე ზმნისწინი და შინა[1] თანდებული ბგერითი შედგენილობით განსხვავებულია, მაგრამ — „როცა **ში — ნა**-ს **ნა** ჩამოჰშორდა, დაგვრჩა პირველი ნაწილი (**ში**), რომელიც ზმნაში ფონეტიკური სახეცვლილებით არის წარმოდგენილი (**შე**)“[2]. ისინი ერთისა და იმავე „სიტყვისაგან“ მომდინარეობენ. უუნქციის მიხედვითაც, რაც **შინა** თანდებულია სახელისათვის, იგივეა **შე** პრევერბი ზმნისათვის. ეს შეხედულებაც მთლიანად დასტურდება ძველი ქართულის მაგალითებზე.

რა კანონზომიერება არსებობს შე პრევერბისა და შინა თანდებულის ურთიერთობისა და გამოყენების მხრივ ძველ ქართულში?

აი პასუხი:

შინა თანდებული ძველს ქართულში აღნიშნავდა შიგმყოფობას სივრცეში (განსაზღვრულ ადგილზე) და სახელს მართავდა მიცემითს ბრუნვაში:

პოვნა ტაძარსა მას შინა, ი. 2,14 DE
ქურივი ვინმე იყო მასვე ქალაქსა შინა, ლ. 18,3C
რომელი არს ზღუასა შინა, კიმ., I, 35,18
ღამჱ და დღჱ უფსკრულსა შინა დავყავ, 2 კორ. 11,26
რომელნი ხართ ეფესოს შინა, ეფეს. 1,1
ცათა შინა აქუს საფასჱ, კიმ., I, 40,26
დავსდებ სიონსა შინა ლოდსა, რომ. 9,33

---

[1] მარის აზრით, ამ თანდებულში ფუძე არის შინ (← შჲინ, ср. შჲნ, корень შჲნ строить), ა მიცემითი ბრუნვის დამახასიათებელი ნიშანია (характер Д. падежа). საშუალო საუკუნეებში პირველადი ფუძიდან **ნ** გამოიყო და, ამგვარად, **შინა**-დან **ნა** მიცემითი ბრუნვის ნიშნად იქნა მიჩნეული (Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 33, 111). ნ. მარის ეს მოსაზრება მცდარია: მიცემითი ბრუნვის ნიშნად ქართულში **ა** და **ნა** არასოდეს ყოფილა. იგი ალბათ არაბულის მიცემითის ა-ს ეძებდა ქართულშიც.

ა. შანიძეც შინა თანდებულს ში და **ნა** ელემენტებად ჰყოფს, რომელთაგან „ნა იგივეა, რაც **ნა** შემდეგ სიტყვებში: ქვე-ნა, ზე-ნა, აქა-ნა (იმერ.)“ — ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 253.

[2] იგივე, გვ. 253.

რომელნი არიან მაკედონიას შინა, 1 თეს. 1.7

ნუვის რას უთხრობ დაბასა შინა, მრ. 8,26 DE

დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან შინა თანდებული გადმოსცემს დროს:

მოისრნეს ფარისეველთაგანნი მას დღესა შინა, კიმ. I, 41,25

რაჲთა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარსა შინა, მ. 24,20

თუ შჳდ გზის დღესა შინა შეგცოდოს შენ, ლ. 17,4 C

მას ჟამსა შინა ვჰრქუა, მ. 7,23

რომელი არა ჯერ-არს შაბათსა შინა საქმედ, მ. 12,2.

თუ ამ და სხვა მაგალითებს კარგად ჩავუკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ სივრცესა და დროში მყოფობას გარედან შიგნით მიმართულების ჩვენებაც თან ერთვის. მართალია, მიმართულების ფუნქციის გამოხატვა ახლა მილეულია და უფრო შიგ ყოფნის სტატიკური მხარეა გააზრებული, მაგრამ თავდაპირველად შინა თანდებულიან სახელში ალბათ მიმართულების პროცესიც შეიძლებოდა დაგვენახა.

იშვიათად ძველ ქართულში უთანდებულო მიცემითსაც შეეძლო შინა თანდებულიანი სახელის მნიშვნელობა გადმოეცა:

პოეს იგი ტაძარსა მას, ლ. 2,46 C (შდრ. DE)

დაუმზადა ლევი პური დიდი იესუს სახლსა თჳსსა, ლ. 5.29 E (შდრ. C)

დააგდო ვეცხლი იგი ტაძარსა მას, მ. 27,5 C

უკანასკნელი რიგის მაგალითების მიხედვით გამოდის, რომ შინა თანდებული არც ყოფილა აუცილებელი: ადგილს (შიგმყოფობას სივრცეში) უთანდებულო მიცემითიც უჩვენებდა. ამავე ფუნქციას ასრულებდა თანდებულიანი მიცემითიც. რატომაა მრავალფეროვნება? ჩვენ აქ საქმე გვაქვს ძველი და ახალი თვისებრიობის ელემენტებთან. უძველესია უთანდებულო მიცემითის ფორმები, ახალი ჩანს შინა თანდებულიანი მიცემითის ნორმა. ძველი უთუოდ მომაკვდავია, ამიტომ იშვიათად გვხვდება. ახლის ხმარების ასპარეზი განუწყვეტლივ ფართოვდება, ძველის ადგილს იპერს იგი.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური დებულება ენის განვითარების შესახებ[1] შეუდარებელი სიზუსტით დასტურდება ქართული ენის ამ მაგალითზეც.

მეტად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ოთხთაების ტექსტებში

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 26.

უთანდებულო მიცემითის (შინა თანდებულიანი სახელის მნიშვნელობით) ფუნქციას ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელიც ასრულებს:

დაეშენა კაფარნაომდ, მ. 4,13 C (შდრ. დაემკჳდრა კაფარნაუმს D)

დამიტევა მე მსახურებად, ლ. 10,40 C (შდრ. დამიტევა მე მსახურებასა E)

წარვიდეს უდაბნოდ ადგიდ, მრ. 6.32 C (შდრ. წარვიდეს უდაბნოსა ადგილსა DE).

ეს მაგალითები კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მიცემითი ბრუნვის ფორმას ადრე მიმართულების აღნიშვნაც შეეძლო. აქ საკითხი დაისმის მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ფუნქციონალური ურთიერთობის შესახებ. ამაზე ცოტა ქვემოთ.

ა. შანიძე **ში** (ძველი შინა) თანდებულისა და **შე** პრევერბის ფუნქციათა იგივეობის შესახებ მეტად მოხდენილად შენიშნავს: „ასე რომ, როცა ვამბობთ „ქალაქ-ში შე-ვიდა"-ო, არსებითად ვიმეორებთ ერთსა და იმავე მორფემას" [1]. ეს ასეა ახალ ქართულში: უხერხულად მიგვაჩნია გამოთქმები: შევედი სახლს, შევედი ეზოს და სხვა.

ძველი ქართული ენის ტექსტებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ წინადადებაში ამ ორი ელემენტის (შინა თანდებულისა და შე ზმნისწინის) **ერთად ხმარება აუცილებელი არ იყო: თუ წინადადებაში ზმნას თან ახლდა პრევერბი შე** [2], **მასთან დაკავშირებულ სახელს** შინა **თანდებული არ სჭირდებოდა, ოღონდ იგი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მიცემითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმით.**

მაგალითები მიცემითი ბრუნვისა:

შევიდა იგი ტაძარსა მას, შუშ. V, 29

შევიდა შესაკრებელსა მათსა, მრ. 1,21

ოდესცა ეკლესიას შევიდოდიან, ცხორ. 64,1

რამეთუ შევიდის მამაჲ სამზარეულოს, ცხორ. 82,1

შეაყენეს იგი საპყრობილესა, ყუბ. ქრ. 61, ჰაბო თ. 2

გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგდოს შენ, შუშ. III, 25

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 253.

[2] შემდეგ დავინახავთ, რომ შე ზმნისწინის ბედს იზიარებს შთა, შთამო და შემო პრევერბებიც.

შეაგდე იგი სატანჯველსა და გუემასა, ყუბ. ქრ. 64, ჰაბო, თ. 3
შეუვრდეს ფერკთა წმიდისათა, ყუბ. ქრ. 93, სრ. ზრზ.
შეგაგდონ შენ საპყრობილესა, მ. 5,25
ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, მ. 6,13
შეიყვანა თავადი სახლსა მისსა, ლ. 10,38
შეგდებულ იყო საპყრობილესა, ლ. 23,19
არა შევალს გულსა, მრ. 7, 19 E
შეაყენონ იგი საპყრობილესა, კიმ., I, 9,5
შევიდა ეკლესიას ლოცვად, კიმ., I, 207,5
შეცჳვიან განსაცდელსა და საბრკესა 1 ტიმ. 3,6
ზღუასა შეველ, „ვ-ტ“, 494
დარბაზს ეჯიბი შეგზავნა, „ე-ტ“, 95
შევიყენენით რაჲ საპყრობილესა, ათ. 124
შევიდა იგი იერუსალჵმს, მ. 21,10 B
შესლვად განსასუენებელსა მისსა ჰგონებდეს, ებრ. 4,1
ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხუალთ, მ. 10,5

ვითარებითი ბრუნვის მაგალითები:

შეედ ქალაქად, ათ. 166
შემიყვანნა სახედ მისა, ათ. 161
რათა შევიდეს სახლად მისა, იქვე, გვ. 164
შეიყვანა კარვად, იქვე, გვ. 319
მოშიშებით ეკლესიად შევიდა, შუშ. II 20
შევიდეს წმიდად ეკლესიად, ყუბ. ქრ. 97 (სრ. ზრზ).
შევიდა ნოვე კიდობნად, მ. 24,38 E
შევიდა იგი კაფარნაომდ, მ. 8,5 C
შეივლტოდა აშოტ კუროპალატ ეკლესიად, გრ. 44-შნშნ.
შეიყვანეს დამასკედ, საქ. 9,8
შევიდა ეკლესიად, კიმ., I, 6,10.

შე ზმნისწინის ბედს მთლიანად იზიარებს შთა პრეევრბიც. ეს არცაა საკვირველი: როგორც ცნობილია, შთა წარმოშობით რთულია: შედგება ორი მარტივი ზმნისწინისაგან **შე + და (შედა → → შდა → შთა)**[1]. ძველი ქართული აქ შეჩერდა. **შთ** კომლექსის **ჩ**-თი შეცვლა პირველად დადასტურებულია გიორგი მთაწმიდლის

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვ. 1, გვ. 238.

„იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ ტექსტში (ჩამოიტანნა, 25,2; ჩამოვიდა, 118,3 C; ჩამოვიდით, 113,20 b) [1]. ახალ ქართულში შთა მხოლოდ რამდენიმე სიტყვაშია გაქვავებული სახით შემონახული.

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ჩა-ს დღესაც შერჩა ორი (შე-და) ზმნისწინის ფუნქცია: **შე** უჩვენებს გარედან შიგნით მიმართულებას, **და** კი — ზევიდან ქვევით. შთა პრევერბის პირველი კომპონენტი შე ზმნისწინია. უთუოდ ამით აიხსნება შთა, შე ზმნისწინების ფუნქციონალური სიახლოვეც და შემდეგ შთა ზმნისწინისა და შინა თანდებულის ფუნქციის მიხედვით ერთმანეთთან დაკავშირების შესაძლებლობაც.

ამ შემთხვევაშიაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, **ძველი ქართულისათვის შეიძლება დადგენილ ნორმად იქნეს მიჩნეული, რომ შთა პრევერბიანი ზმნა შინა თანდებულს ვერ იგუებს: შთა ასრულებს შინა-ს ფუნქციასაც. სახელი აქაც მიცემითსა ან ვითარებით ბრუნვაში დგას**

შთა პრევერბიან ზმნასთან სახელის უთანდებულო მიცემითის მაგალითები:

შთახედა საფლავსა მას და იხილნა ტილონი მდებარენი, ი. 20,5 (ხანმეტი)

ნუ ყოველი გუამი შენი შთავარდების გეჰენიასა, მ. 5,29 C

შთავარდა ზღუასა, ი. 21,7 C

შთა-მცა-ვარდა უფსკრულთა ზღუსათა, მ. 18,6 C

შთაასხა წამალი იგი ჭიქასა, ათ. 170

შთაიხედნეს კიდესა წიგნისასა, იქვე, 347

შფოთთა შთამაგდებენ, ცხორ. 17,2

დიდსა ღელვასა და მიმოტაცებასა შთაცვენით, ცხორ. 116.3

სხუასა ძმასა ბრალსა ნულარა შთააგდებნ, ცხორ. 80,3

მერმე შთავიდეს სოსანიგელთა სოფელსა, ყუბ. ქრ. 28

შთაკდა მდინარესა მას იორდანისასა, ყუბ. ქრ. 65, ჰაბო, თ. 3

მერმე კუალად შთავკდე წყალთაცა, ყუბ. ქრ. 65, ჰაბო, თ. 3

შთაყარნეს დიდსა მას მდინარესა, იქვე, 68, თ. 3

---

[1] ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ მიხედვით, გვ. 71.

არავინ შთააასხის ღუნოჲ ახალი თხიერსა ძუელსა, მრ. 2,22
ორნიე მთხრებლსა შთაცვიან, მ. 15,14
შთააგდო იგი საპყრობილესა, მ. 18,30 D
ხვალე თორნესა შთაეგზნის, მ. 6,30 D
თჳთ შთავიდოდა თჳსსა სენაკსა, ცხორ. 105,3
შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჯურღმულსა, მ. 12,12 (ჰაემ.)
შთაკრიბნეს ტყავსა ცხოვრისასა, იმნ. 199,6

შთა პრევერბიან ზმნასთან სახელი ვითარებით ბრუნვაში:

ამისა შემდგომად შთავიდა იესუ კაფარნაუმდ, ი. 2,12
შთავიდეს მოწაფენი მისნი ზღუად, ი. 6,16
შთაიგდო თავი თჳსი ზღუად, ი. 21,7
აღიფხურ ამიერ და შთაევედ ზღუად, მ. 21,21 B
აღდეგ და შთაევედ შენ სახიდ მეკეცისა, იმნ. 18,2 წნწტყ.
ანუ ვინ შთავიდეს უფსკრულად, რომ. 10,7
შთავიდეს ტროადად, საქ. 14,8 B
შთაევედით ქალაქად, ათ. 166
შთავიდეს იგინი სელევკიად, საქ. 13,4 B
შთავიდა კაფარნაომდ, ქალაქად გალილეაჲსასა, ლ. 4,31 C

მოტანილი მაგალითებით კიდევ უფრო ცხადი გახდა მიცემი თისა და ვითარებითის კავშირი. ვითარებითი ყველა შემთხვევაში მიცემითს მიჰყვება: უთანდებულო მიცემითის გვერდით ამავე ფუნქციით ვითარებითის ფორმა იხმარება; შინა თანდებულიანი მიცემითის შინაარსსაც კარგად გადმოსცემს ვითარებითი; შინა თანდებული მიცემითთან არაა, მაგრამ იგი შინა თანდებულიანი სახელის გაგებას წარმოგვიდგენს, როცა ზმნას შე ან შთა პრევერბები აქვს; ზუსტად ამასვე იმეორებს ვითარებითიც, უდავოდ მიგვაჩნია, რომ თავდაპირველად სახელის მიცემითის ფორმასაც შეეძლო მიმართულების აღნიშვნა და, უთუდ ამიტომ, როცა ვითარებითი გაფორმდა[1], ამ ორ ბრუნვას შორის ბუნებრივი კავშირი დამყარდა. მათი დაშორება გვიანდელი და მეორეული მოვლენა ჩანს.

ნ. მარი საბერძნეთა-დ, ჯოჯოხეთა-დ და მსგავს ფორმებში ა-ს მიცემითი ბრუნვის ნიშნად გამოჰყოფდა, დ კი იგივე **და**

[1] Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного груз. языка, Ленинград, 1925, გვ. 27, 28, § 40.

თანდებულიაო[1]. ამის მიხედვით უთანდებულო მიცემითია საბერძნეთ-ა, ჯოჯოხეთ-ა და სხვ. აშკარაა, რომ იგი მიცემითსა და მიმართულებითს მხოლოდ ფუნქციის მიხედვით კი არ აკავშირებდა, არამედ მათ შორის იგივეობის ნიშანსაც სვამდა.

ამ საკითხის შესახებ ნ. მართან კამათის დროს არნ. ჩიქობავა ასეთ მოსაზრებას აყენებს: „მიმართულებითს აქვს ერთგვარი ფუნქციონალური კავშირი მიცემითთან, მაგრამ მათი გაიგივება დაუშვებელია: ესენი სხვადასხვა ფორმაციის ბრუნვებია. მერე: მიცემითს ქართულში -ა არ აწარმოებს“[2]...

ურარტულის მიმართულებითის მიცემითთან ფუნქციონალური სიახლოვე გრ. ხაფანციანსაც აქვს აღნიშნული[3]. არნ. ჩიქობავა ერთგვარად ეთანხმება გრ. ხაფანციანის მოსაზრებას ამ ორი ბრუნვის ფუნქციონალური თანხვედნის შესახებ და წერს: „საინტერესოა, რომ ძვ. ქართულის მიმართულებითის არა ერთი შემთხვევა გადმოიცემა ამჟამად თანდებულიანი თუ უთანდებულო მიცემითით (შევიდა აბრაჰამ ეგვპტედ... დაბად. წიგნი I, თავი 12_{14}... ეგვპტედ = ეგვპტეში... ახ. ქართ. გაემგზავრა ქალაქს... აქ მიცემითი მიმართულებითის ფუნქციის მქონეა)“[4]...

უდავოა, რომ **მიცემითი** და **ვითარებითი** ძველს ქართულში ფუნქციის მიხედვით ერთმანეთთან ახლოს დგანან. საგულისხმოა, რომ ქართველურ ენებში აღნიშნულ ბრუნვებს შორის ამგვარი ურთიერთობის ნიშნებს ვერ ვპოულობთ.

სამაგიეროდ ზმნისწინსა და თანდებულს შორის ფუნქციონალური ურთიერთობის შესახებ ძვირფას მასალას იძლევა მეგრულ-ჰანური. როგორც ცნობილია, სვანურში ქართულის რთული პრევერბების სიმცირეს ჰფარავს თანდებულების სიმრავლე. მეგრულ-ჰანურში კი — პირიქით. „არსებობს **უთუო კავშირი** ამ ორ მოვლენას შორის: **თანდებულების სიუხვესა და პრევერბ ეის სიღარიბეს შორის**“[5].

---

[1] Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 27, 18, § 40.

[2] არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 20, 27.

[3] გრ. ხაფანციანი, Общие элементы между урартским и хетским языками, Эрив. გვ. 62; ვსარგებლობ არნ. ჩიქობავას წერილით.

[4] არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I, 1937, გვ. 22, 27.

[5] არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი. გვ. 130.

შე ზმნისწინი რომ შინა თანდებულის ფუნქციასაც ასრულებდა ძველ ქართულში, ეს ქართულისათვის სპეციფიკურად არ ჩაითვლება: რაც ძველ ქართულში გვქონდა, ის ახლაც ცოცხალია ჰანურში: „პრევერბთა ნაწილი ხომ თანდებულის როლსაც ასრულებს... ჰანი ამბობს: თუთა წკაის დოლოძიტუ... ქართულად ითქმის: მთვარე წყალში იდო... **-ში** თანდებული სახელს დაერთო მიცემით ბრუნვაში: **წყალ-ში ← წყალსა შინა;** ჰანურში წკაის მიცემითია, მაგრამ უთანდებულო; სამაგიეროდ ზმნას აქვს დართული პრევერბი (დო-) **ლო,** რომელიც მოწოდებულია ქართულში შითანდებულის მაგივრობა გასწიოს („შიგიდო"); სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში სახელს თანდებული არ ესაჭიროება: მის საქმეს ზმნის პრევერბი აკეთებს... სახელის ფორმის სიმარტივე ასეთ პირობებში ზმნის ფორმის სირთულეს მოასწავებს" [1].

აქ წარმოდგენილი მაგალითებით ირკვევა ისიც, რომ უთანდებულო მიცემითის ფორმები უძველესია; მას შინა თანდებული არ ერთვოდა: თვით ბრუნვის ფორმა აღნიშნავდა შინა-ს მნიშვნელობასაც. მომდევნო პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს ფორმები, რომლებშიც შე, შთა პრევერბიან ფორმებთან სახელი მიც. ან ვით. ბრუნვაშია და შინა თანდებულიანი სახელის მნიშვნელობას გამოხატავს: ერთისა და იმავე ფუნქციისათვის ენა ორ მორფემას ერთად არ ხმარობს — ზმნას აქვს, სახელს — არა. ესეც უთუოდ იმიტომ, რომ პირველად ზმნა გაფორმდა. „ზმნისწინი ერთი ნიშანთაგანია ზმნისა... ზმნისწინის წარმოშობის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ზმნის ჩამოყალიბებასთან. გარკვეული ნიშნები ზმნას მხოლოდ პრევერბის წყალობით აქვს მოპოვებული. გეზი, ორიენტაცია, ასპექტი... პირველი ორი მაინც მხოლოდ პრევერბის ზმნასთან შეზრდის შედეგია" [2]. ოდესღაც დამოუკიდებელი „სიტყვები" პირველად ზმნას დაუკავშირდა. როცა პრევერბს სხვა ფუნქციებიც გაუჩნდა და სახელთან შინაარსობრივი კავშირი გასწყვიტა, სახელთან თანდებულის ხმარება აუცილებელი გახდა.

რომ შე ზმნისწინი შინა თანდებულის მნიშვნელობას გადმოსცემს ძველ ქართულში, ეს სავსებით გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, რომ შე-ს მიჰყვება რთული შთა (შე-და) და, სხვათაშორის, შემო და ხშირ შემთხვევაში შთამო-ც (შე — და-მო).

შემოვიდა ქალაქად, ათ. 149

---

[1] არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 130.

[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკ. 1, გვ. 233.

შემოედ სახლსა ჩემსა, იქვე, 156
მაშინ შემოიყვანნის მონასტრად, ცხორ. 92,3
შემოსრულ იყო ქალაქსა თბილისს, ყუბ. ქრ. 65 ჰაბო 3.
გნებავს შემოსლვად ეკლესიად, ყუბ. ქრ. გვ. 74
შთამოვიდოდა ხანძთას, გრ. 116,9

როგორც ჩანს, ენა უფრო მეტ ანგარიშს უწევდა რთული ზმნისწინის პირველ წევრს. ენას მაინც ის მიუჩნევია მოქმედების აღმნიშვნელ ძირითად ელემენტად, აქ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ მარტივი ზმნისწინები (და მათ შორის, ცხადია, **შე-**ც) უფრო ადრინდელი მოვლენაა ენაში, ვიდრე რთული.

შე, შთა, შემო ზმნისწინებისა და შინა თანდებულის აღნიშნულ ნორმას არსებითად საშუალი ქართულიც იცავს, თუმცა ხშირია გადახვევის შემთხვევებიც. აქა-იქ ნორმის დარღვევის მაგალითები ძველი ქართულის ტექსტებშიც გვხვდება: ხოლო მე აწ შთავწერე წიგნსა ამას შინა მოწერილი, გრ. 111,14

შთაუსუენეთ გუადრუცსა შინა, ათ. გვ. 345

მსგავსი მაგალითები მეტად იშვიათად მოიძებნება. რაც არის, იმათ შესახებ შეგვეძლო გვეთქვა, რომ უკვე დაწყებულია პროცესი ზმნისწინის ზმნით შემოფარგვლისა, როცა მას ძალა არ შესწევს სახელთანაც შეასრულოს თანდებულის ფუნქცია. ამით მტკიცე ზღვარი დაიდო ზმნისწინსა და თანდებულს შორის.

* * *

რაც დასახელებული პრეევერბებისა და შინა თანდებულის ურთიერთობისა და გამოყენების შესახებ აღვნიშნეთ, მთლიანად ვრცელდება იგი გან პრეევერბისა და ასეთივე შედგენილობის თანდებულის დამოკიდებულებაზე[1]: **თუ ზმნას გან პრევერბი აქვს, ძველ ქართულში მასთან დაკავშირებულ სახელს არ სჭირდება გან თანდებული, მაგრამ იგი ყოველთვის მოქმედებითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი (ასეთ მოქმედებითს დაწყებითის მნიშვნელობა ჰქონდა).**

მაგალითები:

ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყანით, ყუბ. ქრ., 62, ჰაბო, თ. 2
განვიდა ტაძრით, ი. 8,59

---

[1] ვ. ბერიძის გამოკვლევით სიტყვა **გან-**ი ადგილს აღნიშნავდა. ეს მნიშვნელობა შემონახულია გან თანდებულშიც („საგან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის", აკად. მოამბე, III, № 4, გვ. 382).

განვინმე-იღოს პურჭერი მიერ ტაძრით, მრ. 11,16
განვიდა იერიქოჲთ, ლ. 19,1 C
განვიდა გარე ქალაქით, ბეთანიად, მ. 21,17
განსლვად იყო სამარიაჲთ, ი. 4,4

ასეთივე ურთიერთობაა **გამო** ზმნისწინსა და **გან** თანდებულს შორისაც[1]: გამო პრევერბიან ზმნასთანაც (მხედველობაში გვაქვს პირიანი და უპირო ფორმა ზმნისა), როგორც წესი, უთანდებულო მოქმედებითი იხმარება. აქ სრული ანალოგიაა შე, შემო ზმნისწინებისა: რთული ზმნისწინის **გამო**-ს პირველ მარტივს ეკისრება გამოხატოს მიმართულება.

მაგალითები:

მაშინ თქჳ[ს]: მოვიქცე სახიდ ჩემდა ვინაჲთცა იგი გამოვედ, მ. 12,44 C
გამობრწყინდის მზის აღმოსავალით, მ. 24,27
გამოაგდეს იგი მიერ სავენაკით, მრ. 12,8
გამოეგებოდა მას სამარობნით კაცი, მრ. 5,2 C
გამოვედით ანტიოქიით, ათ. გვ. 318
მაშინ გამოვიდა ეკლესიით მხიარული ნეტარი გრიგოლ, გრ. 119,5.
სამოთხით გამოვიდეს, ყუბ. ქრ. გვ. 3
გამოასხა ყოველი ტაძრით, ყუბ. ქრ., გვ. 26
გამოიყვანა საპყრობილით და განუტევა, იქვე, თ. 2

„-გან თანდებულიან მოქმედებით ბრუნვას, — წერს ქ. ძოწენიძე, — ადგილის აღნიშვნა შედარებით გვიან დაეკისრა, რადგან ამ მნიშვნელობით ჩვეულებრივ იხმარებოდა უთანდებულო მოქმედებითი, ანუ დაწყებითი (გამოსვლითი) და ზოგჯერ გან — თანდებულიანი ნათესაობითიც“[2]. ეს სავსებით სწორია, მაგრამ საკითხავია: რა შემთხვევებში შეეძლო უთანდებულო მოქმედებითს — დაწყებითს აღენიშნა ადგილი? როგორც მოტანილი მაგალითებით ირკვევა, უთანდებულო მოქმედებითს მაშინ შეეძლო აღენიშნა ადგილი, როცა მასთან ერთად იდგა ზმნა გან ან გამო პრევერბე-

[1] გან ზმნისწინისა და გან თანდებულის ფუნქციონალური იგივეობის შესახებ მოსაზრება გამოთქმული აქვთ ა. შანიძეს (ქართ. გრამ. საფუძვლ. გვ. 254), გ. თოფურიას (სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 64), არნ. ჩიქობავას (ჯანურის გრამ. ანალიზი, გვ. 130), ა. მართიროსოვს (თანდებულები ქართულში, იბ.-კავკ. ენათმეცნ. გვ. 228 და შემდეგ).

[2] ქ. ძოწენიძე, -გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, გვ. 195.

ბით. მნიშვნელობა, რომელიც შემდეგ ადგილის აღმნიშვნელ სიტყვასთან გან თანდებულმა დაიკისრა, დასახელებული ზმნისწინებით იყო გამოხატული: ენა ერთისა და იმავე ფუნქციისათვის ამ შემთხვევაშიაც ორ მორფემას ვერ იგუებდა. ქ. ძოწენიძეს მის მიერ წამოყენებული დებულების დასამტკიცებლად სამი მაგალითი მოაქვს, რომელთაგან ორი გამო პრევერბიან ზმნასთან არის. მხოლოდ ერთია ისეთი, რომელშიც უთანდებულო მოქმედებითი გადმოსცემს ადგილს; მასთან დაკავშირებულ ზმნას არ ერთვის არც გან და არც გამო. მსგავსი მაგალითები კიდევ შეიძლება დაიძებნოს (მისცემდიან მონასტრით, ცხორ. 102,1), მაგრამ ეს ჩვენს დებულებას არ ეწინააღმდეგება; ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარი ფორმები იმ დროისაა, როცა მოქმედებითი ბრუნვის ფორმისათვის ძირითადი ფუნქცია იყო აღენიშნა მოქმედების საწყისი პუნქტი. როცა ეს ფუნქცია ნაწილობრივ შესუსტდა, მას მიეშველა პრევერბები გან, გამო, რომლებიც თავდაპირველად მიმართულებას გამოხატავდა სივრცეში[1]. უფრო გვიან მოქმედებითი ბრუნვის ეს ფუნქცია შესუსტდა, ზმნისწინიც ველარ შეელოდა მას, რადგან მათ სხვა ფუნქციებიც შეეძინათ, ხოლო ხშირ შემთხვევაში სულ დაეკარგათ მიმართულების აღნიშვნის ძალა, ადგილის აღსანიშნავად სახელმა **გან** თანდებული მიიღო.

მოქმედების საწყისის აღნიშვნას დროში პრევერბთან კავშირი არ ჰქონდა. ამით აიხსნება, რომ, თუ მოქმედებითი ბრუნვა უჩვენებს დროს, მასთან აუცილებელია გან თანდებულის ხმარება: უთანდებულო მოქმედებითი დროს ვერ გადმოსცემს — მსგავს მაგალითს ძველი ქართულის ძეგლებში ვერ ვიპოვით; ესეც იქნებ ჩვენი დებულების სისწორეს ადასტურებს. რაც შეეხება გან თანდებულიანი ნათესაობითის მიერ ადგილის გამოხატვას, იგი სპორადული მოვლენაა ძველ ქართულში; მას ჩვეულებრივად ვერ მივიჩნევთ.

ქართულში რომ ერთნაირი აგებულებისა და ფუნქციის ზმნისწინი და თანდებულია, ეს მარტო მის დამახასიათებელ მოვლენად არ შეიძლება ჩაითვალოს: სვანურშიც პრევერბებად მიღებული ქი (ქართ. ზე), ჩუ (ფუნქციით უდრის ქართ. და, ჩა-ს), [ი]სგა | სკა (ქართ. ში-ნა), ქა (ქართ. გან) იმავე დროს თანდებულადაც გვევლინებიან[1], რაც მათ ფუნქციონალურ იდენტურობაზე უფრო ნათლად მიუთითებს.

[1] „მოქმედების მიმართულების აღნიშვნა პირვანდელი დანიშნულება იყო ზმნისწინისა"... (ა. შანიძე, ქართ. გრამ. საფუძვლ., გვ. 233).

დასკვნითი დებულებები:

ძველს ქართულში ზოგი ზმნისწინისა და თანდებულის ფუნქციისა, მათი ურთიერთმიმართებისა და გამოყენების მხრივ ფაქტიური მასალის გაანალიზების შედეგად დადასტურდა შემდეგი:

1. ზმნისწინი და თანდებული გენეტურად ერთგვარი მონაცემია. მათი თავდაპირველი ფუნქციაც ერთნაირი უნდა ყოფილიყო. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს მათი გამოყენება ძველს ქართულში: რიგ შემთხვევებში ზმნისწინი თანდებულის როლსაც ასრულებდა სახელთან. ფუნქციონალური დიფერენციაციის შედეგად ისინი თანდათან შორდებიან ერთმანეთს. ამ დაშორებამ მათი ადგილიც უფრო მტკიცე გახადა: პრევერბი მხოლოდ ზმნასთან არის, მას უწევს „მომსახურეობას“, სახელთან არაფერი ესაქმება; თანდებული სახელთან დამკვიდრდა და იქ განსაზღვრა თავისი მოქმედების არეც.

2. სტალინური მოძღვრება ენის განვითარების შესახებ სრულ დადასტურებას პოულობს ქართულში თანდებულების საკითხშიც: იყო დრო, როცა სახელს თანდებული არ ჰქონდა; უთანდებულო მიცემითი გადმოსცემდა შ ი ნ ა თანდებულიანი სახელის ფუნციას; მერე შ ე პრევერბი ასრულებდა შ ი ნ ა თანდებულის როლსაც; ბოლოს შ ი ნ ა სახელთან დამკვიდრდა... ძველი თვისებრიობის მქონე ნორმა — უთანდებულო მიცემითი შ ი ნ ა თანდებულიანი ადგილის აღმნიშვნელი სახელის ფუნქციით დიდხანს განაგრძობს არსებობას; მის გვერდით ახალი ნორმაც თანდათან მკვიდრდება...

3. ძველი ქართულის ტექსტებზე დაკვირვებით დადასტურდა, რომ, თუ წინადადებაში ზმნას თან ახლდა ზმნისწინი შ ე, მასთან დაკავშირებული სახელი შ ი ნ ა თანდებულს არ საჭიროებდა: შ ე პრევერბი შ ი ნ ა-ს ფუნქციასაც ასრულებდა, ოღონდ ასეთი სახელი მიც. ან ვით. ბრუნვაში უნდა ყოფილიყო. რაც შ ე, შ ი ნ ა-ს ურთიერთობის შესახებ ითქვა, იგივე დასტურდება რთული პრევერბების შ თ ა, შ თ ა მ ო, შ ე მ ო და შ ი ნ ა თანდებულის გამოყენებისა და ურთიერთობის შესახებ ძველ ქართულში. როგორც ჩანს, ენამ მიმართულების აღნიშვნაში უმეტესად ანგარიში გაუწია რთული პრევერბის პირველ წევრს: ისაა მაინც წამყვანი, მიმართულების გამომხატველი. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მარტივი ზმნისწინები (და მათ შორის შ ე-ც) გაცილებით უფრო ადრინდელი მოვლენაა ენაში, ვიდრე — რთული. თანდებულის

[2] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური, I, ზმნა, გვ. 66.

როლს ჰანურში ზმნისწინი ასრულებს ახლაც. ერთიდა იგივე ნაწილაკი სვანურში პრევერბიცაა და თანდებულიც.

4. აღნიშნული პრევერბებისა და **შინა** თანდებულის ფუნქციონალური იდენტურობისა და ურთიერთობის საკითხის გარკვევისას ისიც გამომჟღავნდა, რომ ვითარებითი ბრუნვა ყველა შემთხვევაში მიცემითს მიჰყვება: ადგილის აღმნიშვნელი სახელის ფუნქციას ვითარებითიც გადმოსცემს. შ ი ნ ა თანდებულიანი მიცემითის ფუნქციას ვითარებითიც გამოხატავს... აქიდან უდავოდ მიგვაჩნია, რომ გენეტურად მიცემითს შეეძლო აღენიშნა მიმართულება (იქნებ ეს იყო მისი მთავარი ფუნქციაც), უთუოდ ამიტომ, როცა ვითარებითი ბრუნვა გაფორმდა, ამ ორ ბრუნვას შორის ბუნებრივი კავშირი დამყარდა. მანამდე ვითარებით ბრუნვას სცვლიდა მიცემითი. დაშორება გვიანდელი და მეორეული მოვლენა ჩანს.

თუ ზმნას გ ა ნ პრევერბი აქვს, მასთან დაკავშირებულ სახელს გ ა ნ თანდებული არ სჭირდება, მაგრამ ასეთი სახელი ყოველთვის მოქმედებით ბრუნვაში უნდა იყოს (ამ მოქმედებითს დაწყებითის მნიშვნელობა აქვს). თანდებულიანი მოქმედებითის მიერ ადგილის აღნიშვნა გვიანდელ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ. ბრუნვის ამ ფორმაზე თანდებულის დართვამდე გ ა ნ თანდებულის ფუნქციას გ ა ნ პრევერბი ასრულებდა. რაც გ ა ნ პრევერბისა და გ ა ნ თანდებულის ფუნქციონალური ურთიერთობის შესახებ ითქვა, იგივე მტკიცდება გ ა მ ო პრევერბსა და გ ა ნ თანდებულს შორის ურთიერთობის მხრივაც, უთუოდ იმიტომ, რომ გ ა მ ო პრევერბის პირველი წევრი გ ა ნ ზმნისწინია და რთული გ ა მ ო-ს ხმარებისას მიმართულებისა და ადგილის აღნიშვნისათვის ენა მხოლოდ პირველ წევრს ეყრდნობა, როგორც ძირითადს ამ ფუნქციის გამოსახატავად.

6. უწინ ზმნისწინი გაფორმდა ზმნასთან. ამ ოდესღაც დამოუკიდებელი „სიტყვის“ სახელთან შეზრდა უთუოდ შემდეგ მოხდა. მართალია, ტმესის შემთხვევები მის შემდეგაც გვხვდება, რაც რომ თანდებული სახელთან ფაქტი გახდა, მაგრამ იგი მაინც უძველეს გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს.

დათქმული ნიშნები და შემოკლებანი

C — ადიშის ოთხთავი (897 წ.).
D — ჯრუჭის ოთხთავი (936 წ.).
E — პარხლის ოთხთავი (973 წ.).

B — ქუთაისის ისტორიული მუზეუმის № 176 ხელნაწერის ოთხთავის ტექსტი.

ათ. — ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, თბილისი, 1901.

გრ. — გიორგი მერჩული, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გამოსცა პ. ინგოროყვამ, თბილისი, 1949.

ებრ. — ებრაელთა (ეპისტოლეებიდან წარმოდგენილი მაგალითები მოტანილია ქუთაისის ისტორიული მუზეუმის № 176 ხელნაწერის ტექსტის მიხედვით).

ეფეს. — ეფესელთა.

„ვტ“ — „ვეფხისტყაოსანი“.

1 თეს. — თესალოკინელთა, პირველი.

იმნ. — ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, 1949.

ი. — იოვანე.

კიმ. — კიმენი, ტ. I, გამოსცა კორნ. კეკელიძემ, 1918.

2 კორ. — კორინთელთა მეორე.

ლ. — ლუკა.

მ. — მათე.

მრ. — მარკოზ.

რომ. — რომაელთა.

საქ. — საქმე მოციქულთა, გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1946.

1 ტიმ. — ტიმოთეს მიმართ, პირველი.

შნშნ. — შენიშვნა.

შუშ. — წამებაჲ შუშანიკისი: სოლ. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1946.

ყუბ. — სოლ. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბილისი, 1946.

ცხორ. — ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1946.

П. П. ДЖАДЖАНИДЗЕ

К ВОПРОСУ ОБ ОТНОШЕНИИ НЕКОТОРЫХ ПРЕВЕРБОВ И ПОСЛЕЛОГОВ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Р е з ю м е

В процессе изучения письменных памятников древнегрузинского языка устанавливается:

1. Превербы и послелоги одинакового происхождения; их первоначальная функция должна быть одинаковой. Превербы в древнегрузинском языке в определенных случаях выполняли функции послелогов. Должны предполагать, что функциональная дифференциация превербов и послелогов явление более позднего времени.

2. В древнегрузинском языке превербы выступали в функции послелогов: если глагол имел преверб შე-, то имя существительное, обозначающее место действия, употреблялось без послелога შინა и оно стояло в дательном или направительном падеже (შეგაგდონ შენ საპყრობილესა. შევიდა იგი კაფარნაუმდ). Это явление объясняется тем, что преверб შე- и послелог შინა одинакового происхождения.

Более интересен тот факт, что такое же отношение наблюдается между сложными превербами მთა-, მთამო-, შემო- и послелогом შინა (მთახხედა საფლავსა. მთავიდა... კაფარნაუმდ. შემოვიდა ხანძთას).

Выяснилось и то, что функции дательного и направительного падежей совпадали: имя существительное в дательном падеже без послелога შინა указывало на направление так же, как и направительном падеже.

3. Если глагол имеет преверб გან-, то существительное, обозначающее место действия, представлено без послелога გან (განვიდა ტაძრით). Такое же отношение наблюдается между послелогом გან- и сложным превербом გამო (გამოაგდეს იგი მიერ სენაკით). В данном случае при глаголе с превербом გამო (как и с превербом გან имя существительное ставится в творительном падеже без послелога გან.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XI, 1952—1953.

დ. მაჭავარიანი

უწყის ზმნის ეტიმოლოგიისათვის*

ი. ბ. სტალინი გვასწავლის, რომ ენა ვითარდება თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით.

„აბსტრაქციას ახდენს რა კერძოსა და კონკრეტულისაგან როგორც სიტყვებში, ისე წინადადებებში, გრამატიკა იღებს იმ ზოგადს, რაც საფუძვლად უძევს სიტყვათა ცვალებადობას და წინადადებებში სიტყვათა შეკავშირებას, და მისგან ქმნის გრამატიკულ წესებს, გრამატიკულ კანონებს. გრამატიკა ადამიანის აზროვნების ხანგრძლივი, აბსტრაქციის მომხდენი მუშაობის შედეგია, აზროვნების უდიდეს წარმატებათა მაჩვენებელია“ [1].

სიტყვათა და გამოთქმათა შინაარსობრივი მხარეც, რომელსაც „სერიოზული მნიშვნელობა აქვს ენის შესწავლის საქმეში“ (ი. სტალინი), რა თქმა უნდა, ექვემდებარება ამ კანონს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ შედარებით უფრო კონკრეტული კატეგორიებიდან უფრო აბსტრაქტულზე გადასვლა — ესაა ერთ-ერთი ძირითადი ტენდენციათაგანი ენის განვითარებისა, რომელიც შეინიშნება როგორც ლექსიკის, ისე გრამატიკული წყობის სფეროში [2].

---

* წაკითხულია მოხსენებად ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ი. ბ. სტალინის შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების“ გამოქვეყნების წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 1951 წლის 29 ივნისს.

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1951, გვ. 22.

[2] ქეთ. ლომთათიძე, ენის განვითარების კანონზომიერების საკითხისათვის ი. ბ. სტალინის მოძღვრების მიხედვით ენის შესახებ, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის I (VII) სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის მოძღვრებისადმი ენის შესახებ, 1950 წლის 15 და 16 დეკემბერს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. იხ. აგრეთვე მისივე შრომა: „О закономерностях исторического развития языков“ კრებულში: Вопросы теории и истории языка в свете трудов И. В Сталина по языкознанию, изд. Акад. Наук СССР. М. 1952. გვ. 64 და შემდგ.. აგრეთვე: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. III, საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტ., თბ. 1952. გვ. 128 და შემდგ...

ამ დებულებათა საილუსტრაციოდ გამოდგება, სხვათა შორის, **უწყის** ზმნის სემანტიკური განვითარება, რომლის გათვალისწინების საშუალებას იძლევა ქართულის მოძმე ენების მასალა.

* *
*

კარგად ცნობილია, რომ **უწყის** და **იცის** სინონიმებია. ორივე გვხვდება ქართული ენის უძველეს წერილობითს ძეგლებში.

მაგ., ხანმეტ ლექციონარში[1] გვაქვს:

უწყის: ესე **უწყი** მე, ჰრომ, 15,29; არა **უწყი,** სადა დადვეს იგი, ი. 20,2-13; არა **ხუწყი,** რაჲ-ესე ხიქმნა, ლ. 24,18, არა **უწყოდა,** ი. 20,14; **ხუწყოდეთ,** მ. 24,32,33.

იცის: არღა **იცოდეს** წერილისაჲ ი. 20,9.

ხანმეტი ტექსტების ნიმუშებში[2] გვაქვს:

უწყის: რ᾽ **ოჳწყის,** მ. VI,8; [ო]ჳწყის მამამან, მ. VI,32; **ოჳწყოდა** სახლისა ო᾽ნ მ XXIV,43.

იცის: თქ᾽ნ ოჯეთოჳრთა **ხიცით** მ XXIV,43; ხ᾽**იცოდეს** ი XXI,12; შენ **ხიცი** ი XXI,15,16; არა სადა **გიცოდენ** თქ᾽ნ მ VII,23; ხ᾽ესემცა **ხიცით** მ XXIV,43.

ჰაემეტი ტექსტების ნიმუშებში[3] გვაქვს:

უწყის: ოჳწყოდა რაჲ-იგი ჰიქმნა, მ. III,33; რ᾽ა **ოჳწყოდი** [ს...] ლ. XIX,15; **ოჳწყოდით** რ᾽ ახლოს არს, ლ. XXI,30; **ოჳწყოდეთ** რ᾽ ლ. XXI,32

იცის: ჰიცოდე რ᾽ კაცი ვარ სასტიკი, ლ. XIX,12; რ᾽ **იცოდა** ი᾽ჳ, ი. VI,64.

ასევე სხვა ძეგლებში ეს ორი ზმნა ერთიმეორის გვერდით გვხვდება.

...წინაწარმეტყუელი იყო და **იცოდა,** რამეთუ ფიცით | ეფუცა მას ღმერთი... საქმე მოციქ., 2,30 ა[4];

წინაჲსწარ **უწყოდა** და იტყოდა აღდგომისათჳს ქრისტჱსსა... იქვე, 2,31 ა;

---

[1] ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპიური რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბ. 1944.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ხანმეტი ტექსტების ნიმუშები, ტფ. უნ. მოამბე, II, 1922-23.

[3] აკ. შანიძე, ჰაემეტი ტექსტების ნიმუშები, ტფ. უნ. მოამბე, III, 1923.

[4] საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით. ძვ. ქართ. ენის ძეგლები, 7. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., თბილისი, 1950.

...და სარწმუნოებითა სახელისა მისისაჲთა, რომელსა ამას ჰხედავთ და **იცით**, განამტკიცა სახელმან მისმან. იქვე, 3,16 ა;

...და აწ **უწყით**, ძმანო, რამეთუ უმეცრებით ჰყავთ... იქვე, 3,17 ა;

...ხოლო იგინი ეკიცხევდეს პეტრწსსა მას განცხადებულებასა და იოჰანწსსა, **უწყოდეს**, რამეთუ კაცნი უწიგნონი არიან და უმეცარნი, უკჳრდა, **იცოდეს** რამეთუ იესუჲს თანა იყვნეს. იქვე, 4,13 ა;

...და აწ ესერა კრული სულითა მივალ იერუსალწმდ და, მუნ რაჲ შემემთხჳოს მე, არა **ვიცი**... იქვე, 20,22 ა;

...და აწ ესერა მე **უწყი**, რამეთუ არღარა იხილოთ პირი ჩემი თქუენ ყოველთა, რომელთა შორის ვიქცეოდე და ვქადაგებდ სასუფეველსა. იქვე, 20,25 ა;

„**უწყი**-მეა, დედაო, რაჲსათჳს მოვედ აწ?“ ხოლო მან ჰრქუა: „უფალმან **იცის**, რაჲსათჳს ჰბრძანე აქა“... ისტ. ქრესტ., 267,5-4 ქვ.[1];

...ჰრქუა მას: არცა **ვიცი** და არცა **უწყი** რასა-ეგე შენ იტყჳ... მარკ. 14,68 C[2];

...და თქუა: არა **ვიცი**, არცა **უწყი**, რასა-ეგე იტყჳ შენ... იქვე, ДЕ.

გვიანდელ ძეგლებში თანდათან **უწყის** ადგილს უთმობს **იცის** ზმნას[3].

არნ. ჩიქობავას აზრით, „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ეს სიტყვები სხვადასხვა დიალექტური წრის შემონატანი უნდა იყოს, მასთან სხვადასხვა დროს: **უწყის** უფრო ძველია, **იცის** — შედარებით ახალი...“[4].

ამასვე გახაზავს ავტორი სხვაგანაც[5].

---

[1] ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. ტ. I (V-X საუკუნეების ძეგლები). გამოსცა ი. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით. სამეცნ.-მეთოდ. კაბინეტის გამომც., თბილისი, 1949.

[2] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.), გამოსცა აკაკი შანიძემ, ძვ. ქართ. ენის ძეგლები, 2. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც., თბილისი, 1945.

[3] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I. გვ. 70.

იქვე ავტორს დადასტურებული აქვს ადიშის ოთხთავში ოპიზა-ტბეთის, ჯრუჭ-პარხლის ოთხთავთან შედარებით **უწყის** ზმნის უპირატესი ხმარება. ეს ბუნებრივია, რამდენადაც ადიშის ოთხთავში არქაული მოვლენები სხვაც გვხვდება.

[4] იქვე.

[5] „Можно с уверенностью сказать, что синонимы უწყის—იცის („знает он то“) не одной диалектной среды; в древнегрузинском письменном языке უწყის древнее, იცის замещает его и встречается в относительно более новых памятниках“ (Арн. Чикобава, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II: გვ. 265).

უწყის ზმნის ძირისა უნდა იყოს ჰან. ო-წკ-ე(ნ), მეგრ. ო-(რ)-წყ-ე(ნ) (ნიშნავს 'ხედავს'), სვან. ლი-წ-ედ (= 'ნახვა').

უწყის ზმნის პირვანდელი მნიშვნელობაც 'უყურებს', 'ხედავს' უნდა ყოფილიყო.

ქართულში, ჩანს, ამ ზმნას განუცდია სემანტიკური ცვლილება: უწყის: *ხედავს → იცის.

ხედავს და იცის მნიშვნელობათა ასეთი მიმართება დასტურდება სხვა მაგალითებითაც როგორც ქართველურ, ისე არაქართველურ ენებშიც.

უწყის ზმნის სემასიოლოგიური ბადალია ქართულშივე, როგორც ეს აღნიშნულია, იცის ზმნა.

იცის ზმნის მნიშვნელობით გვაქვს მეგრ. უ-ჩქ-უ(ნ), ჰან. უ-ჩქ-ი-ნ || უ-შკ-უ-ნ.

ზანური -ჩქ- || -შკ- ძირი, როგორც ცნობილია, იგივეა, რაც ქართული -ჩ-: „ჩ-ა-(ნ)-ს“ [1].

ამის შესახებ არნ. ჩიქობავა წერს:

„ქართული ძირეული ჩ- წარმოდგენილია ჰანურსა და მეგრულში ჩქ-თი: ქ- განვითარებულია ფონეტიკურად. რაც შეეხება ა-ს -ჩ-ა(ნ)-ს, — მისი კორელატია უ ← ო.

ჩქუნ- საშუალო გვარისაა, — ჩქ-ინ-დუ — ვნებითისა; ვნებითობას დ- გამოხატავს. -ინ- ჰანურში და მეგრულში, -ნ- ქართულში ერთი და იგივე ოდენობა ჩანს (-ინ- → -ნ-); ფუნქცია ცხადი არაა.

ეგევე ჩქუნ- || ჩქინ- საობიექტო ქცევის ნიშნებით გვაძლევს ზმნას— მი-ჩქ-უნ, გი-ჩქ-უნ, უ-ჩქ-უნ, რომელიც „ცოდნას“ გამოხატავს და სიტყვა-სიტყვით გადათარგმნისას ნიშნავს: „მიჩანს“, „გიჩანს“, „უჩანს“ — ე. ი. ჩემთვის ჩანს, შენთვის ჩანს, მისთვის ჩანს, **დახანახია, ცხადია...**“ [2] (ხაზი ჩემია. — დ. მ.).

ამგვარად, უჩქუ(ნე) — იცის = უჩანს = ხედავს [3].

---

[1] საყურადღებოა, რომ ეგევე ძირი (-წყ- ← -წ-), როგორც ეს შენიშნული აქვს არნ. ჩიქობავას, ქართულ მ-წყ-ემ-ს-საც გააჩნია. უკანასკნელის „ეტიმოლოგია „ყურება“, „შეხედვაა“: „მწყემსი“ — „მაყურებელი“, „ვინც რასმე უყურებს...“ (იხ. ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 398).

[2] არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 378.

[3] ანალოგიური შეფარდებაა რუსულში вед — вид (вед-а-ть — вид-е-ть) ძირებს შორის.

ი. ფალეევი წერს:

„Значение этого (вед-) корня развилось из значения вид-: охвачен-

არნ. ჩიქობავას სიტყვით „...**უწყის** (მან იგი) **უცილობლად გარდამავალი და უდაოდ სტატიკური**“ ზმნაა (ხაზი ავტორისაა. — დ. მ.).

უწყის-ზმნის ზანური ვარიანტი **ორწყე** მხარს უჭერს ამ მტკიცებას: **ორწყე** სტატიკური ზმნაა.

საინტერესოა, რომ **ორწყე** დეფექტურია ისევე, როგორც **უწყის** ზმნაც.

შდრ.: ორწყე, ორწყედ, ორწყედას — უწყის, უწყოდა, უწყოდის.

ობიექტური წყობით **უწყის** ისტორიას არ შემოუნახავს, უნდა გვქონოდა კი!

უწყის (მან იგი) — **ორწყე** (თინა თის) — სინტაქსური კონსტრუქციის სხვაობა მეორეული უნდა იყოს.

შდრ.: ძვ. ქართ.: მკის, ჰკსნის... მან იგი, ჰმკის, ჰკსნის... იგი მას — ახლა მხოლოდ: მკის, ხსნის... იგი მას[1].

აგებულებითაც ეს ორი ზმნა (**უწყის — ორწყე**) უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

ა) **უ** (უ-წყის) ← **ო** (ო-რწყე(ნ));

ბ) მეგრ. **-რ-** განვითარებულია ფონეტიკურად. შდრ. ჭან. ო-**წკ**-ენ, სვან. ლი-**წ**-ედ[2].

გ) **-წ-** საერთოა ქართველური ენებისათვის. მარტივად შემონახული აქვს სვანურს (ლი-წ-ედ): ქართულ-ზანურში გვაქვს **-წყ-**. შდრ. წყ-ალი — სვან. ლიც || ნი-ც ← * ლი-წ || * ნი-წ.

დ) **უწყის** — ზმნაში **-ი-** ხოლმეობითის აფიქსია.

ზანურს ამჟამად ხოლმეობითი არ გააჩნია.

---

[1] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948. § 16, გვ. 74.

[2] არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 398.

ное зрением, рассмотренное, становится знанием (очевидным, ясным, понятным)...

... То, что находится в сфере обозревания, рассмотрено глазами, становится знанием“. (И. Фалев, Материалы по этимологии и словообразованию. Русский язык в школе, 1939, № 3. გვ. 29-31).

ასეთივე ვითარებაა ბერძნულში და ზოგ სხვა ენებში, როგორც ეს აღნიშნული აქვს ვ. ჟირმუნსკის. იგი წერს: „...Греч. наст. oîda (более древнее voîda) „знаю“, формально-сильный перфект с вокализмом oi, в первоначальном значении — „узнал“, точнее „увидел“ (ср. русск. ведать — видеть; лат. video, герм. praet.—praes. got. weit „ich weitz“ (В. М. Жирмунский, История немецкого языка, изд. 3-е, 1948. § 60. გვ. 245).

ზანურში ე. წ. პოტენციალისის ფუძის შედგენილობის (ი-შვ-ე-ნ...) საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ხოლმეობითი ზანურშიც უნდა გვქონოდა [1].

ზანური -ე- (ორწყ-ე-ნ || ოწკ-ე-ნ) ქართული -ი-ს (უწყ-ი-ს) კორელატია.

შდრ. ძვ. ქართული: ვ-არ-ი, ჭან. ვორ-ე, მეგრ.: ვ-ორ-ე-ქ (სვან. ხ-უარ-ი) [2].

ვფიქრობთ, ორწყ-ე-ს ე ი-ს (უწყ-ი-ს) ტოლფარდი აფიქსი უნდა იყოს, ე. ი. ოდინდელი ხოლმეობითობის ზანური ვარიანტი.

Д. П. МАЧАВАРИАНИ

ЭТИМОЛОГИЯ ГРУЗИНСКОГО ГЛАГОЛА უწყის

Р е з ю м е

В древнегрузинском письменном языке наличны синонимы უწყის и იცის („знает он то"). По имеющемуся в специальной литературе взгляду, უწყის и იცის различной диалектной среды; უწყის древнее, იცის замещает его и встречается в относительно более новых памятниках (А. Чикобава).

В современном грузинском языке глагол იცის почти полностью вытеснил უწყის.

Данные родственных с грузинским занского (мегрело-чанского) и сванского языков дают возможность установить первоначальное значение глагола უწყის. უწყის увязывается автором статьи с мегрело-чанским ორწყე(ნ) || ოწკენ („видит он то") и сванским ლიწედ (видеть).

Таким образом, значение „знает" глагола უწყის развилось из значения „видит", „смотрит" глагола ორწყე(ნ)... (срв. русск. ве-

---

[1] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, § 21, გვ. 100-101.

[2] იქვე, გვ. 102, შნშნ. 4.

дать—видеть), что вполне соответствует сталинскому положению о том, что „абстрагируясь от частного и конкретного, как в словах, так и в предложениях, грамматика берёт то общее, что лежит в основе изменений слов и сочетании слов в предложениях, и строит из него грамматические правила, грамматические законы. Грамматика есть результат длительной абстрагирующей работы человеческого мышления, показатель громадных успехов мышления".

По всему видно, что семантическое развитие слова подчиняется тому же закону — от конкретного, частного — к абстрактному.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XI, 1952—1953.

დ. მაჩავარიანი

ერთი ახალი სიტყვაწარმოებითი აფიქსი თანამედროვე ქართულში *

ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების თანახმად, „ენის სტრუქტურა, მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი მთელი რიგი ეპოქების პროდუქტია“ [1], ენის გრამატიკული წყობა, მართალია, ნელა, მაგრამ მაინც „იცვლება დროთა ვითარებაში, იგი უფრო სრულყოფილი ხდება, აუმჯობესებს და აზუსტებს თავის წესებს, იძენს ახალ წესებს, მაგრამ გრამატიკული წყობის საფუძვლები რჩება მეტად დიდი ხნის განმავლობაში, რადგან ამ საფუძვლებს, როგორც ისტორია გვიჩვენებს, შეუძლიათ წარმატებით ემსახურონ საზოგადოებას მთელი რიგი ეპოქების მანძილზე“ [2].

ძირითადი ლექსიკური ფონდი, რომელშიც შედის ყველა ძირეული სიტყვა, როგორც მისი ბირთვი, „ცოცხლობს ძალიან დიდხანს, საუკუნეთა განმავლობაში და არის ენის ბაზა ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად“ [3].

„ენის ლექსიკური შემადგენლობა, როგორც ყველაზე ცვალებადი, თითქმის განუწყვეტლივ იცვლება“ [4].

„მაგრამ ენის ლექსიკური შემადგენლობა იცვლება არა როგორც ზედნაშენი, არა ძველის გაუქმებისა და ახლის აშენების გზით, არამედ არსებული ლექსიკის იმ ახალი სიტყვებით შევსების გზით, რომლებიც წარმოიშვნენ სოციალური წყობილების შეცვლას-

* წაკითხულია მოხსენებად ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ი. ბ. სტალინის შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების“ გამოქვეყნების ორი წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 1952 წლის 27 ივნისს.

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1951, გვ. 24.

[2] იქვე, გვ. 23.

[3] იქვე, გვ. 21.

[4] იქვე, გვ. 22.

თან, წარმოების განვითარებასთან, კულტურის, მეცნიერებისა და ა. შ. განვითარებასთან დაკავშირებით“ [1].

„ლექსიკური შემადგენლობა ასახავს ენის მდგომარეობის სურათს: რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო მდიდარი და განვითარებულია ენა“ [2].

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გამოიწვია სოციალისტური ერების ენათა ლექსიკის არაჩვეულებრივი გამდიდრება. ენათა ლექსიკური შემადგენლობის უმაგალითო ზრდა საბჭოთა ეპოქაში წარმოებს არა მარტო წინათ შემუშავებული სიტყვაწარმოებითი ტიპების საშუალებით, არამედ ახლად წარმოქმნილ საშუალებებითაც.

ენას აქვს თავისი განვითარების შინაგანი კანონები. ენის „განვითარების კანონები შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შევისწავლით განუყრელ კავშირში იმ საზოგადოების ისტორიასთან, იმ ხალხის ისტორიასთან, რომელსაც შესასწავლი ენა ეკუთვნის და რომელიც ამ ენის შემოქმედი და მატარებელია“ [3]. როგორც ი. სტალინი გვასწავლის, რევოლუციურ გადატრიალებებს, ძველ საზოგადოებრივ წყობილებათა ახლებით შეცვლას ცვლილებანი შეჰქონდა ენასა და მის განვითარებაში [4].

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში იმ ძირეულმა გარდატეხამ, რაც დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოახდინა, მკვეთრად დაუპირისპირა ერთმანეთს ახალი და ძველი. საზოგადოებაში დამყარებულ ახალ ურთიერთობათა ფონზე წარმოიქმნა ამ დაპირისპირების ასახვის აუცილებლობა.

ახალმა ვითარებამ დაბადა ენაში, არსებულის გვერდით, არსებულის ბაზაზე, გამოსახვის ახალ საშუალებათა შემუშავების საჭიროება.

ქართული ენის (ისე, როგორც სხვა მრავალი ენის) გრამატიკის განკარგულებაშია სიტყვათსაურთიერთო და სიტყვათსაწარმოებელი მორფემები (აფიქსები). ამათი მეტი წილი მომდინარეობს დამოუკიდებელი სიტყვებისაგან. და ეს გასაგებიცაა: გრამატიკის „საშენი მასალა“ ხომ სიტყვაა!

ახალი ფორმანტი ენაში „ცარიელ ადგილზე“, არარაობისაგან

---

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1951 წ., გვ. 22—23.

[2] იქვე, გვ. 21.

[3] იქვე, გვ. 20.

[4] იქვე, გვ. 25.

კი არ იქმნება, იგი არსებულის ბაზაზე ყალიბდება. ამის ერთს მაგალითს ჩვენ ვპოულობთ თანამედროვე ქართულში (ა-)მდელ — სუფიქსის სახით.

* * *

-მდელ სუფიქსის შემუშავებას ქართულში ხელი შეუწყო რუსული ენიდან რევოლუციის შემდეგი დროის თარგმნითმა პრაქტიკამ.

ცნობილია, რომ რუსულში ზედსართავს (არსებითი სახელისაგან ნაწარმოებს) ზოგჯერ დაერთვის წინსართი до- (იგივეა, რაც წინდებული до) და გამოხატავს არსებითი სახელით (რომლისაგანაც ზედსართავია ნაწარმოები) აღნიშნული მოვლენის წინადროინდელ ვითარებას. მაგ., дошколный, дореволюционный, допризывный, досрочный, довоенный...

ასეთი სიტყვაწარმოება ქართულში შეიძლება გადმოიცეს ორნაირად:

I. მაგ.: дореволюционный — რევოლუციის წინადროინდელი,
довоенный — ომის წინადროინდელი,
домарксистский — მარქსიზმის წინადროინდელი,
дореформенный — რეფორმების წინადროინდელი,
дошкольный: д. возраст — სკოლის წინა ასაკი,
д-ное воспитание — სკოლის ასაკამდე აღზრდა,
дошкольник — ბავშვი სკოლის ასაკამდე.

ასეა განმარტებული ეს სიტყვები 1937 წელს გამოცემულ „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ (სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემ.). ესაა რუსული ფორმების ქართულად აღწერილობითი გადმოცემა.

II. ეგევე და მისთანა სიტყვები ქართულად გადმოიცემა (ა-)მ დ ე ლ - სუფიქსის საშუალებითაც.

მაგალითები:

რუს.: **дореволюционный** — ქართ. **რევოლუციამდელი.**

„ВКП(б) выросла на основе рабочего движения в **дореволюционной** России из марксистских кружков и групп, которые связались с рабочим движением и внесли в него социалистическое сознание“ [1].

---

[1] История ВКП(б), Краткий курс, 1950, გვ. 3.

თარგმნილია ქართულად:

„საკ. კ. პ. (ბ) აღმოცენდა **რევოლუციამდელი** რუსეთის მუშათა მოძრაობის საფუძველზე მარქსისტული წრეებიდან და ჯგუფებიდან, რომლებიც მუშათა მოძრაობას დაუკავშირდნენ და რომლებმაც ამ მოძრაობაში სოციალისტური შეგნება შეიტანეს“ [1].

რუს.: „Основная масса крестьянства из-за гнёта помещиков не могла улучшать свое хозяйство. Отсюда крайняя отсталость сельского хозяйства в **дореволюционной** России, приводившая к частым неурожаям и голодовкам“ [2].

ქართ.: „გლეხობის ძირითად მასას მემამულეების მხრით ჩაგვრის გამო არ შეეძლო თავისი მეურნეობის გაუმჯობესება. აქედან წარმოსდგებოდა სოფლის მეურნეობის უკიდურესი ჩამორჩენილობა **რევოლუციამდელ** რუსეთში, რაც იწვევდა ხშირ მოუსავლიანობასა და შიმშილობას“ [3].

რუს.: „Как и во всех капиталистических странах, в **дореволюционной** России годы промышленного подъема сменялись годами промышленных кризисов, застоя промышленности, которые тяжело ударяли по рабочему классу, обрекали сотни тысяч рабочих на безработицу и нищету“ [4].

ქართ.: „ისევე როგორც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, **რევოლუციამდელ** რუსეთში სამრეწველო აღმავლობის წლები იცვლებოდა სამრეწველო კრიზისების, მრეწველობის ერთ წერტილზე შეჩერების წლებით, რომლებიც დიდად აუარესებდნენ მუშათა კლასის მდგომარეობას, უმუშევრობასა და სიღატაკეში აგდებდნენ ასეულ ათასობით მუშებს“ [5].

რუს.: „Крестьянство, самый многочисленный класс **дореволюционной** России, распадалось, расслаивалось“ [6].

ქართ.: „გლეხობა, **რევოლუციამდელი** რუსეთის ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასი, იშლებოდა, ფენებად იყოფოდა“ [7].

რუს.: „Ежегодный выпуск книг в Советском Союзе по об-

---

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1950, გვ. 3.
[2] История ВКП(б), Краткий курс, გვ. 6.
[3] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 6.
[4] История ВКП(б), Краткий курс, გვ. 7.
[5] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 8.
[6] История ВКП(б), Краткий курс, გვ. 7.
[7] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 8.

щему тиражу почти в десять раз превышает количество литературы, выпускавшейся в **дореволюционной** России“ [1].

ქართ.: „იმ წიგნების საერთო ტირაჟი, რომლებიც საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად გამოდის, თითქმის ერთიათად აღემატება ლიტერატურის რაოდენობას, რომელიც **რევოლუციამდელ** რუსეთში გამოდიოდა“ [2].

რუს.: **довоенный** — ქართ. **ომამდელი**

რუს.: „Общая продукция сельского хозяйства в 1920 году составляла лишь около половины **довоенной**“ [3].

ქართ.: „სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1920 წელს **ომამდელი** პროდუქციის დაახლოებით მხოლოდ ნახევარს შეადგენდა“ [4].

რუს.: „Продукция крупной промышленности в 1920 году была почти в семь раз меньше **довоенной**“ [5].

ქართ.: „მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 1920 წელს **ომამდელზე** თითქმის შვიდჯერ ნაკლები იყო“ [6].

რუს.: „Выплавка чугуна за весь 1921 год составляла всего лишь 116,3 тысячи тонн, то-есть около 3 процентов **довоенного** производства чугуна“ [7].

ქართ.: „თუჯის გამოდნობა მთელი 1921 წლის განმავლობაში სულ რაღაც 116,3 ათას ტონას შეადგენდა, ესე იგი თუჯის **ომამდელი** წარმოების დაახლოებით 3 პროცენტს“ [8].

რუს.: „И промышленность, и сельское хозяйство, благодаря преимуществам советской системы хозяйства, были восстановлены в сравнительно короткий срок и приближались к **довоенному** уровню“ [9].

ქართ.: „მრეწველობაც და სოფლის მეურნეობაც, მეურნეობის საბჭოთა სისტემის უპირატესობათა მეოხებით, აღდგენილ იქნენ შედარებით მოკლე ვადაში და უახლოვდებოდნენ **ომამდელ** დონეს“ [10].

---

[1] „Правда“, № 141 (12343), 20. V, 1952.
[2] „კომუნისტი“, № 119 (9279), 21. V, 1952.
[3] История ВКП(б), Краткий курс, გვ. 237.
[4] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 307.
[5] История ВКП(б), Краткий курс, გვ. 237.
[6] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 307.
[7] История ВКП(б), Краткий курс, გვ. 237.
[8] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 307—308.
[9] История ВКП(б), Краткий курс, გვ. 263.
[10] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 341.

რუს.: „Основные задачи нового пятилетнего плана состоят в том, чтобы восстановить пострадавшие районы страны, восстановить **довоенный** уровень промышленности и сельского хозяйства и затем превзойти этот уровень в более или менее значительных размерах“ [1].

ქართ.: „ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის **ომამდელი** დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით“ [2].

რუს.: Что касается планов на более длительный период, то партия намерена организовать новый мощный подъем народного хозяйства, который дал бы нам возможность поднять уровень нашей промышленности, например, втрое по сравнению с **довоенным** уровнем“ [3].

ქართ.: „რაც შეეხება უფრო ხანგრძლივი პერიოდის გეგმებს, პარტიას განზრახვა აქვს მოაწყოს სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ავამაღლოთ ჩვენი მრეწველობის დონე, მაგალითად ერთისამად **ომამდელ** დონესთან შედარებით“ [4].

ასევეა ნაწარმოები სიტყვები: მარქსამდელი, სკოლამდელი, წვევამდელი, კაპიტალიზმამდელი...

წინააღმდეგ „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ წარმოდგენილი განმარტებისა [5], ახლა როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ლიტერატურაში უპირატესად გვხვდება (ა-)მდელ-სუფიქსიანი ფორმები. ასეთი წარმოება ამჟამად დამკვიდრებულად შეიძლება ჩაითვალოს, სულ უფრო და უფრო იკაფავს გზას და გვძენს ახალ-ახალ ფორმებს (სოციალიზმამდელი, პავლოვამდელი, რუსთაველამდელი...).

დე-წინასართიანი წარმოება რუსულში წინათ პროდუქტიული

---

[1] И. Сталин, Речи на предвыборных собраниях избирателей сталинского избирательного округа г. Москвы 11 декабря 1937 г. и 9 февраля 1946 г., გვ. 22.

[2] იგივე, ქართ. გამოც. 1950 წ., გვ. 26.

[3] იგივე, რუს. გამოც. 1950 წ., გვ. 22.

[4] იგივე, ქართ. გამოც. 1950 წ., გვ. 26.

[5] იხ. „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, სახ. უნ. გამომც., თბ., 1937. იქ ერთადერთი სიტყვა, რომელიც მდელ-სუფიქსიანი ფორმითაა გადმოცემული, ესაა допризывник, допризывный — წვევამდელი.

არ ყოფილა. მაგალითად, ვლადიმერ დალის განმარტებითს ლექსიკონში[1] ასეთი წარმოების სიტყვები სულ არ ჩანს.

პროფ. დ. ნ. უშაკოვის რედაქციით გამოცემულ რუსული ენის ლექსიკონში[2] განმარტებულია სიტყვები: довоенный, домарксистский, докапиталистический, доклассовый, допотопный, допризывник, допризывный, дореволюционный, дореформенный, досрочный, дохристианский, дошкольник, дошкольница, дошкольный.

ასეთი წარმოება რუსულში სულ უფრო და უფრო პროდუქტიული ხდება, განსაკუთრებით მრავლდება ისტორიულ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ლიტერატურაში.

ქართულში, როგორც ვნახეთ, ასეთ წარმოებათა გადმოსაცემად გამოყენებულ იქნა (ა-)**მდელ** სუფიქსი. რევოლუციამდე იგი, რამდენადაც ვიცი, არ უნდა გვხვდებოდეს.

საიდან და როგორ მივიღეთ (ა-)**მდელ** სუფიქსი?

როგორც ცნობილია, რუსულ **до** წინდებულს (=предлог) შეესაბამება ქართული **-მდე** თანდებული: до города — ქალაქა**მდე**, до вечера — საღამო**მდე**, **до** революции — რევოლუცია**მდე**... **до** дому — სახლა**მდე**... რუსულში до წინდებულს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. თითქმის ყველა მის ფუნქციას ზუსტად გადმოსცემს ქართული **-მდე** თანდებული. ამათგან ძირითადია აღნიშვნა ზღვრისა სივრცესა და დროში, „გარკვეულ პუნქტამდე მიწევნისა“, რაიმეს უწინ, რაიმეზე ადრე ყოფილის, არსებულის, მომხდარის გამოხატვა (რევოლუციამდე, მარქსამდე, ომამდე...).

რუსულში, როგორც ვნახეთ, до არსებით სახელთაგან ნაწარმოებ ზედსართავთა წინსართადაცაა გამოყენებული.

До- წინსართის ფუნქცია უშაკოვის რედაქციით გამოცემულ რუსული ენის ლექსიკონში ასეა განმარტებული:

„[до²], приставка прил., производных от сущ.. Образует прил. со знач. бывший или совершившийся прежде чего-н., напр. дошкольный, дореволюционный, допризывный, досрочный“.

მაგრამ **-მდე** თანდებულს, რომელიც **до** წინდებულის ფუნქციის მატარებელია, ცხადია, არ შეუძლია **до-** წინსართის როლიც შეასრულოს; არ შეუძლია იმის გამო, რომ **-მდე** ზედსართავს კი არ დაერთვის, არამედ არსებით სახელს (ან გასუბსტანტივებულ სხვა

[1] В. И. Даль, Толковый словарь живого великорусского языка, т. I, под редакцией Бодуена де Куртенэ, 1903.

[2] Толковый словарь русского языка под редакцией Д. Н. Ушакова, т. I, 1935.

სახელს). **მდე**-მ რომ **до** წინსართის როლი შეასრულოს (გამოხატოს რაიმეზე ადრე, უწინ ყოფილი, არსებული, მომხდარი), ამისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს არსებითი სახელის რამენაირად გააადიექტივება. მაგრამ ეს ყოველგვარი მააადიექტივებლის საშუალებით ვერ ხერხდება. ვერ ხერხდება იმიტომ, რომ იგი, ე. ი. ზედსართავის საწარმოებელი აფიქსი, უნდა დაერთოს სახელს **მდე** თანდებულის შემდეგ, რაც ქართული ენის გრამატიკული წყობისათვის უცხოა.

ერთადერთს გამოსავალს ენა პოულობს **დელ**- სუფიქსის მოშველიებაში. უკანასკნელი, როგორც ეს გარკვეული აქვს აკად. ა. შანიძეს, მიღებულია „დღელ"-ისაგან და იხმარება დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან (გუშინდელი, ხვალინდელი, უწინდელი, შარშანდელი, წელანდელი...), გამოხატავს ყოფილს, მომხდარს გარკვეულ დროში. ამ ორი მორფემის (მდე- თანდებულისა და დელ- სუფიქსის) სიმბიოზის გზით ვღებულობთ **მდელ**- (ფუძე ბოლოთანხმოვნიანებთან **ა-მდელ**) სუფიქსს, რომლის ფუნქციაა გამოხატოს რაიმეს ვითარება, თვისება გარკვეულ პუნქტამდე, ზღვრამდე დროში.

დასკვნა.

1. **-მდელ** სუფიქსის შემუშავებას ქართულში ხელი შეუწყო რუსული ენიდან რევოლუციის შემდეგი დროის თარგმნითმა პრაქტიკამ. იგი (**-მდელ**) შემუშავდა **-მდე** თანდებულისა და **-დელ** სუფიქსის სიმბიოზის გზით ისეთი რუსული სიტყვაწარმოების გადმოსაცემად, როგორიცაა: **дореволюционный** (период), **довоенный** (уровень)...

2. ამგვარად, აქ ჩვენ საქმე გვაქვს სიტყვასაწარმოებელი აფიქსის მიღების თავისებურ ხერხთან, აფიქსთა შეერთების ხერხთან.

3. ორი სხვადასხვა ფუნქციის მქონე მორფემის შერწყმა იძლევა ახალ აფიქსს.

საინტერესოა, რომ ორივე შესაერთებელ მორფემაში ძირითადი ელემენტი **დ** (← დღ-) საერთოა.

Д. П. МАЧАВАРИАНИ

ОБ ОДНОМ СЛОВООБРАЗОВАТЕЛЬНОМ АФФИКСЕ В СОВРЕМЕННОМ ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

1. В грузинском языке советской эпохи выработался словообразовательный аффикс -mdel. Выработке этого аффикса содействовала переводческая практика послереволюционного времени с русского языка и встречаем его особенно часто в переводных произведениях классиков марксизма-ленинизма для передачи таких словообразований, каковыми являются: дореволюционный (период), довоенный (уровень) и т. п.

2. Суффикс этот создался посредством симбиоза послелога mde и суффикса -del.

3. Таким образом, здесь мы имеем дело с своеобразным способом получения словообразовательного аффикса, способом соединения аффиксов.

4. Слияние двух морфем, имеющих различные функций, дает новый, качественно отличный аффикс.

Любопытно, что в обоих соединившихся морфемах имеется общий элемент d (←dγ).

5. Наблюдаемый языковый факт является иллюстрацией сталинского положения о том, что „язык и законы его развития можно понять лишь в том случае, если он изучается в неразрывной связи с историей общества, с историей народа, которому принадлежит изучаемый язык и который является творцом и носителем этого языка“.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XI, 1952—1953.

დ. გეწაძე

მესამე პირის სუბიექტის ნიშანი -დ ძველ ქართულში*

ი. ბ. სტალინის შრომამ „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ საფუძველი ჩაუყარა მარქსისტულ ენათმეცნიერებას. ამ შრომაში გენიალური სიღრმითა და მეცნიერული სიზუსტითაა გადაჭრილი ენათმეცნიერების ყველა ძირითადი პრობლემა, მათ შორის ენის განვითარების პრობლემაც.

ი. ბ. სტალინი გვასწავლის: „მარქსიზმს მიაჩნია, რომ ენის გადასვლა ძველი თვისებრიობიდან ახალში ხდება არა აფეთქების გზით, არა არსებული ენის მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ ახალი თვისებრიობის ელემენტების თანდათანობითი დაგროვების გზით, მაშასადამე, ძველი თვისებრიობის ელემენტების თანდათანობითი კვდომის გზით“ [1].

ი. ბ. სტალინის გენიალურ დებულებას ენის განვითარების შესახებ ნათლად ადასტურებს ქართული ენის ისტორიის მონაცემებიც.

ამ ნარკვევში განვიხილავთ ქართული ენის ძველი თვისებრიობის ელემენტების თანდათანობითი კვდომის ერთ-ერთ ფაქტს.

* * *

ცნობილია, რომ ძველ ქართულში მესამე პირის სუბიექტის ნიშნად იხმარება სუფიქსები: **-ხ, -ა, (-ო), -ნ** [2]: **იგი** ჰკითხავ-**ს**... ჰკითხავ-**ნ**; **მან** ჰკითხ-**ა**... იწყო.

---

* წაკითხულია მოხსენებად ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის ასპირანტთა III სამეცნიერო სესიაზე 1952 წ. 31 მაისს.

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1951, გვ. 26.

[2] არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე. V-VI, 1940, გვ. 13-46.

თუ ზმნა **ინვერსიული** წყობისაა, ამავე სუფიქსებით აღინიშნება **მესამე პირის რეალური ობიექტი:** ჰგონიე-**ს**... ჰგონი-**ა**... ჰგონიე-**ნ იგი**; განუბნევიე-**ს**... განუბნევი-**ა**... განუბნევიე-**ნ იგი**.

ამ მხრივ ყურადღება მიიქცია გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველის თავისებურმა ფორმებმა:

განგიბნევიე-დ (იგი)

...მოიმკი, სადა არა დასთესი, და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიედ... ოთხთ. მ. 25, 24 ДЕ.

განმიბნევიე-დ (იგი)

...მოვიმკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიედ... იქვე, მ. 25, 26 ДЕ.

წარუგდებიე-დ იგი

...თაყუანის საცემელად კილიკი ერთი მცირჱ ქუე წარუგდებიედ... შუშან. XIV, 20.

მესამე პირის რეალური ობიექტი მხოლ. რიცხვისა[1] დასახელებულ **ინვერსიულ** ზმნებში, როგორც წესი, აღნიშნული უნდა ყოფილიყო მესამე პირის სუბიექტის ჩვენთვის ცნობილი რომელიმე ნიშნით: **-ს**, **-ა** ან **-ნ** სუფიქსით[2], ფაქტიურად კი აღნიშნულია **-დ** სუფიქსით.

ამ ფაქტზე დაყრდნობით დოც. გ. როგავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ **ძველ ქართულში მესამე პირის სუბიექტის ნიშნად მხოლ. რიცხვში გამოყენებული უნდა ყოფილიყო -დ სუფიქსიც**[3]: მესამე პირის სუბიექტის მრავლ. რიცხვის აღმნიშვნელ სუფიქსთა (**-ან**, **-ენ**, **-ეს**: იმალები-**ან**... იხარებ-**ენ იგინი**; იწყ-**ეს მათ**) თანხმოვნები (**-ნ**, **-ს**) იხმარება იმავე პირის სუბიექტის ნიშნად მხოლ.

---

[1] მესამე პირის რეალური ობიექტი რომ მხოლ. რიცხვში დგას, პირველ ორ მაგალითში ეს გარკვევით არ ჩანს, მაგრამ ამაზე მიუთითებს ზმნის ფორმები: «შეიკრიბი», «შევიკრიბი», წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა: «შეიკრიბ-ნ-ი», «შევიკრიბ-ნ-ი».

[2] პროფ. ა. შანიძე შენიშნავს: „მათ. 25, 24 «განგიბნევიედ» და მათ. 25, 26 «განმიბნევიედ». მოსალოდნელი იყო: განგიბნევიეს, განმიბნევიეს". ოთხთ. გვ. 043.

[3] ასევე, მესამე პირის სუბიექტის ნიშნად თელის **-დ** სუფიქსს პროფ. ვ. თოფურია (ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების" გამოსვლის ორი წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 1952 წ. 20-22 ივნისს წაკითხულ მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1952, გვ. 6-7).

რიცხვში (იხარებ-**ნ**... იმალები-**ს იგი**); ძველ ქართულში მესამე პირის სუბიექტის მრავლობითობას აღნიშნავს **ედ** სუფიქსიც (იხარებ-**ედ**... გალობ-**ედ იგინი**). ბუნებრივია, თუ ამ სუფიქსის **-დ** თანხმოვანიც შეგვხვდება მესამე პირის სუბიექტის ნიშნად მხოლ. რიცხვში. მანვე ივარაუდა, რომ **-დ** სუფიქსის გამოყენების შემთხვევები მესამე პირის ნიშნად ზმნის სხვა ფორმებშიც დადასტურდებოდა.

ძველი ქართული ენის ძეგლების შესწავლით ეს ვარაუდი გამართლდა; მესამე პირის სუბიექტის ნიშნად **-დ** სუფიქსის გამოყენების შემთხვევები დადასტურდა: ა) სტატიკური ვნებითის აწმყოში, ბ) ნამყო ძირითადისაგან ნაწარმოებ მესამე პირის ბრძანებითსა და გ) გარდამავალ ზმნათა თურმეობითს პირველში.

ა) -დ სუფიქსი სტატიკური ვნებითის აწმყოს ფორმებში.

ძველ ქართულში მესამე პირის მხოლ. რიცხვის რეალური ობიექტის აღსანიშნავად სტატიკური ვნებითის ინვერსიულ ფორმებში გამოყენებულია მესამე პირის სუბიექტის ნიშნები: ძირითადად **-ს**, იშვიათად **-ა**, **-ნ**:

უპყრიე-ს იგი

...უპყრიეს ჴ̈ლივე და განაგებს არსებასა... კიმ. I, 90, 25.

ჰმოსიე-ს იგი

...ნათესავით ქართველი არს, ხოლო ყოვლითურთ წესი ჩუჱნი ჰმოსიეს... ათონ. 331, 21 ზემ.

ჰგონიე-ს (იგი)

...ეგრე ჰგონიეს, ვითარმედ განკიცხა ჩუენი ესე მეფობაჲ... კიმ. II, 181, 17.

შეუძლი-ა იგი

...ვერღარა ჳის მოჴსენებაჲ მათი შეუძლია... იქვე, 106, 35.

ჰგონიე-ნ (იგი)

...რჳს ჰგონიენ მამალსა მას, თუ შეეხო დედალსა მას, მუნქუესვე მოკუდის მამალი იგი... სახისმეტყ. 16,7 ქვემ.

სტატიკური ვნებითის აწმყოს ფორმებში მესამე პირის რეალური ობიექტი მხოლ. რიცხვისა **-ს**, **-ა**, **-ნ** სუფიქსების გვერდით აღნიშნულია **-დ** სუფიქსითაც:

უპყრიე-დ იგი

...ძიებაჲ რაჲ სასყიდლისაჲ საქმედ უპყრიედ მათ... ხანძთ. ა, 12 ზემ.

უფლიე-დ (იგი)

...დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად... შუშან. VI, 3.

ჰგონიე-დ (იგი)

...რ~ნ არა იცინ, ჰგონიედ ვ~დ უდაბნოჲ არს ყ~ლდ მიუვალი... კიმ. I, 31, 29.

ჰგოსიე-დ იგი

...არა შეიმოსის მან მატყლისა სამოსელი, არამედ ჰმოსიედ (ვარ.: ჰმოსიენ) მას სელისა სამოსელი... კიმ. II, 98, 12.

უმტკმიე-დ იგი

...და რ~ჵს დაიძინის კორკოდინოს ხუთქმან, პირი ზე უმტკმიედ... სახისმეტყ. 36, 8 ზემ.

ბ) -დ სუფიქსი ნამყო ძირითადისაგან ნაწარმოებ მესამე პირის ბრძანებითის ფორმებში.

ნამყო ძირითადისაგან (წყვეტილისაგან) ნაწარმოებ ბრძანებითის ფორმებში მესამე პირის სუბიექტი მხოლ. რიცხვისა აღინიშნება **-ნ** სუფიქსით[1]:

გამოაცხადე-ნ მან

...გამოაცხადენ ცამან უშჯულოებაჲ მისი... ძვ. ღთქ. I, 2 იობ. 20, 27.

აღმოაცენე-ნ მან

...აღმოაცენენ ქუეყანამან მწუანილი თიესაჲ... ექუსთა დღ. 50, 8.

---

[1] ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა", თბილისი, 1950, გვ. 303-304.

არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, გვ. 28-38.

გამოიღე-ნ მან

...გ ა მ ო ი ღ ე ნ ქუეყანამან სული ცხოველი... ექუსთა დღ., 90, 14.

მეყავ-ნ იგი

...მ ე ყ ა ვ ნ მე სიტყუსაებრ შენისა!.. ოთხთ. ლ. 1, 38 ДЕ.

გეკსენე-ნ იგი

...ხოლო თქუენ გ ე კ ს ე ნ ე ნ კრძალულებაჲ ჩემი მოთმინებით მონაზონებისა მიმართ... ხანძთ. ოშ, 1 ზემ.

მოიქეცი-ნ იგი

...მ შჳდობაჲ თქუენი თქუენდავე მ ო ი ქ ე ც ი ნ... ოთხთ. მ. 10, 13.

ძველი ქართული ენის ძეგლებში ვხვდებით ნამყო ძირითადისაგან ნაწარმოებ ბრძანებითის ისეთ ფორმებსაც, სადაც მესამე პირის სუბიექტი მხოლ. რიცხვისა აღნიშნულია **-დ** სუფიქსით:

ჰამე-დ მან

...გამო-ღა-იცადენ კაცმან თავი თჳსი და ესრჱთ პურისა მისგანი ჰ ა მ ე დ და სასუმლისა მისგანი სუნ... სამოც. 110 V в, 15 ზემ. (1 კორინთ. 11, 28).

შდრ. ...გან-ღა-იცადენ კაცმან თავი თჳსი და ესრეთ პურისა (მის) განი ჰ ა მ ე ნ და სასუმელისა მისგანი სუნ... ხანმეტი მრავალთ. 126, 14.

გამოიღე-დ მან

...გ ა მ ო ი ღ ე დ ქუეყანამან სული ცხოველი... ექუსთა დღ. 90,9.

მოიყვანე-დ მან

...ათსა ამის თთჳსასა მ ო ი ყ ვ ა ნ ე დ თითოეულმან ცხოვარი... ხრონოლრ. 51, 13.

ისმინე-დ მან

...არამედ ი ს მ ი ნ ე დ ჩემი მეფემან და მოყვანებულ იქმენიდ კუროჲ ველური, რათა ვაჩუენო მე დღეს წინაშე მისსა ძალი სახელისა ღმრთისა ჩემისაჲ... იქვე, 259, 28.

განლიე-დ მან

...გ ა ნ ლ ი ე დ[1] შუენიერებაჲ მისი სიკუდილმან... ძვ. აღთქ. I, 2, იობ. 18, 13.

[1] დაბეჭდილია «განლიენ». ხელნაწერის წანაკითხი «განლიედ» სქოლიოშია მითითებული.

შეეძინე-დ იგი

...შ ე ე ძ ი ნ ე დ აჰრონ ერსა თჳსსა და მოკუედინ იგი... ხრონოღრ. 56, 19.

განეშორე-დ იგი

...გ ა ნ ე შ ო რ ე დ[1] საყოფელთა მისთა განკურნებაჲ... შეემთხჳნ მას ჭირი და ბრალი სამეუფოჲ... ძვ. აღთქ. I, 2, იობ. 18, 14.

გეჴსენე-დ იგი

...ჰრქუა მოსე ერსა მას: გ ე ჴ ს ე ნ ე დ დღჱ ესე, რომელსა გამოხუედით ქუეყანით ეგჳპტით სახლისაგან კირთებისა... ძვ. აღთქ. I, 1, გამ. 13, 3.

...თუალნი თქუენნი იყვნედ მარადის ამათ ზედა და გ ე ჴ ს ე ნ ე დ დიდებულებაჲ მშობელთა ამათთაჲ... ხანძთ. კვ, 6 ზემ.

იქმენი-დ იგი

...ისმინედ ჩემი მეფემან და მოყვანებულ ი ქ მ ე ნ ი დ კუროჲ ველური... ხრონოღრ. 259, 28.

გ) -დ სუფიქსი გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველის ფორმებში.

ძველ ქართულში მესამე პირის მხოლ. რიცხვის რეალური ობიექტის ნიშნად თურმეობითს პირველში ისევე, როგორც სტატიკური ვნებითის აწმყოში, იხმარება სუფიქსები: ძირითადად **-ს**, იშვიათად **-ა**, **-ნ**:

დაუპყრიე-ს იგი

...მოჰკუეთე ეგე, რაისათჳს ქუეყანაჲცა დ ა უ პ ყ რ ი ე ს უქმად?.. ოთხთ. ლ. 13, 7 ДЕ.

უქმნიე-ს იგი

...არარაჲ ბრალი უ ქ მ ნ ი ე ს მას... ხანძთ. ნბ, 1 ქვემ.

მისწავიე-ს... გისწავიე-ს იგი

ჰრქუა მას მეფემან: კურანი არა გ ი ს წ ა ვ ი ე ს ა? ხ˘ მან ჰრქუა: ჰე მ ი ს წ ა ვ ი ე ს... რავახ. 96, 16-17.

---

[1] დაბეჭდილია «განეშორენ». ხელნაწერის წანაკითხი «განეშორედ» სჭოლიოშია მითითებული.

დაუპყრი-ა იგი

...მოჰკუეთე ეგე, რაჲსათჳს ქუეყანაჲ დაუპყრია უქმად?.. ოთხთ. ლ. 13, 7 C.

დაგჳწერი-ა იგი

...ესეცა ყოველი მამათავე ჩუენთა დაწერილისაგან დაგჳწერია... იოვ. და ეფთ. 32, 13.

განმიბნევიე-ნ

...მოვიმკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიენ[1]... ოთხთ. მ. 25, 26 ДЕ.

უწყიე-ნ იგი

...აღმოუკდა თმაჲ კორცთა მისთა, ვ~ა ყრმასა, რ~ლსა უწყიენ წუერთა გამოსლვაჲ... კიმ. I, 312, 29.

გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველის ფორმებში მესამე პირის რეალური ობიექტი მხოლ. რიცხვისა **-ს, -ა, -ნ** სუფიქსების პარალელურად აღნიშნულია **-დ** სუფიქსითაც, ამის მაგალითები ზემოთაც განვიხილეთ (იხ. გვ. 140), მოგვყავს კიდევ სამიოდე მაგალითი:

მისწავიე-დ იგი

რ~ლსა იგი ვეტყოდი, უწყის ქ~ნ, რ~ არავისგან მასმიედ[2], გინა მისწავიედ... რავახ. 93, 27.

აღუპყრიე-დ იგი

...მღდელი დგან საკურთხეველსა ზედა და მსხუერპლსა მას უსისხლოსა შესწირავნ და კელითა ზე აღუპყრიედ წმიდაჲ წმიდათაჲ საუფლოჲ კორცი... წარტყუენ. იშ, 3.

...დიაკონთა სამოსელი იგი ზე აღუპყრიედ (ვარ.: «აღუპყრიენ) და მასვე ადგილსა ვითარცა საცხოვარნი დაიკლვიან... იქვე, იშ, 8.

ამრიგად, ძველი ქართული ენის ძეგლებში **-ს, -ა, -ნ** სუფიქსების პარალელურად **-დ** სუფიქსიც იხმარება. სათანადო მაგალითე-

[1] დაბეჭდილია «განმიბნევიან». ხელნაწერის წანაკითხი «განმიბნევიენ» სქოლიოშია მითითებული.

[2] აქ **-დ** ტოლფარდია იმავე სუფიქსისა, რომელიც «მისწავიედ» ფორმაში გვხვდება. ზმნის ფორმა «მასმიედ» ცალკე გვეკნება განხილული.

ბის განხილვა გვიჩვენებს, რომ -დ თავისი ფუნქციით იგივეა, რაც -ს, -ა, -ნ, იგი **მესამე პირის სუბიექტის ნიშანია.**

ახალ ქართულში -დ ამ ფუნქციით აღარ გვხვდება, ძველ ქართულშიც მეტად შეზღუდულია მისი გამოყენების არე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მესამე პირის სუბიექტის აღნიშვნა -დ სუფიქსით უძველესი ვითარების გადმონაშთია, რომ -დ სუფიქსის, ქართული ენის ძველი თვისებრიობის ერთ-ერთი ელემენტის, კვდომა ხდებოდა თანდათანობით, საუკუნეთა განმავლობაში.

Д. О. ГЕЦАДЗЕ

ПОКАЗАТЕЛЬ СУБЪЕКТА III ЛИЦА -დ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Известно, что в древнегрузинском языке субъект III лица единств. числа обозначается суффиксами: **-ს, -ა, -ო, -ნ** (იგი ჰკითხავ-**ს**... ჰკითხავ-**ნ**... მან ჰკითხ-**ა**... იწყ-**ო**). В результате изучения древнегрузинских текстов выяснилось, что спорадически субъект III лица представлен и суффиксом **-დ**.

Показателем субъекта (resp. реального объекта) III лица суффикс **-დ** встречается в инверсивных формах статического глагола (უპყრივ-**დ** ი გ ი) и прошедшего результативного I (მის-წავივ-**დ** ი გ ი). Кроме этих форм суффикс **-დ**, как показатель субъекта III лица, засвидетельствован в аористе, когда этот последний употребляется для обозначения повелительного наклонения (ისმინე-**დ** მ ა ნ).

შემოკლებათა განმარტება

ათონ.: ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, საეკლ. მუზეუმის გამოცემა, თბილისი, 1901 წ.

ექუსთა დღ.: ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი, ექუსთა დღეთაჲ, გიორგი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს თარგმანი, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კ ა ხ ა ძ ე მ, თბილისი, 1947.

იოვ. და ეფთ.: გიორგი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა, თბილისი, 1946.

კიმ. I: ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კ ი მ ე ნ ი, ტ. I, გამოცემა რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა კორნ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქტორობით, ტფილისი, 1918.

კიმ. II: ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კ ი მ ე ნ ი, ტ. II, გამოსცა კორნ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მ, თბილისი, 1946.

ოთხთ.: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.) გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ, თბილისი, 1945.

რავახ.: ცხოვრებაჲ და წამებაჲ... ანტონი რ ა ვ ა ხ ი ს ი..., გამოცემული იოსებ ყ ი ფ შ ი ძ ი ს მიერ. იხ. Христ. Восток, т. II, вып. 1, СПБ, 1913.

სამოციქ.: სახარება — სამოციქულო უთარიღო (დაახლ. XI საუკუნის I ნახევრის) ხელნაწერი № 176, დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

სახისმეტყ.: მჭევრთათჳს სახისა სიტყუაჲ, ნ. მ ა რ ი ს გამოცემა (გამოკვლევითა და თარგმანითურთ). იხ. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VI, СПБ, 1903.

შუშან.: იაკობ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი, მარტჳლობაჲ შუშანიკისი, ილია ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემა (გამოკვლევით, ვარიანტებითა და ლექსიკონითურთ), ტფილისი, 1938.

ძვ. აღთქ. I, 1: წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, 978 წლის ხელნაწერის მიხედვით, ტ. I, ნაკვეთი 1, დაბადებისაჲ, გამოსლვათაჲ, გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ, თბილისი 1947.

ძვ. აღთქ. I, 2: წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, 978 წლის ხელნაწერის მიხედვით, ტ. I, ნაკვეთი 2, ლევიტელთაჲ, მსაჯულთაჲ, რუთისი, იობისი, ესაიაჲსი, გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ, თბილისი, 1948.

წარტყუენ.: წარტყუენვაჲ იერუსალჱმისი, ნ. მ ა რ ი ს გამოცემა (გამოკვლევითა და თარგმანითურთ). იხ. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. IX, СПБ 1909.

ხანძეტი მრავალთ.: ა. შ ა ნ ი ძ ე, ხანძეტი მრავალთავი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფილისი, 1927.

ხანძთ.: გიორგი მ ე რ ჩ უ ლ ი, შრომაჲ და მოღუაწებაჲ... გრიგოლისი, ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებელისაჲ, ნ. მ ა რ ი ს გამოცემა. იხ. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, СПБ, 1911.

ხრონოლრ.: სიმ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ხრონოლრაფი გიორგი მონაზონისაჲ, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი, 1920.

ალ. ცულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XI, 1952—1953.

კ. კუბლაშვილი

ბრძანებითი კილოს ზოგიერთი ფორმის შესახებ ძველ ქართულში

ი. ბ. სტალინის ნაშრომში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ სხვა საკვანძო პრობლემებთან ერთად გენიალური სიცხადით გადაჭრილია ენის გრამატიკული წყობის საკითხიც. ი. ბ. სტალინის მოძღვრების თანახმად, ეპოქათა განმავლობაში შემუშავებული ენის გრამატიკული წყობა, რომელიც ძირითად ლექსიკურ ფონდთან ერთად ენის საფუძველს ქმნის, მეტისმეტი სიმყარითა და გამძლეობით ხასიათდება. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ენის გრამატიკული წყობა საერთოდ უცვლელია: „იგი, რა თქმა უნდა, იცვლება დროთა ვითარებაში, იგი უფრო სრულყოფილი ხდება, აუმჯობესებს და აზუსტებს თავის წესებს, იძენს ახალ წესებს, მაგრამ გრამატიკული წყობის საფუძვლები რჩება მეტად დიდი ხნის განმავლობაში, რადგან ამ საფუძვლებს, როგორც ისტორია გვიჩვენებს, შეუძლიათ წარმატებით ემსახურონ საზოგადოებას მთელი რიგი ეპოქების მანძილზე“ [1].

ის ცვლილებები, რომლებიც ქართული ენის განვითარებაში ბრძანებითი კილოს ფორმების წარმოებასთან დაკავშირებით შეინიშნება, ი. ბ. სტალინის ამ დებულების ნათელ ილუსტრაციას იძლევა.

* * *

ცნობილია, რომ ბრძანებითს კილოს ძველ ქართულში საკუთარი ფორმები გააჩნდა. უნიფიკაციის გზით წასული ევოლუცია იქამდის მივიდა, რომ ახალ ქართულში ამ კილოს არც ერთი საკუთარი ფორმა აღარ აქვს, იგი იყენებს თხრობითი კილოს ნამყო ძირითადის, აწმყოსა და კავშირებითი მეორის ფორმებს.

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950, გვ. 23.

ახალი ქართულისაგან განსხვავებით, ძველი ქართული ბრძანებითის წარმოების მხრივ რიგ თავისებურებებს იჩენს; აქ ზმნები, რომელთაც წართქმითი ბრძანებითის შინაარსი აქვთ, ფორმის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ა) პირველი ბრძანებითი და ბ) მეორე ბრძანებითი.

პირველი ბრძანებითი ნაწარმოებია ნამყო უსრულის ფუძისაგან[1]. ამ ბრძანებითის ფორმები ძველი ქართული ენის ძეგლებში საკმაოდ მომძლავრებულია, უფრო გვიანდელ ძეგლებში მისი პოზიცია სუსტდება, ხოლო ახალ ქართულში სულ იკარგვის.

პირველი პირის მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად პირველი ბრძანებითი კავშირებითს პირველს მიმართავდა[2]:

...შევიყუარნეთ საქმენი იგი სიტყუანი მეზუერისანი და მისთანა ვილოცვიდეთ და მისთანა თაყუანის ვსცემდეთ და ვევედრებოდით და მისთანავე სწორთვითქუმიდეთ უსიტყუელად...

იოანე ბოლნ. 56.

პირველი ბრძანებითის მეორე პირი ნამყო უსრულის თხრობითი კილოსაგან სუბიექტური პირის ნიშნის უქონლობით სხვაობდა[3]:

...და ჰრქუა მას იესუ: მომდევდი მე... იოვანე 1,43.

და მოუწოდა ათთა მონათა თჳსთა და მიჰსცა მათ ათი მნაჲ და ჰრქუა მათ: ვაჭრობდით ამას, ვიდრემდე მოვიდე...

ლუკა 19,13.

ნამყო უსრულისაგან ნაწარმოებ მესამე პირის ბრძანებითისათვის სუბიექტური პირის ნიშნად მხოლობითში -ნ, ხოლო მრავლობითში -ედ სუფიქსია დამახასიათებელი:

...და ეტყოდა ყოველთა: რომელთა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი დღითი-დღედ და მომდევდინ მე... ლუკა 9,23.

...ეგრე ნათობდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა...

მათე 5,16.

...მაშინ რომელნი ჰურიასტანს იყვნენ, ივლტოდედ მთად; და რომელნი იყვნენ შორის მისა, განივლტოდედ...

ლუკა 21,21.

---

[1] ა. შანიძე, სამი მწკრივის თავისებურებანი ძველ ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 10, 1945, გვ. 839.

[2] იქვე.

[3] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920, გვ. 5.

მეორე ბრძანებითი ნაწარმოებია ნამყო ძირითადისაგან. აქაც მეორე პირის ბრძანებითს თხრობითი კილოს ამავე პირის ფორმისაგან სუბიექტური პირის ნიშნის უქონლობა ასხვავებს:

...დადევ აქა წინაშე ყოველთა ძმათა შენთა და ძმათა ჩემთა და გუამხილედ ჩუენ ორთავე... დაბადებისაჲ 31,37

...წარავლინნა ბეთლემდ და ჰრქუა მათ: მივედით...

მათე 2,8.

ძველ ქართულში „მოვედ" ფორმა თანაბრადაა გამოყენებული როგორც თხრობითი კილოს პირველი პირის, ისე ბრძანებითი კილოს მეორე პირის გადმოსაცემად. ეს დამთხვევა პირდაპირი შედეგია იმისა, რომ ამ ზმნას პირველი სუბიექტური პირის ნიშანი საერთოდ არ გააჩნია, აქ იგი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, მეორე პირის წართქმითი ბრძანებითი კი, როგორც ცნობილია, ზმნის ფუძეს ემყარებოდა ძველ ქართულში.

ახალ სალიტერატურო ქართულში ასეთ დამთხვევას ადგილი აღარ აქვს: აქ მეორე პირისადმი მიმართულ ბრძანებას „მოდი" ფორმით გამოვხატავთ. ეს უკანასკნელი, პროფ. ა. შანიძის აზრით, მიღებულია „მოვედ" ზმნისაგან ი-ს დართვით: მოვედი → → მოედი → მოდი[1].

ძველი ქართული ენის მონაცემებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ „მოვედ" ზმნა, როცა იგი ბრძანებას გამოხატავს, „მოედ" სახითაც იხმარება:

...გამოედ ქუეყანისაგან შენისა და მოედ ქუეყანად, რომელი მე გიჩუენო შენ... საქ. მოციქ. 7,3 ა

...და აწ მოედ და მიგავლინო შენ ეგვპტედ...

საქ. მოციქ. 7,34 ა

...აწ კმა- არს, წარედ, და ჟამსა მოცალესა მოგიწოდო შენ...

საქ. მოციქ. 24,25 ა

...და ჰრქუა მათ იესუ: მოედით და შემომიდეგით მე...

მარკოზ 1,17 C

...განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და მოიღო საფასე ცათა შინა და მოედ და შემომიდეგ მე... მათე 19,21 C.

...და რომელსაცა სახლსა შეხჳდეთ, მუნ დაადგერით და მიერ გამოედით... ლუკა 9,4 C.

...შუვა ღამეს ოდენ კმა იყო: ჰა ესერა სიძჱ, გამოედით და მიეგებოდეთ მას... მათე 25,6 C.

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი I, 1942, გვ. 171.

...ხოლო უფალმან მრქუა მე: აღდეგ და შეედ დამასკედ...
საქ. მოციქ. 22,10 ა.

მსგავსი შემთხვევები გვიანდელ ძეგლებშია უფრო მოჭარბებული.

ისმება კითხვა: რატომ უნდა დაკარგულიყო -ვ ბგერა ამ შემთხვევაში მისთვის ფონეტიკურად ხელსაყრელ პირობებში?

-ვ ბგერის დაკარგვა „მოვედ“ ზმნაში, როცა ეს უკანასკნელი წართქმითი ბრძანებითის შინაარს გადმოსცემდა, განპირობებული უნდა ყოფილიყო იმის საჭიროებით, რომ ამით ფორმალურადაც გარჩეულიყო თხრობითი კილოს პირველი პირი ბრძანებითი კილოს მეორე პირისაგან: შინაარსობლივ სხვაობას ფორმის მხრივაც მოჰყვა დიფერენციაცია. ასეთ ახსნას მხარს უნდა უჭერდეს ის ფაქტიც, რომ ამ ზმნაში ვ-ს მიჩნევა პირველი სუბიექტური პირის ნიშნად ადვილი მოსალოდნელი იყო.

ამრიგად, „მოდი“ ფორმა, რომლითაც ახალ ქართულში მეორე პირისადმი მიმართულ ბრძანებას გამოვხატავთ, მიღებულია „მოედ“ ზმნისაგან ი-ს დართვით. თავის მხრივ, „მოვედ“ ფორმისაგან „მოედ“-ის წარმოება განსაზღვრული უნდა ყოფილიყო თხრობითი და ბრძანებითი კილოს პირველი და მეორე პირის ფორმათა დიფერენციაციის საჭიროებით.

სუბიექტური პირის აღუნიშვნელობა, მეორე პირის წართქმითი ბრძანებითისათვის რომ არის დამახასიათებელი ძველ ქართულში, რიგ სხვა კავკასიურ ენებშიც დასტურდება, მაგალითად, აფხაზურში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ „სუბიექტური პირის ნიშნის დაკარგვა მხოლოდ გარდამავალი ზმნისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ აქაც პირის ნიშნის დაკარგვა ეხება მეორე პირის მხოლობითს რიცხვს როგორც მდედრობითისას (ბ), ისე მამრობითისას (უ) და არა მეორე პირის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელს (ში)[1].

ამ მომენტიდან იწყება უკვე ადამიანის, პიროვნების ჩთული, ფსიქო-ფიზიკური არსების ჩამოყალიბება. განვითარების ამ დონეზე მყოფი არსების ფსიქიკა ჯერ კიდევ დაბალ სტადიაშია. მოთხოვნილებანი ჯერ კიდევ არ არის მაღალი, სპეციფიკურ-ადამიანური, ეს მოთხოვნილებანი ჯერ კიდევ არსებითად სიცოცხლის შენარჩუნებისათვის აუცილებელ პროდუქტებზეა მიმართული. უმთავრესად საგნები, რომლებიც ინდივიდის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, რეალური, სინამდვილეში არსებული საგნებია; ამიტომაა სწორედ, რომ მარქსიზმი პიროვნებას განიხილავს, როგორც ცოცხალ, მატერიალურ, გრძნობად, ხორციელ არსებას. „То, что

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Немецкая идеология, გვ. 18.
[2] იქვე, გვ. 11.

человек есть телесное, естественное, живое, действительное, чувственное, предметное существо, означает то, что он имеет действительные и чувственные предметы предметом своего существа, своего проявления жизни, или что он может проявить свою жизнь только на действительных, чувственных предметах“ [1]. განვითარების ამ დონეზე მყოფი ადამიანი უკვე ბევრად მაღლა დგას, ცხოველთან შედარებით, სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბრძოლის საქმეში. პიროვნებებს ცნობიერების არსებობის საფუძველზე შესაძლებლობა ეძლევათ ერთმანეთს თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ, შეგნებულად დაეხმარონ საზოგადოების სხვა წევრებს საკუთარი ინტერესების დაცვისთვის. ცხოველები კი, როგორც ცნობიერების არმქონენი, საზოგადოებას ვერ ქმნიან, შეგნებულად არ არიან ერთმანეთისათვის სასარგებლონი. „Каждое животное должно заботиться о себе и охранять себя само, независимо от других животных; оно не может извлечь ни малейшей пользы из различия способностей, которыми природа наделила других животных того же вида“ [2].

სულ სხვა მდგომარეობაა ადამიანებთან. ისინი ერთიანდებიან, ქმნიან ორგანიზებულ მთლიანობას, საზოგადოებას, სადაც ერთიმეორესთან ერთიერთობის საფუძველზე ხდება თითოეულის პროგრესი. კ. მარქსი წერს: „У людей, наоборот, самые различные таланты полезны друг другу...“. ასეთ კავშირში გაერთიანება გაადამიანების პროცესში მყოფთათვის განსაზღვრულია საერთო მოთხოვნილებებით, რომლებიც წარმოებათა შედეგად უჩნდება მათ. „Это производство начинается впервые с ростом населения. Само оно опять-таки предполагает общение индивидов между собой. Форма этого общения, со своей стороны, обусловливается производством“. [3] მოსახლეობის ზრდისა და მოთხოვნილებების ზრდასთან ერთად ხდება შრომის დანაწილება, რომელიც თავისთავად გარკვეულად ზემოქმედებდა ადამიანის განვითარებაზე. ხდება ადამიანთა დასპეციალისტება წარმოების მხრივ, უვითარდებათ სხვადასხვა უნარი და მიდრეკილება წარმოებისა; ყველაფერი ეს კი განსაზღვრულია შრომის დანაწილებით და წარმოადგენს მის შედეგს. „Различие природных дарований у

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч.. т. III, გვ. 643.

[2] იქვე, გვ. 667.

[3] К. Маркс и Ф. Энгельс, Немецкая идеология, გვ. 11.

индивидов есть не столько причина, сколько следствие разделения труда“ [1].

„Таким образом, уже с самого начала обнаруживается материалистическая связь людей между собой, которая обусловлена потребностями и способом производства и так же стара, как сами люди, — связь, которая принимает все новые формы, а следовательно совершает „историю“, не нуждаясь даже в существовании какой-либо политической или религиозной нелепости, которая еще сверх того связывала бы людей“ [2]. სწორედ ამ ურთიერთობაში გაუჩნდა ადამიანებს ურთიერთობის მოთხოვნილება, ერთიმეორესთან საურთიერთო კავშირის დამყარების მოთხოვნილება, რომელმაც განსაზღვრა ფსიქიკის გაჩენა. პირველყოფილი ადამიანის ცნობიერება დაბალი და განუვითარებელია. ისე, როგორც თვით საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარების ამ დონეზე მყოფი ადამიანისა, ცნობიერებაც ცხოველურია, იგი ინსტინქტის ცნობიერებაა ანუ ინსტინქტია გაცნობიერებული, — როგორც ხმარობენ „გერმანული იდეოლოგიის“ ავტორები.

შემდეგ, როგორც ეს ცნობიერების გენეზისის ჩვენებისას იყო აღნიშნული, ცნობიერება მაღალ საფეხურზე ადის; რთულდება თვით პიროვნების სტრუქტურა. იგი ახლა ისე აღარ უყურებს ბუნებას, როგორც უწინ. მისთვის ბუნება ახლა სხვაა. პიროვნების განვითარება-შეცვლასთან ერთად, შეიცვალა თვით ბუნებაც. ადამიანი, პიროვნება ახლა ბუნებაზე უკვე ზემოქმედებას იწყებს. „...эта предшествующая человеческой истории природа — не есть та природа, в которой живет Фейербах. не есть та природа которая (кроме разве отдельных австралийских королловых островов новейшего происхождения) ныне где-либо еще существует“... [1] ხდება დაპირისპირება ბუნებისა და ადამიანისა, ეს კი უკვე ნიშანია ადამიანის მიერ თავისი თავის შემეცნებისა და ამით თავისი თავის კიდევ უფრო განვითარებისა. ადამიანი იწყებს ბუნების, გარემოს გარდაქმნას თავისი მოთხოვნილებების შესაბამისად. მაგრამ ეს მოთხოვნილებები ხომ გარემოს, საერთოდ, ბუნებრივი ძალების, მატერიალური წარმოებით არის განსაზღვრული! გამოდის, რომ „обстоятельства в такой же мере творят людей, в какой люди творят обстоятельства“ [3]

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. III, გვ. 666.
К. Маркс и Ф. Энгельс. Немецкая идеология, გვ. 20.
[3] იქვე. გვ. 35.

პირველი დაპირისპირება ბუნებასა და ადამიანს შორის მოხდა, როგორც აღვნიშნეთ, პირველად ადამიანი გარემოს, ბუნებას გამოეყო როგორც პიროვნება, როგორც ბუნებისეული არსება, მაგრამ მაიც განსხვავებული, უფრო რთული არსება. შემდგომში, როდესაც უკვე ადამიანთა განვითარება თვითგაცნობიერების გზით წარიმართა, როდესაც ადამიანს თავისი პიროვნული თავისებურებების შემჩნევის უნარიც მიეცა, იგი დაუპირისპირდა თავისივე მსგავს ადამიანს. სხვა ადამიანთა დაპირისპირებაში ადამიანმა თავისი კიდევ მეტი სპეციფიკური ნიშანი შენიშნა. „ადამიანსაც რამდენადმე იგივე ემართება, რაც საქონელს. რადგანაც ადამიანი ამ ქვეყნად არც სარკით იბადება და არც ფიხტეს ფილოსოფოსის სახით: მე — მე ვარ, ამიტომ თავის თავს იგი ჯერ სხვა ადამიანში ხედავს, როგორც სარკეში. მხოლოდ ადამიან პავლესთან, როგორც თავის მსგავსათან, შეფარდებით ადამიანი პეტრე შეეფარდება თავის თავს, როგორც ადამიანს. ამით მისთვის პავლეს მთელი თავისი პავლესებური გარეგნობით მნიშვნელობა აქვს, როგორც გვარის „ადამიანის“ გამოაშკარავების ფორმას“ [1].

ინდივიდთა განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა წარმოებასა და მოხმარებას ენიჭება. „...მოხმარება ქმნის ახალი წარმოების მოთხოვნილებას, მაშასადამე, წარმოების იდეალურ, შინაგან მამოძრავებელ საწყისს, რომელიც მისი წინამძღვარია“ [2]. „გერმანული იდეოლოგიის“ ავტორები ამ ფაქტს იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ მას პირველ ისტორიულ საქმეს უწოდებენ ადამიანის, პიროვნების ქმნადობის საქმეში. კ. მარქსი თავის ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ იძლევა წარმოებისა და მოხმარების დიალექტიკის კლასიკურ ნიმუშს, რაც ცხადყოფს, რომ წარმოება სპეციფიკურ ადამიანური აქტია, რომ „წარმოება აწარმოებს, არა მარტო საგანს სუბიექტისთვის, არამედ — სუბიექტსაც საგნისთვის“ [3]. მოხმარებაც სპეციფიკური აზრით ადამიანური, პიროვნული აქტია, რამდენადაც ადამიანური მოხმარების საფუძველზე ახალი მოთხოვნილება იბადება, რაც პიროვნების პროგრესისათვის აუცილებელი საწინდარია. წარმოება და მოხმარება იმდენად სპეციფიკური აქტებია პიროვნებისა, რომ გარკვეული აზრით შეგვეძლო გვეთქვა, წარმოება და მოხმარება პიროვნების არსებობის ფორმაა.

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I გვ. 20, შენიშვნა 18.
[2] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 268.
[3] იქვე, გვ. 269.

ასეთია ძირითადად პიროვნების განვითარების გზა, განხილული მარქსიზმის პოზიციებიდან. ფსიქოლოგს ყველაზე მეტად აქ ის აინტერესებს, თუ როგორ ხდებოდა პიროვნების, როგორც მთლიანის, ჩამოყალიბება მოთხოვნილებების, როგორც უშუალოდ შიგნიდან მომდინარე, მაგრამ შუალობით გარედან განსაზღვრულ, პროცესის შედეგად. ფსიქოლოგისათვის მოთხოვნილება არის ძირითადი და განმსაზღვრელი ფაქტი, რომელიც პიროვნებას პიროვნებად ხდის. მოთხოვნილება, როგორც განცდა რაიმეს სინაკლულისა, თავისი ბუნებით ისეთია, რომ სწორედ პიროვნების მარქსისტულ გაგებას შეიძლება დაედვას საფუძვლად, როგორც მამოძრავებელი. მოთხოვნილება, მაგალითად, შიმშილისა ეს არის „...предметная потребность одного тела в другом, находящемся вне его, необходимом для его дополнения и для проявления его жизни, предмете“ [1]. მოთხოვნილება ყოველთვის გრძნობად, ხორციელ, ცოცხალ ინდივიდს შეიძლება ჰქონდეს. არსება, რომელსაც მოთხოვნილებები არა აქვს, პიროვნებად ვერ ჩაითვლება იმის მსგავსად, როგორც კ. მარქსს სახლად არ მიაჩნია ის სახლი, რომელშიც არავინ ცხოვრობს. კ. მარქსი წერს: „ნამდვილი ტანსაცმელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მას ატარებენ სახლი, რომელშიაც არ ცხოვრობენ, ფაქტიურად არაა ნამდვილი სახლი“ [2]. პიროვნება რომ არსებობდეს, იგი მოქმედი, ცოცხალი, მწარმოებელი უნდა იყოს. ეს კი გარკვეულ მოთხოვნილებათა საფუძველზე მიმდინარეობს და ახალ მოთხოვნილებებს წარმოშობს. ამდენად, ის ვისაც მოთხოვნილებები არა აქვს, არც მოქმედი და, მით უმეტეს, არც მწარმოებელი შეიძლება იყოს და, მაშასადამე, არც პიროვნება, მარქსისტულად გაგებული. გარკვეული აზრით, პიროვნებას მოთხოვნილებათა ჯამი შეიძლება ვუწოდოთ. „...индивид представляет собою сумму потребностей...“ [3], წერს კ. მარქსი. პოლიტიკურ-ეკონომიური გაგებით ნათქვამი ეს სიტყვები ფსიქოლოგიურადაც სრულიად გამართლებულია და, შეიძლება ითქვას, იგი უფრო ფსიქოლოგურადაა გამართლებული...

ასეთია ზოგადად მარქსისტულად გაგებული პიროვნების არსი და გენეზისი. როგორ დავინახეთ, იგი რთული ფსიქო-ფიზიკური ერთიანობაა. მასში არ მოქმედებს ცალკე ფიზიკური და ცალკე ფსიქიკური. ფიზიკური, სხეულებრივი ორგანიზაცია ისეთივე ერთ-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. III, გვ. 643.
[2] კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 12.
[3] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. III, გვ. 665.

ერთი მხარეა მთლიანი პიროვნებისა, როგორც ფსიქიკური. ცალცალკე ფუნქციობა ფიზიკურისა და ფსიქიკურისა პიროვნების ფარგლებში უაზრობაა. ამიტომ ქცევად, ამ სიტყვის ფსიქოლოგიური გაგებით, მხოლოდ ის აქტები ჩაითვლება, რომლებშიც პიროვნება, როგორც მთლიანი, ჩანს, რომელიც პიროვნების. როგორც მთლიანის, აქტებია. გარეშე ბუნების ასახვა პიროვნების მიერ ხდება. ცნობიერებას თვითონ არ აქვს უნარი რაიმეს ასახვისა, იგი თვითონ არის ასახვა. ცნობიერება პიროვნების გარკვეული მდგომარეობაა, გამოწვეული პიროვნებაზე გარეშე საგნების ზემოქმედებით. პიროვნება რომ არსებობდეს, იგი აუცილებლად ცნობიერი უნდა იყოს, ხოლო თვით ცნობიერების არსებობა მისი მატერიალური სუბსტრატის, უმაღლესი ცენტრალური ნერვული სისტემის გარეშე შეუძლებელია; ყოველივე ამის გამო პიროვნება ფსიქოფიზიკურ მთლიანს წარმოადგენს.

Г. А. БОЧОРИШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ПСИХОЛОГИИ В ТРУДАХ К. МАРКСА

Резюме

Главной причиной неблагоприятного состояния советской психологии, ее теоретического и практического отставания является недостаточно углубленное изучение психологических высказываний классиков марксизма и нетворческое, механическое применение принципов марксизма-ленинизма к конкретным вопросам психологии.

Систематическая работа над трудами К. Маркса, психологическая интерпретация его высказываний, касающихся человеческой личности, сознания и т. п. убеждают нас в том, что некоторые основные вопросы психологии, вокруг которых в советской психологии идут дискусии, уже разрешены Марксом.

Мы здесь рассматриваем два вопроса, которые имеют существенное значение для психологии и на которые у Маркса имеется недвусмысленный ответ. Это — вопросы о сущности сознания и о природе человеческой личности.

Первой материалистической задачей при решении проблемы сознания Маркс считает устранение мысли о самостоятельности сознания, мысли об имматериальных факторах развития сознания. Раз сознание является отражением, оно не может развиваться независимо от предмета отражения. Сознание, по Марксу, не есть нечто самодовлеющее и саморазвивающееся.

Из такой концепции о сознании логически вытекает заключение, что всякое, и в частности психологическое, изучение сознания не осуществимо без учета закономерностей предмета отражения внешнего мира и социальных явлений. Это обстоятельство в свою очередь указывает на то, что оригинальные, специфические закономерности могут быть открыты психологией главным образом в области процесса отражения.

Сознание, по Марксу, социально по происхождению, предметно (в широком смысле) по содержанию и индивидуально по форме существования. Задачей психологии является — уразумение этого, сложнейшего по своей структуре, факта. Личностный характер сознания и социальная сущность личности — понятия, против которых не могут устоять концепции идеалистической и персоналистической психологии.

Теория сознания и личности, данная Марксом, является принципом построения „реальной психологии", свободной от идеализма и механицизма. Человеческие потребности, развивающиеся в процессе производства, являются основными элементами личности и исходной точкой психологических исследований.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. XI, 1952—1953.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XI, 1952—1953.

ი. ჯ ღ ა რ კ ა ვ ა

სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიკური იდეები „სიბრძნე სიცრუისას“ მიხედვით

სულხან-საბა ორბელიანის უკვდავი ლიტერატურული ქმნილება „სიბრძნე სიცრუისა“ მე-17 საუკუნის ქართული ლიტერატურის დიდმნიშვნელოვანი ძეგლია. პოეტ-აკადემიკოსის გ. ლეონიძის შენიშვნით, „სიბრძნე სიცრუისა“ არის კატეხიზისი ქართული გონებამახვილობისა“ [1]. ავტორი ამ ქმნილებაში სატირულ-იუმორული ფორმით მთელი სისასტიკით ამხელს მე-17 საუკუნის ფეოდალური საქართველოს მმართველი წრეებისა და სასულიერო წოდების მახინჯ პოლიტიკურ-მორალურ სახეს და, დიდი რუსთაველის სწავლების მიხედვით, ბოროტზე კეთილს ამარჯვებინებს. მწვავე იგავ-არაკებით, ანეგდოტებით, სენტენცია-აფორიზმებითა და ანდაზებით სულხანი დაუზოგავად ამხელს იმ დროის საქართველოს მმართველი ფენისა და სასულიერო წოდების სიფლიდეს, ძალადობას, გამცემლობას, თვალთმაქცობას, ყოყოჩობას, მევახშეობას, გონებრივ და ზნეობრივ დაცემულობას და ბრძნული წინასწარჭვრეტით ადგენს გარეშე (ირან-ოსმალეთის) და შინაური მტრების თარეშისაგან თავისუფალი ახალი საქართველოსათვის მებრძოლი სასურველი ადამიანის ზნეობრივ ნორმებსა და წესებს. ავტორს მაჰმადიანური კულტის მსახურთა სამოსელში ქართველი სამღვდელოება ჰყავს გამოყვანილი.

გამოყრუებული, დაბერებული, სულელი, მეძავი, მექრთამე—ყადი, ცბიერი მოლა, ავაზაკი სადრი — ქართული ეკლესიის წარმომადგენლებია. „ღორს ავი მოლა რით უკეთესია?“ —აცხადებს ავტორი, ხოლო სადრიზე იგი ასე წერს: „ამ ქვეყნის რჯულის თავია, ესეთი

[1] „სიბრძნე სიცრუისა“, გ. ლეონიძის წინასიტყვაობით და ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1938 წ. გვ. LXXIV.

ღირსი და წმინდა არის, რომ ამისის ლოცვით დგას ეს თემი და წვიმაც და მოსავალიც ამისის ლოცვით მოვა... აჰა, ამ ქალაქის მომთხრელი ქურდი ეს არისო“ [1]. „სიბრძნე სიცრუისა“ აშუქებს პოლიტიკის, ეთიკის, ესთეტიკის, დიპლომატიისა და პედაგოგიური მოძღვრების თეორიული და პრაქტიკული ხასიათის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

სულხან-საბა ორბელიანის ზოგიერთი პედაგოგიკური ნაშრომი (მაგ., „სწავლა კიდობანთა“) ჯერ კიდევ დაკარგულად ითვლება, რაც მეტად აძნელებს ავტორის პედაგოგიკურ შეხედულებათა სრულყოფილად დადგენას. ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ „სიბრძნე სიცრუისას“ პედაგოგიკურ ღირებულებათა განხილვით შემოვიფარგლებით. დასმული ამოცანა თავისი მხრივ მოითხოვს განხილულ იქნას ავტორის ფილოსოფიური, ეთიკური, ესთეტიკური და ფსიქოლოგიური შეხედულებანი, მაგრამ ამას, გარკვეული მოსაზრებით, დროებით გვერდს ვუვლით.

სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურულ-კრიტიკულ მემკვიდრეობაზე ბევრი რამ ითქვა ალ. ცაგარელის, პროფ. ალ. ხახანაშვილის, პროფ. კ. კეკელიძის, მკვლევარ პოეტ-აკადემიკოსის გ. ლეონიძის, პროფ. ალ. ბარამიძის და სხვათა მიერ, ასევე დოც. ვ. ფრანგიშვილმა განიხილა ავტორის ფსიქოლოგიური შეხედულებანი. პედაგოგიკურ შეხედულებებზე კი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დოც. დ. ყიფშიძის ნაშრომს „პედაგოგიკის ლექციები“ (წიგნი № 2. გვ. 25-29, 1941 წ.), თითქმის არაფერია ნათქვამი. და ეს იმ დროს, როდესაც სულხან საბა ორბელიანის პედაგოგიკური შეხედულებები თამამად შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ მე-17 საუკუნის ისეთ გამოჩენილ პედაგოგ-კლასიკოსებს, როგორიც იყვნენ ეპიფანე სლავინეცკი და სიმონ პოლოცკი რუსეთში, ხოლო ჯონ ლოკი—ინგლისში.

ჩვენ ვრცლად არ შევჩერდებით სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიაზე, მაგრამ ისტორიის მიერ შემონახული, საკმაოდ ღარიბი ბიოგრაფიული მასალებიდან, რაც ავტორის საოჯახო თუ სასკოლო აღზრდა-განათლების საკითხებს ეხება, ზოგიერთი რამ მოტანილი იქნება „სიბრძნე სიცრუის“ პედაგოგიკურ ღირებულებათა ნათელსაყოფად.

მე-17 საუკუნის დიდი ქართველი მწერალი, ლექსიკოგრაფი, პედაგოგი თეორეტიკოსი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე — დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი „უწარჩინებულეს“ და „დიდებულ“

[1] „სიბრძნე სიცრუისა“. გვ. 144.

ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა. იგი დაიბადა 1658 წ. 24 ოქტომბერს (ძვ. სტ.). „სიბრძნე სიცრუისას“ ავტორმა ოჯახში ფეოდალური აღზრდა-განათლება მიიღო, მაგრამ დიდ საგვარეულო წრეებში, სადაც მისი გონებრივი გამოღვიძება და აღზრდა წარმოებდა, ბევრი შეიძინა „განახლების ხანის“ პედაგოგიური იდეებიდანაც. სულხანის მამა — მდივანბეგი ვახტანგი. მწიგნობარი ყოფილა. სულხანს მამისაგან უსწავლია ასომთავრული მრგლოვანი, წერა იმდენად კარგად, რომ შემდეგ სხვასაც ასწავლიდა თურმე. სულხანის ძმა, ცნობილი პოეტი და კალიგრაფი ნიკოლოზ ტფილელი წერს: „მთავარნი ესე ასოთანი ძველადვე ქართველთ ეწესა და არაღარავინ იყო სწავლულ ამისა, თვინიერ უხუცესისა ძმისა ჩემისა სულხან-საბა ორბელიის-ძისაგან კიდე; მასცა მამისაგან ჩემისა ესწავლა და მან მე მასწავლაო“ [1]. სულხანის დედა, არაგვის ერისთავის ასული თამარი, — დიდი ნუგზარის შვილიშვილი, შესაფერ აღზრდა-განათლებას არ იქნებოდა მოკლებული. ვახტანგის ოჯახმა აღზარდა „დემეტრე ორბელიანი, ცნობილი პოეტი, ნიკოლოზ ტფილელი, ცნობილი სასულიერო პოეტი და კალიგრაფი და ზაალ ყოფილი ზოსიმე, აგრეთვე კალიგრაფი“ [2]. ვახტანგის ოჯახი იმ დროისათვის უსათუოდ დიდ კულტურულ კერას წარმოადგენდა: ეს კი თავისი მხრივ აჩქარებდა სულხანის ფსიქიურ ძალთა მომწიფებას. სულხანის ზრდა-განვითარებაში ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის მამიდაშვილებს: მეფეებს გიორგი XI-ს და არჩილს. გიორგისაგან საბა, როგორც თვითონ წერს, „შვილურად გაზრდილი და განსწავლული იყო“ [3]. ვახტანგ VI, სულხან-საბას „მეუის გიორგის გაზრდილს“ უწოდებს. ხოლო „გიორგი ცნობილი ლიტერატურული მეცნიერი იყო“ [4]. გიორგი მეფის ბრძანებით შეუდგენია სულხანს თავისი ლექსიკონი. აკაკი გაწერელიას შენიშვნით, „როგორც ფეოდალური საქართველოს შვილს, და ისიც მაღალი წრიდან გამოსულს სულხანს რაინდული წრთვნის სკოლაც უნდა გაევლო. ასეთი სკოლის წესებს შეიცავს სწორედ მისი ერთ-ერთი აღმზრდელისა და პოეტის არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანი“, რომელიც ფიზიკურად სრულყოფილი, ქველი და თავაზიანი რაინდის აღზრდის

---

[1] იხ. გ. ლეონიძე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1949, გვ. 65.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. V.

მიზნებს ისახავდა".[1] არჩილი „ყმათა ზრდიდა", „ყმათა სწვრთნიდა", ქართლ-კახეთ-იმერეთში მრავლად იყვნენ „მისნი დაზრდილნი".

სულხანზე დიდი ზეგავლენა მოუხდენია აგრეთვე მეფეთა მესამე ძმას — ლევანს. ლევანი — ირანის მდივანბეგი, ფილოსოფოსი და მწერალი — სულხანის უახლოესი მეგობარი ყოფილა. ასე რომ „მოშავალ კარისკაცს, დიპლომატს და სახელმწიფო მოღვაწეს სასახლეში უნდა გაეცნო პრაქტიკული სახელმწიფო საქმიანობა და მმართველობის პრობლემები. აქვე უნდა დაკმაყოფილებულიყო მისი ცნობისმოყვარეობა: „ვიყავ სწავლისა ფრიად მოყვარეო", როგორც თვით სულხანი გადმოგვცემს"[2].

სულხანის პედაგოგიკურ შეხედულებათა დადგენაში მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როდის დაიწყო მან სწავლა, ვინ იყვნენ მისი უშუალო აღმზრდელ-მასწავლებლები. ერთ-ერთ ხელნაწერზე სულხანის მინაწერში ნათქვამია: „მე ბარათიანთ დიდის ორბელის შვილის ყაფლანის ძის, საქართველოს ბრჭედ მთავრისა და მოსამართლედ უხუცესის პატრონის ორბელ-ვახტანგის პირმშომა-ძემან, ჯერეთ ყმა კაცმა სულხან დავიწყე ძილის პირთა და გალობათა სწავლა წადინითა იესოსითა და ბრძანებითა მის უსწოროსა მამისა ჩემისათა. ვიწყე თუესა აპრილსა კ (20-სა), აღდგომასა მხსნელისასა, ქჳსა ტნიზ (1679), ზედნადებსა კე (25-ს), მთვარესა კ (20)".

„მწვრთიდა მცხეთელი ზედგენიძეთ სახლის ძე ბერუკა და სიმღერის სრულობას მწრვთიდა იაშვილი გიორგი; მზრდიდა სათუთად და ნებივრად, ვითაც შვენის თავადთა ძეთა. და ანუ ბერნი, ანუ ყმანი, ანუ მღუდელნი, ანუ ერნი, ანუ მეგობარი ჩემი კარგი მოსწავლე დიაკონი შეემთხვიოთ ძილის პირსა ამას ნასყიდსა ჩვენსა, შენდობა ყავთ მღთისა მიმართ და ლოცვა ჩემ უცებისა და ცოდვილისა, ევედრენით ღთ-სა ლოდბრად შექნისა და ცოდვათა მოტევებისა ჩემთვის და სწავლისა აღსრულებისათვის. რამეთუ ვიყავ სწავლისა ფრიად მოყვარე და ჩემის ოსტატის დიაკვნები მაჯავრებდნენ. ვინცა შენდობა ბრძანოთ, ღ-თნ მოგაგოს მუქაფა"[3]. ამ ცნობის მიხედვით, სულხანს „გალობათა სწავლა" 21 წლის ასაკში

---

[1] ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, სულხან-საბა ორბელიანი, იხ. კ. გამსახურდია და ა. გაწერელია, სულხან-საბა ორბელიანი, თბილისში წაკითხული საჯარო ლექციების სტენოგრამები, 1949, გვ. 25-26.

[2] „სიბრძნე სიცრუისა", გვ. 7.

[3] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1949, გვ. 67-68.

დაუწყია. სხვა „ზნეობათა“ შესასწავლად სხვა მასწავლებლები ეყოლებოდა. სულხანს საფუძვლიანად შეუსწავლია საღვთო წერილი, გალობა, ისტორია, ფილოსოფია, საბუნებისმეტყველო საგნები, უცხო ენები და სხვ. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მას „ფრიადი შრომა“ გაუწევია „ჭაბუკობის ჟამსა და სიყრმისა“, ხოლო სწავლების ოფიციალურად დასრულების შემდეგ თვით სიბერემდე არ შეუწყვეტია საკუთარ თავზე მუშაობა — თვითგანვითარების გზით. დაუცხრომელი შრომითა და მაღალი ერუდიციით შექმნა მან უკვდავი ნაწარმოებები, როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობაში. სასულიერო ხასიათის ნაშრომებიდან მის კალამს ეკუთვნის კრებული 46 ქადაგებისა, სახელწოდებით: „სწავლანი და მოძღურებანი“, შემდეგ — ბიბლიის „კონკორდანსი“ ან „სიმფონია“, „სამოთხის კარი“, შესწორება „საქრისტიანო მოძღვრება“ ან კატეხიზმო, უთარგმნია „წამებანი წინასწარმეტყველთანი“ და „სწავლა ეცნიერთათჳს თქმული: აღვიარებ, რომელი არს ღმერთი ან სჯული“.

საერო მწერლობიდან კი: „მოგზაურობა ევროპაში“. რამდენიმე ჩვეულებრივი ტიპის „ანბანთქება“, საძი სტროფი დაუმატებია თეიმურაზ I-ის მიერ დაწერილი „ქეთევანიანისათვის“, „სიბრძნე სიცრუისა“ და, რაც მთავარია, კაპიტალური მეცნიერული შრომა „სიტყვის კონა“,

სულხანი თვით მოხაზავს ცოდნის იმ ფართო წრეს, რაც მას ლექსიკონის შესადგენად დასჭირვებია. იგი წერს: „რომელიცა წერილთა შინა ვნახე, გამოვიღე: საღთო წერილთა და ღ[თ]ის მეტყუელებათა შინა, რომელიმე ღრმათა ფილოსოფოსთა წიგნებიდან და ღ[თ]ის მეტყუელებათა კავშირთა პროკლეს პლატონურითა დიოდოხოსთა, არისტოტელისა და პორფირის ათიღორიათაგან გამოვიღე. ნემესიოს და იოანე დამასკელის პლატონური სიტყვის საქცევები აღვწერე. რომელიმე არა ძათებრ ღულარჭნულად, არამედ მათვე წიდათა მამათაგან საადვილო ვპოვე, და საადვილონი აღვწერენ, რათა ისწაონ ენა ქართული შესრულებული და განვრცელებული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ, ბრძნისა და გონიერისა, რომელი იყო ძეთაგან ქართლოსიანთა წარმართი“ [1]. როგორც ჩანს, სულხანი ლექსიკონის შედგენისას მეცნიერებათა სხვადასხვა დარგიდან სარგებლობდა და, მიუხედავად იმისა, რომ იგი ლექსიკონის შესავალში აცხადებს: „მე ქართულისაგან კიდე

[1] „სიტყვის კონა“, სულხან-საბა ორბელიანი, 1949 წ., გამოცემა, გვ. 10.

სხვა ენა არა ვიცოდი"-ო. ეს განცხადება სულხანის დიდი თავმდაბლობით უნდა აიხსნას. ნამდვილად, ცხადია, რომ ლექსიკონის ავტორმა იცოდა რუსული, თათრული, ბერძნული, ლათინური, არაბული და სომხური ენები, რის საბუთს ლექსიკონიც იძლევა. სულხან-საბას ჩვენ ვხვდებით სახელმწიფო საქმიანობაში ჩაბმულს. მას დიდი ამაგი მიუძღვის გიორგი XI-სა და ვახტანგ VI-ზე. საკმარისია მოვიგონოთ მეფე ქაიხოსროს გაწვევით სულხანის წასვლა სპარსეთში 1711 წელს, 1713 წელს მოგზაურობა ევროპაში რომის პაპის და ლუი XIV-ის კარზე დიპლომატიური მისიით. აქ ჩვენ იგი წარმოგვიდგება, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. „თავისი თავაზიანობითა და გონებამახვილობით საბა ორბელიანმა საფრანგეთის მეფე ლუი XIV და მისი მინისტრები მოხიბლა ოდესღაც"[1] — წერს მწერალი-აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია.

სულხან-საბა დასავლეთში მოგზაურობიდან დაბრუნებული ვახტანგ მე-VI-თან დროებითი უსიამოვნობის შემდეგ, თვით მეფის დავალებით დიდი გულმოდგინებითა და საქმის ცოდნით შედგომია „ქილილა და დამანას" ვახტანგისეული თარგმანის რედაქციას.

მას იგავების მთელი კრებული სტილისტურად გადაუმუშავებია. ხოლო შესავალში სამი საკუთარი იგავი შეუტანია, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება „ქილილა და დამანას" არცერთ სხვა იგავს. 1724 წელს ვახტანგ მეფე საქართველოში შექმნილი ვითარების გამო იძულებული შეიქნა საკმაოდ მოზრდილი ამალით (1200-დე კაცით), რომელშიაც იმ დროის მოწინავე ქართველებთან ერთად სულხან-საბაც შედიოდა, რუსეთში გამგზავრებულიყო. ამალა დროებით ჩერდება ქ. ასტრახანში, ხოლო სულხან-საბას მეთაურობით — პეტერბურგში პეტრე პირველთან წარსადგენად იგზავნება წარმომადგენლობა. 1724-1725 წლის სუსხიან ზამთარში წარმომადგენლობამ დიდი გაჭირვებით მიაღწია ქ. მოსკოვამდე. აწ უკვე 67 წლის მოხუცი სულხან-საბა ორბელიანისათვის ძალზე მძიმე შეიქმნა ეს მგზავრობა. მოსკოვში ავად გამხდარა და იქვე ახლოს სოფელ ვსესვიატსკოეში, არჩილ მეფის სასახლეში 1725 წლის 26 იანვარს გარდაცვლილა. მხცოვანი მწერალი და დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი იქვე მამის გვერდით დიდი ცერემონიით დაუსაფლავებია არჩილ მეფის ასულს დარეჯანს.

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ „სიბრძნე სიცრუისას" ავ-

[1] ჟურნალი „მნათობი", 1951 წ., № 12, გვ. 7.

ტორს მიღებული ჰქონდა მისი დროისათვის საკმაოდ ფართო განათლება და ეპოქალურად მოწინავე იდეებზე იყო აღზრდილი. ეს კი, ერთი მხრივ, უსათუოდ დიდ გავლენას ახდენდა სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე, რაც კარგად ჩანს სულხანის ჩვენს მიერ ქვემოთ განხილულ ნაწარმოებში. მაგრამ „სიბრძნე-სიცრუისა“ ხომ პოლიტიკური სატირაა. ეს ნაწარმოები დიდი ინტერესით ეხმაურება იმ დროის საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყოველგვარ საჭირბოროტო მოვლენებს.

რა ხასიათის იყო ეს მოვლენები, რომლებმაც თავის მხრივ, ბევრად განსაზღვრეს სულხანის შემოქმედება?

სულხანის დროის საქართველო 1723 წლამდე თითქმის არ განიცდის მაჰმადიანური სახელმწიფოების ვერაგულ თავდასხმებს, ქვეყნისა და ხალხის აოხრებასა და აწიოკებას. ამის გამო ის, ასე თუ ისე, ეკონომიურადაც განვითარდა და პოლიტიკურად განმტკიცდა. ქართლი ღირსეული შვილებით ბევრის მხრივ ახალი სიტყვის მთქმელი შეიქმნა მეცნიერების სხვადასხვა დარგში, განვითარდა კულტურაც.

საქართველოში ამ დროისათვის ტახტის მემკვიდრენი ერთმანეთს ექიშპებოდნენ, ხოლო თვითეული მათგანის ზურგს უკან თვითნება ფეოდალთა ხროვა იდგა; ესენი მეფის პირველ დაძახებისთანავე მზად იყვნენ ერთიმეორეს დარეოდნენ და გაეჟლიტათ ერთმანეთი. ფეოდალებს მხოლოდ პირადი-ეგოისტური თვითგანდიდებისა და „დამოუკიდებლობის“ მანია ასაზრდოებდათ. ამით ისინი ყოველმხრივ ასუსტებდნენ ქვეყანას და, რაც მთავარია, დიდ დაბრკოლებას ქმნიდნენ საქართველოს ეროვნული გაერთიანების, აყვავებისა და გაძლიერების გზაზე.

ფეოდალური იერარქია, — შინაგანი შუღლი, უნდობლობა და თავდასხმები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა გარეშე მტერთათვის, ხოლო ქვეყანას არსებითად ასუსტებდა და აძაბუნებდა. ამით ბევრს აგებდა მშრომელი ხალხი — გლეხობა. ხალხთა ხსნის ერთადერთი ჭეშმარიტი გზა ბატონყმობის რევოლუციური გზით დამხობასა და სასურველი ახალი საზოგადოებრივი წყობის დამყარებაში იყო, მაგრამ მოწოდების ამ სიმაღლეზე ამ დროის არც ერთი მოაზროვნე არ ასულა.

მეფე არჩილ, ვახტანგ VI და თვით სულხან-საბა ორბელიანი ცდილობდნენ მიეღწიათ ამ წყობილების „გაკეთილშობილებისა-

თვის“, მემამ-ულეთა და გლეხთა შორის „მამაშვილური“ დამოკიდებულებისათვის სწავლა-აღზრდისა და განათლების გზით.

ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი იღწვოდნენ საქართველოს გაერთიანებისათვის; ხოლო გაერთიანებულ საქართველოს სათავეში უნდა ჩადგომოდა „ჰუმანისტი მონარქი“, გაძლიერებულიყო ცენტრალური მმართველობითი აპარატის ძალა-უფლება ადგილზე ფეოდალებისა და სასულიერო წოდების უფლებათა შეზღუდვით — ეს ერთის მხრივ, მაგრამ საქართველოს მაჰმადიანური მახვილისაგან განთავისუფლებისათვის საჭიროდ თვლიდნენ მეორეს მხრივ, სხვა მომძე ხალხის დახმარებასა და მხარდაჭერას, ადრე, მისი აზრით, ასეთი იყო საფრანგეთის „მეფე-მზე“ ლუდოვიკო XIV და რომის პაპის კათოლიკური ეკლესია. ამ გზით უნდა მიეღო საქართველოს ევროპის კაპიტალი და კულტურა. მაგრამ ეს იმედის კოშკი წინასწარ იყო დასამსხვრევად გამზადებული და იგი კიდევაც დაიმსხვრა. ისტორია ადასტურებს, რომ ქართველ ხალხს ადრიდანვე ჰქონდა დიდი სიმპატია და ერთგულება გამოცხადებული ერთმორწმუნე ქრისტიანი მომძე რუსი ხალხისადმი. ვახტანგ VI-სა და სულხან საბა ორბელიანში ამ სიმპატიამ საბოლოოდ გაიმარჯვა და ქართველი ხალხის ბედ-იღბლის გადაწყვეტა პეტრე I-ის სახით დიდ რუს ხალხს მიანდო.

ასეთ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასა და გარემოცვაში განვითარდა და ყოველმხრივ მოიწიფდა სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიკური შეხედულებანი საერთოდ, „სიბრძნე სიცრუისას“ პედაგოგიკური იდეები — კერძოდ.

სულხანის ლიტერატურული მემკვიდრეობის თანამედროვე მკვლევართა მიერ აღიარებულია, რომ „სიბრძნე-სიცრუისა“ დაიწერა 1680-იან წლებში, სწორედ იმ დროს, როცა იგი ვახტანგ VI-ს ზრდიდა, იმ პიროვნებას, რომლის კულტურული ამაგი, მეცნიერული შრომა და სახელმწიფოებრივი ღვაწლმოსილება დაუფასებელია ქართველ ხალხისთვის. ვახტანგის კეთილშობილური პიროვნება ალბათ ბევრად იყო დამოკიდებული მისი ღირსეული აღმზრდელის სულხანის დიდ ერუდიციასა, უანგარო შრომასა და მოწინავე პედაგოგიკურ აზრზე. ჩვენ არ გადავაჭარბებდით თუ ვიტყოდით, რომ სულხანს ქართული პედაგოგიკური აზროვნებისათვის ამის მეტიც რომ არ გაეკეთებია, ის მაინც დაიკავებდა საპატიო ადგილს დიდ ქართველ პედაგოგ-თეორეტიკოსთა გვერდით.

სულხანის პრაქტიკულ-პედაგოგიკური მოღვაწეობა არ უნდა ამოიწურებოდეს ვახტანგის აღზრდით. მან, მისიონერ ჯუსტინო

ლივორნელის ცნობით, „აღზარდა ვახტანგი და მისი სახლობა და ისე უყვართ როგორც საკუთარი მამა“ო. ეს ალბად მოწმობს იმას, რომ, (ამ აზრს ლეონიძეც იზიარებს) სულხანს ვახტანგის მეუღლე ჩერქეზთ ბატონიშვილის ასული რუსუდანიც უნდა აღეზარდოს.

სულხან-საბა პირველ ყოვლისა, დიდი პრაქტიკოს-პედაგოგია და, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს იყოს საეჭვო, რომ იგი „სიბრძნე სიცრუისაში“ აღზრდის თეორიის დადგენისას ბევრად საკუთარ პედაგოგიკურ გამოცდილებას ემყარება.

„სიბრძნე სიცრუისა“ განახლების ხანის ფეოდალური საქართველოს არა მარტო ლიტერატურის, არამედ აღზრდა-განათლების ძვირფასი ძეგლიცაა. მასში აღზრდის იდეალი — ქვეყნის მომავალი მცართველი, უფლისწული ჯუმბერი ფეოდალური საქართველოს „გონიერი“ მართვისათვის ემზადება. მისი აღზრდა არსებული ფეოდალური სააღმზრდელო სისტემის გავლენისაგან არაა თავისუფალი. ფეოდალური რაინდული აღზრდისაგან სულხანს მოსწონს „სიტყვა-ტკბილობა“, „ზრდილობა და ქცევანი“.

ნაწარმოებში ჯუმბერი დახასიათებულია საზოგადოებრივად კეთილშობილი ზნეობრივი თვისებების, ნათელი გონების, მკაცრი ნებისყოფისა და ხასიათის მქონე ახალგაზრდად. ის მხოლოდ ისეთი რეალური ცოდნისაა და პრაქტიკული ჩვევების მატარებელია, რაც მას თავისი ხალხისა და ქვეყნის სამსახურში გამოადგება. სულხანს მეფისა და გაბატონებული წოდებისათვის სწორედ ასეთი ცოდნა და პრაქტიკული ჩვევა მიაჩნია სასურველად და სავალდებულოდ. იგი მოურიდებლად ლაპარაკობს, რომ „უგვანო“, უვიცი მეფე, მცოდნე, გონიერ, საქმის მოყვარულ მწყემსზე დიდად უარესია, გონიერი მწყემსი „ცხვრებს ამოდ ატარებს“, „დაჭრილს წყლულს შეუხვევს“, „ქურდისგან გადაარჩენს“ და სხვ., მაშინ როცა „უგვანო“ და უვიცი მეფე ხალხის სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

ჩვენ ამ საკითხზე უფრო ვრცლად ქვემოთ შევჩერდებით, ახლა კი განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფაქტორები მოქმედებენ ბავშვის (ჯუმბერის) პიროვნების ფორმირებაში? ავტორის აზრით, მოზარდის მაფორმირებელი ფაქტორებია: მემკვიდრეობა, გარემო და, რაც მთავარია, აღზრდა.

სულხანის ასეთი შეხედულება მეტად მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმიტომ, რომ მასთან ვერ ვხვდებით, ერთი მხრივ, ნატივიზმის ცნობილ დებულებას, რომლის მიხედვით მემკვიდრეობა წარმოადგენს ახალგაზრდის ფორმირების ერთადერთ რეალურ

ფაქტორს, ხოლო მეორე მხრივ, ჯონ ლოკის „სუფთა დაფის“ თეორიას, რომლის მიხედვითაც მხოლოდ გარედან შეტანილი მოვლენები განსაზღვრავენ ადამიანის მთელს მომავალს. ჩვენმა დიდმა წინაპარმა ამ მხრივ სრულიად ორიგინალური პედაგოგიკური შეხედულება შეიმუშავა.

ამ დებულების საილუსტრაციოდ საჭიროა გავიხსენოთ ერთი ადგილი „სიბრძნე სიცრუიდან“, სადაც გადმოცემულია დიალოგი მეფესა და ჯუმბერს შორის:

მამა ეკითხება ჯუმბერს: „— მომშუონან ეგრე შენი სიკეთე. რად იცი ესოდენი მარტვილმანო?

მოახსენა ჯუმბერ: — ყოველივე ღვთისგან არს და მას გარდა სამის საქმით მჯირიან. პირველად: კარგის ნერგის ხილი ვარ, მეორედ: ხელოვანის მებაღის შეწვრთილი, მესამედ: ფრთხილის შემნახავის ბარებული.

უბრძანა მეფემან: — ეგენი ვინ არიან?

შვილმან მოახსენა: — ნერგი — თქვენა, რომელმან მშევით; მებაღე — სედრაქ ვაზირი, რომელმან აღმზარდა და შემნახავი — ლეონი, რომელი მასწავლის“ [1]. ბავშვის განვითარებაში მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია მემკვიდრეობა; ჯუმბერი ეუბნება მამას: „მე თუ რამ სიკეთე მაქვნ — შენგან, თვარა ვინ ნახა ქვრიმა დათესოს და ებრენიკი მოიმკოს, ანუ ეკალი დარგოს და ხურმა მაზედ მოეკრიფოს. კეთილი ხე კეთილს მოიპამს, თვარა თავით თვისით ხილი უნერგი კარგი არ იქნება, და არც ალქატი ხე რწყვითა და კაზმით გაკეთდება. არაკად თქმულა: ქორი ქორსა სჩეკს, ძერა ძეროკასაო“ [2]. მაგრამ ავტორისათვის მემკვიდრეობა აღზრდას ემორჩილება: საბა იქვე ათქმევინებს ჯუმბერს: „ჩემს სიკეთეს მე ნუ მაკვეხებ და ნურც მე მადებ. გალატოზმან, რომელმან ნატიფად სახლი აღაშენა, სახლის სიკეთეა, ანუ მაშენებლისა? მხედარმან, რომელმან კვიცი კარგა სადავედ გაწვართოს, კვიცის საქებელია თუ მხედრისა? შენი ხორცი ვარ და ლეონის გაზრდილი. ჩემი სიკეთე ჩემგან არ არის: აგებულების საქმე — შენგან, და წვრთილობა — ლეონისაგან“ [3].

ამრიგად, ბავშვის ფორმირებაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობას და აღზრდას. აღზრდისა და აღმზრდელის

---

[1] „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 57.

[2] იქვე, გვ. 77.

[3] იქვე.

ცნება სულხანს ფართოდ აქვს წარმოდგენილი. აღმზრდელი ლეონი ჯუმბერის მასწავლებელიცაა: „ყველამ იცის, — ლაპარაკობს ჯუმბერი, — ჩემი ცოდნა სრულ ლეონის ნასწავლები მაქვსო“ [1] და სულხანი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ბავშვის განვითარება აღმზრდელის გეგმიანი ზემოქმედების გარეშე შეუძლებელია, „არცა ჯუმბერ ულეონოდ და არცა ლეონ უჯუმბეროდ“ — აცხადებს ავტორი. საბა აღმზრდელისა და მასწავლებლის ცნების განსაზღვრით იმ სწორ დასკვნამდე მივიდა, რომ მასწავლებელი იმავე დროს აღმზრდელიცაა და, პირიქით, აღმზრდელი — მასწავლებელი, ამით მან აღმზრდელობით სწავლებას საგანგებო მნიშვნელობა მიანიჭა მეფისწულის განვითირებაში. სულხანის აზრით, ბავშვის აღზრდით უნდა დაინტერესდნენ არა მარტო უბრალო ადამიანები, არამედ ხალხის თავი და მოამაგე, თვით მეფე, მისი ნაზირ-ვეზირებით.

არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანის“ მიხედვით ირკვევა, რომ ძველ ფეოდალურ საქართველოში არისტოკრატთა შვილები ბევრ კარგ თვისებებს იძენდნენ ხოლმე სწავლა-განათლებისა და აღზრდის გზით. მაგალითად, სწავლობდნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგებს, იძენდნენ რაინდულ ქცევებსა და ზრდილობის საეთიკეტო ჩვევებსა და წესებს. მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ ბავშვი ვითარდებოდა აღმზრდელის ხელმძღვანელობით ოჯახში თვითნება, მრისხანე, დესპოტი მამის უშუალო ზედამხედველობით და მონაწილეობით. ასეთი მშობელი დიდად ბოჭავდა აღმზრდელის პიროვნებას და, ამრიგად ხელს უშლიდა შვილის ნორმალურ ზრდა-განვითარებას. სულხან-საბას მშვენივრად ჰქონდა წარმოდგენილი ფეოდალური საოჯახო აღზრდის მანკიერი მხარეები. ის მოითხოვდა, რომ ჯუმბერი ადრინდელი ბავშვობის წლებში განვითარებულიყო განათლებული, სათნო, გონიერი, ბავშვთმოყვარე აღმზრდელის (სედრაქის) ხელმძღვანელობით.

აღმზრდელი სედრაქი ნაწარმოებში ასეა დახასიათებული: „ჰყვა ვეზირი ეგეთი, რომე სიბრძნითა მისითა ცათა აღწევნილიყო, ჭკუითა ხმელთათა სიგრძე და განი სრულიად განეზომა, მეცნიერებითა ზღვათა უფსკრულთა მიწევნილ იყო, ჰაერთა და ვარსკლავთა საქმენი გულისფიცართა გამოეწერა; ესეთი სიტყვის სიტკბო ჰქონდა, მხეცთა კაცთა მსგავსად მოაქცევდის, ტინთა ცვლილებრ დაადნობდის და მფრინველთა კაცურებ აუბნებდის“.[2] მაგრამ რაც

[1] „სიბრძნე სიცრუისა“. გვ. 59.

[2] იქვე. გვ. 3.

უნდა იყოს სედრაქი ჯუმბერს მხოლოდ ადრინდელ საოჯახო აღზრდის პერიოდში ხელმძღვანელობს. უფლისწულის მიერ ამ პერიოდში შეძენილი ცოდნა-გამოცდილება საკმაოდ დიდი ღირებულებისაა მის განვითარების შემდგომ პერიოდშიც. მაგრამ რაც უნდა იყოს, მსოფლმხედველობის ფორმირების, მეცნიერული ცოდნის შეძენისა და კეთილ ზნეობრივ თვისებათა მიხედვით ბავშვის შეიარაღებას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიქცეოდა მისი განვითარების შემდგომ — ყრმობის პერიოდში. ამიტომ ჯუმბერის აღზრდაში საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება აღმზრდელ-მასწავლებელს. მეფისწულის აღმზრდელი ლეონი სწორუპოვარი ოსტატი, დიდად განათლებული და მასწავლობისადმი ბუნებით მოწოდებულია, იგი უგვაროა და უთვისტომოა, ხალხის ჭირ-ვარამში ჩახედული და რეალური ცოდნით შეიარაღებული. როგორც ნაწარმოებში ვხედავთ, ჯუმბერს იგი ასეთი რეალური პრინციპების მიხედვით ზრდის. ლეონი იმ დროისათვის მოწინავე იდეის მატარებელია. ჯუმბერიც ამ იდეას ითვისებს, ისისხლხორცებს, რათა იგი ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენოს.

ნაწარმოებში ნათელყოფილია არსებული ფეოდალური, საოჯახო აღზრდის დრომოჭმულობა და მავნე ხასიათი. ამიტომაა, რომ სულხანი, ძველი დამპალი ტრადიციებისა და შეხედულებების თავიდან აცილების მიზნით, არა შემთხვევით, არამედ საქმის სრული ცოდნით ზრდის ჯუმბერს ოჯახის, — მეფის კარის გარეთ. ლეონ აღმზრდელი ბავშვის აღზრდაში მოითხოვს თვით მშობელ მეფისაგანაც კი, რაც შეიძლება, მეტ დამოუკიდებლობას და, როგორც ეს ნაწარმოებში ჩანს, მხოლოდ ამ გზით აღწევს იგი ბრწყინვალე შედეგს.

აღზრდის პროდუქტი, — უფლისწული ჯუმბერი, — ეს ხომ აღზრდის შედეგად მიღებული, ყოველმხრივ განვითარებული, რეალური ცხოვრებისათვის მომზადებული ახალგაზრდის ბრწყინვალე განსახიერებაა. ჯუმბერის ზრდა-განვითარების ფორმირების პროცესი და აქედან მიღებული ბრწყინვალე შედეგი ერთხელ კიდევ ნათელყოფს, რომ ჩვენი სახელოვანი ავტორი პიროვნების ფორმირებაში სხვა მხარეებთან ერთად აღზრდას და სააღმზრდელო ღონისძიებებს ანიჭებდა მთავარ მნიშვნელობას. მან იცოდა, რომ აღზრდა და აღმზრდელი მხოლოდ უკეთეს შემთხვევაში წარმართავს ბავშვს სასურველი მიზნებისაკენ და, პირიქით, ზემოქმედების უგვანო და მახინჯი ფორმა საზოგადოებრივად არასასურველ პიროვნებას აყალიბებს. სულხანის ამოცანა ის იყო, რომ გაეკეთელშობილებინა

აღზრდის არსებული ფეოდალური სისტემა. ამ მიზნით მოწინავე იდეებით შეიარაღებულ მასწავლებელს მისცემოდა ბავშვის აღზრდაში, რაც შეიძლება, მეტი დამოუკიდებლობა. შემოქმედებისა და ინიციატივის განვითარების საშუალება. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა აღზრდილიყო ბავშვში საზოგადოებრივად სასარგებლო კეთილშობილური თვისებები.

ამის შემდეგ საკითხავია: აღზრდის რა მხარეებს მიაქცია ყურადღება სულხან-საბამ ამ ნაწარმოებში და როგორ გადაჭრა იგი?

სულხანის აზრით, ქვეყნის მომავალ მმართველ, გასათვითცნობიერებელ თაობას ცოდნა სჭირდება და აღმზრდელმაც სწორედ ბავშვის მეხსიერების ცოდნით გამდიდრებისათვის უნდა იზრუნოს პირველ რიგში. უფლისწული ჯუმბერი პირველ ყოვლისა ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის მქონეა. თუ ნაწარმოებში გაკვრითაა თქმული ჯუმბერის გონებრივი განვითარების კონკრეტულ გზებსა და საშუალებებზე, უნდა ვიფიქროთ, რომ მას უკვე უსწავლია, გონებრივად განვითარებულა, რაც შედეგია იმისა, რომ ლეონი „ასწავლიდა დღივ და ღამ“ [1]. რაც უნდა ითქვას, ერთი კი ფაქტია, რომ სულხანს სასკოლო სისტემა არ მიუცია და „სიბრძნე-სიცრუისაში“ სასწავლო საგნები, პროგრამები, სახელმძღვანელო წიგნი, და სწავლების ფორმა არ განუხილავს. მაგრამ თვით მისი პირადი ცხოვრებისა და ლეონ აღმზრდელის მაგალითით ნათელია, რომ მასწავლებელი ცოდნით შეიარაღებულია და ბავშვსაც იგი ცოდნას აწვდის პირველ რიგში.

იგავებსა და არაკებში მოსწავლე ჯუმბერი გამოყვანილია ცხოვრების ყველა დარგის საკმაოდ დიდ და დახელოვნებულ მცოდნედ. ჯუმბერმა უფროსებზე (რუქაზე) არა ნაკლებ იცის ანგარიში (იგავი „მგელი, თხა და თივა“, „სამი ცოლ-ქმარი და მდინარე“, „მოჩივარნი სამნი ძმანი“ და სხვა), საერთოდ ბუნებისმეტყველება (ცხოველთა ანატომიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური დახასიათებით ბუნებისმეტყველების საუკეთესო ცოდნას იჩენს) და საზოგადოება (იგავები „კუ და მორიელი“, „ყადი და ჯორი“, „უსამართლო შირვანშაჰი“ და სხვა).

იგი მოწინააღმდეგეებთან კამათში იმარჯვებს იმის გამო, რომ მას სერიოზული ცოდნა გააჩნია ბუნებისა და საზოგადოების შესახებ. ნაწარმოებში უდაოდ ჩანს, რომ სულხანი რაბლეს, მონტენის და სხვა ჰუმანისტ პედაგოგთა მსგავსად, საეალდებულოდ მიიჩნევდა

[1] „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 47.

მოსწავლის (ჯუმბერის) სწავლა-განათლებაში გამოყენებულიყო ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ცდა, დაკვირვება, ხოლო მასალის მიწოდების და მის ცნობიერებაში განსამტკიცებლად თხრობა, საუბარი, ვარჯიში, განმეორება და საერთოდ სწავლების რეალური პრინციპები და წესები. „სიბრძნე-სიცრუისას“, რომ გავშორდეთ და ლექსიკონის შესავალში (განყოფილება „ანბანი პირველად სასწავლო ყმათათჳს“) ჩავიხედოთ, ვნახავთ, რომ აქ სულხანი იხილავს სწავლების ანბანურ მეთოდსა და ორგანიზაციის ზოგიერთ საკითხებს.

„სიტყვის კონის“ ამ განყოფილების პედაგოგიურ ანალიზს არ შევუდგებით უადგილობისა და უფრო იმის გამო, რომ ჩვენთვის საინტერესო მიმართებით ეს საკითხი განხილული აქვს ვ. ხუროძეს შრომაში „კითხვისა და წერის შესწავლის მეთოდი ძველ საქართველოში“.[1] სულხანი არ იცნობდა ამავე საუკუნის მოღვაწეს — ინგლისელ პედაგოგ ჯონ-ლოკს. ეს უკანასკნელი ბავშვის განვითარებაში აღზრდას, განათლებასთან დაპირისპირებით, გადამწყვეტ ზნიშვნელობას ანიჭებდა და მისი პედაგოგიკა ძირითადად აღზრდის პედაგოგიკა იყო. სულხანიც „სიბრძნე სიცრუისაში“, უმთავრესად აღზრდის საკითხებს ეხება, მაგრამ, ლოკისაგან განსხვავებით იგი აღზრდას არსად, არ უპირისპირებს განათლებას; პირიქით, იგულისხმება, რომ აღზრდილი კაცი უსათუოდ განათლებულია და, თუ იგი ასეთს მოკლებულია, მის შესაძენად იბრძვის. სულხანის პედაგოგიკაში აღზრდა და განათლება ერთიმეორეს ავსებენ და ურთიერთს განაპირობებენ.

ვასკვნით: ზნეობრივ, ესთეტიკურ და ფიზიკურ განვითარებასთან ერთად, აღზრდის საერთო სისტემაში სულხანი გონებრივ განვითარებას ანიჭებდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ის მიაჩნდა მას ადამიანის სიდუხჭირის, სიბეჩავის და სიღატაკისა ხსნის ძირითად საშუალებად. (მოიგონეთ იგავები „კატის გაზრდილი ლომი“, „მელია და მწევარი“, „მეფე და მისი შვილი“).

ჰუმანისტი სულხანისათვის აღზრდის იდეალი ადამიანია; ადამიანობა პირველ რიგში ზნეობრივ თვისებათა კრედოში ვლინდება.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეების პედაგოგიკა ბავშვის ზნეობრივი ფორმირების ძირითად საშუალებად რელიგიას მიიჩნევდა. რელიგია ფეოდალურ საზოგადოებრივ წყობილებისათვის იდეოლოგიურ ბურჯს წარმოადგენდა. ის ცხოვრების ყოველ უბანზე ამ წყობილების განმტკიცებას ემსახურებოდა. ამავე მიზნით იგი დიდად

[1] იხ. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, 1937, გვ. 66-73.

იყო შეჩრილი აღზრდაშიც. ბავშვის ზნეობრივი აღზრდა, ბოლოსდაბოლოს, რელიგიური აღზრდა იყო.

ჩვენი სახელოვანი წინაპარი სულხან-საბა ორბელიანი ძვირფასია ჩვენთვის იმ მხრივაც, რომ მან უარყო ეს გზა. მის შემოქმედებაში მოზარდის ზნეობრივი აღზრდა თავისუფალია რელიგიური ცრურწმენისაგან, ხოლო ბავშვის საერთო განვითარებაში ზნეობრივი აღზრდა აღზრდის სხვა მხარეების ცენტრადაა მიჩნეული. ნაწარმოებში ჩანს, რომ მოზარდს (ჯუმბერს) ზნეობრივად აყალიბებს უფროსი თაობის შრომითი, ბრძოლითი და საერთოდ საქმიანი ზემოქმედება, თვით ბავშვთა მიერ პრაქტიკულ ცხოვრებაში სიძნელეთა და დაბრკოლებათა გადალახვის ჩვევის შემუშავება და ა. შ. დავალების შესრულება, სიტყვის კაცობა, პატიოსნება, ერთგულება და თავდადება, აღებული მართებული გეზის ბოლომდე მიყვანა და მისი ხარისხობრივი შესრულება და ბევრი სხვა რამ ზნეობრივი აღზრდის მთავარ მიზნადაა მიჩნეული. სულხანი ნაწარმოებში ყველგან ბოროტზე კეთილს ამარჯვებინებს და კეთილი ქცევითა და ჩვევით შეიარაღებული ახალგაზრდის აღზრდისათვის იღწვის. „ზრდილობანი და ქცევანი“, რაც ეგზომ დიდად მოსწონს სულხანს, რა თქმა უნდა, ფეოდალურ-შუასაუკუნოებრივი ჯენტლმენის ქცევა და ზრდილობაა, მაგრამ ახალ ჰუმანურ საფუძველზე აყვანილი და მასზე დაქვემდებარებული. ფეოდალური ზნეობრივი ქცევანი მას, თავისთავად აღებული, არ აკმაყოფილებს, პირიქით, ის საზოგადოებრივად გაკიცხვის ღირსადაც მიაჩნია.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების კეთილდღეობისათვის მებრძოლი ადამიანი, სულხანის გაგებით, ქველმოქმედი, პატრიოტი, შრომისმოყვარე, თავდაბალი, კაცთა ამხანაგი და მეგობარი, გამბედავი, მამაცი, გონებამახვილი, გამჭრიახი, ოპტიმისტი, დისციპლინიანი და პრინციპულია. აღზდა-განათლების გონივრული ორგანიზაცია კეთილ და კარგ ადამიანს იძლევა, ხოლო ცუდი და უგვანო — ბოროტსა და ავს.

ნაწარმოებში კეთილი ბოროტს უპირისპირდება. ერთი მხრივ, ლეონის, ეზბირის, მეფისა და ჯუმბერის პირით სიკეთე ღაღადებს და მეორე მხრივ, რუჭას სახით—ბოროტება. სულხანის აზრით, ბოროტს „არა ეშინის ღვთისა და არცა სცხვენის კაცთა“[1] ბოროტი ხარბია და გაუმაძღარი, იგი საკუთარ ბედნიერებას სხვის უბედურებაზე აგებს, ის მატყუარა, ცილისმწამებელი, გაუტახელი.

[1] „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 15.

შურიან-ხრიკიანია. ასეთია მეფის კარის ხროვა, რომლის მანკიერება სულხანმა საკუთარ თავზე განიცადა, ასე, მაგალითად, სულხანის ეთაგულ მეფეს, ვახტანგ VI-ს, ამ ჯურის „ადამიანებმა" შეუცვალეს გული სულხანზე და ისინი თითქმის გადაამტერეს ერთიმეორეს. სასახლის ქიშპი, შური, როგორც სამართლიანად შენიშნავს სულხანი, ყოველთვის ვიწრო ინდივიდუალურ-ეგოისტური მიზნებიდან გამოდის და საზოგადოებრიობად მავნე, მტრულ ფორმას იღებს. შურიანი ადამიანის მოქმედება ყოველთვის უსამართლობასა და უსინდისობას ემყარება, რადგან „რა კაცი კაცს გაუმტერდება, სიქიშპე ველარას დაანახვებს"[1] — წერს სულხანი. „ყოველი მტერი ამის ცდაშია, — ამბობს ავტორი სხვა ადგილას, — რომე დრო შემოიგდოს და წაახდინოს"[2]. მტრობის სოციალური საფუძველი, ხასიათი და მიმართება სულხანს არაჩვეულებრივი ოსტატობით აქვს აღწერილი. მდგომარეობის მიხედვით მტერი სამგვარია: შეხვედი დიდი, თანასწორი და „ცოტა და ცუდი". „დიდს მტერს, — წერს სულხანი, — კაცი ან შეეხვეწება და ან გარდაეხვეწება. სწორს მტერს ან პასუხს უზამს, ან მოუფრთხილდება. ცოტასა და ცუდს მტერს უნდა უფრო უფრთხილდეს კაცი. ცოტა მტერი ცეცხლსა ჰგავს, ნაცარში დამალულსა, არა ჩანს და რა გაჰქეჭ, ხელს დაგწვავს.

ცოტა მტერი სიკვდილს ჰგავს უჩინარსა: მოვა, ვერცა ქრთამით, ვერცა ძალით, ვერცა ხვეწნით ვერ მორჩება.

ცოტა მტერი რა კაცზე დროს იშოვნის, აღარას ღონით არ გაუშვებს, არ გადარჩესო.

ცოტა მტერი ორმოს ჰგავს, თივას ქვეშ დამალულსა, რა შესდგე, ჩავარდები. ამისათვის უფრო უნდა ყოველი კაცი ცოტას მტერს უფრთხილდეს, საფეთერაკო იგია.

ავის კაცისაგან წახდენაც სირცხვილია კაცისა და გაკეთებაცა, თვარამ კარგის კაცისაგან წახდენაც სახელია კაცისა და გაკეთებაც, ამად რომე, თუ ავი არა ხარ, აკა კაცს რად მოიოევ და თუ უარესი არა ხარ, რად შეეხვეწები. ეგრეევე, თუ კარგი ხარ, კარგს გიზამს; კარგისაგან კარგი გამოვა და მას იქმს, და თუ ავს გიზამს — სიკეთე, ჭკუა და ძალი სამივე შენზე მეტი ექნება და მოგერევა". — [3] საკითხი აქ ასე დგას, მტერი მოყვრისაგან უნდა გაარჩიო და შემდეგ მტერს მტრულად უნდა დახვდე და მოყვა-

[1] „სიბრძნე სიცრუისაო", გვ. 137.

[2] იქვე, გვ. 73.

[3] იქვე.

რეს — მოყვრულად. ახალგაზრდა ჯუმბერი ასეთი პრინციპით იზრდება. ახალგაზრდა უნდა აღიზარდოს არა გულუბრყვილო, ბრმად მიმნდობი, „მუდმივი ბავშვი“, არამედ ცხოვრებაში ჩახედული, ავისა და კარგის, მტრისა და მოყვრის გამრჩევი. „მრჩევლებს ნუ დაარჩობ, — ეუბნება ბავშვს ავტორი, — უგვანს ნუ დაენდრობი. გაუსინჯავად საქმეს ნუ იქმ, თვარა ბოლოდ დაინანებ“ [1]. „სჯობს უყოლობა კაცისა მომდურავისა ყოლასა“, რადგან „მოყვარე მტერი ყოველსა მტრისაგან უფრო მტერია, არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია“; [2] — წერდა რუსთაველი.

სულხანმა იცის ამ სიტყვის ბრძნული აზრი და თავის მხრივ ახალგაზრდობას აფრთხილებს: „მტერი რა კაცსა მტერობით ვერას დააკლებს. დაემოყვრების და მით გაუსრულებს მტერობას“ [3]. ბოროტი ენას ბოროტად იყენებს, ხოლო კეთილი — კეთილად. ამით სულხანი იმ დასკვნამდე ვიდის, რომ „ენით მოკვდება კაცი, სხვით არა. უდღეოდ ენით მკვდარი ენამ ველარ აღადგინოს და აღარც ენით წყლულს ელხინოს“. [4] ბოროტს სიავკაცე მოთხოვნილებად აქვს ქცეული, ასე მაგალითად, ნაწარმოებში რუქას მიმართავენ: „ჩხუბიანსა და ავს ენას ნაჩვევი ხარ და არას მიზეზით არ მოიშლი, რადგან წლის ჩვეულება ძნელი მოსაკვეთია“ [5]. „რუქამ რომ ავკაცობა გაუშვას და სიკეთეს გამოუდგეს, — შენიშნავს სედრაქ ვეზირი, — მას ველარ მოეწევა და ისიც დაეკარგება“ [6] სულხანის სწორი გაგებით, სიავკაცე შეიძლება ჩვეულებრივ მორალურ ფარგლებს გასცილდეს და კანონის მკაცრი სახელმწიფოებრივი დასჯის საქმედ იქცეს.

ადამიანის ფსიქიკის ღრმა ცოდნას ამჟღავნებს სულხანი, როცა წერს: „ავს კაცს ყოველი კაცი თავისი მსგავსი ჰგონია“ [7], ვინც თავის თავში პირველად ჩადენილ ბოროტმოქმედებას ამართლებს, შემდეგში მას ჩვეულებრივ საერთო მოვლენად თვლის და იმდენად მახინჯდება და ბოროტდება, რომ მას ქველმოქმედი ადამიანის არსებობა არც წარმოუდგენია. ასეთი ადამიანისათვის მოქმედების დევიზია: „არას კაცს კარგის მოქმედებისათვის კარგი არ უქმნია“ [8]. ავტორი გმობს ასეთ ტენდენციას საზოგადოებაში.

[1] „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 68.
[2] „ვეფხისტყაოსანი“, 1951 წ. გვ. 252.
[3] „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 124.
[4] იქვე, გვ. 32.
[5] იქვე, გვ. 163.
[6] იქვე, გვ. 167.
[7] იქვე, გვ. 132.
[8] იქვე, გვ. 126.

„სიბრძნე სიცრუისაში“ სიკეთისა და ქველმოქმედებისადმი მისწრაფების გრძნობის აღზრდა მოზარდში მთავარ მიზნადაა მიჩნეული. სულხანი ლეონის პირით ამბობს: „კარგისათვის ავს ვინ უზამს კაცსაო“ [1] ვეზირი ურჩევს რუჭას: „ყოველს კაცს სიყვარულს უნდა აჩვენებდეო“ [2]. ასე რომ სულხანისათვის აღზრდის იდეალია ქველმოქმედი კაცი, რომელიც, ადამიანთმოყვარეობასთან ერთად, არის თავდაბალი. დინჯი, აუჩქარებელი, ყველაფრის გონების თვალით ამწონ-დამწონი, გამსინჯავ-გამკითხავი და შემდეგ აღებული გეზის ბოლომდე მიმყვანი. სიდინჯესა, აუჩქარებლობასა და მოფიქრებულობაზე ჯუმბერი ალეგორიულად ამბობს: „ლოდი მაშინ მძიმეა, რა ადგილს ძევს და რა ადგილით დაიძვრის. გასუბუქდესო“ [3]. სულხანის აზრით კეთილი ადამიანი მოსაწონად და არა საზიანოდ უნდა იქცეოდეს. „აწე კარგი საქმე ასე უნდა ქმნას, — წერს სულხანი, — ან ღმერთმან დაუმადლოს და ან კაცმან მოუწონოს“ [4]. იყავ ბუნებით კეთილი, თავმდაბალი და წყნარი, ნუ იჭნები ყოყოჩა, ამაყი, ქედმაღალი, ნუ დასცინი და კეთილქმედებას ნუ ამადლი სხვას. აი, რა იქადაგა სულხანმა ეთიკის სფეროში. „სამადლო საქმე მალვითა სჯობს და ღმერთიც უფროსად შეუწირავს: კაცმან შენზე სამსახური ქმნას, იკვეხდეს და ზვაობდეს — გეწყინებაო“ [5] — წერს სულხანი. ვინც არ უნდა იყო, ნუ იფიქრებ, რომ შენ ხარ ყველაფერი, მხოლოდ შენზეა სხვისი კეთილდღეობა და ბედნიერება დამოკიდებული, პირიქით: „რა გინდ დიდებული“ და მძლავრი მეფე იყო, სცან ასე მიწა ხარ და მიწად მოიქცევი. იცოდე და იფიქრე, რომ „ვერც ასეთს გასცემს კაცი, რომ სხვას არ ექნას და არც კარგსა საქმესა ღმერთი არ დაუკარგავს“ [6]. მის ქნილებებში ვხვდებით სიკეთისა და კეთილდღეობისათვის მებრძოლ ადამიანთა გალერეას (მაგალითად, „ბაღდადის ხალიფა და არაბი“, „ორნი ძმანი“ და სხვა). სულხანი გვასწავლის, თუ რატომ არ ჩამოყალიბდა იმ დროის საქართველოში ასეთი ქველმოქმედი და სასურველი ტიპის ახალგაზრდობა მასიურად; მისი მითითების თანახმად, ამისმი ზეზი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ვითარებაში უნდა ვეძიოთ. გარკვეულ ინტერესს იწვევს სულხანის იგავი

[1] „სიბრძნე სიცრუისა“, 128.
[2] იქვე, გვ. 137.
[3] იქვე, გვ. 52.
[4] იქვე, გვ. 57.
[5] იქვე. გვ. 56.
[6] იქვე, გვ. 6.

„ბაღდადის ხალიფა და არაბი“. ლეონი მეფეს ასე მიმართავს „ერთს გლახაკს არაბს სამიოდენ თხა ჰყვანდა და შენ დაგიკლა, ბოძება უბრძანე და არა გთხოვა. ღმერთს მაგისთვის მიუცია და მასაც შენ ართმევო?

— ჰე მეფეო, ეს არაკი ამისათვის მოგახსენე, ბედი ყოველსა კაცსა აქვს, თუცა პატრონი არა რისხავდეს“ [1].

სულხანი, რა თქმა უნდა, შორს დგას ე. წ. უხერხემლო ქრისტიანული მორალის ქადაგებისაგან, პირიქით, ის ბოროტის საზოგადოებრივი გაკიცხვის, შერისხვის და, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ფიზიკურ განადგურება — ამოძირკვის მომხრეა და კეთილისთვის კეთილქმედებას მოითხოვს. სულხანი არსად არ გამოიყურება, როგორც მეტაფიზიკურად მოაზროვნე, მას სწამს, რომ შეიძლება ადამიანი ცდებოდეს, მაგრამ მეგობრობა და ამხანაგობა იმაშია, რომ მიუთითო, დაარიგო, თუ შეგიძლია, უბრძანო, ყოველმხრივ იმოქმედო მის გამოსასწორებლად და მხოლოდ ამის შემდეგ დასაჯო იგი. ახალგაზრდა ჯუმბერის აღზრდა ნაწარმოებში დადებითი ზემოქმედების გზით მიდის. საზოგადოებაში ბავშვი ამ გზაზე შეიძლება ავსაც შეხვდეს და კარგსაც. კარგს დავემყაროთ და ცუდისადმი, მავნესადმი ბრძოლის უნარი შევუმუშაოთ ყმაწვილს.

სულხანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შრომასა და შრომითი აღზრდის საკითხებს. ცნობილია, რომ არჩილ მეფე, „საქართველოს ზნეობაში“ გლეხთა ბავშვების შრომით აღზრდას მოითხოვდა. მათ უნდა ესწავლათ ხვნა, თესვა, მორწყვა, თიბვა და ა. შ., მაგრამ საქმე იმაშია, რომ არჩილი შრომას და შრომითს აღზრდას მეფისა და მაღალი წოდებისათვის არასავალდებულოდ მიიჩნევდა. ამასთან შედარებით სულხანის პროგრესიულობა იმაშია, რომ იგი შრომასა და შრომითს აღზრდას გლეხით დაწყებული და უფლისწულით გათავებული აღზრდისა და განათლების სისტემაში სავალდებულო და აუცილებელ საქმედ მიიჩნევდა. ახალგაზრდის ზრდა-განვითარება სხვაგვარად მას ვერც კი წარმოედგინა.

ნაწარმოებში უგნურად არის გამოცხადებული ის ახალგაზრდა, რომელიც მამისა და აღმზრდელის შრომასა და ზრუნვას არ აფასებს და მხოლოდ თავის პატივისცემასა და დაფასებას მოითხოვს: „ზოგთა კაცთა, რა პატრონი სიკეთეს მიაპყრობს, თავის თავისა ეგონება და არა პატრონისაგან“ [2]. ახალგაზრდამ უნდა დააფასოს

[1] „სიბრძნე სიცრუისა“ გვ. 35.

[2] იქვე, გვ. 82.

მშობელთა, აღმზრდელთა და კეთილის მსურველთა რჩევა-დარიგება, შრომა. იგავში ,,მეფის ანდერძი'' შვილმა მამის ანდერძი არ შეასრულა და ბოლოს მისივე მონა,—ქოსა.—ბატონი გაუხდა. ამის გამო მეფე თავის თავზე ასე ლაპარაკობს: ,,რასაც კაცს მამის ანდერძი არ დაუსწავლია, უარესიმც დაემართებაო''. ზრდილი ახალგაზრდა უაღრესად გულისხმიერი, ერთგული და მშრომელია. იგავებში ვეზირი მეფის ძეს ასე ლოცავს: ,,მიეც ამას (ჯუმბერს—ი. ჯ.) გულისხმიერება ვირისა, ერთგულობა ძაღლისა და ძალი ჯიანშვილისა'' და იგივე ვეზირი ნათქვამს ასე განმარტავს: ,,ვირი ერთსა უყესა ტალახსა შიგან გაატარე, რაცა დაეფლას. მერმე გზა იგი გაახმე. თუცა შენ ვირი გზასა მას ზედა გაატარო, უგუნურმცა არს.

ძაღლი კაცისა გლახაკისა, მჭლე და დიდად უსუქარი მიიყვანე და მდიდარს კაცს მიაბარე, გაასუქოს. მერმე ორთავე უხმონ. თუცა პირველი დამამჭლობელი დაუტეოს და რომელმან გაასუქა, მას გაჰყვეს, ორგულ არს.

ჯინშველი შეიპყარ და ერთსა ჰიქასა ათორმეტნი ღღენი დააყოფინე მშიერსა. მერმე გამოუტევე. თუცა თვისისა ზომისაგან ოთხი წილი მეტი არ აიღოს წაღებად, უსუსურმცა არს".[1] სულხანს ადამიანი შრომის გარეშე არ წარმოუდგენია: ,,რომელსა კაცსა ჩასდებია საქმელი უხელოდ, რომელსა შეჰმოსია სამოსელი გაურჯელად''.[2] „უგუნურ მცურავში" სულხანი წერს: „მცურავი ერთი მოჰქონდა წყალსა. თქვა: ღმერთო მიშველეო! —მეორე ამხანაგმა უთხრა:— ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველები იქნებიო''.[3] სულხანისათვის შრომა სიცოცხლის წყაროა. იგი აღშფოთებულია იმის გამოც, რომ მშრომელი ადამიანის შრომის პროდუქტს მოტყუებით, თვალთმაქცობით, ქურდობით — მღვდელი, ვაჭარი, ფეოდალი იტაცებენ. იგავებში სახოგადოების არამწარმოებელი ფენა შრომის პროდუქციის უკანონო მითვისებისა გამო გამოყვანილია ავის მქნელად. მეფეც რომ იყო, ნუ იტაცებ სხვის ქონებას, ნუ აწარმოებ უსამართლო ომს და ა. შ. ,,უნაღვლოთა მძებნელში'' ბევრი ასეთი პირი საზოგადოებიდანაც განდევნილია და გაკიცხული.

სხვისი მტაცებლური ხელყოფისაგან თავისუფალმა ადამიანმა იცის შრომის ფასი; იგი მისთვის საამოა და სასურველი. მხოლოდ ასეთ ადამიანს შეუძლია დააფასოს მისდამი გაწეული შრომითი

[1] „სიბრძნე სიცრუისა", გვ. 7—8.

[2] იქვე, გვ. 11.

[3] იქვე.

ამაგი, იყოს ყაირათიანი, მომჭირნე, ხელმარჯვე. გეგმიანი და დისციპლინიანი. შრომას ყოველთვის თან ახლავს შეგნებული მიზანი. არამშრომელი ფენა უკანონოდ იტაცებს სხვისი შრომის პროდუქტს, ასეთივე უყაირათიანობით და ხელგაშლილობით ადვილად კარგავს და ღატაკდება. ამის შესახებ ნაწარმოებში არა ერთ და ორ იგავს ვხვდებით. მაგ.: „მეფე და მშენელი“. ძირითადი ქვა მეფემ „იაფად იშოვა და ადვილად და გაუსჯელად დაკარგა“. სულხანი ცხოლოდ შრომით შენაძენ სიმდიდრეს აქებს. მისი დევიზია: „არქონება არ ვარგა და ავად ქონება უარესია“. ავტორი „ავად ქონებას“ ამაგებს და თავის მხრივ ახალგაზრდა ჯუმბერის პატიოსანი შრომითი თვისებებით შეიარაღებას მოითხოვს. მხოლოდ ამ გზით გახდება იგი დიდად მომჭირნე, ყაირათიანი, გეგმიანი და გონიერი მეურნე. შრომისა და გარჯისაკენ ბუნებით მოწოდებული და მშრომელი ადამიანის ჭირ-ვარამის დამფასებელი, ზრუნვა-პატივით მოექცევა ყველა მათ. ვინც მასზე გაისარჯა და შრომა და ენერგია დახარჯა. სულხანის დამსახურება. როგორც იმ დროის მოწინავე ადამიანისა, იმაშია, რომ იგი მთელი სისასტიკით გმობს ნებიერობას და თავაშვებულებას, როგორც მავნე და საზიანო რამეს მეფისწულის აღზრდაში და მოითხოვს, რომ „ახალგაზრდამ ჭნდა გაიაროს ცხოვრების მკაცრი სკოლა მშრომელი, უბრალო ადამიანისა“.[1]

სულხანი თავისი ქვეყნის ღრმა და შეგნებული პატრიოტია. მაგრამ იგი პრინციპულად არასოდეს არ მდგარა ვიწრო ნაციონალიზმისა და სხვა ხალხთა სამშობლოს მიტაცების პოზიციაზე. იგი იღწვის, როგორც ვთქვით. ძლიერი, მთლიანი საქართველოს შექმნისათვის. რომელსაც მართავს „კაცთმოყვარე“ მონარქი: მკაცრად გმობს თავად-აზნაურთა ურთიერთშორის აშლილობას. სულხანს სამშობლო, რომელიც იცხო დამპყრობლებისა და ფეოდალურ-სასულიერო წრეების სათარეშოდ გამხდარა. ჭაობად ეჩვენება, იგავი „იხვი და მყვარი“ ალეგორიულად გმობს მყვარის მიერ სამშობლო გუბის ბრძა სიყვარულს. იგავში ასეთი სურათია აღწერილი: იხვი და ბაყაყი დაძმობილდნენ და პატარა ნაწვიმარ გუბეში იწყეს ერთად ცხოვრება. სიცხიანი ზაფხული დაიჭირა და გუბემ ამოშრობა დაიწყო. იხვი ადგილის გადანაცვლებას ურჩევდა ბაყაყს, მაგრამ ბაყაყი ყარზე იყო და ეუბნებოდა იხვს: „შენ აქა-იქ თრევას ჩვეულ-

[1] А л. Барамидзе. Предисловие; Сулхан-Саба Орбелиани, „О мудрости вымысла“, М. 1948 г., стр. 10.

ხარ, მე სამკვიდროს ვერ დავუტევებო".[1] იხვმა გადაინაცვლა ადგილი და, როცა ცოტა ხნის შემდეგ ბაყაყს მიაკითხა, „ნახა, გუბე გამხმარიყო, მყვარი მომკვდარიყო" [2] სულხანი იხვს ასე ალაპარაკებს: „—ძმობილო, მაგისთანას სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო" [3]. სულხანი მოითხოვს სამშობლოს ღრმა, შეგნებულ სიყვარულს და არა მისდამი ბრმად თაყვანისცემას. ეს კი ნიშნავს: იცოდე, ვინ არის საქართველოს ნამდვილი მტერი და მოყვარე. როგორც ამას თვით სულხანის ავტობიოგრაფია და შემოქმედება ადასტურებს, სამშობლოს მტერია ყველა ის, ვინც სამშობლოს სარწმუნოებას, ენას, კულტურას და ყოველგვარ მშობლიურს ართმევს ხალხს და სანაცვლოდ უცხოურის გადმონერგვას ცდილობს. უკეთ რომ ვთქვათ, ყველაზე საშიშია ის, ვინც სხვა უცხო დამპყრობთა საამებლად რჯულს იცვლის, ხალხის ენასა და სამშობლოს ყიდის და აოხრებს, ხოლო სიტყვით კი თავი პატრიოტად მოაქვს. იგავი „უსამართლო შირვან-შაჰი" — ამის მშვენიერ ილუსტრაციას წარმოადგენს, აქ შირვან-შაჰი კახთა ბატონიშვილი ერეკლეა, რომელიც გამაჰმადიანდა და ქართლ-კახეთის ტახტზე ავიდა ნაზარალხანის სახელწოდებით.

ამის მსგავს პირთაგან შემდგარმა თავადაზნაურულმა და სასულიერო წრეებმა განდევნეს საქართველოდან ქართული კულტურისა და მეცნიერების, სახელმწიფოს ძლიერებისა და გარედამპყრობთა უღლისაგან თავისუფალი საქართველოსათვის მებრძოლი მეფე ვახტანგ VI, მათ მოაწყვეს მეფის კარზე შინაგანი ინტრიგები და შეაძულეს მეფეს სულხანი და არა ერთხელ გაუძევებიათ იგი სამეფო კარიდან. ასეთმა წრეებმა გააწამეს საქართველო, შეასუსტეს მისი შინაგანი ეროვნული პოტენციალი. სულხანი ითვალისწინებს საქართველოს წარსულსა და ამწყოს, მან იცის, რომ მისი კეთილდღეობისა და საუკეთესო მერმისისათვის ბრძოლა მოწინავე ადამიანისაგან შეიძლება მოითხოვდეს დროებით მის დატოვებას, მაგრამ არა დაეიწყებას. ფიქრით, განცდით და გონებით ის ყველგან და ყოველთვის სამშობლოს ბედისა და უბედობის საქმეს უნდა დასტრიალებდეს თავს და მისთვის იღწვოდეს. საქართველოს დროებით დატოვება სულხანს საჭიროდ მიაჩნდა იმისათვის, რომ ეხსნა საქართველო მაჰმადიანური სახელმწიფოების ხელყო-

[1] „სიბრძნე სიცრუისა" გვ. 167.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ფისა და თარეშისაგან; ამ მიზნით იმოგზაურა მან დასავლეთში. ეს კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდა მას რუსეთში მოგზაურობისა და პეტრე პირველის კარზე წასვლის დროს, ამ მიზნით იწვევდა ის საქართველოში უცხო მისიონერებს და ამავე მიზნით მიიღო თვითონ მან კათოლიკობაც. სულხანი კიცხავდა ყველა მათ, ვინც სამშობლოს სიყვარულით არ ამოქმედებულა, მტერს მოყვრულად დახვედრია და, „სადაფი და კირჩხიბის“ არ იყოს, მტერს იგი ნელ-ნელა გადაუსანსლავს. სამშობლოს დაცვა მოითხოვს არა სილაჩრეს, პესიმიზმსა და მონურ ქედმოხრილობას, არამედ გამბედაობას, მამაცობას, ვაჟკაცობას, გმირობასა და თავდადებას. საქართველოს ხსნის სხვა გზა სულხანს არ ეგულება, მეტიც, ვინც ველური მტრისადმი მონურ მორჩილებასა და ერთგულებას იჩენს, მას საქართველო მიჰყავს არამარტო სულიერ-კულტურული გადაგვარებისა და გადაშენებისაკენ, არამედ ფიზიკური მოსპობისაკენაც. სულხანი ასეთი განწყობილების მქონე ქართველის წინააღმდეგია და ახალგაზრდა ჯუმბერსაც ასეთი სულისკვეთებით ზრდის. მეფე იმ შემთხვევაში ამართლებს ნდობას, თუ თავის სამწყოს, როგორც კარგი მწყემსი, თავს დასტრიალებს, იცის ხალხის ჭირი და ვარამი და მათ შორის მშვიდობის, ნდობისა და ერთგულების, პატიოსნების დანერგვით ხალხს მდგომარეობას უმსუბუქებს. აი ასეთი პატრიოტული სულისკვეთებით იზრდებოდა ჯუმბერი. ჯუმბერი სახელმწიფო მოღვაწეობისათვის ემზადება. ამიტომ მის აღზრდაში პატრიოტიზმის მოტივები: სამშობლოს მწყემსობა, სახელმწიფო სიმდიდრისა და დოვლათისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება, შრომისადმი უანგარო პატივისცემა და სამშობლოს გარეშე თუ შინა მტრისადმი რისხვად მოვლენა — ღრმა პატრიოტიზმის გრძნობას ემყარება.

თუ საზოგადოებაში ადამიანი ადამიანისათვის მოშურნე, ნოქარიშე, მოლალატე მტერია. ამით ის სამშობლოს მთლიანობას არღვევს, ქვეყანას შიგნიდან აძაბუნებს და მასზე გარეშე მტრებს აბატონებს. სულხანისათვის ნამდვილი მამულიშვილი ისაა, ვინც აქმაყოფილებს მოთხოვნას: „ადამიანი ადამიანისათვის მეგობარია და ამხანაგი“. მეგობრისა და ამხანაგობის გრძნობის განმტკიცებას საზოგადოებაში ხელს უწყობს შესაფერი აღზრდა და აი ახალგაზრდა ჯუმბერის აღზრდის მაგალითზე — იგავ-არაკებში ჩვენ ვხვდებით სპეციალურ თავს „ამხანაგობისათვის“, სადაც, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, ხაზგასმულია ამხანაგური ურთიერთდამოკიდებულების კეთილშობილური თვისებები. ამხანაგო-

ბისათვის რომ საჭიროა ერთი მიზანი. ხასიათისა და რწმენის ნათესაობა, ეს სულხანმა კარგად იცის. აი რას ალაპარაკებს ის რუქას: „...ამხანაგი ესეთი მინდა. ჩემის ნებისა და ჩემთვის კარგის მოქმედი, კეთილისმყოფელი, უზიანო, მეფესთან კადნიერად სიკეთის მოქენე. არა მაოხარი, ქიშპი, მტერი და წახდენის მცდელი“ [1]. ბეტიც, სულხანს ამხანაგის ცნება ძალზე სრულად და ფართოდ აქვს წარმოდგენილი. ის წერს: „კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იაფად ვერავინ ყიდის. ამხანაგი ცივე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღვეველია. ამხანაგი ლხინი ფრიადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია. ამხანაგი გულთა ნაოლია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია.

ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნეა, უცხოს თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურეა. ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქცეველია.

ამხანაგი ჭირში მომხმაროა, სნეულებაში მკურნალია. სიკვდილში თავის წამგებია...

მე მრავალი კარგი კაცი მინახავს, მამაშვილობასა და ძმობას გაჰყოლოდეს და ამხანაგს შესწყობოდეს“ [2] ნაწარმოებში ნამდვილ ამხანაგობასთან ერთად მითითებულია ცრუ ამხანაგობასა და შეგობრობაზეც, რომელიც სასტიკად დაგმობილია. ასე რომ, „სიბრძნე სიცრუის“ სწავლებით, ახალგაზრდა უნდა აღიზარდოს ნამდვილი ამხანაგური და მეგობრული განცდით და არა ბრმა ამხანაგური მინდობისა და არამეგობრობის ნიადაგზე. სულხანი ასკვნის: „ამხანაგი თუ არ სიყვარული, საქიშპარი არა არის რა“ [3].

ჯუმბერს ესთეტური განცდის უნარიც უნდა ჰქონდეს. ის არამარტო კეთილმოქმედი, მშრომელი, პატრიოტი, კარგი ამხანაგი და მეგობარია, არამედ ცხოვრების სიმშვენიერით დატკბობის უნარის მქონეც. სულხანის აზრით, კი ამის მიღწევა შეიძლება ბუნების, ხელოვნებისა და, განსაკუთრებით, მუსიკა-სიმღერის ძალით. ბავშვის ესთეტიკურ გინვითარებაში საგანგებო ღირებულებისაა მხატვრობა (იგავებში: „იტალიელი მხატვრები“, „მეფე და მხატვარი“, „მეფის სიზმარი“ და სხვა). ასევე, მხატვრული სიტყვის ძალა. სულ-

[1] „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 139.

[2] იქვე, გვ. 138.

[3] იქვე.

ხანი სიტყვის ოსტატია და იგი ასეთივე ოსტატური გზით ცდილობს, სათანადო განვითარება მისცეს ჯუმბერის ესთეტიკურ გრძნობასაც. აი რა საამოდ ისმის მეფის სიზმარში სულხანის სიტყვები: „ღამესა ერთსა ეჩვენა მეფესა ჭაბუკი ვინმე შვენიერი, ნსგავსი ლომისა, მხნე, ახოვანი, პირმშუაზარი, ტანსარო, ახლად სუმბული ამოსვლოდა და მცირედ ჭუფრი მოხვეოდა საყვარლად სახილველი“ [1]. არანაკლები ძალა აქვს მუსიკასა და სიმღერას მოზარდის ემოციონალური განვითარების საქმეში (იგავი „მეფე ხორასნისა“. მეფემ ყველა საჩუქარს არჩია „სამნი მგოსანნი ქალნი“ [2]).

განვითარებული ადამიანის აღზრდის აუცილებელ პირობად და საფუძვლად სულხანს მიჩნეული აქვს სხეულის ფიზიკური მდგომარეობა. სულხანი იმ აზრისაა, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული, ხოლო არაჯანსაღ მახინჯ სხეულში — მახინჯი სული. ნაწარმოებში ამ უკანასკნელი თვისების მატარებელია საჭურისნი, ბრმანი, კოჭლნი, კუზიანი და მისთ., ხოლო ფიზიკურად ჯანსაღნი და ძლიერნი — დახასიათებულია სულიერად ფაქიზ და სათნო ადამიანებად. ჯანმრთელი სხეულის მისაღებად მთავარია წვრთნა. ლეონმა „დაუწყო ჯუმბერს წრთვნა და ასწავლიდა დღივ და ღამ და მეფის წინაშე აღარ მიიყვანის ხშირად. ნადიმად დაჯდა ლეონ. სამი დღე და ღამე წართვით სვა. ჯუმბერ მწდედ დაიყენა, არც დასვა და არცა აჭამა. ფეხზე დგომით და შიმშილით ესრეთ უღონო იქმნა, ქვე დაეცა და მეწუხდა. მერმე უბრძანა დაჯდომა და ჭამა პურისა“ [3]. ან კიდევ: „ლეონ ნადირობდა და ლხინობდა, არას ზრუნვიდა. დღესა ერთსა წავიდა ნადირობად. თვით თოხარიკსა ცხენსა შეჯდა. ჯუმბერს ქორი ხელთა შეუსვა, ცხენოდ წინ წაიძღვანა, საღამომდის არბენინა. ქორსა და ქორის ნაბუღს აადევნა. მეორე დღეს მწევრები მისცა ხელთა. მთათა და გორათა არბენინა. ფერხთსაცმელი გასცვივდა და ფეხები დაუსკდა, სისხლმან დენა დაუწყო. მესამეს დღეს შიკრიკად გაიძღვანა. მეტად დაშვრა, მალმალ დაეცემოდის, და არ მოეშვა, მუნამდის არბენინა. სადგომს მიიყვანა“ [4].

შეა საუკუნეების რაინდული და სასულიერო სააღმზრდელო სისტემისათვის აღზრდის ძირითად მეთოდად ფიზიკური დასჯა იყო გამოყენებული. სულხანის პედაგოგიკაში ეს საკითხიც ვიტორინო

[1] „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 9.
[2] იქვე, გვ. 5.
[3] იქვე, გვ. 22.
[4] იქვე, გვ. 26.

და-ფელტრეს, მონტენის, რაბლეს, შემდეგ კომენსკისა და ბოლო ლოკის მსგავსად, ჰუმანისტური პედაგოგიკური თვალსაზრისით იქრება. ცნობილია, რომ კომენსკი ბავშვის ფიზიკურ დასჯას, რელიგიის წინაშე ჩადენილ დანაშაულთა გარდა, კატეგორიულად უარყოფდა, ხოლო ლოკი მას მხოლოდ ბავშვის ბურჟუაზიულ ყაიდაზე ზნეობრივ დამუშავების მიზნით იყენებდა. „სიბრძნე სიცრუისაში" არის ერთი შემთხვევა, როცა ჯუმბერს, როგორც აღზრდის ობიექტს, ფიზიკურ ტკივილებს აყენებენ: ლეონმა „შეიპყრა ჯუმბერ უბრალოდ და ერგასი ჯოხი ჰკრა და დიდათ ჰგვემა"[1] — ამბობს ავტორი. მაგრამ აქ გაწკეპვლა ფიზიკური სასჯელისათვის არაა გამოყენებული. სულხანის ამ ნაწარმოებში ფიზიკური სასჯელის გამოყენების ვერც ერთ შემთხვევას ვერ ვნახულობთ. ლეონი ჯუმბერს რაიმე დანაშაულის ჩადენისათვის არ წკეპლავს, მას იგი ფიზიკურ სასჯელს არ აყენებს. მან ჯუმბერი შეიპყრო „უბრალოდ" და სცემა, რომ ჯუმბერმა, როგორც მომავალმა მეფემ, იცოდეს, რას ნიშნავს გაწკეპვლა, რომ ეს უფლება ადვილად და უადგილოდ არ გამოიყენოს. კაცმა, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა გაწკეპვლის ტკივილები, იცის, თუ რა ტანჯვას აყენებს სხვებს, როცა მათ მიმართ ასეთივე სასჯელს იყენებს. სულხანთან ფაქტიურად საქმე გვაქვს ფიზიკური სასჯელის გაცნობასთან, მის საკუთარ თავზე გამოცდასთან და არა ფიზიკური სასჯელის, როგორც აღზრდის ერთ-ერთი ღონისძიების გამოყენებასთან. ამას თვითონ ლეონის სიტყვებიც ადასტურებს:

„ძე შენი სამეფოდ გინდა, თუ მწყემსად? მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა. მწყემსი ხამს ცხოვართათვის იჭირვოდეს, კეთილთა ბალახთა აძოროს, ამოდ ატაროს, დაკოდილი შეუხვიოს და მპარავს არიდოს. ესე თუცა ვერა ჰყოს. სამწყსო შეუმცირდეს. ეგრევე მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა... მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს, თუცა ეგოდენ ხანს ფეხზე არა მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მჭედთა ჭირი. თუ ზემდგომსა რა გარჯა აქვს? თვით მეფე ზის, უნებს აღდგება, უნებს დაჯდება. ნაი მცნება, სამსახური ვით სცნას, რას მიიჭირვებენ მისთვის? დღე ყოველ ზე დგანან და დაითმენენ. თუცა შიმშილით არ მომყმარ იყო, რამცა იცოდა, გლახაკთა და უღონოთა შიან, ანუ სხვათა

[1] „სიბრძნე სიცრუისა", გვ. 29.

ვისმეს საჭმელი აკლია? იგი ყოველს კეთილსა ჰამს და სვამს, არ-მიიწეევს.

არაკად თქმულა: — მაძღარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშვნეტდა და ზედა აყენედრიდა. რად ღორულად სჭამო? — თუცა უცხენოდ სლვა და ფეხშიშვლობა არ გამოეცადა, ბაზიერთა შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა ჭირნი რითა ეცნა, რომლითა სიბრალულითა შეებრალებდა? ივი მერანთა ანუ თოხარიკთა ცხენთა ჯდეს, გინა ეტლითა ვიდოდეს. არგნისა სიმწარე არ ენახა, რა გამწყრალიყო მონათა ზედა, ებძანა ასისა და ორასისა არგნისა კერა, სხვათათვის მეტი და სხვათათვის ნაკლები. თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა. აწ ყოველთა გლახაკთა უღონოთა და მდაბალთა ჭირნი მისწავებია და ამისა შემდგომად ნახეთ თქვენცა, რა არის სასწავლოდ მისსა“[1].

ამის შემდეგ ჩვენთვის ნათელია, რომ სულხან-ორბელიანი საქართველოს ისტორიის ამ პერიოდში ფიზიკური დასჯის საკითხშიც გამოიყურება, როგორც დიდი ჰუმანისტი პედაგოგი.

ბავშვის აღზრდა ოჯახში იწყება. სულხანის აზრით, ოჯახი საზოგადოების მტკიცე ერთეულია. ავტორი ამხელს ფეოდალური ოჯახის მანკიერ მხარეებს. მიუთითებს, რომ იქ ცოლ-ქმრისა და მამა-შვილის ურთიერთობა თვალთმაქცობა-ორპირობაზე და, საერთოდ, ურთიერთ გაუტანლობაზეა აგებული მაშინ, როდესაც გარეგნულად შეიძლება იგი ბრწყინავდეს. სულხანი მოითხოვს ოჯახის აგებას ცოლ-ქმრის სიყვარულისა, ერთგულებისა, თანაგრძნობისა და უსაზღვრო მეგობრობის საფუძველზე (მაგ., „მოყვარულნი ცოლ-ქმარნი“ და სხვა).

ნაწარმოებში სასტიკად გაკრიტიკებულია ოჯახში სიძვა (მაგ.: იგავი „დუკა და აზნაური“ — მამა ასწავლის შვილს: „პატრონისა შენისა სახლსა შინა ნუ ისიძავ“[2]. ასევე იგავები: „ყაზან შაჰი და მისი ცოლი“, „გრანდუკას შვილი“, „ჯიზი გურგენ“ და სხვა, მეძაობას სასტიკად კიცხავენ). სულხანისათვის ოჯახის მთავარი საზრუნავი შვილია, მაგ.: ფინეზ მეფეს ისე არაფერი არ ახარებს, ვიდრე შვილის-ძის შეძენა. რა თქმა უნდა, ავტორი მემკვიდრეობის — გვარის გაგრძელებას მიიჩნევს ოჯახის პირველ და მეტად მნიშვნელოვან საქმედ, ხოლო შემდეგ შვილის უსაზღვრო სიყვარულს. მშობლებისათვის არ არსებობს ქვეყნად შვილზე უკეთესი

[1] „სიბრძნე სიცრუისა“ გვ. 33

[2] იქვე, გვ. 20.

საუნჯე. ჯუმბერს ავტორი ასე ალაპარაკებს მამის წინაშე: ,,მე ვარ შენი საუნჯე, შენი განძი და ლარიო'' [1]. მაგრამ რაც უნდა იყოს, მთავარი მაინც აღზრდაა. მშობელი ვალდებულია წინამძღოლობდეს შვილის ფსიქიურ და ფიზიკურ ძალთა განვითარებას; ხოლო შვილი მოწოდების სიმაღლეზე მდგომ მამას უნდა უსმენდეს. არ შეიძლება, გვასწავლის სულხანი, რომ შვილი ურჩი და უსმინარი იყოს. ბავშვს ცოდნა, ცხოვრების გამოცდილება აკლია და ეს მან უფროსი თაობიდან, პირველ რიგში, მშობლებისაგან უნდა მიიღოს. სულხანს უფლისშვილის აღზრდა ასეთი გზით მიჰყავს. ლეონის პირით იგი ჯუმბერს ასე მიმართავს: ,,თუ სწავლა გინდა, აჰა სედრაქ, ვაზირი მამისა შენისა, რომლისა მსავსი არა არს ყოველსა ქვეყანასა ზედა; თუ მეფეთ წესსა იწრთვი, აჰა მეფეთ მეფე, მამა შენი, რომლისა მსგავსი არა შობილა პირსა ქვეყანისასა; და თუ ამბავი გინდა, ჩემოდენი ჭირი და ლხინი, უცხო თემი, საკვირველნი საქმენი არავის უნახავან'' [2].

სულხანის პედაგოგიკაში აღვნიშნავთ კიდევ ერთ მეტად საგულისხმო მომენტს: ცნობილია, რომ თავის დროზე სლავი ხალხის საამაყო შვილი კომენსკი და ინგლისელი პედაგოგი ჯონ ლოკი მოსწავლეთათვის მოგზაურობას თვლიდნენ სწავლების დაგვირგვინებად. ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოთქმული სულხან-საბა ორბელიანს მათგან დამოუკიდებლად. მეფის შვილის, ჯუმბერის, აღზრდელს ლეონს მრავალი ქვეყანა აქვს შემოვლილი და ცდილობს ამავე გზით სრულყოს ჯუმბერის ცოდნა სამყაროს შესახებ.

მეფემ ლეონს ,,ჰკითხა სადაუოობა, ვინაობა და სად მიმავლობა'' [3], ლეონი უპასუხებს დედ-მამა არა მყავს, ადრე გარდამეცვალა „და მე აქა-იქ სლვითა გავზრდილვარო'' [4].

ჰუმანიზმის ხანის პედაგოგები სწავლა-განათლებაში ექსკურსიას იყენებდნენ და საბაც ამ მხრივ მათთანაა.

ვაკეთებთ დასკვნას. სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული ქმნილება ..სიბრძნე სიცრუისა'' განახლების ხანის საქართველოს არა მარტო დიდი კულტურული ძეგლია, არამედ აღზრდა-განათლების უძვირფასესი ქმნილებაც. მასში აღზრდის მიზანი, შინაარსი და ამოცანა საერთოდ ჰუმანისტურ თვალსაზრისზეა აგებული, თუმცა რაინდული აღზრდიდან მოწონებულია „სიტყვა-კაზმულობა",

[1] „სიბრძნე სიცრუისა", გვ. 52.
[2] იქვე, გვ. 90-91
[3] იქვე, გვ. 14.
[4] იქვე.

„ზრდილობანი და ქცევანი“. აღზრდის იდეალი — ახალგაზრდა ჯუმბერი, ფიზიკურად ჯანსაღი, ზნეობრივად ზრდილი, მაღალი ესთეტიკური განცდისა და ღრმა აღმზრდელის „დღივ ღა ღამ“ სწავლებით გონებაგახსნილი ახალგაზრდაა. იგი, პირველ ყოვლისა, ადამიანია და საქართველოს საუკეთესო მერმისისათვის ბრძოლის გზაზე ისეთი კეთილშობილური გრძნობებით შეიარაღებული, როგორიცაა: მამაცობა, ვაჟკაცობა, ქველმოქმედება, პატიოსნება, სამშობლოსათვის თავდადება, მომავლის იმედი. ჯუმბერი აგრეთვე მტკიცე ნებისყოფისა და ხასიათის მქონე ადამიანია.

ფეოდალური სასულიერო წოდების ამორალური ქცევის გაცნობით ავტორი უფლისწულის განვითარებაში პირველ პლანზე, განათლებასთან ორგანულ კავშირში, ზნეობრივი აღზრდის საკითხებს აყენებს.

ნაწარმოებში ქებაშესხმულია შრომა და შრომისადმი სიყვარულის კეთილშობილური გრძნობა. საზოგადოებაში და ახალგაზრდობაში მისი დანერგვა აღზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობადაა მიჩნეული. ექსპლოატაციისაგან და ყოველგვარი ხელყოფისაგან თავისუფალი შრომა მიაჩნია ავტორს ადამიანისათვის სასიამოვნოდ და მომგირნე, ყაირათიანი, გეგმიანი, დისციპლინირებული და სხვათა შრომის ამაგის დამფასებელი ახალგაზრდის აღზრდის პირობად.

გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მონური ქედმოხრილობისა, სილაჩრისა და პესიმიზმის ნაცვლად ქადაგებს სამშობლოსადმი ერთგულებას, თავდადებას და ვაჟკაცობას. ახალგაზრდა ჯუმბერი, როგორც სამშობლოს მწყემსი, ამ თვისებებით იზრდება.

უფლისწულის აღზრდაში ჰუმანიზმის მოტივებითაა გაშუქებული ამხანაგობისა და მეგობრობის კეთილშობილური გრძნობა და მთელი სიმკაცრით დაგმობილია ცრუ ამხანაგობა და ყალბი მეგობრობა.

ნაწარმოები ეხება ახალგაზრდის ესთეტიკური აღზრდის საკითხებს, რასაც, ავტორის აზრით, ემსახურება თვით ბუნებასთან და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ერთად მხატვრობაც და მხატვრული სიტყვა, მუსიკა და სიმღერა.

აღზრდაში დაგმობილია ფიზიკური დასჯა, ხოლო ჯანსაღი, ანტანი, მოქნილი, დაბრკოლებათა გადალახვაში გამოწრთობილი სხეული ახალგაზრდის ზრდა-განვითარების აუცილებელ პირობადაა მიჩნეული, ფიზიკური წრთობა კი ფიზიკური აღზრდის სისტე-

მაში, უკეთესი გაგებით, რაინდული სააღმზრდელო სისტემის მიხედვითაა გაშუქებელი.

მისი იგავებითა და სენტენციებით მხილებულია მმართველი ფეოდალური და სასულიერო წოდების ოჯახური აღვირახსნილობა, თვალთმაქცობა, ორპირობა, სიმრუშე. საზოგადოების წინაშე ოჯახის ძირითად მოვალეობად მიჩნეულია ჯანსაღი, ყოველმხრივ განვითარებული მემკვიდრის აღზრდა.

რა თქმა უნდა, დიდი სლავი ხალხის საამაყო შვილის იან ამოს კომენსკის, ინგლისელი პედაგოგის ჯონ-ლოკისა და სხვებისაგან დაშოუკიდებლად ავტორი სწავლა-განათლების ორგანიზაციის სისტემაში მივიდა ექსკურსიის გამოყენების აუცილებლობამდე.

სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიკა არ არის თავისუფალი შუა საუკუნეების პედაგოგიკის ზოგიერთი დანაწრევებისაგან, მაგრამ არსებითად ის ჰუმანისტურ საფუძველზე დგას. სულხანი მისი ჰუმანისტური პედაგოგიკური იდეებით თამამად შეიძლება გვერდში ამოუდგეს მე-17 საუკუნის ისეთ დიდ პედაგოგებს, როგორიც იყვნენ: ეპიფანე სლავინეცკი და სიმონ პოლოცკი რუსეთში, ხოლო ჯონ-ლოკი — ინგლისში.

ქართველი ხალხისათვის ფასდაუდებელია სულხან-საბა ორბელიანის კულტურული ამაგი და მეცნიერული ღვაწლი, ხოლო ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარების ისტორიაში სულხალ-საბა ორბელიანის პედაგოგიკური მემკვიდრეობის შესწავლა და მისი მეცნიერული ათვისება მეტად საპატიო საქმეა. ჩვენ მიერ გაწეული ეს პატარა შრომა, ვფიქრობთ, ნაწილობრივ ხელს შეუწყობს სულხანის მდიდარი პედაგოგიკური მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს.

И. А. ДЖГАРКАВА

ПЕДАГОГИЧЕСКИЕ ИДЕИ В КНИГЕ „О МУДРОСТИ ВЫМЫСЛА“ СУЛХАНА-САБА ОРБЕЛИАНИ

Резюме

1. Выдающийся грузинский писатель, лексикограф, философ и государственный деятель Сулхан-Саба Орбелиани своими педагогическими воззрениями бесспорно стоит на уровне таких классиков педагогики, как Джон Локк, Епифан Славинецкий и Симеон Полоцкий.

2. Литературное творение Сулхана-Саба Орбелиани „О мудрости вымысла“ представляет собою не только прекрасное художественное произведение, но также и драгоценное творение в смысле педагогического мышления. В ней рассмотрены с точки зрения гуманизма такие проблемы, как содержание, цели и задачи воспитания, хотя и некоторые элементы рыцарского воспитания, как „красноречие“ и „вежливость“ чрезмерно восхваляется.

3. Самым надежным средством улучшения будущности Грузии автор считает единую и сильную просвещенную монархию во главе с гуманистом-монархом, который защитил бы страну от нашествий чужеземных завоевателей, а внутри страны, между помещиками и крестьянами установил бы дружеские, отеческие взаимоотношения. Главным средством достижения этой цели он считал просвещение высших сословий, в первую очередь, самого царя и придворной знати. В разбираемом произведении нет нигде ни противопоставления понятий воспитания и образования и ни их полное совпадение, а наоборот, первое представлено как целое, а второе — как его часть.

4. Воплощение идеала воспитания — царевич Джумбер—является физически здоровым, нравственно и эстетически воспитанным, здравомыслящим молодым человеком.

5. Для гуманиста Сулхана Орбелиани, отвергающего лицемерие, подхалимство, ложь и измену, царившие в то время в высших аристократических слоях и среди духовенства, царевич Джумбер прежде всего является человеком, в котором через воспитание должны быть внедрены такие человеческие свойства, как добродетель, честность, беспредельная любовь к родине,

трудолюбие, оптимизм, принципиальность, сильная воля и устойчивый характер.

6. В произведении воспевается труд и трудовая деятельность человека. Внедрение любви к труду есть, по автору, значительнейшее условие воспитания.

Ратуя против всех и всяких эксплуататоров и считая эксплуатацию аморальным явлением, Сулхан Орбелиани воспевает свободный труд человека. По его мнению, свободный труд есть не только необходимое условие воспитания молодежи, но также и неиссякаемый источник личного счастья и удовольствия человека.

7. Автор проповедует настоящий сознательный патриотизм. Те лица, которые отвернулись от своих национальных традиций, от языка, веры, правов и обычаев и дружески сошлись с чужеземными врагами отечества, являются врагами своей родины, неполноценными гражданами, изменниками. Сулхан призывает к верности родине, к мужеству и отважности. Молодой Джумбер воспитан именно на этих основах.

8. Проповедуя благороднейшие чувства товарищества и дружбы, Сулхан Орбелиани высмеивает лжетоварищество и кажущуюся дружбу. В молодежи следует воспитывать чувство настоящего товарищества и настоящей дружбы.

9. По мнению Сулхана Орбелиани, царевич должен обладать способностью эстетического восприятия и эстетического суждения. Для выработки этих способностей решающее значение имеют живопись, художественная литература, музыка.

10. Основой развития человека автор считает физическое состояние организма. Поэтому он проповедует идею физического упражнения. Физическое воспитание он понимает в смысле рыцарского воспитания в лучшем смысле этого слова.

11. В книге „О мудрости вымысла" семья считается основной единицей общественных отношений. Автор разоблачает семейную несбудданность, лицемерие и разврат, господствующие в то время в семейных отношениях высших слоев общества. В то же время он восхваляет супружескую верность и обоюдную любовь, как необходимую основу воспитания здорового молодого поколения.

12. Сулхан Орбелиани рассмотрел сущность и значение экскурсии подобно Коменскому, Локку и другим передовым педагогам.

13. Несмотря на то, что педагогические взгляды Сулхана Орбелиани, высказанные в книге „О мудрости вымысла“, содержат немало драгоценных прогрессивных идей о воспитании и образовании молодежи, тем не менее они обременены влиянием идеологии господствующих сословий феодального строя, защитником которого он выступает в своем произведении.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XI, 1952—1953.

კ. მეძველია

რუსეთის 60-იანი წლების რევოლუციონერი მწერლები და თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე

60-იანი წლების ქართველი მოღვაწენი, თერგდალეულები, დიდი რუსი ხალხის მოწინავე იდეებით შეიარაღებულნი გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე. მოწინავე რუსული კულტურა დიდი ხანია ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა ქართულ საზოგადოებაზე, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ეს გავლენა და მისი დადებითი შედეგები კიდევ უფრო საგრძნობი გახდა, რასაც თავის დროზე აღტაცებით აღნიშნავდა დიდი ქართველი პოეტი ნ. ბარათაშვილი ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“:

„ჟამთ-ვითარებით გადახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო,
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო“.

რუსული მოწინავე აზროვნების გავლენა განსაკუთრებით გაძლიერდა 60-იან წლებში. ამ დროს იგი დიდი ნაკადის სახით დაიძრა საქართველოსაკენ, რასაც ქართველმა ხალხმა ხალისით გაუხსნა გული.

60-იან წლებში უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთში წასული ქართველი ახალგაზრდები პირადად ეცნობოდნენ და უკავშირდებოდნენ დიდ რევოლუციონერ მოღვაწეებს: ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, ნეკრასოვს, მიხაილოვს, პლეშჩეევს და სხვებს. ამათი იდეური გავლენის ქვეშ აღიზარდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი და მთელი თაობა 60-იანი წლების მოღვაწეებისა.

„რუსულმა სკოლამ, მეცნიერებამ, — წერს ილია, — გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებას... თვითოეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით

გაზრდილა, თვითოეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზე აუგია თავისი რწმენა“ [1].

თერგდალეულთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს კ. ლორთქიფანიძეს [2].

კირილე ლორთქიფანიძე, როგორც რუსეთის 60-იანი წლების მოწინავე იდეების შემომტანი საქართველოში, მეტად საინტერესო პიროვნებაა. იგი თავისი დემოკრატიული აზროვნებით გამოირჩევა ზოგიერთი თერგდალეულისაგან. ამისი მიზეზი ის არის, რომ კირილე ლორთქიფანიძე მთელი ათეული წლების განმავლობაში რევოლუციური აზროვნების ცენტრში — პეტერბურგში — ტრიალებდა და ახალი იდეებით იარაღდებოდა.

თუ პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების ან 1861 წლის სტუდენტთა მოძრაობის შემდეგ უნივერსიტეტის დახურვის გამო ქართველი ახალგაზრდები საქართველოში გამოემგზავრნენ სამოღვაწეოდ ან საზღვარგარეთ წავიდნენ სწავლის გასაგრძელებლად, კირილე ლორთქიფანიძე 1861 წლის მოძრაობის შემდეგაც, 1870 წლამდე, პეტერბურგში დარჩა და რუსი რევოლუციონერი დემოკრატების იდეებს კიდევ უფრო ღრმად ითვისებდა. იგი ათეული წლების განმავლობაში არა მარტო მოწამე იყო დიდი იდეოლოგიური შეჯახებებისა რუსული აზროვნების ცენტრში. არამედ თვითონაც აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდობის მოძრაობაში და დემოკრატიული შინაარსის პუბლიცისტური სტატიების ბეჭდვით, რევოლუციონერი პოეტების ნაწარმოებთა თარგმნით და საგამომ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VIII, გვ. 285.

[2] კ. ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ჩვენ მიერ გამოქვეყნებულია შემდეგი შრომები:

„1861 წლის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა დემონსტრაცია და ქართველი სტუდენტები“, „ძნათობი“, 1939 წ., № 9.

„აკაკი წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1940 წ. 1 თებერვალი.

„კირილე ლორთქიფანიძე“. ბიოგრაფიული ნარკვევი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, 1948 წ., ტ. VIII.

„საქართველოს მოამბე“ და ხანგების საკითხი“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., № 34.

„ნეკრასოვის ლექსები „ჩონგურის“ ფურცლებზე“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952 წ., № 50.

წინამდებარე წერილი წარმოადგენს ერთ თავს ჩვენ მიერ დასაბეჭდად გამზადებული მონოგრაფიისა: „რუსეთის 60-იანი წლების რევოლუციონერი მწერლები და თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე“.

ცემლო მუშაობით ხელს უწყობდა საქართველოში ახალი იდეების დამკვიდრებას.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ 60-ანი წლების ჩვენი მოღვაწენი ქართულად თარგმნიდნენ მოწინავე ლიბერალ მწერლებს, ხოლო კირილე ლორთქიფანიძე ქართულ ენაზე ახმიანებდა მეფის მთავრობის მოხელეებისაგან დასჯილი, ჟანდარმერიისაგან დევნილი რევოლუციონერი მწერლების: დობროლიუბოვის, ნეკრასოვის, პლეშჩეევის, ნიკიტინისა და სხვათა მებრძოლ სტრიქონებს.

კ. ლორთქიფანიძე, სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად, იმ დროს მოხვდა უნივერსიტეტში, როდესაც პეტერბურგის ჭუჩებში რევოლუციური აზროვნების ცეცხლი გიზგიზებდა. მებრძოლი ინტელიგენციის აზვირთებული იდეა ძველ კალაპოტში ვეღარ ეტეოდა და ნაპირებს მიჩვეთქებული წალეკვით ემუქრებოდა დრომოჭმული სამყაროს ცხიე-სიმაგრეებს.

პირველი იდეური ნათლობა კ. ლორთქიფანიძემ და, საერთოდ, თერგდალეულებმა პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებში მიიღეს. ამ დროს უნივერსიტეტში დიდი პოლიტიკური დაძაბულობა იგრძნობოდა. მიუხედავად პოლიციის სიმკაცრისა, სტუდენტები თავგამოდებით ეტანებოდნენ აკრძალულ ლიტერატურას. ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ნეკრასოვის, მიხაილოვის, პლეშჩეევის და სხვა მწერლების ლექსები, სტატიები და პროკლამაციები არალეგალურად ერცელდებოდა, აკრძალული წიგნები ხელიდან ხელში გადადიოდა.

ახალგაზრდობის უკმაყოფილებამ იმ დონემდე მიაღწია, რომ 1861 წლის სექტემბერში სტუდენტებმა მთავრობისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინააღმდეგ დემონსტრაცია მოაწყვეს[1].

ქართველი სტუდენტები ამ საერთო ბრძოლაში არ ჩამორჩნენ უკრაინელ, პოლონელ, ბელორუს და სხვა სტუდენტებს. მართალია, კ. ლორთქიფანიძე წინააღმდეგი იყო პირველ ხანებში ქართველი სტუდენტების აჯანყებაში მონაწილეობისა, საქართველოს თავისებური მდგომარეობის გამო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კ. ლორთქიფანიძე, სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად, შეუპოვრად ჩაება ამ მოძრაობაში.

„მეორე დღეს კვირას, სექტემბრის 24-ს, ისიც იყო ვისადილეთ მ. ი. სემიონოვის ქალთან, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რომ სასადი-

---

[1] იხ. კ. მეძველია, 1861 წლის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა დემონსტრაცია და ქართველი სტუდენტები! „მნათობი", 1939 წ., № 9.

ლოში შემოვიდნენ ორივე ღოღობერიძე, ნ. ბ. და ბ. ლ. ღოღობერიძეებმა გადმოგვცეს, რომ ხვალ მთელი სტუდენტობა „დემონსტრაციაზე“ გამოდისო და ჩვენც გამოუკლებლივ უნდა მივიღოთ მონაწილეობაო... მოვისმინეთ ეს ცნობა და იმის მაგიერ, რომ პასუხი მიგვეცა, გაკვირვებით დავდუმდით. ბოლოს „პროტესტის“ წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა ნ. აბდუშელმა. იგი კიბოსავით გაწითლებულიყო, ბორძიკობდა და ისე ლაპარაკობდა. მან სთქვა, ჩვენ აქ იმისთვის ვართ ჩამოსული, რომ უნდა ვისწავლოთ და არა მთავრობას ვასწავლოთო. მთავრობა ჩვენ, რასაკვირველია, არ გაგვიგონებს და უკან სახლში დაგვაბრუნებსო, რაც ჩვენთვის გაცილებით უარესია, ვიდრე ციმბირში წასვლაო... ღოღობერიძეებს არც კი სჯეროდათ, რაც მოისმინეს. ახალგაზრდობა ყოველთვის ემორჩილებოდა მათ და პირველად წააწყდნენ ახლა ურჩობას. მათ ის უპასუხეს, რომ შეუძლებელია ქართველები ჩამორჩნენ, როდესაც ყველა სათვისტომოები დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებენო.

ამაზე კირილე ლორთქიფანიძემ შენიშნა, რომ ქართველები სხვებს ვერ მიბაძავენ, რუსეთში, პოლონეთში, მალოროსიაში ბევრია ნასწავლი ხალხიო. ეს ქვეყნები უინტელიგენციო არ დარჩება, მათი ახლანდელი სტუდენტობა სულაც რომ აღიგავრს პირისაგან დედამიწისა. ჩვენში კი საქმე სხვანაირია. ჩვენ ქართველი სტუდენტების პირველი თაობა ვართ, ჩვენ რომ ახლა დავბრკოლდებით, ქართველ მამებს შემდეგ ვერც კი გააგონებ — შვილები უნივერსიტეტში გამოგზავნონო. ძველებურად საკადეტო კორპუსებში მიაბარებენ, მით უმეტეს, ეს უფრო ადვილი საქმეა და არც ფულის დახარჯვაა საჭირო. ბევრი კამათის შემდეგ ნიკოლოზ ღოღობერიძემ წასვლისას სიტყვა გვესროლა: ვინც მშიშარა ხართ, სახლში დარჩითო. ეს კი საკმაო იყო იმისათვის, რომ არა თუ დემონსტრაციაზე წავსულიყავით, არამედ თავი კედელზედაც შეგვეხეთქა“ [1].

მეორე დღეს დემონსტრაცია მართლაც მოეწყო, რომელშიც ქართველმა სტუდენტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. დემონსტრაციაში ქართველების აქტიურ მონაწილეობას ისიც ადასტურებს, რომ მზრუნველთან გასაგზავნ კომისიაში ნიკო ნიკოლაძე და გიორგი ჯავახიშვილი აირჩიეს. მალე „თავხედი“ სტუდენტები პოლიციის მოხელეებმა (ჯარის დახმარებით) კრონშტადტის ციხეში

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 100—101.

შერეკეს. დაპატიმრებულთა შორის ქართველებიც ივყნენ: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, არჩილ ჩოლოყაშვილი, დავით ღოღობერიძე, დავით აბდუშელიშვილი, პეტრე ალხაზაშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, იაკობ ისარლიშვილი, ბესარიონ ღოღობერიძე და სხვები, სულ 13 კაცი.

კირილე ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძე სტუდენთა მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო. მართალია, იგი პირველ ხანებში ქართველ სტუდენტებს, საქართველოს თავისებური პირობების გამო, დემონსტრაციიდან თავის არიდებას ურჩევდა, მაგრამ რაკი ბრძოლა დაიწყო და მან სერიოზული ხასიათი მიიღო, კირილე მოძრაობის ცენტრში მოექცა. ამის გამო სხვა სტუდენტებთან ერთად სატუსაღოს კედლებში ამოყო თავი. უნივერსიტეტი დახურეს. „ბუნტოვჩიკი“ სტუდენტები ორი თვის პატიმრობის შემდეგ გარეკეს პეტერბურგიდან. მიუხედავად ამისა, სტუდენტთა საკმაო ნაწილი მაინც დარჩა პეტერბურგში. მეფის მთავრობა დააფიქრა სტუდენტთა ძალადობამ. ქუჩაში დარჩენილი ახალგაზრდებისაგან უარესი იყო მოსალოდნელი, რადგან მებრძოლ სტუდენტობას თანაუგრძნობდა რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია: მთავრობის წინააღმდეგ განწყობილი პროფესორები, მწერლები, მასწავლებლები, ექიმები, წვრილი მოხელეები და სხვები.

სტუდენტებისადმი მასების ამ თანაგრძნობაზე ლაპარაკობს, როგორც ნ. ნიკოლაძის მოგონებაში წარმოდგენილი მასალები, ისე კირილე ლორთქიფანიძის კერძო ბარათები.

სტუდენტთა დემონსტრაციას რამდენიმე პროფესორი და მწერალი შეუერთდა, ხოლო ციხისკენ მიმავალ ჯარისკაცებით ალყაშემორტყმულ ახალგაზრდებს ხალხი თაიგულებითა და ტაშის ცემით მიაცილებდა. მეფის მთავრობა კარგად ხედავდა, რომ სტუდენტების ზურგს უკან ძლიერი ძალა იმალებოდა და ამის გამო ზოგიერთ დათმობაზე წასვლა აუცილებელი იყო. ამის შედეგად უნივერსიტეტის გარეთ დარჩენილ სტუდენტებს ნება დართეს საჯარო ლექციების მოწყობისა, ეს ნაწილობრივ საუნივერსიტეტო მუშაობის განახლებას წარმოადგენდა.

ცხადია, საჯარო ლექციებმა, რომლებსაც მხოლოდ პროგრესული იდეების მჭონე პროფესორები კითხულობდნენ, კიდევ უფრო აამაღლა რევოლუციური იდეოლოგია ახალგაზრდობაში, კიდევ უფრო გამოაჯანსაღა მებრძოლი სულისკვეთების მჭონე ახალი თაობა.

ახალმა „უნივერსიტეტმა“ კიდევ უფრო მაღლა აღმართა საიმპერატორო უნივერსიტეტში აფრიალებული ბრძოლის დროშა.

კ. ლორთქიფანიძე საჯარო ლექციების აქტიური მსმენელი იყო. ამან კიდევ უფრო რადიკალური გახადა კ. ლორთქიფანიძის დემოკრატიული მისწრაფებანი, რასაც იგი დიდი ინტერესით ავრცელებდა ჩვენს ქვეყანაში მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე.

კ. ლორთქიფანიძე ცხიდან გამოსვლისთანავე ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. დაიწყო ბრძოლა ახალი იდეების გავრცელებისათვის. იგი პეტერბურგიდან გამოექომაგა ძველი თაობის წინააღმდეგ მებრძოლ ილია ჭავჭავაძეს.

1862 წელს „ცისკრის" რედაქციამ პეტერბურგიდან სამი სტატია მიიღო. პირველი მათგანი — „წიგნი მიწერილი რედაქტორთან ეფვთიმე წერეთლისა" („ცისკარი", აპრილი, 1862 წ.) ეკუთვნოდა კ. ლორთქიფანიძეს. მართალია, სტატია სათაურის მიხედვით გორისელის პასუხს წარმოადგენს, მაგრამ აქ ავტორი თაობათა შორის არსებულ ყველა სადავო საკითხს შეეხო.

როგორც ცნობილია, ძველი თაობის წარმომადგენლები, ილია ჭავჭავაძის მოწინააღმდეგენი: ბარბარე ჯორჯაძისა, რევაზ ერისთავი, სარდიონ მესხიშვილი, გიორგი ბაათაშვილი, ივანე კერესელიძე და სხვები ანტონ კათალიკოსის სკოლის მიმდევარნი და მისი „თეორიული" შეხედულებების დამცველნი იყვნენ, „ანბანთ-თეორეტიკა" და „წყობილსიტყვაობა" მათთვის უდიდეს ავტორიტეტს წარმოადგენდა. ამდენად, კირილე ლორთქიფანიძემ პირველი იერიში ანტონ კათალიკოსის თეორიულ ბოსახრებათა წინააღმდეგ მიიტანა. როგორც ვიცით, ანტონმა ქართველი ხალხის სულიერი საუნჯე „ვეფხისტყაოსანი" აუგად მოიხსენია.

კ. ლორთქიფანიძეს ძველ თაობასთან დავა ამ საკითხიდან დაიწყო.

„ვინც „ვეფხისტყაოსანს" ვერ ჰპოებს დიდ პოეტისაგან დაწერილად, მე იმას პოეტად კი არა, ესთეტიკურად გახსნილ კაცადაც არ ჩაეთვლი. ანტონ კათალიკოზი ღრნობს ჩახრუხაძეზე, რომ „დიდი პოეტი იყოო" და რუსთაველზედ „ადათათვის დაშვრაო", მაგრამ ჩვენ ანტონს უნდა დაუჯეროთ, თუ თხზულებას, რომელშიაც ვპოულობთ პოეტიკურს ტალანტს, დიდს ჭკუა-გამოცდილებას?..." [1]

თქვენ ილია ჭავჭავაძის შესახებ წერთო, ეკამათება კ. ლორთქიფანიძე ეფთვიმე წერეთელს, ,,როგორ მიაწია ქართველის გონებამ და სასმენელმა იმდენზედ, რომ ანტონ კათალიკოსის ძალალნიჭიერი თხზულება „წყობილ-სიტყაობა" იამბიკოებით და აკროსტიხუ-

[1] „ცისკარი", 1862 წ., № 4.

ლობით“ დაიწუნაო. ჩვენ უფალი ჭავჭავაძის თანახმად ვიყავით, რომ არ მოგვწონს, როგორადაც არ მოგვწონს ტრეტიაკოვსკის ლექსები, ყმაწვილების დასასჯელად რომ ხმაროობდნენ. სასმენელი ძლიერ დაბეგვილი უნდა იყოს, რომ მათი სიმშვენიერე იგრძნოს; ყრუ უნდა იყოს კაცი, რომ მისმა იამბიკომ აკროსტიხები ერთ ყურში გრგვინვით შესულმა და მეორიდამ გამობრძანებულმა არ ავნოს ყურს. ჩვენ ვერც რა პოეზიას ვპოულობთ წყობილ-სიტყვაობაში, ვერცა რა ენის ცოდნას“ [1].

ანტონ კათალიკოსის სალიტერატურო ენის დრომოჭმულობისა და მისი ,,ღვარჭნილმეტყველების'' დასამტკიცებლად კ. ლორთქიფანიძეს მოაქვს მაგალითები:

,,ამო, ბრძენ, გნომ, დიდ, ერთ, ზე, ეე, თვით, ირის, და სხვა, ჰე-მდის. უფალი გორისელი მეტყვის: — წერს კ. ლორთქიფანიძე, — ამო, ბრძენ, გნომ და სხვა დიდი იყო ესეთ, რომელ ცის სარტყელზედ ზევით შეიძლება დავაყენოთ... მაგრამ ამაში პოეზია სრულიად არ იპოება, არც ნატამალია პოეზიისა... აი, ასე ცოდვილობდა ანტონ კათალიკოზი, რომელიც თუმცა პოეტი არ ყოფილა, მაგრამ დიდი ჰკუის პატრონი იყო'' [2].

1862 წლის სექტემბრის ,,ცისკარში'' დაიბეჭდა კირილეს მეორე სტატია ,,ორიოდე სიტყვა ,,ცისკარზედ'' და ახალის ჟურნალის საგებლობაზედ''.

რუსულ მოწინავე იდეებზე აღზრდილ კ. ლორთქიფანიძეს, ბუნებრივია, ვერ დააკმაყოფილებდა ,,ცისკრის'' უხეირო ლიტერატურული პროდუქცია: ,,სოვრემენიკის'' ტრადიციებზე აღზრდილ მწერალს, ცხადია, არ მოეწონებოდა ,,ცისკრის'' უგემური, მელანქოლიური ლექსები და მარხვის ტრაქტატებით შეზავებული სტატიები, კირილე ვერ ეთვისებოდა „ცისკრის“ პოლიტიკურ ფიზიოხოძიას, მის უღიმღამო და უსიცოცხლო მიმართულებას.

„... ყველამ ვიცით, — წერს კირილე, — რომ ჟურნალს უნდა ჰქონდეს ერთი მიმართულება: ან კარგი, ან ცუდი... „ცისკარს“ არა ჰქონია ერთი მიმართულება და არც კარგი ყოფილა ყოველი მისგან გავრცელებული აზრები, ცოტას მეტი, რომელიც თითქმის არ სჩანდა, როგორც ბევრჯერ ვსთქვით, სხვა სიცუდესთან“ [3].

„ცისკრის“ მდარე ხარისხის ნაწარმოებთა შორის კირილე სასაბართლიანად არჩევდა „ცოტა კარგ“-ს. მისი აზრით, კარგის

[1] „ცისკარი“, 1862 წ. № 4.

[2] იქვე.

[3] „ცისკარი“, 1862 წ., № 9.

კატეგორიას მიეკუთვნებოდა მოლაყბის მახვილგონივრულად დაწერილი „სალაყბო ფურცელი“, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, ლავ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, ილია ჭავჭავაძის ლექსები და სტატიები, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანისა და რ. ერისთავის ლექსები.

„ზევით მოგახსენეთ, — წერს კირილე ლორთქიფანიძე, — რომ მოლაყბის და სხვა მწერლების თხზულებები იყვნენ კარგნი მეთქი, უკანასკნელის თხზულებებისაგან უნდა დავასახელოთ: უფ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, ... „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ ლავ. არდაზიანისა; ნაკაზმი, ილია ჭავჭავაძის სტატიები და მისი ლექსები; აგრეთვე ლექსები ზოგიერთის პოეტებისა, ჩვენის ლერმონტოვის ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანისაგან დაწყებული რაფ. ერისთავამდის, რომელმაც დაგვიწერა „მთხრობელი მსაჯულისადმი“ [1].

ძველი თაობის წინააღმდეგ კირილე ლორთქიფანიძე სხვა სტატიებშიც აწარმოებდა დაუნდობელ ბრძოლას. „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის მარტის ნომერში დაიბეჭდა კირილე ლორთქიფანიძის სტატია „კალმასობის“ შესახებ, ხოლო იმავე „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნდა მისივე წერილი „ბიძია თონიკეს სტატიის გამო“.

ყველა ამ სტატიებში კირილე ლორთქიფანიძე პუბლიცისტის მახვილი კალმით ანადგურებდა ძველი თაობის „თეორიულ“ პოზიციებს და საქვეყნოდ ამტკიცებდა მათ იდეურ უხერხემლობას. იგი, აგრეთვე, სისტემატურად ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებს „დროებაში“, „კრებულში“, „შრომაში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

კირილე ლორთქიფანიძე პრესაში იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ პრესტიჟს, ქართული ენის ავტორიტეტს, ეკამათებოდა რუს ჩინოვნიკებს მშობლიურ ენაზე სწავლების შესახებ და არკვევდა სალიტერატურო ქართული ენის მართლწერის პრობლემებს.

კირილე ლორთქიფანიძე საქართველოში რუსეთის მოწინავე იდეების დასანერგავად პოლიტიკურად მახვილ პუბლიცისტიკასთან ერთად მხატვრულ სიტყვას იყენებდა. მან ქართულ ენაზე აახმიანა დიდი რუსი დემოკრატი მწერლების: დობროლიუბოვის, ნეკრასოვის, პლეშჩეევის, ნიკიტინის და სხვათა ლექსები. ამ ნაწარმოე-

[1] „ცისკარი“, 1862 წ., სექტემბერი, № 9.

ბების დაბეჭდვა მეფის ცენზურის მიერ თვით რუსულ ენაზე იყო აკრძალული. პოლიცია სასტიკ რეპრესიებს მიმართავდა მოწინავე იდეების მქადაგებელი მხატვრული სიტყვის ოსტატების წინააღმდეგ. ზოგი მათგანისათვის მთავრობას სასიკვდილო განაჩენი ჰქონდა გამოტანილი. ასეთი ავტორების ნაწარმოებთა ქართულად თარგმნა და ბეჭდვა მრავალგვარ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული, თანაც მთარგმნელს სახიფათო განსაცდელში აყენებდა. ადვილი შესაძლებელი იყო, მესამე განყოფილების განრისხებულ მოხელეებს კირილე ლორთქიფანიძე, როგორც ყოფილი „ბუნტოვჩიკი" და ცენზურისაგან აკრძალული ლიტერატურის მთარგმნელი, შორს გადაესახლებინათ. ყოველივე მოსალოდნელ ხიფათს კირილე გაბედულად ხვდებოდა.

1864 წელს პეტერბურგში კირილე ლორთქიფანიძემ ქართულ ენაზე ლექსთა კრებული „ჩონგური" გამოსცა, რომელშიც შეიტანა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, რ. ერისთავისა და სხვათა ლექსები.

კრებული მთლიანად თითქმის ქართველი პოეტების ნაწერებისაგან შედგება. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ წიგნი იწყება ნეკრასოვის ლექსით „პოეტი და მოქალაქე" და მთავრდება ამავე ავტორის ნაწარმოებით „გადის დრო". ამას აკეთებს კ. ლორთქიფანიძე მაშინ, როდესაც ნეკრასოვის ნაწარმოებების დაბეჭდვა ცენზურის მიერ სასტიკად იყო აკრძალული და ნეკრასოვის ლექსების წაკითხვაც კი დანაშაულად ითვლებოდა.

ნეკრასოვის ლექსებმა უდიდესი ძალით დაიქუხა წყვდიადით მოცულ მაშინდელ გარემოში. თვით ფეოდალისა და მრისხანე მებატონის შვილმა, ნეკრასოვმა, არა მარტო შეიძულა არისტოკრატიული წრე. არამედ ბრძოლის სასტიკი ცეცხლი დაანთო და ბასრი მახვილი აღმართა საკუთარი კლასისა და ცარიზმის დესპოტიზმის წინააღმდეგ. მან პოეტური სიტყვა ხალხის სამსახურში ჩააყენა.

ნეკრასოვის ლექსთა პირველი კრებული — „ლექსები ნ. ნეკრასოვისა" — დაიბეჭდა 1856 წელს პეტერბურგში. წიგნის დაბეჭდვის ისტორია ასეთია: პეტერბურგის სასწავლო ოქლის მზრუნველმა მუსინ-პუშკინმა წინადადება მისცა თავის ნათესავ ცენზორს, სამოქალაქო მრჩეველს, ვლ. ბეკეტოვს ნება დაერთო ნეკრასოვისათვის ლექსების პირველი კრებულის გამოცემისა.

ცენზორი დაეთანხმა ყოვლისშემძლე მზრუნველის წინადადებას. ამრიგად, ნეკრასოვის წიგნი დაიბეჭდა ცენზურის მკაცრი კონტრო-

ლის გარეშე. ამ წიგნში (და საერთოდ ნეკრასოვის შემოქმედებაში) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლექსს „პოეტი და მოქალაქე". აქ მთელი სიძლიერით მჟღავნდება რუსეთის ცარიზმის დესპოტიზმი და მშრომელი ხალხის უილაჯო ცხოვრება.

როგორც მოსალოდნელი იყო, დაიწყო ბრძოლა ავტორისა და წიგნის წინააღმდეგ. ახმაურდა ჟანდარმერია, ამოქმედდა მეფის ცენზურა, აყაყანდა სუსტნერვებიანი არისტოკრატია. პირველი იერიში ცენზორზე მიიტანეს. ბეკეტოვი გადაყენებულ იქნა. სასწრაფოდ გასცეს განკარგულება ნეკრასოვის ლექსთა კრებულის აკრძალვის შესახებ და, რა თქმა უნდა, სასტიკად დაისჯებოდა ის, ვინც ამ წიგნს და განსაკუთრებით მასში მოთავსებულ ლექსს „პოეტი და მოქალაქე" ხელმეორედ დაბეჭდავდა.

ნეკრასოვის წიგნის თაობაზე განათლების მინისტრი იმპერატორს სთხოვდა: „ამასთანავე გულითადად გთხოვთ თქვენ, დიდებულო ხელმწიფევ, გასცეთ განკარგულება ს. — პეტერბურგის საცენზურო კომიტეტის სახელზე, რათა შემდეგში არ იყოს გაცემული ნებართვა ნეკრასოვის ლექსების ახლად გამოცემის შესახებ. არ დაიბეჭდოს არც ერთი სტატია ლექსებზე და არ გამოქვეყნდეს ამონაწერი იმ წიგნიდან" [1].

ნეკრასოვის ლექსების კრებული იმდენად შერისხული იყო მთავრობის მიერ, რომ იქიდან ციტატის მოტანა აკრძალული იყო თვით ავტორის სალანძღავადაც კი. ბოლოს ცენზურა ასეთ „დათმობაზე" წავიდა: ნეკრასოვის ლანძღვა-გინება პრესაში ნებადართულად გამოცხადდა, მაგრამ „პოეტი და მოქალაქის" ხსენება მაინც არ შეიძლებოდა, 1856 წლის ბოლო რიცხვებში განსაკუთრებულ მინდობილობათა საქმის ჩინოვნიკი, გვარად ვოლკოვი, ასეთ ცნობას აძლევს განათლების მინისტრს „პოეტი და მოქალაქის" შესახებ: „ამ ლექსში ლაპარაკია მოქალაქის მოვალეობაზე და სხვათა შორის იმაზე, რომ ჩვენს შორის არ არის არც ერთი ისეთი ჰეშმარიტი მოქალაქე, რომელსაც შეიძლება გულწრფელად და მტკიცედ უყვარდეს თავის სამშობლო! ამ აზრით ზოგიერთი გამოთქმა და აგრეთვე რამდენიმე სიტყვა არ ეთანხმება ჩვენს წამოწყებებს და სახელმწიფოებრივ წყობას" [2].

როგორც ვხედავთ, „პოეტი და მოქალაქე" ჟანდარმერიის განსაკუთრებული იერიშის საგანს წარმოადგენდა. ცხადია, ასეთ ცენ-

[1] К. Чуковский, „Некрасов", გვ. 52.

[2] იქვე.

ზურგულ პირობებში მის მეორეჯერ გამოცემაზე ფიქრიც კი შეუძლებლად ითვლებოდა. თვით ნეკრასოვი მთავრობის რისხვას იმით გადაურჩა, რომ იმჟამად საზღვარგარეთ იმყოფებოდა. ასეთ მრისხანე ცენზურულ პირობებში კ. ლორთქიფანიძემ „პოეტი და მოქალაქე" 1864 წელს თვით პეტერბურგში გამოცემულ „ჩონგურში" პირველ გვერდზე დაბეჭდა.

კ. ლორთქიფანიძემ კარგად იცოდა, თუ რა სასჯელი მოელოდა ასეთი ნაბიჯისათვის, მით უმეტეს, დიდი დრო არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ის პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მებრძოლი მწერალი არ შეუშინდა მეფის მოხელეების სიმკაცრეს და ქართველი მკითხველისათვის მისაწვდომი გახადა რუსი მკითხველისათვის აკრძალული ლექსი.

ამ ლექსში ნეკრასოვმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა ცარიზმის გადაგვარებული მოხელეები; უსულგულო, თავხედი ჩინოვნიკები, რომლებიც ფეხქვეშ თელავდნენ მშრომელი ხალხის ინტერესებს, და საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ მეფის მსახურთა შორის არ იპოვება არც ერთი ჭეშმარიტი მოქალაქე, რომელსაც გული შესტკივოდეს თავის ქვეყანაზე, თავის ხალხზე. ნეკრასოვი კი დაეძებს ნამდვილ მოქალაქეს:

„...ახ, სამყოფადაა ჩვენში ვაჭრები,
ჩინოვნიკები, კადეტებიცა,[1]
ბევრია თავად-აზნაურები,
გვეყოფა თითქმის პოეტებიცა,
გვეჭირვება კი მოქალაქეები!
გვეჭირვება კი, მაგრამ სად არის?
აბა ვინ არ ხარ დღეს სენატორი,
არ ხარ მწერალი და არც სარდალი.
არც მამაცი და არც პლანტატორი.
და მოქალაქე ხარ მშობელ მხარის?
სად ხარ? ხმა გამეც! ხმა არსით არის!.."[2].

პოეტის აზრით, ჭეშმარიტი მოქალაქეების ნაცვლად მძარცველები და კაცის მკვლელები განდიდებულან, უსამართლობა და უმსგავსოებაა გამეფებული სახელმწიფო დაწესებულებებში. მექრთამე ჩინოვნიკები ფეხქვეშ თელავენ ნამდვილ მოქალაქის ღირ-

[1] კადეტებში იგულისხმებიან ის ახალგაზრდები, რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ კადეტთა კორპუსი, სამხედრო სასწავლებელი.

[2] იხ. „ჩონგური".

სებას. ნაწამებ ადამიანთა ხმა ისმის სასამართლოებისა და საპყრობილეების ჯურღმულებიდან:

„მიედიოდი მე სატუსაღოში,
სვეტთან რომ კაცს ჰკვლენ, მის საყურებლად,
ლაზარეთში და სასამართლოში.
არ გეტყვი, ძმაო, რაც აქა ვნახე!“ (იქვე)

მეფის ჩინოვნიკებს ასე ახასიათებს პოეტი:
„ზოგი მათგანი ხალხს ცარცვავს, ქურდობსო“ (იქვე). ბოლოს, უსამართლობით გულმოკლული პოეტი მშრომელ ხალხს მოწოდებით მიმართავს:

„გამოიღვიძე და გაბედვითა
დაეც თავზარი უსამართლობას!“ (იქვე).

აი, როგორ იდეურ საზრდოს აწოდებდა 60-იანი წლების ქართველ მკითხველს კირილე ლორთქიფანიძე. როგორც ადრევე აღვნიშნეთ, კ. ლორთქიფანიძემ ნეკრასოვის მებრძოლი სტრიქონებით დაწყებული კრებული „ჩონგური“ ნეკრასოვისვე ნათელპერსპექტივიანი ლექსით დაასრულა. ამ ლექსში პოეტი უმღერის საუკუნეებით ტანჯული ხალხის ბედნიერ მომავალს:

„... იმ დღეს, როდესაც ცრემლი შეგშრება
და გაგიქრება შენ ყველა წყლული
და წმინდა ნატვრა მე ამიხდება,
ყმაწვილობიდამ გულს ჩასახული.

მაგრამ კი მინდა, რომ სიკვდილის ჟამს
შევიტყო, რომ შენ გზას ადგეხარ სწორს,
რომ შენი მუშა, რომელიც ჰსთესავს,
ელის კაი დარს, მოსავლიან დროს. „ [1]

რომ კ. ლორთქიფანიძემ რევოლუციონერი პოეტის პატივისცემის გამო მოათავსა „ჩონგურის“ დასაწყისსა და დასასრულში ნეკრასოვის ლექსები, ამას ადასტურებს კირილეს არქივში დაცული ერთი ბარათის პირი. მასში ვრცლადაა ლაპარაკი „ჩონგურის“ გამოცემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე და სხვათა შორის აღნიშნულია: „ტყვილად არ დამიწყვია ლექსები გრუ-

[1] იხ. „ჩონგური“, ნეკრასოვის ლექსი „გადის დრო“.

პებად და ტყვილად არ დამიბეჭდავს ჩონგურის თავში „პოეტი და მოქალაქე“ [1].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კირილე ლორთქიფანიძის თარგმანები მხატვრული თვალსაზრისით მაღალხარისხოვნად არ არის შესრულებული, იგი ვერ იჩენს დიდ პოეტურ ოსტატობას, მაგრამ ნეკრასოვისა და სხვა პოეტთა ლექსების მგზნებარე სული, მისი სტრიქონების საბრძოლო განწყობილება თარგმანში მტკიცედ არის დაცული. საერთოდ კი კ. ლორთქიფანიძეს, პირველ რიგში, ორგინალთან აზრობრივი შესატყვისობა აინტერესებდა. იგი დაინტერესებული იყო, რომ ახალი, მებრძოლი იდეოლოგია შეეტანა ხალხში. და მისი თარგმანი მხატვრულად რომ უნაკლო არ იყო, ამას თვითონაც გრძნობდა. ზემოთ დასახელებულ ბარათში ვკითხულობთ: „ჩონგურში“ შევიდა... უხეიროდ, თუმცა ორიგინალთან სწორად გადათარგმნილი „პოეტი და მოქალაქე“ [2].

ასეთ დიდ მუშაობას ეწეოდა კირილე ლორთქიფანიძე რუსული მოწინავე იდეების დასამკვიდრებლად საქართველოში.

ეს სახელოვანი საქმე კირილე ლორთქიფანიძემ შემდგომში კიდევ უფრო განამტკიცა. ქართულ ენაზე თარგმნილია იგი რუს რევოლუციონერ პოეტებს: დობროლიუბოვს, პლეშჩეევს, ნიკიტინს, ოგარევს და მოწინავე საზღვარგარეთელ მწერლებს: რობერტ ნიკოლს, მორიც ჰარტმანს, ჰაინრიხ ჰაინეს, ვიქტორ ჰიუგოს, ბიჩერ სტოუს და სხვებს.

ჩერნიშევსკისა და ნეკრასოვის გვერდით ყოველთვის ისმოდა დიდი რუსი რევოლუციონერის, დობროლიუბოვის, პოეტური და პუბლიცისტური მრისხანე ხმა.

ამხანაგი ჟდანოვი თავის ისტორიულ მოხსენებაში, — ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ, ამბობდა:

„ჩვენი პარტია ლ ე ნ ი ნ ი ს და ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახით არა ერთხელ აღიარებდა ლიტერატურის დარგში დიდი რუსი დემოკრატი რევოლუციონერი მწერლებისა და კრიტიკოსების: ბელინსკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, სალტიკოვ-შჩედრინის და პლეხანოვის დიდ მნიშვნელობას“. კირილე ლორქფიფანიძე ამ „დემოკრატი რევოლუციონერი მწერლების“ პოპულარიზაციას ეწეოდა საქართველოში. იგი მტკიცედ მიჰყვება ერთხელვე აღებულ ძნელ გზას. დობროლიუბოვის ლექსებს თარგმნის და აქვეყნებს ქართულ პერიო-

[1] იხ. კ. ლორთქიფანიძის არქივი, საქ. № 70, წერილი „ჩონგურის“ გამოცემის შესახებ.

[2] იქვე.

დულ პრესაში. 1871 წლის „კრებულის“ მე-4 ნომერში თომა კარგარეთელის ფსევდონიმით. კირილემ დაბეჭდა დობროლიუბოვის ორი ლექსი: „შეხვედრა და „მზე ამობრწყინდა“.

„შეხვედრაში“ დობროლიუბოვი გვიჩვენებს მშრომელთა ბავშვების ცხოვრების გულსაკლავ სურათებს. ეს უმწეო ადამიანები, შიმშილისაგან ჩონჩხებად ქცეულნი, ძონძებში გამოხვეულნი, მათხოვრებად დახეტიალობენ ქუჩებში:

„ერთხელ ქუჩაზედ პირგამხდარი ყმაწვილი შემხვდა,
იყო სნეული, ფერმიხდილი, თვალნამტირალი,
ძონძი ტანს ეცვა, სიცივისგან ის კანკალებდა...
„ხუთი და-ძმა ვართ, მამაჩვენი გაგზავნეს ლაშქარს
და დედაჩვენსა ლოგინზედა ებრძვის სიკვდილი...
სახლიდგან გვყრიან. საქირო ფულიც არა გვაქვს,
და ჩვენცა თითქმის სულ ყოველდღე გვახრჩობს
სიმშილი!“

დობროლიუბოვი ამას უპირისპირებდა მეორე სინამდვილეს:

„ჩვენს პირდაპირ კი მშვენიერი სახლი ბრწყინავდა,
მდიდრულად იყო ის მორთული, გაჩაღებული...
მწვანე სტოლები მის ზალაში აქა-იქ ჰსჩანდა,
ბალის მუზიკა იქ გრგვინავდა გაცხარებული...“

ლექსში „მზე ამობრწყინდა“ დობროლიუბოვი მშრომელ ხალხს უწინასწარმეტყველებს თავისუფალსა და ნათელ მომავალს:

„მზე დაადგება პირდაპირ ბარსა,
მძინარს არესა დღე გაუღიმებს“ („კრებული“, 1875 წ. № 4)

1873 წლის „კრებულის“ I და VIII ნომერში კირილემ კვლავ დაბეჭდა დობროლიუბოვის ლექსები: „გარდაცვალებაზე“ და „როცა ზამთარში გაჰირვებული“. ამ ლექსებში დუხჭირი ცხოვრებისაგან ღონემიხდილი ადამიანების გმინვა ისმის, რომელთა შრომის ნაყოფი მუქთახორებს მიუთვისებიათ. ამ სანახაობით გულმოკლული პოეტი ასე წამოიძახებს:

„ჰო, ღმერთო! მაშინ რამდენი წყეველა,
რა გაბზრაზება გულს მაწვებოდა,

საწყლების მტრათა შევრაცხე ყველა,
ვინც უდარდელად იკვებებოდა“ [1]

(„კრებული“, 1873 № 8)

დობროლიუბოვის ყოველი ლექსი ცარიზმის ტირანიის წინააღმდეგ აღმართული მახვილია, მის ყოველ სტრიქონში მშრომელთა ინტერესების დაცვის ხმა ისმის. პოეტი თავისუფლებისაკენ მოუწოდებს მშრომელ მასებს. დობროლიუბოვის მებრძოლი სტრიქონების ჭართულად ბეჭდვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის. ამ სასარგებლო საქმეს აკეთებდა უჩინარი მოღვაწე კირილე ლორთქიფანიძე, რომელიც ყოველთვის ფსევდონიმებით წერდა. მისი ღვაწლის შესახებ მხოლოდ ინტელიგენციის ვიწრო წრემ იცოდა. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ მკვლევარ გ. ჯიბლაძეს საეჭვოდ მიაჩნდა კირილესაგან დობროლიუბოვის ლექსების ქართულად თარგმნა.

„თუ რამდენად ცნობილი იყო ქართულ ლიტერატურაში დობროლიუბოვის პოეზია, — წერს გ. ჯიბლაძე. — მოწმობს შემდეგი ფაქტი: ჟურნალ „კრებულის“ 1873 წლის მერვე წიგნში მოთავსებულია დობროლიუბოვის ლექსის „Когда среди зимы холодной“-ს თარგმანი... ჩემთვის უცნობია ამ ლექსის მთარგმნელი. განსვენებული ს. ხუნდაძე თავის მონოგრაფიის — „ნ. გ. ჩერნიშევსკი“ — ერთერთ სქოლიოში მიუთითებს, რომ 60-იანი და 70-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში არა ერთხელ ვხვდებით დობროლიუბოვის თარგმნილ ლექსებს. „როგორც გადმოგვცემენ, — წერს ავტორი, — თარგმანი უნდა ეკუთნოდეს კირილე ლორთქიფანიძეს“ (იხ. ს. ხუნდაძე, — „ნ. გ. ჩერნიშევსკი“, გვ. 191). ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრით მივაკუთნოთ კ. ლორთქიფანიძეს ამ ლექსის თარგმანი. როცა მისი მთელი მასალების მეცნიერული შესწავლა დაიწყება, ამ საკითხსაც. ალბათ, ნათელი მოეფინება“ [2].

პროფ. გ. ჯიბლაძის ეჭვი სამართლიანი იყო, რადგან კირილეს თარგმანები ხელმოუწერლად ან ფსევდონიმებით იბეჭდებოდა. საკითხი მართლაც სპეციალურ შესწავლას მოითხოვდა. ამჟამად ეს საკითხი უკვე სადავო არ არის, კირილეს არქივის შესწავლამ დაგვარწმუნა პროფ. ს. ხუნდაძის მოსაზრების სისწორეში. კირილეს არქივში დაცულია არა მარტო ამ ლექსების ავტოგრაფები, არამედ რედაქტორებთან მიწერილი ბარათის შავებიც, რომლებშიც ამ ლექ-

[1] „კრებული“, 1771 წ. № 4.

[2] გ. ჯიბლაძე, „ხელოვნება და სინამდვილე“, გვ. 435—437.

სების თარგმნისა და დაბეჭდვის შესახებ ვრცელი ახსნა-განმარტებაა მოცემული. მაგალითად ერთ ასეთ ბარათში ვკითხულობთ:

,,თუმცა ეს ლექსები პროზაულად არის დაწერილი, მაგრამ აზრი, რომელიც აქ არის გატარებული, მაბედვინებს გთხოვოთ, რომ თქვენის ჟურნალის მომავალს ნომერში დაბეჭდოთ, რასაკვირველია, უსახელოთ.

კირილე ლორთქიფანიძე, 22 მარტი, 1885 წელი'' [1].

ეს პატარა ბარათი მრავალმხრივ საყურადღებო ცნობას გვაწვდის. რაც მთავარია, ამით დასტურდება ის მოსაზრება, რომ კირილე თარგმნიდა ნეკრასოვისა და სხვა რევოლუციონერი პოეტების ლექსებს, რომელთა ავტოგრაფები დაცულია მის არქივში.

კირილე ლორთქიფანიძე რედაქტორს სთხოვს, დაბეჭდეთ ეს ლექსები უსახელოდ, ე. ი. მთარგმნელის გვარისა და სახელის მოუწერლადო. ცხადია, თუ ლექსები სხვისი ნათარგმი იქნებოდა, კირილეს უფლება არ ქონდა ასეთი მოთხოვნა წაეყენებინა რედაქტორისათვის. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ კირილეს წესად ჰქონდა შემოღებული, თავისი ნაწერების ფსევდონიმებით გამოქვეყნება და რედაქტორებს მუდამ იმას სთხოვდა, რომ მისი სახელი და გვარი არ გამოეცხადებინათ. ბევრი ასეთი შინაარსის მქონე ბარათის ასლია დაცული კირილეს არქივში. ამასვე ადასტურებს ზემოთ დასახელებული ციტატიც თარგმანის ხარისხის შესახებ. „ჩონგურში" შევიდა... უხეიროდ, თუმცა ორიგინალთან სწორად გადათარგმნილი ,,პოეტი და მოქალაქე'', ცხადია, ისეთი თავაზიანი და სხვისი პატივისმცემელი ადამიანი, როგორც კირილე იყო, არავითარ შემთხვევაში სხვის თარგმანზე არ იტყოდა ,,უხეიროდ გადათარგმნილიო".

* * *

რევოლუციონერი პოეტების თარგმნა კირილეს შემდეგშიც არ შეუწყვეტია. მან ქართულ ენაზე გადმოთარგმნა ალექსანდრე პლეშჩეევის და ივანე ნიკიტინის რევოლუციური იდეების მქონე ლექსები. პლეშჩეევი რევოლუციონერი პოეტი იყო. მას მეფის მთავრობამ 1849 წელს ჩამოხრჩობა მიუსაჯა, რაც შემდეგ კატორღით შეუცვალეს. პლეშჩეევის ლექსები პოლიციის მიერ აკრძალული იყო. ამის გამო ისინი რუს მოწინავე მკითხველ საზოგადოებაში არალეგალურად

[1] კ. ლორთქიფანიძის არქივი, საქმე № 74.

ვრცელდებოდა. პლეშჩეევიდან კირილეს უთარგმნია სამი ლექსი: „გალობა“, ,,სიმღერა განდგომილისა‘‘ და ,,კილოს მიმოქცევა‘‘. ამათგან თავისი პოლიტიკური სიმახვილით გამოირჩევა ,,გალობა“, რომელსაც ხმამაღლა მღეროდნენ ბარიკადებზე მიმავალი მებრძოლები. მოგვაქვს ლექსის კ. ლორთქიფანიძისეული თარგმანი თითქმის მთლიანად:

„გაჰსწით! უეჭვოდ და უშიშრად,
ძმებო, მივმართოთ ღვაწლსა ქველურსა!
იქ, ცის-კიდეში, ვხედავ მე ცხადად,
წმინდის გამოხსნის ცისკარს მკრთოლვარსა!
აბა მხნედ ვიყოთ, ხელი-ხელს მივჰსცეთ
და ისე, მწყობრად, წავიდეთ წინა;
მეცნიერების დროშის ქვეშ დავდგეთ,
ვმრავლდეთ, გავმაგრდეთ იქ საქმისთვინა.
სიცრუისა და ცოდვის ქურუმებს
ჭეშმარიტებით დავსცეთ ლახვარი
და მის საყვირით ჩავსძახოთ მძინრებს
და წავიყვანოთ ომში ლაშქარი.
არა ვჰქმნათ კერპი თავისა თვისის
არც ქვეყანაზედ, არც ცათა შინა
და მრთელის ქვეყნის დიდებისათვის
არა დავემხოთ პირქვე მის წინა!...
ნეტავი იმას, ვინც თავის დღესა
წმინდის ბრძოლით და შრომით აღამებს!
ვინც მონასავით ნიჭს ზეციერსა
უსარგებლოდა მიწაში არ ჰსდებს!
მოდით, მივჰსდიოთ ჩვენ ცხოვრების გზაში
ჭეშმარიტების წმინდა ვარსკვლავსა,
და დამიჯერეთ, რომ ქვეყანაში
ცუდს არ დავსტოვებთ ცხოვრების კვალსა!
აბა ისმინეთ, ძმებო, ძმისა ხმა,
სანამ ჩვენში დგას ყმაწვილი სული,
გავსწიოთ წინა! ისე, რომ ბედმა
ვერ შეგვიშინოს ვერაფრით გული!..[1].

[1] იხ. კ. ლორთქიფანიძის არქივი, საქმე № 60. ლექსი თარგმნილია 1868 წელს, 13 მაისს.

ლექსის რევოლუციონური ბუნება იმდენად ნათელია მკითხველისათვის, რომ კომენტარიები ზედმეტად მიგვაჩნია. პოეტი მთელი სიძლიერით გადმოგვცემს მშრომელი ხალხის მებრძოლ ბუნებას.

პლეშჩეევის მეორე ლექსი ,,სიმღერა განდგომილისა'' მთარგმნელს, კ. ლორქიფანიძეს მიუძღვნია გადაგვარებული ქართველი დიდკაცებისათვის. სათაურს ქვემოდ ხელნაწერს მიწერილი აქვს ,,ვუძღვნი ქართველ ბრძენებს''.

ლექსში პოეტი ამათრახებს მლიქვნელებს, ,,დიდკაცების ფეხებზე ხვევნით'' რომ გამდიდრებულან, ვინც ,,დიდებას ჰპოვებს ნამუს-პატივის ლაფში ამოსვრით'', ვინც ბოროტების გზით კარიერის მაღალ საფეხურზე აცოცებულა:

,,ძირს ლაფში ბორდღვა, დიდ-კაცების ფეხებზე ხვევნა,
მათგან მოგდებულ ლუკმაშია გაცვლა რწმენების''.

ეს მლიქვნელები და გაიძვერები სასტიკად ემუქრებიან მშრომელთათვის მოჭირნახულე პატიოსან ადამიანებს და მათ გაბოროტებით მიმართავენ:

ვაი მათ, ვინც რომ აღტაცებით ყმაწვილ ოცნებებს
საუნჯესავით გულში იცავს და ადრინდულად
სიმართლისა და კაცთ-სიკეთისათვის, მუდამ ღაღადებს,
მათ სახელს გავხდით ხალხის საფურთხლად!
ვაი მათ, ვინც ჩვენ პირში მართალ სიტყვასა გვახლის,
ვინც რომა არცხვენს ჩვენს სიტყვასა, ჩვენს მოქმედებას... [1]

რევოლუციონერი პოეტი პლეშჩეევი ლექსში ,,კილოს მიმოქცევა'' გამოთქვამს საახალწლო სურვილებს და ეს სურვილები მშრომელთა ინტერესებს გამოხატავს. ლექსის დასასრულს მებრძოლი პოეტი მოუწოდებს ჰეშმარიტებისათვის თავდადებულ ადამიანებს:

„არ დაიეიწყოთ, რომ ვალი გადევთ
მისი, ვინც ობლად, ღარიბად არის,
ვისაც გაჭირვების უღელი აწევს,
ვინც მწუხარეა, მჭლე და ფერმკრთალი...“

პლეშჩეევის ეს მებრძოლი სტრიქონები მრავალი წლის განმავლობაში უკაფავდა გზას მშრომელ ხალხს ჰეშმარიტებისათვის ბრძოლაში, მაგრამ ქართველ მკითხველამდე ცენზურული პირობების გამო ყველა მათგანმა თავის დროზე ვერ მიაღწია.

[1] „კრებული“, 1873 წ., წიგნი მეორე.

ამ ლექსების დაბეჭდვის თაობაზე კირილეს არქივში ერთი საინტერესო ბარათი ინახება: „დროების" რედაქტორი პეტერბურგში მყოფ კ. ლორთქიფანიძეს საქართველოდან სწერს: „...მართლა, ჩვენდა სამწუხაროდ შენი პლეშჩეევის ლექსები არ გაუშვა ცენზორმა — ეს „მარსელიოზაო", ამბობს. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ გვავიწროებს ცენზურა. რაც რუსულად იბეჭდება, იმის მეოთხედსაც არ გვაბედვინებენ, და ჩვენ, ჩვენდა საუბედუროდ, ისე წერა არ ვიცით, რომ მკითხველმა სტრიქონებს შუა გაიგოს ჩვენი აზრი" [1].

როგორც ჩანს, კირილეს ფარ-ხმალი არ დაუყრია და საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, 1873 წელს, „კრებულში" მოუხერხებია პლეშჩეევის ლექსის „სიმღერა განდგომილისა" დაბეჭდვა.

აგრეთვე „კრებულის" 1873 წლის მეხუთე წიგნში კირილემ დაბეჭდა ნიკიტინის ლექსი „მთესველი".

ლექსი მებრძოლი ბუნებისაა. რევოლუციონერი პოეტი ფიქრობს, რომ მებრძოლი იდეოლოგიისათვის ნიადაგი მომზადებულია და რევოლუციის თესლი უხვად უნდა მოჰფინოს ხალხში ახალმა თაობამ.

„მიწა მზათ არის კარგად მოხნული;
ვჰსთესოთ, სანამდის სდგას გაზაფხული;
კეთილ სიტყვის და საქმის თესლები
არ არს შემდგომისთვის დაკარგული".

„იმრავლე, ჩვენო ახალ-თაობა,
წინა მოგელის შარაგზა შენა".

პოეტმა კარგად იცის, რომ რევოლუციური იდეების მთესველს წინ აღუდგებიან მეფის ჯალათები მთელი სისასტიკით, მაგრამ ჰკიცხავს იმას, ვინც ლაჩრულად მოიხრის ქედს უსამართლობის წინაშე, ვინც შედრკება ბრძოლის ველზე:

„რცხვენოდეს იმას, ვინც ჰსწუხს უგნურად,
ფოთლის შრიალზედ ვინც ჰკარგავს ენას!
ნეტავი მას, ვინც თავგანწირულად
ემსახურება ჭეშმარიტებას!... [2].

[1] იხ. კ. ლორთქიფანიძის არქივი, საქმე № 19, თბილისი, 1869 წ. 17 მაისი.

[2] „კრებული", 1873 წ., წიგნი მეხუთე და მეექვსე.

ასევე, კირილეს უთარგმნია როპერტ ნიკოლის ლექსი ,,ყველანი ძმები ვართ'', მორიც ჰარტმანის ,,ჩადრი'' და ,,ძველებური ბალადა'', ჰენრიხ ჰაინეს ,,ცხენი და ვირი''. პეტერბურგში ყოფნის დროს, 1862-63 წლებში, კირილემ ქართულ ენაზე თარგმნა ამერიკელი დემოკრატი მწერალი ქალის—ბიჩერ სტოუს ,,ბიძია თომას ქოხი'', რომლის დაბეჭდვა განზრახული ჰქონია ,,საქართველოს მოამბეში''.

რომ ნაწარმოები ქართველი მკითხველთათვის გასაგები ყოფილიყო, კირილემ ,,საქართველოს მოამბის'' მეთერთმეტე და მეთორმეტე ნომრებში დაბეჭდა პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათის ნარკვევი: ,,ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა''. ამ სტატიებში კირილე ლორთქიფანიძემ სამარცხვინო ბოძზე გააკრა ამერიკელი კაპიტალისტები, რომლებიც გამდიდრების სურვილით დაავადებულნი, მიზნის მისაღწევად არ ერიდებოდნენ არავითარ სისაძაგლეს.

გარდა იმისა, რომ ისინი უსაზღვრო ექსპლოატაციას უწევდნენ მშრომელ ხალხს, არ თაკილობდნენ ადამიანისათვის უაღრესად სამარცხვინო საქმიანობას — მონობით ვაჭრობასაც კი. ზანგებით ვაჭრობა ამერიკელი პლანტატორებისათვის გამდიდრების მთავარ წყაროს წარმოადგენდა.

კ. ლორთქიფანიძე საქვეყნოდ გმობს ამერიკელი ჯენტლემენების ასეთ საზიზღარ საქმიანობას და სთხოვს პროგრესულ კაცობრიობას, ხმა აღიმაღლოს ამ უმსგავსოების წინააღმდეგ.[1].

კ. ლორთქიფანიძემ ,,ბიძია თომას ქოხის'' თარგმანი ,,საქართველოს მოამბეში'' ვერ გამოაქვეყნა, რადგან შესავალი სტატიების დაბეჭდვის შემდეგ ჟურნალი დაიხურა.

ქუთაისის მუზეუმის არქივში ინახება ,,ბიძია თომას ქოხის'' კირილე ლორთქიფანიძის მიერ შესრულებული თარგმანი, რომელიც, როგორც ირკვევა, არსად არ დაბეჭდილა. უდავოა, რომ ეს არის ამ თხზულების პირველი ქართული თარგმანი.

როგორც ვხედავთ, კირილე ლორთქიფანიძე, ეს ჩუმი და უწყინარი მოღვაწე, სხვა ქართველ მწერლებთან ერთად როგორც თეორიული ხასიათის სტატიებით, ისე სარედაქციო მუშაობითა და მებრძოლი შინაარსის მქონე ნაწარმოებების თარგმნით ნერგავდა

[1] იხ. კ. მეძველია, „საქართველოს მოამბე" და ზანგების საკითხი", გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1952 წ., № 34.

ქართველ ახალგაზრდობაში მოწინავე იდეებს. ამდენად, ცხადია, მან, როგორც 60-იანი წლების მოღვაწემ, გარკვეული როლი ითამაშა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მოწინავე აზროვნების განვითარების საქმეში.

К. Н. МЕДЗВЕЛИЯ

РЕВОЛЮЦИОННЫЕ ПИСАТЕЛИ РОССИИ 60-ЫХ ГОДОВ И ТЕРГДАЛЕУЛИ КИРИЛЛ ЛОРДКИПАНИДЗЕ

Резюме

Кирилл Лордкипанидзе вместе с другими общественными деятелями 60-ых годов воспитывался под непосредственным влиянием великих русских демократов. Чернышевского, Добролюбова, Некрасова, Михайлова и др. Первое революционное крещение он получил на улицах Петербурга и полвека он сеял эти передовые идеи на грузинской плодородной почве.

Во время пребывания в Петербурге (1860—1870 г. г.) он не только был свидетелем тех великих столкновений, которые происходили перед его глазами, но был и активным участником этой борьбы. Он из Петербурга сотрудничал в грузинских журналах и газетах. Печатал в „Цискари", „Сакартвелос моамбе", „Дроэба", „Кребули" передовые в идейном отношении статьи. В этих статях Кирилл боролся с защитниками отживших идей старого поколения.

В 1864 году в „Чонгури", изданном в Петербурге, К. Лордкипанидзе напечатал на грузинском языке запрещенные жандармерией стихи Некрасова: „Поэт и гражданин" и „Проходит время".

В разное время он печатал в „Кребули" стихи русских революционеров: Добролюбова, Некрасова, Никитина, Плещеева и других.

Кирилл Лордкипанидзе также переводил на грузинский язык зарубежных прогрессивных писателей: Морица Гартмана, Генриха Гейне, Виктора Гюго, Роберта Николя, Бичер Стоу и

др. Его особенно интересовала идейная сторона произведения. Все его переводы точно передают высказанные в оригинале стремления автора, политическую остроту.

Кирилл Лордкипанидзе, этот тихий и скромный общественный деятель, вместе с другими грузинскими писателями насаждал передовые идеи среди грузинской молодежи как статьями теоретического характера, так и редакционной работой и переводами произведений революционных писателей. Поэтому можно сказать, что он сыграл известную роль в деле развития грузинского передового мышления второй половины XIX века.

ა.ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XI, 1952—1953.

დ. ბრეგაძე

ქართველი პოეტები რუსეთში

(XVIII ს.)

ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. მეთექვსმეტე საუკუნიდან რუსეთ-საქართველოს დაახლოება უკვე ფაქტი გახდა. მოსკოვსა და კახეთს შორის 1585—1587 წლებში ელჩების გაცვლა მოხდა და ხელშეკრულება დაიდო. მართალია, იმთავითვე ამას რაიმე არსებითი შედეგები არ მოჰყოლია, მაგრამ ამას ამ ორი ქვეყნის დაახლოებისათვის უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: „რუსეთი, საქართველოსათვის მახლობელი რელიგიითა და კულტურით, იყო ის ერთადერთი პროგრესული ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანება და ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა".[1]

საქართველოდან თავიანთი ამალით გადახვეწილი მეფე-პოეტები რუსეთში პოულობდნენ თავშესაფარს და მყუდრო ბინას. რუსეთის დახმარებით ცდილობდნენ ისინი საქართველოში შემოჭრილი უხეში ძალის — ოსმალეთისა და ირანის — განდევნას და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას. რუსეთში პოვეს თავშესაფარი პოეტებმა: არჩილმა, ვახტანგ მეექვსემ, სულხან-საბა ორბელიანმა, დავით გურამიშვილმა, მამუკა ბარათაშვილმა, ონანა მდივანმა, დიმიტრი სააკაძემ და მრავალმა სხვამ.

პოლიტიკურ საქმიანობასთან ერთად ისინი რუსეთში ინტენსიურ ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდნენ და არა ერთი და ორი მხატვრული ნაწარმოები შექმნეს.

ქართველი ხალხის ამ ღირსეულმა წინაპრებმა ჩაუყარეს საფუძველი რუს და ქართველ ხალხს შორის მტკიცე ტრადიციულ მეგობრობას, რომელიც შემდეგ საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ურღვევ

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 418.

მეგობრობაში განსახიერდა. რუსეთში გადახვეწილმა ჩვენმა წინაპრებმა ადრევე იგრძნეს საქართველოს რუსეთთან კავშირის აუცილებლობა და გაბედულად წავიდნენ ამ გზით.

მოსკოვის ქართული კოლონია, ეწეოდა რა კულტურულ საქმიანობას რუსეთში, „ქართველი ხალხის იმ რწმენის ცოცხალი გამოსახულება იყო, რომ რუსეთი ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელსაც ამიერკავკასიაში უშუალო პოლიტიკური ინტერესები მოეპოვება და რომ ეს ინტერესები საქართველოს პოლიტიკურ მისწრაფებას არ ეწინააღმდეგება“.[1]

მოსკოვის ქართული კოლონიის წევრთა ბიოგრაფიისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას დღეს ჩვენთვის, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ადამიანებისათვის, წარსული მემკვიდრეობის ღირსეულად დამფასებლებისათვის, უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მიზანს ემსახურება ეს წერილიც. წერილში განხილული იქნება ონანა მდივნის ვინაობის საკითხი და დიმიტრი ვასილის-ძე სააკაძის ცხოვრება და ლიტერატურული საქმიანობა.

ონანა მდივნის ვინაობისათვის[2]

ონანა მდივანი XVII—XVIII საუკუნის მოღვაწეა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ანბანთქება, „ქილილა და დამანას“ გალექსილი ადგილები და რომანტიული პოემა „ბარამიანი“ (იგივე „ბარამგულიჯანიანი“).[3]

ონანა მდივანი ვახტანგ მეექვსესთან დაახლოებული პირია. იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს იმ ლიტერატურულ საქმიანობაში, რომელიც ვახტანგის თაოსნობით იყო წამოწყებული ქართლში. ონანა ძნელბედობის დროსაც არ სცილდება ვახტანგს და თან მიჰყვება რუსეთში.

ჩვენ ამჯერად ონანას ვინაობის საკითხა გვაინტერესებს.

პირველ ცნობას ონანას შესახებ ჩვენ ვხვდებით ვახტანგ მეექვსის ანდერძში, რომელიც დართული აქვს ონანას მიერ გაწყობილ „ქილილა და დამანას“. აქ ვახტანგი წერს: „ჩვენ ჟამთა ვითა-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 373.

[2] წაკითხული იყო მოხსენებად ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა XVI სამეცნიერო სესიაზე, 1952 წლის 16 მაისს.

[3] ონანა მდივნის ნაწარმოებთა სრული კრებული ჩვენ მიერ გამზადებულია გამოსაცემად.

რებისაგან და ერთა მოუცლელობით ვეღარ შეასრულეთ და მდივანს ონანას უბრძანებთ, რომე ამ ტურფას წალკოტის ყვავილნი ფეროვანებით შეჰკრას და ხელოვანთ გახალისებული დრაჰკანი კავშირით შეასრულოს.

შ ა ი რ ი

„მერმე უბრძანეთ მდივანსა, ჩვენსა კარისა მონასა,
სპარსულის რიგით გალექსვა, მანცა არ ცუდად მონასა,
შეჰკრავს და ტურფად შეაწყობს წალკოტის ვარდის კონასა,
და გააკავშირებს ხელოვანთ შექმნულსა ოქროს წონასა“ [1].

ცნობებს ონანას პიროვნების შესახებ ვხვდებით ონანასავე ნაწერებში. ანდერძში, რომელიც მან „ქილილა და დამანას“ წაუმძღვარა, იგი წერს:

„ჩვენზე გამოსცა ბრძანება დიდმან ქართველთა მეფემა,
მაღალმან, უხვმან, მდაბალმან, მზეებრ შუქ-მოიფემა,
მოსამართლემ და მოწყალემ, მტერთა სისხლისა მჭეფემა,
და ამად შემართოს მონამან შორით ქებისა მყეფემა.

ეს ძლიერი და ამაღლებული მეფე დროსა და ჟამთა იწროებისაგან უცალოდ იქმნა და თვისის სიბრძნით გახალისებული სამეცნიერო წიგნი თვით აღარ გალექსა... და ჩვენ გვიბ[რ]ძანა ეს ძნიად მისახდომი სამსახური და თუცა ძალგვიძეს, შემართვა გვნება[ვ]ს:

...ჩვენზე მოიღო წყალობით ტკბილთა სიტყვათა მზრდელობა,
და რადგან შეგვისმა მონასა, ხამს ჩვენგან მაზე ხელობა...

ამის მეტი ვერ მოვიყვანე და ვერც პატრონისა ჩვენისა ბ[რ]ძანებასა უარვჰყავ და ესწერ მე კახეთის მდივნის შვილი და თვით მდივანი ონანა ბრძანებითა უფლისა მეფის ვახტანგისათა...

რადგან მიბრძანებს მაღალი იგი ხელმწიფე ქებული,
მტერთა მძლე, თვით უძლეველი, მოყვასთა იმედებული,
ამად გავლექსავ ონანა, სიბრძნე ხამს გადიდებული,
და ვწერ კახი ვინმე მოლექ[სე] მდივნობით სახელდებული“ [2].

---

[1] „ქილილა და დამანას“ ონანასეული ვარიანტი, ფ. 8.—აღნიშნული ხელნაწერის პირი დროებით სარგებლობაში თავაზიანად დაგვითმო ს. ყუბანეიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[2] იქვე, ფ. 8—9.

მსგავსი ცნობები გვხვდება ონანას შესახებ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის S 1613 ხელნაწერში. აქ მოთავსებულია ონანას მიერ გალექსილი „ბარამგულიჯანიანი“. ტექსტი ბოლოვდება ასეთი სტროფით:

„ვინ პირველ ამბად დაწერა კეთილად ბრძენმა ქებულმა,
ვპოვეთ ჩვენ მათთა სიბრძნეთა წარმოთქმით იმედებულმა,
გავლექსე, გავაშაირე აწ პირველ გულსა დებულმა,
და მე კახმან ვინმე მწერალმან მდივნობით სახელდებულმა“.[1]

ანდერძში, რომელიც დართული აქვს ხელნაწერს, ვკითხულობთ: „...აწე მენება და სურვიელ ვიყავ, ვეძიებდი მრავალგზის, ვითარცა ხელთ მეგდო. ოდეს ვპოვე მე, ყოველთა უსიტყველთა უნაკლულესმან და კეთილთა მეტყველთა აჩრდილთაცა მიბაძვად არა ღირსმჩენელმან, ძემან კახეთის მდივნისამან და თვით მდივანმან ონანამ, გავლექსე მათ მიჯნურთა სატრფიალონი ამბად ნათქვამნი, რომელი არს ამბავნი მათნი კაცთა ერობისა მახალისებელი“.[2]

„მწიგნობარს მართებს მეფეთ წინ დაჩოქილითა წერანი,
აღარსად მამხედა ტყეექმნილსა, რა ვირგო მე აწე რანი.
მოეშორდი საგაზ[რ]დილოსა, სახლი მაქვს ოხერ-ვერანი,
და აწ მმართებს მისსა მგონესა ძაძა და ამოწერანი...

ვიწყევ ამ წიგნის გალექსვა, ვიქმენ აშტარხანს რებული,
შევამკევ ტკბილად სიტყვანი, რაც მქონდა გულსა დებული.
კახეთით კიდეგან ვქმნილვარ, კვლავ კიდევ იმედებული,
და ონანად მიხმეთ, იქ ვიყავ მდივნობით სახელდებული“.[3]

საქართველოს მუზეუმის H ფონდის 2116 ხელნაწერში („არჩილიანი“), შეტანილია ონანას ანბანთქების ორი სტროფი და წინ ასეთი სტრიქონები აქვს წამძღვარებული: „ეს ორი ანბანშერეული ლექსი აშტარხანსა ვსთქვი მე, მდივანმა ონანამ, ამ ორის პირველის ლექსის მიბაძვით, მაგრამ მსგავსი მათი ვერ მოვიყვანე და ერთი შუამბრუებული ლექსი იქით პირზედ დამიწერია“. მეორე

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 1613, გვ. 144.
[2] იქვე, გვ. 148.
[3] იქვე, გვ. 147—148.

ფურცელზე (163r) კი სწერია: „ეს ლექსიც იმათის მიბაძვით ვსთქვი, ვითარმედ ჩაიკითხოთ ესრეთ ამოიკითხეთ“.[1]

ონანას შესახებ ცნობას გვაწვდის მამუკა ბარათაშვილიც: „ჯიმშედიანის“ ბოლოს მოთავსებულია ონანას ანბანთქება სათაურით: „ონანა კახი მდივნისა.“[2]

ონანას პოეტთა შორის ასახელებს დავით გურამიშვილი:

„შოთა მღერს, მეფე თემურაზ, არჩილ მოსძახის ძმურება,
მეფე ვახტანგ და იაკობ დაბლა ზილს მოეტკბურება,
ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი, ონანა ბანს ეშურება,
დრვინვენ ყარან და მამუკა, მე მსურის მათი ყურება.“[3]

ონანას ვინაობის შესახებ ცნობებს გვაწვდის თელავის სემინარიის რექტორი, პოეტი და ცნობილი კალიგრაფი, დავით ალექსიშვილი. ხელნაწერში (S 1512), რომელიც დავით რექტორის მიერაა გადაწერილი, შეტანილია ონანას ანბანთქება ასეთი სათაურით: „ანბანთქება თქმული კახის მდივნის ქობულოვის ონანასაგან.“ იქვე: „ანბანთქება კახის მდივნის ონანასაგან თქმული, რომელმანც რომ ბარამისა და გულიჯანის ანბავი გალექსა.“[4]

ასეთი სათაურები შიგადაშიგაც გვხვდება, ბოლოს კი შემდეგი მინაწერი აქვს: „ამ კახის მდივნის ონანასაგან წიგნი გაკეთებული და გალექსილია „ვეფხისტყაოსნის“ გვარზედ და ეს ანბანით გალექსვა იმ წიგნის არშიაზედ დაეწერა, საცა მუნასიბად დაეხელებინა. მე აქ ერთად დავსწერე, ხოლო წიგნსა მას ეწოდების სახელად „ბარამგულიჯანიანი.“ შემდეგ კვლავ მითითებაა ონანაზე: „ანბანთქება, თქმული კახის მდივნის თავადის ქობულოვის ონანასაგან.“[5]

ონანას ასახელებს საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის № 396 ხელნაწერი, რომელიც ლექსთა კრებულს წარმოადგენს.

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, H 2116, ფ. 162r. ეს შუამბრუებული ლექსი თავის ფორმით საინტერესოა და მოგვაქვს აქვე:

„ესერა მსურის სიმდაბლე ელბადმის სირუსმ არესე,
ესერა პირსა მომხადა ადახმომ ასრიპ არესე.
ესერა ვაკეს სიმაღლით თიღლამის ეკავ არესე,
და ესერა კრავი უფლისა ასილფუ ივარკ არესე.“ (იქვე, ფ. 163r).

[2] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 390, გვ. 145.
დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1948, გვ. 16.

[4] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 1512, ფ. 27r.

[5] იქვე, ფ. 39v.

დავით რექტორის ცნობაზე დაყრდნობით კ. კეკელიძე ონანას ვინაობის შესახებ შემდეგს წერს: ონანა, ძე კახეთის მდივნისა და თვით მდივანი, ვახტანგ მეფეს გაჰყოლია რუსეთს; ეს იყო თავადიშვილი, გვარად ქობულაშვილი. ჩანს, ამ გვარში მდივნობა მემკვიდრეობითი თანამდებობა ყოფილა. ონანას გარდა მდივანი ყოფილა მისი მამა, აგრეთვე სვიმონი და დავითი.“ [1]

ამგვარად, კ. კეკელიძეს ონანა მიაჩნია თავად ქობულაშვილად. ჯერჯერობით ეს აზრია განმტკიცებული.

იმავეს იმეორებდა ალ. ბარამიძე: „ონანა მდივანი ქობულაშვილი ვახტანგის კარის მდივანი იყო და თან ახლდა რუსეთში“. [2] მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბეში, X-B, გვ. 133—140, დაიბეჭდა გ. ჯაკობიას წერილი. ავტორი არ იზიარებდა მოსაზრებას ონანას ქობულაშვილობის შესახებ. ამის შემდეგ ალ. ბარამიძემ თავის ნარკვევების პირველი ტომის მეორე გამოცემაში ონანას გვარი ქობულაშვილი აღარ შეიტანა და იგი მდივნობით მოიხსენია: „ონანა მდივანი იყო ვახტანგის კარის მდივანი, რომელიც მეფეს თან ახლდა რუსეთში.“ [3]

ამგვარად, ონანას ქობულაშვილობა ასე თუ ისე საეჭვო შეიქნა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, საკუთარი მოსაზრება გამოთქვა ამ საკითხზე გ. ჯაკობიამ. იგი წერდა: „მართალია,... ონანა თავის თავს მდივანს უწოდებს, ასევე გადმოგვცემს მის შესახებ დავით რექტორი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს ცნობა არ დასტურდება (თუმცა არც საწინააღმდეგო). საქმე იმაშია, რომ ჩვენამდე არ მოულწევია არც ერთ ისტორიულ საბუთს, რომელშიაც ონანა მდივნად იყოს დამოწმებული (ჩვენ მხედველობაში გვაქვს მის მიერ ხელმოწერილი საბუთი ან ასეთის ასლი).“ [4] სტატიის ავტორი შემდეგ ჩამოთვლის ვახტანგის მდივნებს და მათ შორის ვერ პოულობს ონანას სახელს, მაგრამ მიუთითებს ერთ-ერთი ისტორიული საბუთის ირიბ დამოწმებაზე. ეს საბუთია გურამ და ფარემუზ გურამიშვილების განჩინების წიგნი, რომელშიც ნახსენებია ონანა მდივანი: „გურამიანთ გურამს და ფარემუზს ერთმანეთთან საჩი-

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 368.

[2] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1932, ტ. I, გვ. 302.

[3] მისივე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1945, ტ. I, გვ. 348.

[4] გ. ჯაკობია, ონანა მდივნისათვის, საქ. მუზეუმის მოამბე, X—B, გვ. 138.

ვარი და სარჩიელი ჰქონდათ და ხანთან იჩივლეს. ხანმან ჩუენ სახლის უხუცეს რევაზს და მდივანს ონანას გვიბრძანა, ერთს ალაგს დასხედითო და ეფისკოპოსთა და თავადებსა და საპატიო კაცთ[ა] ზემო თარაფისა, ყველა მობრძანდნენ და, რასაც ჩვენი გუნება მისწუდებოდა, სამართალი ვქენით... (საქ. სიძველენი, III, გვ. 418)". [1]

ეს განჩინების წიგნი გამომცემელს ე. თაყაიშვილს დაუთარიღებია 1730—1735 წლებით. ამის გამო წერილის ავტორი ფიქრობს, რომ საბუთში მოხსენებული მდივანი ონანა სწორედ პოეტი ონანაა. ამ საბუთის გარდა, სხვა რაიმე ისტორიული საბუთის მოპოვება არ მოხერხებულა და გ. ჯაკობია დაასკვნის: „ეს არის და ესო".

ონანას ქობულაშვილობაც საეჭვოდ მიაჩდა გ. ჯაკობიას. დავით რექტორის ცნობის სისწორეში მკვლევარი დაუეჭვებია ჯვრის მონასტრის აღაპებს, რომლებიც ნ. მარის მიერ არის გამოცემული 1914 წელს. აღაპებიდან გ. ჯაკობიას მოაქვს ერთი ადგილი:

„მოიხსენე: უფალო: ყველანი: მართმადიდებელნი: კახნი:
ამბა: ალავერდელი: ნიკოლოზ:...
ჩოლოყაშვილი: სახლთხუცესი: დურმიშხან:...
ენდრონიკაშვილი: ქისიყის: მოურავი: რევაზ:
ჯანდიერიშვილი: მდივანბეგი:
პაატა: მეუღლე: მისი: ძე: და: ასული:
ძმანი: მისნი: მანუჩარ: და: ჯარდან:
თარხანი: ასლან: მეუღლით: და: ძით:
მდივანი: ონანა: ყოფილა: იობ:
მეუღლე: მისი: მანიჟა:
ძენი: მისნი: თამაზ: ზურაბ:-..." [გვ. XXI—XXII].

ამ სიიდან მკვლევარი დაასკვნის: „ამ ჩანაწერებში გვარებს ქვეშ მოცემულია პირთა სახელები (მოხსენებული არიან ჩოლოყაშვილნი, ჩერქეზიშვილნი, რუსიშვილნი და სხვ.) ჩვენი ონანა მოთავსებულია ჯანდიერიშვილთა შორის. ისიც ირკვევა, რომ ბოლო ხანებში ონანა ბერად აღკვეცილა და სახელად მიუღია იობი (აკად. ნ. მარი ხსენებულ გამოცემის საკუთარ სახელთა ინდექსში ასე განმარტავს: „იობ, ონანა მდივანი ყოფილი," 85). ძნელია, არ

[1] გ. ჯ ა კ ო ბ ი ა, ონანა მდივნისათვის, საქ. მუზეუმის მოამბე, X—B, გვ. 139.

ვენდოთ დავით რექტორს, მაგრამ უფრო ძნელია არ დავუჯეროთ აღაპებს—იქ კი ონანა ჯანდიერიშვილად მოჩანს". [1]

ონანას გვარის დასაზუსტებლად მკვლევარს გადაუთვალიერებია პ. ინგოროყვას მიერ რუსეთიდან ჩამოტანილი ვახტანგის ამალის სია, მაგრამ სანუგეშო აქაც არაფერი აღმოჩენილა. ნუსხაში ქართულად სწერია: „კახთ თავადი ონანა გიორგის შვილი" და მის გასწვრივ რუსულად: „Князь Онана Диванов".

აი, ყველაფერი ის რაც დღემდე თქმულა ონანას ვინაობის შესახებ ლიტერატურულ ძეგლებსა და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

რა შეიძლება ითქვას გ. ჯაკობიას მოსაზრებათა შესახებ.

საბუთი რომელშიც ონანა მდივანია მოხსენებული, ე. თაყაიშვილის მიერ დათარიღებულია 1730—1735 წლებით. წერილის ავტორიც ამ თარიღს იზიარებს. ცხადია, ან საბუთში მოხსენებული ონანა მდივანი არაა პოეტი ონანა, ანდა ეს საბუთი უფრო ადრინდელია, რადგანაც ონანა ჯერ კიდევ 1724 წელს გაჰყვა ვახტანგ მეექვსეს რუსეთში. ყოველ შემთხვევაში, იგი 1726 წელს ასტრახანშია (ამას არც გ. ჯაკობია უარყოფს), საბუთი კი საქართველოშია შედგენილი და ამბავიც, რომელიც საბუთშია აღწერილი, საქართველოშია მომხდარი.

ახლა ონანას გვარის შესახებ.

გ. ჯაკობიას ონანა ჯანდიერიშვილი ჰგონია იმის გამო, რომ ჯვრის მონასტრის აღაპებში იგი თითქოს ჯანდიერიშვილთა შორის არის მოთავსებული. მაგრამ არც ეს მოსაზრება არის დამაჯერებელი. ჯანდიერიშვილებად აღაპებში შეტანილი არიან: მდივანბეგი პაატა, მეუღლე მისი, ძე და ასული, ძმანი მისნი: მანუჩარ და ჯარდან. შემდეგ კი დასახელებულია თარხანი ასლან, მეუღლით და ძით. რა თქმა უნდა, თარხანი ასლან ჯანდიერიშვილი არაა. იგი თარხანია, თარხანი რომ გვარია, ამის დასადასტურებლად შეიძლება დავიმოწმოთ 1678 წლის 6 ენკენისთვისა და 1720 წლის სიგელები. 1678 წლის სიგელში თარხანადაა მოხსენებული დიდი მოურავის შვილიშვილი გიორგი. საბუთს ბოლოში უზის ბეჭედი: „გიორგი თარხანი" [2].

1720 წლის სიგელში, რომელიც გაცემულია დიდი მოურავის გ. სააკაძის შვილიშვილის ბეჟანის მიერ, ვკითხულობთ: „ესე წყა-

[1] გ. ჯაკობია, ონანა მდივნისათვის, საქართველოს მუზეუმის მოამბე, X—B, გვ. 139.

[2] საქართველოს მუზეუმის Sd ფონდის № 63 სიგელი.

ლობისა: და: სითარხნისა: წიგნი: და: პიროპა: გიბოძეთ: ჩვენ: დიდის: მოურავის: შვილიშვილმა: ბატონმა: თარხანმან: ბეჟან: ჩემ[მ]ა: ბიძაშვილმან: ზაალ: და: ჩემ[მ]ა: ძმამა: ლუარსაბ: შვილმან: და: მომავალმან: სახლის: ჩვენისამან: თქვენ: ახალქალაქელს: გალუსტაშვილს". [1]

ამგვარად, რაკი თარხანი გვარია, ასლან თარხანი ჯანდიერიშვილი არაა. მით უმეტეს, ვერ იქნებიან ჯანდიერიშვილები სიაში ასლან თარხანის ქვევით შეტანილი პირები: მდივანი ონანა, მეუღლე მისი მანიჟა და მისი ძენი თამაზ და ზურაბ. ამრიგად, ონანა აქ გვარით არაა შეტანილი, არამედ მისი მდივნობაა ხაზგასმული, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ასეთსა და სხვა შემთხვევაში. ონანას ბერად შედგომის ფაქტიც ძლიერ საეჭვოა და იგი სხვაგან არსადაა ნახსენები.

ონანა მდივნის ბიოგრაფიულ მასალებზე მუშაობისას აღმოჩნდა რამდენიმე საბუთი, რომლებიც ნაწილობრივ მაინც ნათელს შეიტანს ონანას ვინაობის საკითხის გარკვევაში.

პირველად ონანას მდივნობის შესახებ: ონანა რომ მდივანია, ამას მტკიცება არ სჭირდება, რადგანაც ამ ფაქტს თვით ისიც რამდენიმე ადგილზე უსვამს ხაზს. საინტერესო იყო დაგვეძებნა ონანას მიერ დაწერილი საბუთი ან მისი ასლი. ასეთი საბუთები მართლაც აღმოჩდა.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის $№\frac{1450}{229}$ ფონდში აღმოჩნდა ონანა მდივნის მიერ დაწერილი ოთხი საბუთის ასლი. საბუთების პირები გადაწერილია 1820 წელს საქართველოს უზენაესი მართებლობის ბრძანებით. პირველი სიგელი შედგენილია 1712 წ., მეორე 1714 წ., მესამე 1722 წ. და მეოთხე 1723 წელს.

პირველი სიგელი გაცემულია ერეკლე პირველის, ნაზარალიხანის, შვილის თეიმურაზის (შემდეგში თეიმურაზ მეორე) მიერ: „ჩვენ მეფეთ მეფეთ ხელმწიფეთ ძემან და თვით კახეთის მპყრობელ ვანგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან თეიმურაზ და დედამან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ბატონმან ანნამ... წესითა ამით დაგიმტკიცეთ..." [1]

თეიმურაზი ამ წყალობის სიგელს აძლევს ყმას—როსების შვილს მაყას, მის ძმას პაატას, ძმისწულს გიორგის და მაყას შვილებს: პაპუას, მინაზარს და როსებს. სიგელი ასე მთავრდება: „დაიწერა

[1] საქართველოს მუზეუმის Hd ფონდის № 10550 სიგელი.

ბრძანება ესე ჩვენი ენკენისთვის ვ, ხელით კარის ჩვენისა მდივან მწიგნობრის შვილის ონანასითა ქორონიკონს უ.“ [1]

მეორე სიგელიც თეიმურაზის მიერაა გაცემული: „ნებითა, შეწევნითა ღმრთისათა ესე უკუნისამდე სამკუიდროდ და საბოლოოდ გამოსაღეგი მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი ამისად ნიშნად გიბოძეთ ჩვენ, ღვთივ ზეცით გვირგვინოსანთა და ღვთივ ზეცით ამაღლებულთ ხელმწიფეთ ძემან და თვით კახეთის მპყრობელ განმგებელმან ბატონის შვილმან პატრონმან თეიმურაზ და დედამან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ანნამ და თანამემცხედრემან ჩვენმან ქართველთა მეფეთა ასულმან ბატონის შვილმან თამარ შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ ჩვენთა ერთგულთა და წესისამებრ თავდადებით ნამსახურთ როშაქის შვილებს: ჭიაურთ მოურავს პაატას, გოშფარს, ზურაბს და დავითს... ჭიაურში ალმასშვილი ზურაბა, ტანტიკოსშვილი ასლაჯ, ამალასშვილი და ჯანყულისშვილი და სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ ყოვლისფრით, რისაც მქონებელი ყოფილიყვნენ და ან დღეს იყვნენ სახლითა, კარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, სახნავითა, სათესითა, მთითა და ბარითა და ყოვლის მისის სამართლიანის საქმით ქონდესთ და გიბედნიეროს ღმერთმან“. სიგელი ამგვარად მთავრდება: „დაიწერა წიგნი ესე გიორგობისთვის სამს დამდექს ხელითა კარის ჩვენის მდივან-მწიგნობრის ონანასითა ქორონიკონს უბ.“ [2]

მესამე სიგელი გაცემულია კახეთის მეფის კონსტანტინეს მიერ: „ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ესე ამიერი უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობისა წიგნი, სიგელი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ,... მეფეთ მეფემან და თვით ხელმწიფემან პატრონმან კონსტანტინემ და თანამეცხედრემან ჩვენმან... დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ფერიჯან ბეგუმ... შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერთგულთა და წესისაებრ მრავალგვარად თავდადებით ნამსახურსა: გარაყანიძეს ზაზასა, ბიძაშვილსა შენსა მანუჩარს, ძმასა შენსა გიორგის, შვილსა შენსა ქაიხოსროს და მამუკას, ძმისწულსა შენსა ფარემუზს და ბიძაშვილსა შენსა რევაზს... სამკვიდრო და საჯილდოოდ ნაშოვნი სოფელი ბიწმენი. საყმოდ და სამკვიდროდ მჭედლისშვილები რამ-

[1] საქართველოს ცენტრ. საისტორიო არქივი, ფონდი № 1450/229 დავთ. № 32, საბუთი № 12.

[2] იქვე, დავთარი № 32, საბუთი № 314.

თენიც განაყოფი იყოს და ასრევე ზეობრიძეები და ასრევე სუხიაშვილები და სხვა, რაც კათალიკოზის სახასო იყოს". ეს სიგელიც ონანას მიერაა დაწერილი: „დაიწერა დავთრათი ესე ენკენისთვის **ი3** გასულს ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა ონანასით". [1]

მეოთხე საბუთიც კონსტანტინეს მიერაა გაცემული. იგი ამ წყალობის სიგელს აძლევს თავის ერთგულ დიდებულებს: „...წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და წესისამებრ მრავალფერად თავდადებით ნამსახურთა, ჩვენის მორჩმისა და შემომატების მომჭირნეს, დიდგვართა და დიდებულთა ჩვენთა ციციშვილს ედიშერს და შვილსა თქუენსა ქაიხოსროს, ელიზბარს, დავითს,... შენი სამკვიდრო სადგური გუჯარეთ ბაგინეთი, რეხა, სკრა და ზენაფლასი, წედისი, ვეძისი, ოძისი, უპიტისი და ჩრდილოეთი თავყელოსშვილები, ოფრეთი და სამწევრისი და ატენს ტლაშები". ბოლოს აღნიშნულია მდივან-მწიგნობრის ვინაობა: „დაიწერა წიგნი ესე ბრძანებითა ჩვენითა მარტის იე გასულს, ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის ონანასითა.... დამტკიცდა წიგნი ესე ქორონიკონსა **უეა**..." [2]

იმის შესახებ, რომ აღნიშნული პირები ზუსტად არის გადმოღებული დედნებიდან და გადაწერის დროს ასოც კი არაა შეცვლილი, ცნობას გვაწვდის № 17 დავთრის საბუთი № 158: „ამისი ასლი ვნახე და გადმოვწერე მე კოლე[ქ]სკი ასესორმა თავადმა სვიმონ გაბაონელმა". „ასლთან თანასწორი არის, რომ ერთი ასო არც მეტი არის და არც ნაკლები, რომელიც თვით მე წავიკითხე და შევამოწმე, ასლს ამაზედა სხედს ბეჭედი მეფის კონსტანტინესი, დედოფლის ფერიჯან ბეგუმისა და რიზა ყული მირზასი, როგორადაც ამაზე ეს ბეჭდები სხედს, ეგრეთვე ასლზედ ნამდვილი ბეჭდები არის. აქ წერილითა სწერია და ასლზედ ბეჭდები ისხდა ამაში ეჭვი არა არის რა. ნადეორნი სოვეტნიკი თავადი ოთარ ჭობულოვი." [3]. ამ სიგელის პირის სისწორეს ადასტურებენ აგრეთვე: თავადი მელიქოვი, მინბაში სოლომონ, თავადი ელიაზარ ფალავანდოვი, თავადი სუმბათოვი და სხვ.

ამგვარად, აქ მოტანილი საბუთების მიხედვით შეიძლება დად-

---

[1] საქართველოს ცენტრ. საისტორიო არქივი, ფ. № $\frac{1450}{229}$, დავთარი № 32, საბუთი № 314.

[2] იქვე, დავთარი № 32, საბუთი № 251.

[3] იქვე, დავთარი № 17, საბუთი № 158.

გენილ იქნას: 1. ონანა არის კახეთის სამეფო კარის მდივანი; 2. სიგელებზე აღნიშნული თარიღების მიხედვით იგი კახეთის მეფის კარზე იმყოფება 1712—1723 წლებში; 3. მეოთხე სიგელში (1723 წ.) კონსტანტინე თავის თავს უწოდებს ქართლისა და კახეთის მპყრობელს. ჩანს, ამ დროს ვახტანგს ქართლი ჩამორთმეული აქვს და მას ეპატრონება კონსტანტინე.

ზევით მოტანილ არც ერთ სიგელში ონანა გვარით არაა მოხსენებული. იგი მდივან-მწიგნობრის თანამდებობითაა დასახელებული.

რა გვარია მაინც ონანა მდივანი?

ამ საკითხზე ჩვენ მიერ მიკვლეულმა საბუთებმა შეიძლება მხოლოდ განამტკიცოს აზრი ონანას ქობულაშვილობის შესახებ. ამ გვარით პირველად მას იხსენიებს დავით რექტორი. საჭიროა აღნიშნულის დამადასტურებელი საბუთი. ასეთი რამ მართლაც აღმოჩნდა საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, ფონდი № 213, საქმე № 149. ამ ნომრით დაცულია თბილისის კეთილშობილთა დეპუტატების საკრებულოს საქმე; რომელიც ასეა დასათაურებული: „Дело Тифлисского Дворянского Депутатского Собрания по прошению Телавского уезда майора князя Евгения Давидова сына Кобулова, о признании его с родственниками в княжеском достойнстве“ [1].

საქმე დაწყებულა 1820 წლის 10 სექტემბერს. საქმეში რამდენიმე ფურცელია შეკინძული. პირველი ფურცელი ევგენი ქობულოვის მოხსენებაა ქართულ ენაზე:

„საქართველოს კეთილშობილთ დეპუტატთ შეკრებილებასა შინა
თელავის უეზდის თავადის დავითის ძის მაიორის ევგენ
ქობულოვის მიერ

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

ძველთა თავადობისა და გვართა ჩემთათვის წარმოუდგენ წყალობის ღრამატას ამა დეპუტატთ შეკრებილებას ერთსა — დიდის მეფე ირაკლის ღრამატას და მეორეს—განსვენებულის მეფე ერეკლეს ღრამატას, რომელიცა არის დამტკიცებული განსვენებულის მეფე გიორგის მიერ და ამასთანავე თელავის უეზდის მარშალის და თორმეტთა ჩინოვნიკთა და პატივცემულთა თავადთა და კეთილშობილთა გვამთაგან მოწმობას და აგრეთვე როდოსლოვიას ჩემსა და ბიძაშვილთა ჩემთასა. სახლეულთ სია, როგორათაც ჩემი და

[1] ამ საქმეზე მიმითითა ს. კაკაბაძემ, რომელსაც მადლობას მოვახსენებ

ძმისა ჩემისა კოლეჟსკის სოვეტნიკის ოთარ ქობულოვისა, აგრეთვე ბიძაშვილების ჩემისა თავად თამაზს, იოვანე, დიმიტრი, სვიმონ, გიორგი და დიმიტრი ქობულოვთი არის წარმომდგარი უფლის თელავის უეზდის მარშლის პარუდჩიკის თავადის აბელ ჩოლაყოვის მიერ; რომელთა შინა იხილვების ძველი თავადობა და გვაროვნება ჩემი, როგორათაც ამა ღრამოტებსა და მოწმობასა შინა ეგრეთვე განსვენებულის მეფე ირაკლის მიერ მირთმეულს სახსოვარს იმპერატრიცა ეკატერინესთან ტრახტატსა შინა, ჩუპგ წელსა, ივნისის კდ დღესა, არს ხსენებული თავადობა და გვაროვნება წინაპართა ჩემთა და ამისთვის ვსთხოვ უმდაბლესად ამა დეპუტატთ შეკრებილებას, რათა გვარი ჩემი ბიძაშვილებითურთ ჩემით შეტანილი იქნას ჯეროვანსა ნაწილსა შინა გვარშთამოებისა წიგნისასა. ამასთანავე ვალად ჩემდა ვრაცხ, მოვახსენებ შეკრებილებასა ამას, რომელ გვარი ჩვენი ძველთა და წარჩინებულთა მთავართა და თავადთა შორის აღმოჩენილ არს ნამდვილსა ქართლის ცხოვრებასა შინა.

მაიორი თავადი ევგენი ქობულოვი. [1]

ამ განცხადებას მაიორი ე. ქობულოვი თან ურთავს რუსულად თარგმნილს ერეკლე პირველის მიერ გაცემულ სიგელს. ერეკლე პირველი ამ სიგელით აჯილდოებს თავის ერთგულ მდივანს ონანას: „Мы Есеев Давидов Соломонов царя царей Теймураза первородного и любезного сына царя Давида сын — сам царь Ираклий... ... милостивое письмо и грамоту помиловав вам нашему верному и не щадя себя заслуженному подданному м д и в а н у О н а н у и сыну вашему Тамазу, Зурабу, Георгию, Николаю, Дмитрию, Гургену и Мамуке, пожаловав всем Кизиль-Углуни на том основании, как имел его царевич Луарсаб, и как он брал панабаши или сабалахо все без изъятия и чтоб нашим чиновникам не входить туда.“ [2]

სიგელი დაწერილია მდივნის დაით ჯაფარიძის ხელით 1687 წლის ზაფხულში, თუმცა სიგელს დაწერის თარიღად მითითებული აქვს 1677 წელი; ეს მთარგმნელის შეცდომა უნდა იყოს. დედანში იქნებოდა ქრონიკონი ტოე, რაც მთარგმნელმა ტჲე-დ მიიჩნია და მიიღო 1677 წელი.


აღნიშნული საბუთიდან ირკვევა, რომ ონანა ერთგული მსახუ-

[1] საქართველოს ცენტრ. სახისტორიო არქივი, ფ. № 213, საქმე № 149.

[2] იქვე.

რია სამეფო კარის, რომ იგი ამ წლისათვის უკვე მდივანია და ჰყავს შვიდი შვილი.[1]

დასახელებულ საქმეში აღმოჩნდა ქობულაშვილების გვარის გენეალოგიური სქემა, რომელიც იწყება თავად ქობულით და მეექვსე ადგილზე დასახელებულია მდივანი ონანა შვილებითურთ.



არსებული საბუთებიდან ირკვევა შემდეგი: ონანა წარმოშობით კახეთიდანაა, გვარად ქობულაშვილი, ერეკლე პირველის და შემდეგში მისი შვილების თეიმურაზისა და კონსტანტინეს კარის მდივანია. თუ ეს ასეა, მაშინ ონანა უკვე ხნიერია, როდესაც ვახტანგ მეექვსეს მიჰყვება რუსეთში. 1687 წელს ის უკვე მდივანია და ჰყავს რამდენიმე შვილი. იგი ამ წელს 30 წლის მაინცაა და 1724 წლისათვის 67 წლის იქნებოდა.

რადგან ონანა ვახტანგს ვაჰყვა რუსეთში, იგი შეტანილი უნდა იყოს ვახტანგის ამალის სიაში თავის გვარით, მაგრამ, როგორც გ. ჯაკობაია წერდა, იქ მხოლოდ ეს სწერია: „კახთ თავადი ონანა გიორგის შვილი“ ამის გასწვრივ რუსულად: „Князь Онана Диванов“.[2]

ამგვარად, ონანა აქ გვარით არაა დასახელებული.

---

[1] შვიდი შვილის ყოლის ამბავი სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს, რადგანაც ისინი ქობულაშვილების გვარის გენეალოგიურ სიაში შეტანილი არ არიან. იქ მხოლოდ ონანას სამი შვილია დასახელებული, სახელდობრ: თამაზი, ზურაბი და დიმიტრი. საყურადღებოა, რომ ჯვრის მონასტრის აღაპებშიც ონანას შვილებად დასახელებულია მხოლოდ თამაზი და ზურაბი. შეიძლება სიგელის მთარგმნელმა ონანას ახლო ნათესავები შვილებად მიიჩნია.

[2] გ. ჯაკობაია, ონანა მდივნისათვის, საქ. მუზეუმის მოამბე. X—B, გვ. 139,

ცნობილია, რომ რუსეთის მმართველობამ 1737 წელს შეადგინა ვახტანგის ამალის სია. ამ სიის პირი ამჟამად დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში, Ros. 316, ეს საქმე ასეა დასათაურებული: „Переписка грузинского царя Вахтанга (VI-го) и царевичей: Бакара, Вахушта, царицы Русудан и других лиц с графом Сем. Андр. Салтыковым (1734—1737 г. г.)." ამ საბუთში ბაქარის ამალის სიაში შეტანილია მდივანი ონანა: „Секретарь князь Онана Тангулов." [1] და იქვეა მითითებული მისი გარდაცვალების წელიც, 1728. საფიქრებელია, რომ ეს ჩვენი მწერალი ონანაა. საეჭვოა მხოლოდ ორი რამ: 1. რატომაა ონანა შეტანილი სიაში თანგულაშვილად; 2. საიდანაა თანგულოვი-თანგულაშვილი თავადი, როდესაც თანგულაშვილები თავადები არასოდეს ყოფილან." [2]

ონანას თანგულაშვილობასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: ონანას ამ გვარით იხსენიებს ერთი ხელნაწერი, რომელიც საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივშია დაცული. [3] ესაა ხელნაწერი ლექსების კრებული № 396. შედგება იგი 145 ფურცლისაგან. შედგენილია XIX საუკუნეში. [4] ამ კრებულის 10v, 38v და 39r გვერდებზე შეტანილია ონანა მდივნის სამი ანბანთქება. პირველი და მეორე თითო სტროფისაგან შედგება და სათაური პირველს ასეთი აქვს: „მისვე მდივნის კახის ონანასაგან ნათქუამია," მეორეს:—„მისვე კახის ონანასაგან თქმული ჩახრიხაურად." მესამე ანბანთქება სამსტროფიანია და ასეა დასათაურებული: „კახის მდივნის ონანასაგან არის ნათქუამი გვარად ვიდრემე თაგულაშვილისა." [5]

როგორც შედარებამ დაადასტურა, ეს ანბანთქებანი კრებულის

---

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, Ros. 316, გვ. 69.

[2] თანგულაშვილები მეთვრამეტე საუკუნეში მართლაც ცხოვრობენ საქართველოში. ამის შესახებ ცნობას ვხვდებით საქ. ცენტრ. საისტორიო არქივში. ძმებს პავლე და დავით თანგულაშვილებს 1803 წელს ფიმოთეოსაგან ჯსესხებიათ ფული და ამის თაობაზე აძლევენ ვექსილს. თანგულაშვილები ქართველები არიან. ვექსილის ბოლოს სწერია: „ამ პავლეს და დავითის სიტყვით მე ამათს მოძღვარს მღვდელს დავითს დამიწერია და მოწმეცა ვარ" (დავთ. № 40, საბ. № 267).

[3] ცნობა ამის შესახებ 1949 წელს მომაწოდა ს. ყუბანეიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

[4] იხ. საქ. ცენტრ. საისტორიო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა.

[5] იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია. 1952. ტ. II, გვ. 313.

შემდგენელს გადმოწერილი უნდა ჰქონდეს დავით რექტორის მიერ შედგენილ კრებულიდან S 1512, მაგრამ საიდან გაჩნდა გვარი თაგულაშვილი, როდესაც იქ ამის მსგავსი არაფერი გვხვდება? ცხადია, № 396 კრებულის შემდგენელმა სრულიად არაფერი იცის ვახტანგის ამალის სიაზე და იქ დასახელებულ თანგულოვზე. ამ გვარის შესახებ მას აქვს სხვა ცნობა, რომელიც ჩვენთვის უცნობი წყაროდან მომდინარეობს. რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? თუ ამ ცნობებს მივიღებთ, გამოდის, რომ ონანა თანგულაშვილია. მაგრამ ჩვენ მიღრ მიკვლეული საბუთებითაც მტკიცდება ონანას ქობულაშვილობა. თანგულაშვილი ონანას ზედწოდება უნდა იყოს. შეიძლება ონანას მამას მეტ სახელად თანგულა ერქვა. ონანა რომ ქობულაშვილია, ამას ისიც ამტკიცებს, რომ იგი ვახტანგის ამალის სიაში (1734—1737 წ. წ.) თავადადაა მოხსენებული. იმედია, შემდგომი კვლევა უფრო მეტ ნათელს მოფენს ამ საკითხს.

როდის გარდაიცვალა ონანა მდივანი ქობულაშვილი? 1726 წელს ონანა ასტრახანშია და ლექსავს თავის „ბარამგულიჯანიანს". ამის შესახებ ცნობა გვაქვს ონანას ანდერძში, რომელიც მას „ბარამგულიჯანიანისათვის" დაურთავს: „ვიწყევ ამ წიგნის გალექსვა თებერვლის დამდეგს და დასრულდა გასულს აპრილს და დაწერით შესრულდა იე, მაისს ქორონიკონსა უიდ, ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოცდა ექვსსა, დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდი ათას ორას ოცდათოთხმეტსა"...

„ვიწყევ ამ წიგნის გალექსვა, ვიქმენ აშტარხანს რებული".[1]

ვახტანგის ამალის სიაში ონანას გარდაცვალების თარიღად მითითებულია 1728 წ. ამგვარად, ირკვევა რომ ონანა ასტრახანიდან მოსკოვს წასულა და იქ გარდაცვლილა კიდეც 71 წლის ასაკში.

საბოლოოდ გამოსარკვევი რჩება ერთი საკითხი: კახეთის მეფის მდივანი ონანა საიდანაა ასე დაახლოებული ქართლის მეფე ვახტანგთან? ცნობილია, რომ ვახტანგი ონანას თავისი კარის მონას უწოდებს: „მერმე უბრძანეთ მდივანსა, ჩვენსა კარისა მონასაო"— წერს იგი ერთგან ონანას შესახებ. რანაირად გახდა კონსტანტინესა და თეიმურაზის სამეფო კარის მდივანი ვახტანგ მეექვსის მონა და მის საქმეთა თანაზიარი?

დაკვირვებამ შეიძლება ასეთ მოსაზრებამდე მიგვიყვანოს და საქმე შემდეგნაირად წარმოგვიდგეს: ვახტანგსა და კახეთის მეფის კონსტანტინე მამად ყული ხანს შორის ერთხანს კეთილმეზობლური

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 1616, გვ. 148—149.

ურთიერთობა არსებობდა. ამ ურთიერთობას ამაგრებდა და ამტკიცებდა ისიც, რომ ვახტანგის ქალი თამარი ცოლად ჰყავდა კონსტანტინეს ძმას თეიმურაზს. როგორც ჩანს, ამ კეთილმა ურთიერთობამ არ მისცა უფლება კონსტანტინეს დაუყოვნებლივ მიეღო ქართლი ვახტანგზე განაწყენებული ყეენისაგან და გაელაშქრა ვახტანგის წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგში შურიანი და ბოროტი პირების წყალობით კონსტანტინესა და ვახტანგს შორის უნდობლობა ჩამოვარდნილა და 1723 წლის გაზაფხულზე კახეთის მეფე კონსტანტინე ლეკების დაქირავებული ჯარით თავს დასხმია თბილისს და კიდევაც აუღია იგი. თუ ამ ისტორიულ ფაქტს გავითვალისწინებთ, შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: სანამ ვახტანგსა და კონსტანტინეს შორის კეთილი განწყობილება არსებობდა, ონანა ხშირად იყო ქართლის მეფის კარზე, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ვახტანგის საქმიანობაში და, როგორც პოეტი, ვახტანგის კარის მგოსანთა ჯგუფს ამშვენებდა.

ზევით მოტანილ სიგელებიდან ირკვევა, რომ ონანა 1712, 1714, 1722 და 1723 წლებში კახეთშია, 1717—1718 წლებში—ქართლში. ამ დროს მიუღია მას გასაწყობად „ქილილა და დამანა“ [1]. ხოლო 1723 წელს, როდესაც კონსტანტინე დაძრულა ქართლისაკენ, როგორც ჩანს, ონანაც ხლებია მეფეს და უკან აღარ გაბრუნებულა. შემდეგ, 1724 წლის 15 ივლისს, როდესაც მისი სათაყვანებელი მგოსანი-მეფე შორეული რუსეთის გზას დასდგომია, ისიც თან გაჰყოლია იმ იმედით, რომ მალე კვლავ საქართველოში დაბრუნდებოდა. როდესაც ვახტანგი ასტრახანიდან პეტერბურგისაკენ წავიდა, ონანა ვახტანგის ამალის სხვა წევრებთან ერთად ასტრახანში დარჩა და იქ ცხოველ ლიტერატურულ საქმიანობაში ჩაება. ამით ვამთავრებთ ამ წერილს.

შეიძლება დავასკვნათ:

1. ონანა არის კახელი, კახეთის მეფის მდივანი და მდივნის შვილი.

2. ონანა გვარად ქობულაშვილია, თავადია, მაგრამ, ჩანს, მას ჰქონია აგრეთვე ზედწოდება — თანგულაშვილი.

3. ჟამიდან-ჟამად ონანა ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის კარზე იმყოფება და მტკიცე კავშირი აქვს ქართლის კულტურულ წრეებთან. იგი ვახტანგის საქმიანობის თანამონაწილეა.

4. დაბადებულა ონანა 1657—1658 წლებში, გარდაცვლილა რუსეთში 1728 წელს.

---

[1] იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1941, ტ. II, გვ. 422.

დიმიტრი ვასილის-ძე სააკაძე

ქართული ემიგრანტული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია დიმიტრი ვასილის-ძე სააკაძე. ის დაბადებული უნდა იყოს XVII საუკუნის ბოლო წლებში. აქამდე მისი დაბადების თარიღად მიჩნეული იყო XVIII საუკუნის დასაწყისი[1], მაგრამ ამ თარიღის სისწორეში შეიძლება დაგვაეჭვოს ერთმა გარემოებამ: საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში აღმოჩნდა ორი ნასყიდობის სიგელი, შედგენილი დემეტრე სააკაძის მიერ. პირველს გერმანოზისშვილი პაატა აძლევს ნაზირს, ედიშერ შალიკაშვილს, და მის შვილებს დემეტრეს და დავითს. სიგელი ასე მთავრდება: „მე სააკაძეს დემეტრეს დამიწერია და მოწმეცა ვარ. დაიწერა მაისის ნახევარს გასულს, ქორონიკონს უა".[2] ამგვარად, სიგელი შედგენილია 1713 წელს. მეორე სიგელს ბერი ჭიჭაშვილი აძლევს ვახტანგ მეექვსის მდივანს, გივი თუმანიშვილს. სიგელის ბოლოს დასახელებულია შემდგენელი: „მე სააკაძე დემეტრეს დამიწერია და მოწმეცა ვარ. დაიწერა მაისს დამდეგს."[3] ოღონდაც ქორონიკონი არაა აღნიშნული და შემდეგ ჩამოთვლილია მოწმეები: მდივანი გიორგი, სააკაძე მერაბ და ასისთავი იაკობ.

ეს სიგელიც 1713 წლის ახლო ხანებში უნდა იყოს შედგენილი. ამრიგად, 1713 წელს სიგელის შემდგენელი XVIII საუკუნის დასაწყისში დაბადებული ვერ იქნება. ამიტომაც გვგონია, რომ დ. სააკაძე უნდა დაბადებულიყო XVII საუკუნის ბოლო წლებში.

დაბადებულა დიმიტრი სააკაძე ქართლის სოფელ ბობნავში. ბობნავს იგი თავის ლექსებშიც იხსენიებს:

„მაშინ იცნობთ, ბობნავშია როცა ნახავთ სააკაძეს."
ან: „მე მექადის ეს სოფელი, ველარ მიხვალ ბობნავშიო."

სოფელი ბობნაური გორის მახლობლადაა ტანას ხეობაში. იგი თავიდანვე სააკაძეთა სამფლობელო ყოფილა. ვახუშტი თავის აღწერაში ამ სოფელს რამდენჯერმე ასახელებს და უწოდებს მას ბობნავს.[4] „დანახვისი დგას მაღალს მთასა ზედა, ეკლესია წმინდის

---

[1] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, გვ. 462.

[2] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი № 229, დავთარი № 36, საბუთი № 128.

[3] იქვე, ფონდი № 229, დავთარი № 4, საბუთი № 183.

[4] ამჟამად ამ სოფელს ბობნევი ეწოდება. იხ. ო. ფირალიშვილი, ბობნევის მოხატულობა, 1952 წელი.

გიორგისა, მჭვრეტი ქართლისა. ამას ზეით მოერთვის ტანას ხევი დრისა, გამომდინარე რაზმითის მთისა; და არს მთა კალთათა ტყიანი, თხემთა უტყეო. აქა არს საფლავი ჯაფარისა. რომლისა სიგრძე ხუთი ადლი, და სცოცხლებდა ჟამსა როსტომ მეფისასა. ხოლო ბობნავს ზეით ერთვის ტანას ღუის-ხევი, გამომდინარე საცხენისის მთისა და ბობნავამდე ხეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი; მას ზეით მთური, ვიწრო და მაგარი, კლდიანი და ცხელი. კოშახური არს ტყედ. ბობნავს ზეით, ჩრდილო კერძ, არს ციხე კიკანათ ბერი.“ [1]

სიგელებშიაც ეს სოფელი ბობნავად იხსენიება, მაგ. ზურაბ სააკაძის მიერ ბახუტა სააკაძისადმი მიცემულ 1721 წლის ნასყიდობის სიგელში ვკითხულობთ: „...დაგვჭირდა და მოგყიდეთ ბობნავს მოკელიძის პაპუნას წილი ვენახი“.[2] მეორე სიგელშიაც, რომელიც გაცემულია 1726 წელს და რომელსაც ალიყულის შვილიშვილი ოტია საკაძე აძლევს იმავე ბახუტა საკაძეს, სწერია: „...ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ბობნავს ჩვენი საგლეხო მამული სამგულური“.[3]

დ. საკაძე ქართლის ცნობილი მოურავის გიორგი საკაძის ჩამომავალია.[4] ჩვენ მიერ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში მიკვლეული საქმე (ფონდი № 213, არქივის № 1168) ნათლად ადასტურებს ამას. ამის შესახებ ქვემოთ.

XVII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში სისხლიანი ტრაგედია გათამაშდა. ვახტანგ მეექვსე ირანში ყოფნის დროს კარგად გაეცნო ამ ქვეყნის სუსტ მხარეებს და, როდესაც საქართველოში დაბრუნდა, დაიწყო ზრუნვა ქვეყნის განთავისუფლებაზე. ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში მას ძლიერი დამხმარე და მოკავშირე სჭირდებოდა და ვახტანგმა თვალი მიაპყრო დიდ რუსეთს. რუსეთის მეფეც, პეტრე პირველი, მომხრე იყო რუსეთთან საქართველოს კავშირისა და ვახტანგს დახმარებასა და ირანის წინააღმდეგ გალაშქრებას პირდებოდა. მართლაც, დათქმულ იქნა ირანის წინააღმდეგ გალაშქრების ვადები. ვახტანგ მეფე ქართლის ჯარით განჯას ჩავიდა და აქ პეტრე პირველის

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941 წელი.

[2] საქართველოს მუზეუმის SḌ ფონდის № 663 სიგელი, იხ. საქ. სიძვ. II.

[3] იქვე, SḌ ფონდის № 690 სიგელი. იხ. საქ. სიძვ. II.

[4] ამასვე აღნიშნავს გ. ლეონიძე „დიდმოურავიანის“ წინასიტყვაობაში (გვ. XX) თუმცა საბუთები დასახელებული არა აქვს.

ჯარებს ელოდა, მაგრამ რუსეთი იძულებული გახდა ეს ლაშქრობა მომავალი წლისათვის გადაედგა. რუსეთის მეფესთან დიპლომატიური ურთიერთობა და კავშირი შეუმჩნეველი არ დარჩათ ირანისა და ოსმალეთის მმართველთ. ისინი ვახტანგს მოღალატედ თვლიდნენ და მისგან რუსეთთან კავშირის გაწყვეტას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაპყრობით ემუქრებოდნენ. ვახტანგმა არ შეასრულა ეს მოთხოვნა, რისთვისაც ირანის შაჰმა მას ქართლი ჩამოართვა და კახეთის მმართველს კონსტანტინეს მისცა. 1723 წელს კონსტანტინე ლეკთა ჯარით თავს დაესხა თბილისს, აიღო იგი და სასტიკად გაძარცვა. ამასობაში ოსმალთა ჯარებიც დაიძრნენ თბილისისაკენ და 1723 წლის ივნისში თბილისი უომრად დაიკავეს. თურქებმა ქართლში ოსმალური წესწყობილების შემოღება დაიწყეს.

ვახტანგი თავდადებით იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ბობნაველი და რუისელი სააკაძეები ვახტანგის მხარეზე იყვნენ და მტერს იგერიებდნენ, მაგრამ მტრის სიმრავლემ თავისი გაიტანა და ვახტანგი იძულებული გახდა 1724 წელს მახლობლებითა და დიდი ამალით რუსეთს წასულიყო. ვახტანგი მწვავე გულისტკივილით იგონებს ამ ამბავს: „...მერმე ურუმთ ჯარი ჩამოვიდა ქართლში და ჩვენ აღარ დაგვინდეს და საქართველოში ვეღარსად დავდექით, წამოვედით რუსეთის ხელმწიფესთანა.“ [1]

ვახტანგის ამალაში იყო მრავალი განათლებული პირი, რომლებიც ვახტანგის მიერ ქართლში წამოწყებულ კულტურულ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. ამ ამალაში შედიოდნენ სააკაძეებიც. „ვახტანგიანის“ ავტორი ამის შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის:

„დიდ მოურავთ შვილის-შვილი, ჯავახიანთ ორნი ძმანი,
ხუთნი შალიკაშვილები, მეფეთ მიჩნეულნი ყმანი.
ურბნელია გლურჯიძობით სხვა კიდევე მისი გვარნი,
და სააკაძე ღირსი ბერდ, სამი ძმა და განუყარნი“ [2].

ეს სტროფი და შემდეგში მოსკოვის ქართველთა კოლონიაში დ. სააკაძის მოღვაწეობა აძლევდა საბუთს კ. კეკელიძეს აღენიშნა: „თავადი დიმიტრი ვასილის-ძე სააკაძე, ერთ-ერთი იმ სააკაძეთაგანი, რომელიც „ვახტანგიანით“ ვახტანგ მეფეს გადაჰყვა რუ-

[1] საქართველოს მუზეუმის Sქ ფონდის № 2289 სიგელი.

[2] ვახტანგიანი, გვ. 192, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, ლიტერატურული ძიებანი, ტ. IV.

სეთში, საკმაოდ ცნობილი მწერალი ყოფილა მოსკოვის ქართულ კოლონიაში.“ [1]

დ. სააკაძის რუსეთში წასვლის თარიღის შესახებ იმავე მოსაზრებას გამოთქვამდა ტ. რუხაძე: „დიმიტრი სააკაძე ერთი იმათგანია, რომლებიც 1724 წელს ვახტანგ მეექვსეს გაჰყვნენ რუსეთში და იქ ემიგრანტთა წრეში მოღვაწეობდნენ“. [2]

ამგვარად, დღემდე დ. სააკაძე ვახტანგ მეექვსის ამალის წევრად მიაჩნდათ, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს ასე არ არის შემდეგ მოსაზრებათა გამო, ჯერ ერთი, ჩვენ გვაქვს სიგელი, რომელიც 1726 წელს არის შედგენილი საქართველოში და ამ სიგელში მოწმეთა შორის დასახელებულია დ. სააკაძე. სიგელში სოფელ ბობნაში მამულის გაყიდვის ამბავია გადმოცემული და ასე მთავრდება: „...არის ამის მოწამე თავად ღმერთი, კაცთაგან: სააკაძე დემეტრე, სააკაძე იორამ, სააკაძე თამაზა, სააკაძე პაპუნა, ჩემი ყმა კობერიძე ლაზარა; მე, მანუჩარ გლურჯიძეს, დამიწერია და მოწმეცა ვარ ამისი. დამიწერია ქრისტშობისთვის თ. ქორონიკონს **უიდ**“. [3]

ამ საბუთის მიხედვით დ. სააკაძე 1726 წელს საქართველოშია. მეორეცაა და, ვახტანგის ამალის 1724 წლის სიაში [4] დასახელებულია რამდენიმე სააკაძე, მაგრამ მათ შორის ვერ ვხვდებით დ. სააკაძეს. აქ დასახელებულია 1. სააკაძე ავთანდილ მერაბის შვილი, 2. სააკაძე ბაადურ და 3. სააკაძე ნიკოლოზ. ცხადია, ეს იმაზე მიუთითებს, რომ დ. სააკაძე არ ახლავს ვახტანგ მეექვსეს და იგი სხვა დროს ჩასულა რუსეთში. როდის უნდა ჩასულიყო მოსკოვში დ. სააკაძე?

ამ საკითხზე პასუხს იძლევა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი Ros. 316. ეს არის გრაფ სიმონ ანდრიას-ძე სალტიკოვთან მიმოწერა და სია ვახტანგის ამალისა. ამ ხელნაწერის გადათვალიერება გვარწმუნებს, რომ მოსკოვში ქართველთა კოლონიას ჟამიდან ჟამზე ემატებოდა ხალხი. ზოგი იქ ჩადიოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, ზოგი ასტრახანიდან და ზოგი საქართველოდან. მაგალითად, ამ ხელნაწერში ერთგან

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1952, ტ. II, გვ. 518.

[2] იხ. ტ. რუხაძე, მე-18 ს. ქართული ემიგრანტული პოეზიის ისტორიიდან, უნივ. შრომები, 1939, ტ. X, გვ. 119.

[3] საქ. მუზეუმის Sd ფონდის № 690 სიგელი, იხ. საქ. სიძვ. II.

[4] ამ სიის ფოტოპირი 1952 წელს ჩამოიტანა მოსკოვიდან ს. ყუბანეიშვილმა. სიით სარგებლობის ნებართვისათვის მას მადლობას მოვახსენებ.

ვკითხულობთ: „Да сего 1737 году прибыли вновь из Грузии духовные" და დასახელებულია შემდეგ ის პირები, რომლებიც ამ წელს ჩამოვიდნენ. ასეთი ადგილები ხშირად გვხვდება.

არის შემთხვევები რუსეთიდან საქართველოში წამოსვლისა. ასეთ შემთხვევაში სიაში ვკითხულობთ: „Отъехали в Грузию" და შემდეგ მითითებულია წამოსულთა რიცხვი. ამ სიის მიხედვით 1734 წელს საქართველოში წამოსულა 12 კაცი.

სიაში დასახელებულია რამდენიმე საკაძე: „Князь Баадур Саакадзев (გვ. 67). Князь Николай Саакадзев с княгинею и с двумя сыновьями (გვ. 69). Князь Ростом Саакадзев (გვ. 69), და ამავე სიაში გვხვდება ჩვენი საძიებელი პირიც: Дворянин Дмитрий Саакадзев; იქვე გვერდზე მითითებული აქვს მოსკოვში ჩასვლის წელი, 1734, და იქვეა ცნობა, რომ მას ხელფასად დანიშნული აქვს 20 მანეთი.[1] როგორც ამ სიიდან ჩანს, 1734 წელს მოსკოვში ჩასულა საკმაოდ დიდი ჯგუფი ქართველებისა, დაახლოებით 61 კაცი და ქალი. არაა ცნობილი, ესენი ერთად ჩავიდნენ, თუ ცალ-ცალკე ჯგუფებად. არც ის ჩანს, ყველა საქართველოდან ჩავიდა, თუ ზოგი მათგანი ადრევე ცხოვრობდა რუსეთის ტერიტორიაზე და ამ წელს მიაშურა მოსკოვის ქართველთა კოლონიას, მაგრამ ამ პირთა ვინაობა და მათი საქმიანობა ჩვენთვის ცნობილია. აი ვინ ჩასულა 1734 წელს მოსკოვში:

1. Князь Николай Соломонов с княгинею и с сыном; при нем служитель один, служительница одна. გრაფაში ныне на лицо სწერია 2, გრაფაში прибыли вновь 3. (გვ. 39).
2. Дворянин Дмитрий Саакадзев.
3. „ Гиви Кончиелов.
4. „ Петре Туркистанов.
5. Заза Лоладзев
6. Ключник Беро Борисов.
7. Ковачи Ростомов.
8. Мурада Мурадов.
9. Истопник Кочадзе Бежанов.
10. Повар Давид Давидов (გვ. 53).
11. Тарелочник Тамаза Патаров.
12. Лекарь Зураб Батинов.
13. Дворянин Николай Клипиев.

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, Ros. 316, გვ. 53.

14. Садовничий ученик Петр Аврамов (გვ. 55).

15. Дворянин Утруд Абазадзев, при нем служителей трое (ныне на лицо 3, прибыли вновь 1). (გვ. 59).

16. Дворянин Егор Глурджидзев с женою; при нем служитель один, служительница одна (ныне на лицо 1, прибыли вновь 3).

17. Купчина Папа Харитонов вдов, у него дочь, служитель и служительница (ныне на лицо 1, прибыли вновь 3).

18. Повар Адам с братом Ростомом Калабековы (ныне на лицо 1, прибыли вновь 3). (გვ. 61).

19. Служитель Алексей Немсадзев с женою и с сыном и служительницею (ныне на лицо 1, прибыли вновь 3). (გვ. 63).

20. Князь Иясе Цицыев с одним служителем (გვ. 67).

21. „ Папуна Салагов с одним служителем.

22. „ Ростом Саакадзев с одним служителем[1]. (გვ. 69).

23. Пареша Тамаза.

24. Петр Кончахадзев

25. Пареша Сежниев.

26. Коязнкочи Георгиев.

27. Далако Иванов.

28. Чирахчи Гаврилов (გვ. 77).

29. Дворянин Парсадан Херодинов.

30. Дворянин Бери Циметьдзев с женою, с сыном, дочерью, служителем и служительницею (ныне на лицо 1, прибыли вновь 5). (გვ. 81).

31. Дворянин Дмитрий Ревазов с матерью, братом Пираном с женою, с сыном да дочерью; при них служитель один, служительница одна (ныне на лицо 2, прибыли вновь 6). (გვ. 89).

32. Князь Давид Эристaвов с княгинею и с тремя дочерьми, служителей четыре, служительниц два (прибыли вновь 11). (გვ. 97).[2]

რამ აიძულა ეს პირები — დაეტოვებინათ საქართველო და თავშესაფარი მოსკოვში, ქართველთა კოლონიაში ეძებნათ? ამის მიზეზი ძნელი გამოსარკვევი არ იქნება, თუ იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობას გავითვალისწინებთ. ამის

[1] საყურადღებოა, რომ ეს როსტომ სააკაძეც არ გვხვდება ვახტანგის ამალის 1724 წლის სიაში.

[2] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, Ros. 316

შესახებ „საქართველოს ისტორიაში“ ვკითხულობთ: „მე-18 საუკუნის მეორე მეოთხედი ქართლ-კახეთისათვის განსაკუთრებული ძნელბედობის ხანა იყო. 1723 წლიდან თორმეტი წლის განმავლობაში ქვეყანა ოსმალთა ბატონობის უღელ-ქვეშ გმინავდა. 1735 წლის მიწურულს ოსმალობა არა ნაკლებ მძიმე ყიზილბაშობამ შესცვალა. ის 1747 წლამდე გრძელდებოდა.“ [1]

დამპყრობელთა ველური თარეში ხშირად ხდებოდა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის მედგარ წინააღმდეგობას. ეს კი თავისთავად იწვევდა ბარბაროსულ დამსჯელ ექსპედიციებს.

საქმეს ართულებდა ისიც, რომ თავაშვებული ქართველი მებატონეები ურთიერთშორის შუღლობდნენ. ამ ბრძოლებში ყველაზე მეტად გლეხკაცობა იჟლიტებოდა. მებატონეები საკუთარ ყმებსაც არ ინდობდნენ; უჩვეულო გადასახადებით ბეგრავდნენ და გადაუხდელობის შემთხვევაში ტყვედ ყიდდნენ. ამის დამადასტურებელი საბუთები არა ერთი და ორი მოიპოვება ჩვენს სიძველეთსაცავებში.

მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ხალხს ლეკ-მტაცებელთა თარეში, რომელიც კარგახანს დაუსჯელად გრძელდებოდა.

ამ პირობებში ცხოვრება ძლიერ გაჭირდა. მცხოვრებთა რიცხვი შემცირდა და ქართველი ხალხის ერთი ნაწილი გადასარჩენად და საქართველოს აღდგენისათვის კვლავ საბრძოლველად ვახტანგ მეექვსის ნაკვალევს გაჰყვა; ამ ნაკვალევმა იგი მოსკოვის ქართულ კოლონიაში მიიყვანა. მათ შორის უნდა ყოფილიყო ჩვენი პოეტი დ. სააკაძე, რომელსაც სამშობლო ქვეყნის გაჩანაგება გულს უკლავდა და რუსეთში მყოფი ქართველობა კი მის გულში ნერგავდა მტრებისაგან საქართველოს განთავისუფლების იმედს. დ. სააკაძე საქართველოს მძიმე მდგომარეობას რომ გაუხდია იძულებული—რუსეთს წასულიყო, ეს მისი ერთი ლექსიდანაც ჩანს:

„სვე და ბედმან მუხანათმან სამყოფთაგან აღმოგვხოცა,
სიყრმით ჩვენით თვალთა ჩვენთა ცრემლი აროს მოგვეხოცა,
სამყოფთაგან იავარგვყო, სიზმარშიაც არ გველოცა,
ცოდვის ნაცვლად ღმერთსა ჩვენსა ჩვენთვის მეტი რა მოეცა.

ჩვენ მოგვიელინა უფალმა პირველ მოსესგან თქმულები,
სამკვიდროსაგან განგვასხა, სხვაგან გვქმნა დაკარგულები.“ [2]

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, გვ. 374.

[2] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 303, გვ. 66V. იხ. ა. ბარამიძე, ანთოლოგია, II, გვ. 224.

მოსკოველ ქართველებს დ. სააკაძე კარგად მიუღიათ. მალე მას ახლო მეგობრული კავშირი დაუმყარებია ვახტანგის ძის გიორგი ბატონიშვილის ოჯახთან, დავით გურამიშვილთან, შამუკა ბარათაშვილთან, დიმიტრი ბაგრატიონთან და სხვ.

დ. სააკაძეს მოსკოვში ხელი მოუკიდნია ლიტერატურული საქმიანობისათვის და რუსულიდან თარგმნილი წიგნების გადაწერისათვის. ჩვენამდე მოუღწევია დ. სააკაძის ხელით გადაწერილ სამ ნათარგმნ თხზულებას. ესენია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერები: A 293, A 586 და H 2319.

A 293 ხელნაწერი დაწერილია ქაღალდზე 21×16, შედგება 75 ფურცლისაგან, ტყავგადაკრულია. ხელნაწერში შეტანილია: „მატიანე, რომელსა შინა წერილ არს დარღვევა უკანასკნელი წმიდისა ქალაქისა ერუსალიმისა და აღება კონსტანტინოპოლისა სამეუფოსა ქალაქისა ბერძენთა სახელმწიფოსა პირად პირადთა აღმწერელთაგან შემოკრებილი. ბოლოში (გვ. 75r) მიწერილი აქვს: „თარგმნილი რუსულისგან ქართულად თავადის სარიდან ჩოლოყაშვილისაგან“. შემდეგ სხვა ხელით (ამავე ხელით აქვს მინაწერი ხელნაწერს H 2319) მიწერილია: „აღწერილი კნიაზ დიმიტრი სააკაძის მიერ“. 75v-ზე მიწერილია ერთსტროფიანი ლექსი:

„გვიხამს მადლობა ჩვენ შენი ერუფაქისა ძეოდა,
ვინ თარგმნით ქართველთ მრავალი წერილი შეგვმატეოდა.
იერუსალიმს მრღვეველნი კონს ტანტიპოლის მძლეოდა,
და ტროადი თელემაკითურთ მოგვითხარ, მოგვესმეოდა“.[1]

ლექსის ბოლოს წერია: „დიმიტრი ბა...“ ეს დიმიტრი უნდა იყოს პოეტი დიმიტრი ბაგრატიონი, დ. სააკაძის ახლო მეგობარი, და მასვე აღუნიშნავს გადამწერის გვარი და სახელი.

A 586 ხელნაწერიც დ. სააკაძეს გადაუწერია. ხელნაწერს ბოლოში იმავე ხელით ასეთი მინაწერი აქვს: „გადმოითარგმნა წმიდა ესე წიგნი სარწმუნეობისა კეთილმსახურის მეფის არჩილისაგან. კურთხეულმც არის ხსენება მისი. ღმერთო, აცხოვნე ამ წიგნის ქართულის ენაზე გამწყობელი, ტფილელ მიტროპოლიტი ნიკოლოზ ორბელისშვილი,[2] მეფეს ვახტანგს ვერ ურჩ ვექმენ, თორემ ჩემის-

[1] ამ ჩოლოყაშვილის შესახებ თ. ჟორდანია წერდა: „О литературных трудах Ерупакидзе (т. е. Чолокашвили) нет сведений в истории грузинской литературы“ თ. ჟორდანია, Описание, т. I, ст. 296.

[2] მიტროპოლიტი ნიკოლოზი, სულხან-საბა ორბელიანის ძმა, ვახტანგ მეექვსეს თან გაჰყოლია რუსეთში.

თანას ცოდვილის ბერისაგან ძნელად შესამართავი წიგნი იყო. გადმომღებელი ღმერთმან აცხოვნოს. აღიწერა წმიდა ესე წიგნი სააკაძის დემეტრესაგან. წელსა ათას შვიდას ორმოცდა სამსა, თვესა სეკდემბერსა, კ (20).[1]

დიმიტრისავე გადაუწერია ხელნაწერი H 2319, „ფენელონი — თელემაკის თავგადასავალი", თარგმნილი ქართულად რუსულიდან თავადის სარიდან ჩოლოყაშვილის მიერ. ბოლოს, იმავე ხელით, როგორც ესა გვაქვს ხელნაწერ A 293-ის მინაწერში, მიწერილია: „აღწერილი კნიაზ დიმიტრი სააკაძის მიერ".[2]

როგორც ირკვევა, დიმიტრი ბაგრატიონის თხოვნით დიმიტრი სააკაძეს გადაუწერია „ვეფხისტყაოსანიც".

ხელნაწერებიდან ჩანს, რომ დ. სააკაძე კარგი კალიგრაფი ყოფილა. ზოგჯერ დიმიტრი ამა თუ იმ წიგნის გადაკითხვისას თავის აზრს გამოთქვამდა და იქვე მიაწერდა მას. ამაში გვარწმუნებს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი S 1625. ამ ხელნაწერილში თავმოყრილია: „სხვადასხვა ფილოსოფოსების სწავლა-მოძღვრებანი და ანეკდოტები სხვადასხვა მეფეთა შესახებ." ბოლოში დიმიტრის ერთსტროფიანი ლექსია მიწერილი:

„სააკაძე დიმიტრისა

არც არის ცუდი ამბავი, არც დიდათ მოსაწონები
სიბრძნე და გამოცდილება, ვითა უფსკრულში ფონები.
წამს შეგეცვლება განგებით გზა, წინ გვიც დასაღონებაი,
და ცუდათ დაჭკნება, გახმება ყირმიზი ვარდის კონები".[3]

ჩანს, დიმიტრი სააკაძე მოსკოვში გაცხოველებულ კულტურულ საქმიანობას ეწეოდა, თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის სასარგებლო მუშაობა მას იქ ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია.

დღემდე ჩვენთვის არ იყო ცნობილი, ჰყავდა თუ არა დიმიტრის ცოლ-შვილი რუსეთში. ამ კითხვაზე დ. სააკაძის შესახებ დაწერილი არც ერთი წერილი პასუხს არ იძლევა. მაგრამ, როგორც ირკვევა, დიმიტრის მოსკოვში ჰყოლია მეუღლე და ქალ-ვაჟი. ამაში ჩვენ გვარწმუნებს საქართველოს ცენტრალური საისტორიო

---

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, A 586, გვ. 119v, იხ. თ. ჟორდანია, **Описание, т. I,** გვ. 119.

[2] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, H 2319, გვ. 232v, იხ. საქართველოს მუზეუმის აღწერილობა, ტ. V, გვ. 221.

[3] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 1625, გვ. 52r.

არქივის ფონდი № 213, № 1168 საქმის შესწავლა. ეს საქმე ასეა დასათაურებული: „По указу правительствующего Сената по департаменту Герольды о рассмотрении права лиц рода Саакадзе на княжеское достойство".

საქმე აღუძრავს 1854 წელს შტაბს-კაპიტან პეტრე სააკაძეს და იგი თხოულობს, იცნონ იგი და მისი შთამომავალნი თავადებად. წარდგენილი აქვს სათანადო საბუთები, რომლითაც ამტკიცებს, რომ იგი გიორგი სააკაძის (დიდი მოურავის) შთამომავალია, რომ მისი წინაპრები თავადებად იწოდებოდნენ და რომ მისი ბაბუა დავით სააკაძე — მოურავოვი იყო.

პეტრე სააკაძეს მამის, პეტრე დავითის-ძე სააკაძის, მეტრიკული ამონაწერის წარდგენა ვერ მოუხერხებია და თავად-აზნაურების დეპუტატთა საკრებულო ამის შესახებ თავის მოხსენებაში წერს: „Такого свидетельства он представить не может по следующим причинам: 1-е, еще в царствование Анны Иоановны дед его Князь Дмитрий Васильевич Саакадзе выехал из Грузии с царевичем Бакаром и поселился навсегда в Москве. Там родился и воспитывался отец его подполковник князь Давид Дмитриевич Саакадзев до назначения своего на Кавказе, служивший в русских войсках и в России".[1]

ფაქტია, აქ დასახელებული დიმიტრი ვასილის-ძე სააკაძე ჩვენი პოეტია და დავითი კი — მისი შვილი.

დიმიტრის ქალიშვილიც ჰყოლია, რომელსაც სახელად ელისაბედი რქმევია. ამ საქმეში ვკითხულობთ: „Частное письмо князя Саакадзева к сестре его княжне Елизавете Дмитриевне от 18 декабря 1804 года". მეორეგანაც თითქმის იმავეს ვკითხულობთ: „Письмо князя Саакадзе к сестре его, княжне Елизавете Дмитриевой".[2]

ამ დავით დიმიტრის-ძე სააკაძეს 1800 წლის 3 იანვარს გიორგი მეცამეტე აძლევს სიგელს. ამ სიგელის დედანი დაცულია ზევით აღნიშნულ საქმეში: „წყალობითა ღვთისითა ჩვენ, მეფემან სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა, მეათცამეტემ გიორგიმ ესე მოწმობა გიბოძეთ შენ, ჩვენის ქვეყნის თავადს სააკაძე მოურავოვს დავით დიმიტრის-ძეს, შენ ჩვენი ქვეყნის, საქართველოს, თავადი სააკაძე მოურავოვი ხარ და როდესაც შენს მშობელს ქვეყანაში

[1] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 213. საქმის № 1168, გვ. 38.

[2] იქვე, გვ. 38, 162.

მოხვალ, პატივ-იცემები თავადად სააკაძე მოურავის გვარობითა, მით, რაგვარადც სხვანნი სააკაძე მოურავის შვილები ეგრეთვე შენ, აღიწერა წელსა ჩყ, თვესა იანვარსა გ, ტფილისს, წელსა მეორესა მეფობისა ჩვენისა. გიორგი".

სიგელს ამტკიცებს გიორგის შვილი დავით ბატონიშვილი: „ჩვენ სრულიად ქართლისა და კახეთის მეფის ძე, მემკვიდრე დავით თანამოწმობით ვამტკიცებთ იმისის სიმაღლისაგან მოწმობითსა წერილსა წელსა ჩყ, თვესა იანვარსა გ, ტფილისს". იქვე ხელმოწერა აქვს „დავით" [1].

როგორც ჩანს, ამ წელს დავით დიმიტრის-ძე სააკაძე საქართველოშია. 1803 წლის 12 მარტს იგი თბილისის კომენდანტად დაუნიშნავთ. ამის შესახებ ცნობას ვხვდებით № 1168 საქმეში:


„Формулярный список

За 2-половину 1804 года о службе 14-го Егерского полка подполковника князя Давида Дмитриевича сына Саакадзева, который Высочайшими приказами от 12 марта 1803 года назначен комендантом в Тифлисе и 20 мая 1805 года выключен из списков умершим". [2]

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, დიმიტრი სააკაძის შვილი დავითი 1805 წელს გარდაცვლილა.

თავადობის ძიება დამთავრებულია 1905 წელს, როდესაც პეტრე პეტრეს-ძე სააკაძის შვილს, ხარკოვის გუბერნიის იზიუმის მაზრის სამხედრო უფროსს, პოლკოვნიკ მიხეილ პეტრეს-ძე სააკაძეს მიუღია უმაღლესი სენატის გადაწყვეტილება.

ამ დოკუმენტის მიხედვით დიმიტრი ვასილის-ძე სააკაძის შთამომავალთა გენეალოგიური სია ასე წარმოგვიდგება:



[1] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 213, საქმე № 1168.

[2] იქვე, გვ. 57.

დიმიტრი სააკაძე უნდა გარდაცვლილიყო ღრმად მოხუცებული XVIII საუკუნის ოთხმოციან წლებში.[1]

დიმიტრი ვასილის-ძე სააკაძის ლექსები შემონახულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილების S 303 ხელნაწერში. ეს ხელნაწერი გიორგი ავალიშვილის მიერ შედგენილი ანთოლოგიაა.[2]

დ. სააკაძის ლექსები ფორმით თავისებურია. მათი უმრავლესობა მიმართულია ახლობელთა და მეგობრებისადმი (დიმიტრი პაგრატიონი, მ. გურამიშვილი და სხვ.). ანთოლოგიის შემდგენელი მათ ბარათებს უწოდებს. სულ ამ კრებულში მოთავსებულია ერთი მოთქმა-გოდება ძვირფასი თვლების დაკარგვის გამო და 45 ლექსი-ბარათი. ბარათის ფორმა მოხერხებული საშუალებაა პოეტის ლირიკულ განცდათა გადმოცემისათვის. ეს ლექსები დაწერილია პოეტის ცხოვრებაში მომხდარ სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირებით და ასახავს ან ლირიკულ განცდას, ან რომელიმე შემთხვევას, რაც ავტორს თავს გადახდენია. ლექსების ფორმა და ხასიათი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა.

დ. სააკაძის ეს უპრეტენზიო ლექსები ძირითადში ასახავს იმ უსაზღვრო მწუხარებას, რაც პოეტის გულში სამშობლოდან იძულებულ გადაკარგვას აღუძრავს. უცხოობაში მყოფი პატრიოტი პოეტის სპეციფიკური ემიგრანტული განწყობილება წითელ ზოლად გასდევს მის შემოქმედებას და ამ მხრივ ის დავით გურამიშვილის შემდგომ ყველაზე გამოკვეთილი ფიგურაა.[3]

სხვა ემიგრანტ მწერლებთან ერთად, დ. სააკაძეც მწვავედ განიცდის თავის მდგომარეობას. პოეტს გულს უკლავს მშობლიური მხარის დატოვება და სამშობლო ქვეყნის მთაგორიანი ადგილები მუდამ თვალწინ უდგას.

პოეტი თავს „მიწიდან ამოძრობილ", ამოგლეჯილ მცენარეს ადარებს, რომელიც ვერსად ვერ გაიხარებს (ბარათი ი, S 303, გვ. 59v).[4]

---

[1] იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, გვ. 462.

[2] დიმიტრი სააკაძის ლექსების ერთი ნაწილი გამოაქვეყნა ალ. ბარამიძემ „ანთოლოგიის" მეორე წიგნში.

[3] ამის შესახებ იხ. ალ. ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II.

[4] დიმიტრი სააკაძის ლექსების სრული კრებული ჩვენს მიერ დამზადებულია გამოსაცემად.

პოეტი ჩივის, რომ ბედმა ის და მისი თანამემამულენი „სამკვიდროსაგან გაგვასხნა, სხვაგან გვქნა დაკარგულები“ და „სიყრმით თვალთა ჩვენთა ცრემლი აროს მოგვეხოცა“ (ბარათი მბ).

„სამკვიდროსაგან აღმოუხვრია“, „სამყოფთაგან გამოძევა“, „სოფლის სიმუხთლე“ პოეტს რისხვად დაატყდა თავს და ამის გამო იგი მწარედ მოთქვამს:

„სიყმაწვილით სიბერემდე სიკვდილისა ვიყავ მწადე.
მუხანათმა ამ სოფელმა მე მომიგო ესრეთ ბადე.
კლდეს არ ძალუძს ის დათმენა, რაც რომ ჭირი გადვიხადე.“
(ბარათი კვ)

ცნობილია, რომ რუსეთის მმართველობამ მამულები დაურიგა ქართველ ემიგრანტთაგან იმათ, რომლებიც სამხედრო სამსახურში შევიდნენ. დ. სააკაძეს, როგორც ჰგავს, სამხედრო კარიერა არ იტაცებდა და იგი სამხედრო მსახური არ გამხდარა. ამას მძიმე მატერიალურ პირობებში ჩაუყენებია პოეტი მოხუცებულობისას, ზოგჯერ მას ლუკმა-პურიც საძებნელი ჰქონია. ეს სევდა და წუხილი დუხჭირი ყოფის გამო ნაღვლიანი ჰანგებით ავსებს დ. სააკაძის ლექსებს. დ. ბაგრატიონისადმი მიწერილ ბარათში პოეტი პატრონს აცნობს თავის უმწეო მდგომარეობას და არ მალავს, რომ სიბერის ჟამს გაჭირვებაში ჩავარდნილს ცრემლის ღვრა უხდება:

„ველარ გახლავარ, პატრონო, ველარც ვსჯამ თქვენთან სუპებსა,
აღარვინ მიწდევს ტკბილს ღვინოს, არც მიდგმენ სირჩა-რუნკებსა,
კაპუსტასა ვჭკრებ, შეშას ვსჭრი, ვიძახი „უპე-უპებსა,“
სიბერით დასუსტებული ცრემლსა ვღვრი ღაპა-ღუპებსა.“

ცხოვრების სიდუხჭირეს ისე გაუტეხია გული გაწამებული პოეტისათვის, რომ იგი ხალხურ სიბრძნესა და დიდი რუსთველის დარიგებასაც ნაწილობრივ სკეპტიკურად უყურებს:

„აღარც შეშა მაქვს, ზამთარმან წამომაყარა ბუქია,
გაჭირვებაში სიმხნე ხამს—რუსთველსაც ასე უქია,—
ეს სწავლა მისთვის კარგია, ვინც უფრო ყმა-ჩაუქია,
არ ჩემებრ მოხუცებულსა, წარსვლოდეს სიყმის შუქია“.

და შემდეგ:

„ფეხთაც არ შემრჩა, რაღა ვქნა, თქვენი წყალობა ნალები!
დავხეხავ, შოვნა არ ძალმიც, ცრემლით მევსება თვალები,
ჩულიც არა მაქვს საზამთროდ, გულსა მედება ალები,
ნახეთ, სოფელმან რა მიყო, პრესნას მწუნობენ ქალები“.[1]

სამშობლოს ბედუკუღმართობით განაწამებ პოეტს ეკონომიური სივიწროვეც სულს უხუთავს და მისი მწუხარება ისე უსაზღვროა, რომ დარდის გასაქარვებლად იგი ზოგჯერ ლოთივით იწყებს სმას: „ლოთსავითა ვსვამ სამთვრალოს, ეგების მომალხინოსა“.

პოეტის სანატრელი ოცნება ამ ღრმა მწუხარებაშიაც სამშობლოსთანაა დაკავშირებული, მშობლიურ მხარეში დაბრუნება და პრაქტიკული საქმიანობის დაწყება მიუწდომელად ესახება პოეტს და მასზე ტკბილ ოცნებას ეძლევა:

„რას ვაკეთებ პრესნაშია? დავსახლდები, წარვალ მაჟარს,
მუნ დავიწყებ მუშაობას, სიბერის დროს დავლევ მაჭარს,
აღვაშენებ ქარვან-სარასა, შიგ დავატან დუქან ბაზარს...

ნეტა მოხდეს ეს წადილი და აქედან გავებარგო,
მუნ დავასხა სამოთხეი, ყოველი ხილი მსწრაფლად დავრგო,
მტერს ლახვარი გულსა ვგმირო, მოყვარეს კი ბევრი
ვარგო“.[2]

პოეტი გვარწმუნებს უმაღლესი ფიცის მოშველიებით, რომ მასში დიდი პოტენციური ძალაა, მაგრამ „ნაღველში ამონაწები კალამი რას იქმს წერასა“. მან კარგად იცის, რომ პოეტური შემოქმედების ასპარეზზე ბევრმა მწერალმა ძველ კლასიკოსთაგან „ზოგთ იჩემეს, ზოგთ მიბაძეს“ და ამით გაითქვეს სახელი. მისი შინაგანი პოეტური ცეცხლის მძლედ აგიზგიზებისათვის სამშობლო მხარის სურნელება და შთამაგონებელი ძალაა საჭირო: „მაშინ იცნობთ, ბობნავშია როცა ნახავთ სააკაძესო“ (ბარათი ლე), მიმართავს იგი თანამემამულეთ, რომელთაც მისი კალმის ძალა დუხჭირი ყოფის გამო ჯერ კიდევ არ უგრძნიათ საკმაოდ.

დ. სააკაძე შექმნილ რთულ ვითარებაში უკვე ნათლად გრძნობდა, რომ საქართველოში ჩამოსვლა და მშობლიურ სოფელ ბობნავში

---

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 303, გვ. 58r, „ანთოლოგია“ II, გვ. 221—222.

[2] იქვე, გვ. 61v.

კვლავ დასახლება განუხორციელებელი ოცნება იყო და უიმედოდ აცხადებდა: „მე მეჭადის ეს სოფელი, ველარ მიხვალ ბობნავშიო“.

დ. სააკაძემ, პირველმა ქართველ პოეტთა შორის, წარმოიდგინა სამშობლო სატრფოს სახით. სამშობლოს — სატრფოს დაკარგვაზე მოთქვამს პოეტი თავის ლექსებში:

„მისმა სევდამან დამაჭკნო და დამაბერა გულითა,
სახე შესცვალა ჰმუნვამან და დამხსნა სირმან სულითა.
ვინცა მკლავს, იგი მაცოცხლებს გულითა დანასულითა,
ყოველდღე სულთამობრძავი არ მოვკვდი ესდენ წყლულითა“ [1].

დ. სააკაძის ლექსების დიდი ნაწილი პოეტის მიერ განცდილ ამბებს გადმოგვცემს, ამიტომ ამ ლექსების მიხედვით პოეტის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ფაქტები ისახება მკითხველის წინაშე.

დ. სააკაძე პრესნაშია, ასე უბრძანებია მისთვის მის „მწყალობელ პატრონს“ დიმიტრი ბაგრატიონს. იგი დილეგშიაც მჯდარა ხანგრძლივად: „დილეგში ხანგრძლივ ჯდომითა სრულ ცნობა გამომელია“ (ბარათი დ). ერთხელ პოეტი ვიღაც ზუბოვის მათრახის ობიექტიც გამხდარა: „ზუბოვს მიმცეს სამათრახეთ“ (ბარათი ლგ). „მე უგუნური არ გახლდით“ — ამბობს ერთგან პოეტი და მისი ლექსებიც ადასტურებს, რომ იგი ფრიად განათლებული პიროვნება ყოფილა; კარგად ცოდნია ბერძნული მითოლოგია, იგი ხშირად იხსენიებს ჰომეროსის გმირებს, აგრეთვე პითაგორეს და პლატონს (ბარათი გ და იგ). იგი კარგად იცნობს აგრეთვე „შაჰნამეს“ და აქებს ამ ნაწარმოების მთავარი გმირის როსტომის გმირობასა და სიმამაცეს (ბარათი ე).

პოეტი პრესნიდანაც წასულა, როგორც ჩანს, იქ მყოფ ემიგრანტებთან უსიამოვნების საფუძველზე: „მე ხომ აღარ ვარ პრესნაში, ახლა დაიწყონ ოინი“ (ბარათი კე).

იგი ხშირად წუხს პატრონის, გიორგი ბატონიშვილის ბედზე; წუხს იმის გამო, რომ მას ახლა რუსეთში მცირე ბაღი გააჩნია და უჩივის თავის ბედს, რომ „საქართველოს მეპატრონე ბოლოს ამას დააჯერა“ (ბარათი იე).

დ. სააკაძის ზოგ ლექსში უკვე ჩანს ის უთანხმოება, რომელიც ქართველ ემიგრანტთა შორის წარმოშობილა რუსეთში. ამ უთანხმოების მიზეზი ზოგჯერ ენატანიობა ყოფილა. ზოგი ემიგრანტი განცალკევებულა, უმრავლესობის ჭირ-ვარამისაგან შორს

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 303, გვ. 301.

დამდგარა და ეს დ. სააკაძის საყვედურის საგანი გამხდარა. ასე უსაყვედურებს ის თავად მამუკა გურამიშვილს, რომელიც პეტერბურგშია:

„პეტერბურლს ზიხარ დარვიშად, ტანს წამოგისხამს ჩულები,
ჩვენ ხმას არა გვცემ, არ ვიცი, ვის ეშმაკს ეჩურჩულები,
ვინ გარდაგრივა წყეულმან, ვის მიეც შენი გულები,
მაგ შენის აგრე დუმილით აქ ვსხედვართ დანაწყლულები". [1]

ზოგჯერ პოეტი ჰბედავს საყვედურით მიმართოს თავის პატრონს დ. ბაგრატიონს, რომელსაც იგი დავიწყნია და ახლა დავით გურამიშვილის ლექსებით ირთობს თავს: „დავით გახლავსთ, ეგ შეგაქცევსთ, მესმის — იცის ჩანგთა მღერა" (ბარათი ბ).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ემიგრანტთა წრეში უთანხმოებას ზოგჯერ ცალკეულ პირთა ენატანიობა თესდა. პოეტს ბევრი სიმწარე უგემნია ვინმე ოქროქალას ცილისწამების გამო. ერთგან იგი წერს:

„მლანძღავდნენ ისე უშვერად, რომ არ სმენილა აროსა:
ერთმან თქვა — ვუზამ პასუხსა, ვადენ ცრემლისა წყაროსა,
ასე გავუხდი საქმესა, აროდეს გაიხაროსა,
თუ ცოცხალ იყოს, უთუოდ სიცოცხლე გაიმწაროსა". [2]

ოქროქალას მუხანათობით და ცილისწამებით გულდაკოდილი და გამწარებული პოეტი ცხარე წყევლას უთვლის მას და ღმერთს თხოვს:

„ღმერთო მიაგე პასუხი, რომ არაოდეს ლხენოდეს,
ჩააგდე ჯოჯოხეთშია, იუდა ზედ ემღეროდეს". [3]

ასევე შურღლის დამთესი ყოფილა ვინმე მელანო: „ქსელავ, ხვანჯავ სოფლის საქმეს, შიგ გაება — ვინცა ეცა"-ო, მიმართავს მას პოეტი.

ამგვარ ჰორიკანობას დ. სააკაძე თავისი მფარველის ამალიდანაც კი ჩამოუცილებია. ამ საქმეში თავი გამოუჩენია მარია პავლოვნას, რომელსაც „გველივით ენა შხამითა დააქვს და დაიარება". პოეტი ასე ეუბნება თავის პატრონს ამ ქალზე:

---

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 303, გვ. 59r, „ანთოლოგია", II, გვ. 222.

[2] იქვე, გვ. 55v

[3] იქვე, გვ. 56v.

„იცით მარია პავლოვნამ რა ხრიკი მიგდო ბოლოსა.
მან მომაშორვა თქვენს კარსა, გარს ცეცხლი მოუბოლოსა.
ჯოჯოხეთშიამც ჩაჭრილა, კარი კი დაეჭოლოსა,
სატანამ თავის კრებულით გულაღმა დასცეს ბოლოსა“.[1]

ოქროქალასა და მარია პავლოვნას ბოროტებასა და მუხანათობას პოეტის გულგატეხილობა და უნდობლობა გამოუწვევია საერთოდ ქალებისადმი და იგი მკითხველ საზოგადოებას ასეთ რჩევა-დარიგებას აძლევს:

„ნურვინ ენდობით დედაკაცს, ვისაც რამ ჩემი გჯეროდეს,
თუ არ მოისმენთ, უთუოდ თქვენ ემსგავსებით ეროდეს.
პირველვე დაერიდენით, სანამდის დაგემტეროდეს,
არ ისმენთ, ბოლოს შეიტყობთ, რომ ზედ გჯდესთ და
გემღეროდეს“.[2]

ზოგჯერ ამ უთანხმოებას დ. სააკაძის გამკილავი ტონი და ენამწარობაც თესავდა. ამის შესახებ პოეტი ერთგან გარკვევით ამბობს: პატრონს მისთვის „ფლიდობა, ჩხუბი, ყარყაში, მელობა“ დაუწამებია და გაწყრომია (ბარათი იზ). ჩანს პოეტი ენამწარე და დაურიდებელი ყოფილა. ამიტომაც ბევრი უკმაყოფილო ჰყოლია.

თანამემამულეთა და თავის ულონობასა და უძლურებას მწარე ირონიით გადმოგვცემს პოეტი. ერთ-ერთ ბარათში იგი წუხს მათი უმოქმედობის გამო და ჰუმორულ ფერებში გვიხატავს ემიგრანტთა საბრძოლო შეჭურვილობას, სევდიანი ღიმილით აღწერს მათ ხელმოცარულობას და დასძენს:

„ჩვენ დაუტევეთ მოსკოვი, მოვედით მცირეს ოლესა,
პარუნ მელქუაც აქ გახლავსთ, ფრანგული ხრმალი მოლესა,
შემოიხვივნა მხმილავნი, ვერავის ვნახავთ მწოლესა,
ხაჩიურსა ჰკრა ზიანი, კარი სრულ ამოულესა...

მამუკა გურამიშვილი მაგრა სდგას ვითა ლოდია,
მეც გვერდთ ვახლავარ მებრძოლად, ჯერ არვინ დაგვიკოდია;
დაელონებულვართ ორივე გულს დაგვცემია, ოჰ, დია,
არცა გვაქვს სასმელ-საჭმელი და არცა ოქროს ზოდია.“[3]

---

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 303, გვ. 58v.
[2] იქვე, გვ. 56v.
[3] იქვე, გვ. 59v.

დ. სააკაძის ლირიკულ ლექსთა შორის ფორმისა და პოეტური სრულყოფის მხრივ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სატრფიალო სამიჯნურო ხასიათის ლექსებს. ეს ლექსები დ. სააკაძის ახალგაზრდობის წლებს უნდა ეკუთვნოდეს. მათში პოეტის სამიჯნური თავგადასავალია მოთხრობილი. სატრფოს ხილვა პოეტს სიცოცხლის ენერგიასა და უნარს მატებს:

„როცა განვიცდი, სიცოცხლეს მიმატებს მისი ნახვანი,
უხდება პირსა მნათობად, მისთვის მაქვს გულსა ახვანი.
მე მათთა ქებას ვერ ვიტყვი, შემრჩება ცუდი ჩმახვანი,
შორით მინახავს, მაგრამე მსურვის პირისპირ ზრახვანი.“ [1]

სხვაგან დ. სააკაძე ოსტატურად იყენებს მოხდენილ მეტაფორებს საყვარელი ქალის ფიზიკური სილამაზის გადმოსაცემად. ამ შემთხვევაში იგი პოეტური სიტყვის სრულყოფას აღწევს. ლექსი შეკითხვით იწყება:

„ჰე, მზეო, ვინ ხარ, სით მოხვალ? ჩვენ გაგვაშმაგე ყოველი.
ვისი ხარ ეგე მნათობი ვარდი ცვარითა სოველი?
ლელწამო, შაქარს ვისთვის სწვიმ, ვითა ჰაერი მთოველი?
ლალის ბაგეთა დაძვრითა სიტყვასა რასმე მოველი.

ღაწვნი იაგუნდს მიგიგავს, ტანი წყალს ჩამდინარესა,
პირი მთვარესა გავსილსა, სრულ განანათლებ არესა.
წარბი მშვილდსავით მოხრილი წამწამსა ისვრის მწარესა,
შენგან მოწყლულსა არ მომეც წამალი მემუდარესა.“ [2]

ქართული კლასიკური ლიტერატურისა და, განსაკუთრებით, შოთა რუსთველის პოეზიის სურნელება დ. სააკაძეს, მიუხედავად რუსეთში ხანგრძლივად ცხოვრებისა, ყოველთვის თან ახლდა და მის შემოქმედებას მხატვრულ ფერებს მატებდა. იგი, როგორც თითქმის ყველა მისი თანამედროვე პოეტი, რუსთველის პოეტური გენიის მონა იყო. „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები სიმხნეს და სიმტკიცეს უნერგავდა უცხოობაში მყოფ პოეტს და „ჭირსა შიგან გამაგრების“ ძალასა და უნარს აძლევდა. ერთგან პოეტი წერს:

„აღარც შეშა მაქვს, ზამთარმან წამომაყარა ბუქია,
გაჭირვებაში სიმხნე ხამს — რუსთველსაც ასე უქია.“ [3]

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 303, გვ. 29r.
[2] იქვე, გვ. 59r.
[3] იქვე, გვ. 58r. „ანთოლოგია“, II, გვ. 221.

რუსთველის ენის სენტენციური სიმოკლე, სიმახვილე და შეკუმშული ფერადოვნება თავს დასტრიალებს მას ყოველთვის. რუსთველის აფორიზმი:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჰირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.“
(703)

დ. საკაძესთან ასე ახმიანებულა:

„მოყვრისთვის თავის დადება ძველთაგან დანაწესია.“[1] რუსთველის აფორიზმი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ (39) დ. საკაძესთან ასე გვხვდება: „თქმულა ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.“[2] არის შემთხვევები რუსთველის სალექსო სტრიქონების გამეორებისა. აქა-იქ გვხვდება რუსთველური რითმებიც.

რუსეთში ხანგრძლივად ცხოვრებას გავლენა მოუხდენია დ. საკაძის ენაზე. მის ლექსებში შეჰრილა რუსული სიტყვები. აი მაგალითებიც: „ველარ ვჰამ თქვენთან სუპებსა“, „არ მიდგმენ სირჩარუნკებსა“, „კაპუსტასა ვკრებ“, „მაგრამ დუბინის შიში აქვთ“, „ვსესვიატი“, „დაჯდა ნადიმად ცარევნა“, „ბუტილკით ღვინო დამიდგა“, „რაზნოშჩიკები გახლავან“, „ფრანცუზულისა ქურქითა“, „ფიროგები მოგივიდა“, „ვა, თაბაქერქაც დავლეწე მწვე კარგი ჩერეპახისა“ და სხვ.

მძიმე პოლიტიკურ-უფლებრივმა, ასევე მძიმე და აუტანელმა მატერიალურმა პირობებმა დ. საკაძე გზას ააცდინა, ცხოვრებიდან გარიყა და მისი არც თუ ისე ძლიერი პოეტური ტალანტი უკიდურესად შეზღუდა. სამშობლოს მოშორებული ხშირად საარსებო სახსარს მოკლებული პოეტის ნიჭი მძიმე პირობების მიუხედავად მაინც ვლინდებოდა ცრემლნარევ ლექსებში; სხვადასხვა შემთხვევათა გამო დაწერილ კერძო ხასიათის ლექსებს, რომელთა უპრეტენზიო ავტორს მხოლოდ საკუთარი გულისტკივილის გამოხატვა სურდა, ხშირად აზის არასრულყოფილობის ბეჭედი, მაგრამ რა ექნა ბედკრულ პოეტს! აკი იგი წერდა:

„ნაღველში ამონაწები კალამი რას იქმს წერასა“.

---

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი: S 303, გვ. 56r.
[2] იქვე, გვ. 63V.

თავისი მოკლე, მაგრამ მგრძნობიერი პატრიოტული ხასიათის ლექსებით დ. სააკაძემ ქართული ლიტერატურის ისტორიაში დაიმკვიდრა საყურადღებო ადგილი.

შემოვიდა რედაქციაში 12/VI, 1952 წ.

Д. Д. БРЕГАДЗЕ

ГРУЗИНСКИЕ ПОЭТЫ В РОССИИ

Резюме

С XVI-го и особенно XVII-го столетия одна часть передовых людей Грузии, притесняемой персидскими и турецкими захватчиками, находила убежище в России. Переселившиеся в Россию наши предки давно чувствовали необходимость союза Грузии с Россией и смело пошли по этому пути. Они создали в Москве свою колонию.

В России нашли приют поэты: Арчил, Вахтанг VI, Сулхан-Саба Орбелиани, Давид Гурамишвили, Мамука Бараташвили, Онана Мдивани, Димитрий Саакадзе и многие другие. Они положили фундамент прочной традиционной дружбе между русским и грузинским народами.

Видными членами московской грузинской колонии были поэты Онана Мдивани и Димитрий Васильевич Саакадзе.

Из архивных материалов устанавливается, что представитель грузинской эмигрантской литературы Онана — по фамилии Кобулашвили (по прозвищу Тангулашвили) является кахетинцем, секретарем кахетинского царя.

Родился Онана в 1657-58 г.г., скончался в России в 1728 г.

Онана имел близкую связь с культурными центрами Картли, особенно с Вахтангом VI (творчество Онана Мдивани рассмотрено отдельно).

Потомок Великого Моурава Георгия Саакадзе—поэт Димитрий Васильевич Саакадзе родился в конце XVII века в селе Бобневи Горийского района.

Он выехал в Москву в 1734, а не в 1724 году, как утверждали раньше. У него были дети. Его сын Давид в 1803 г. был назначен комендантом г. Тбилиси.

Д. Саакадзе был хорошим каллиграфом. Он переписал несколько переведенных сочинений. Дошедшие до нас его 46 стихотворений в основном являются стихами на случай; наряду с картиной существующего положения вещей эти стихи содержат интересные факты из жизни автора. В стихах красной нитью проходит печаль и беспокойство поэта по поводу бедственного положения родины.

Иногда автор с обычным для него юмором бичует недостатки современников. Часть стихов отображает любовные истории поэта. В отображении эмигрантских настроений Д. Саакадзе продолжает путь Арчила, Вахтанга VI и Давида Гурамишвили.

ა.ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XI, 1952—1953.

К. А. КИЛАСОНИЯ

К ВОПРОСУ О ВЗГЛЯДАХ Н. В. ГОГОЛЯ НА ИСКУССТВО*

(По повести „Портрет")

Повесть „Портрет" впервые появилась в 1835 году в сборнике „Арабески", но автор продолжал работать над произведением, переделывал его, и только в начале 40-х годов послал он новую редакцию для напечатания в „Современнике". В письме к Плетневу Гоголь писал: „Посылаю вам повесть мою „Портрет". Она была напечатана в „Арабесках", но вы этого не пугайтесь. Прочитайте ее: вы увидите, что осталась одна только канва прежней повести, что все вышито по ней вновь. В Риме я ее переделал вовсе, или, лучше написал вновь вследствие сделанных еще в Петербурге замечаний"[1].

Словом, Гоголь трудился над „Портретом" долго, что безусловно указывает на особое значание, которое он придавал этому произведению.

Этой повестью, по справедливому замечанию Н. Котляревского, Гоголь откликнулся „... на тяготение писателей к темам об искусстве и о психическом мире его служителя"[2]. Действительно, в „Портрете" Гоголь стремится раскрыть сущность искусства, осветить внутренний мир художника.

Несмотря на то, что о Гоголе имеется довольно обширная научная литература, „Портрет" мало освещен ею.

---

* Доклад прочитан в Кутаисском Госпединституте им. А. Цулукидзе на научной сессии, посвященной 100-летию со дня смерти Н. В. Гоголя 27. II. 1952 г.

[1] Письмо от 17 марта 1842 г. „Письма Н. В. Гоголя", том II, стр. 155.

[2] Н. Котляревский, „Н.. В. Гоголь," Петроград, 1915 г., стр. 178.

В данной работе мы не имеем возможность дать полную историю вопроса и ограничимся только кратким указанием на анализ „Портрета" такими крупными историками литературы прошлого, как проф. Котляревский и проф. Овсянико-Куликовский, чтобы выявить под каким углом зрения рассматривалась повесть Гоголя.

Котляревский совершенно ошибочно утверждал, что Гоголь во многом был связан „известными литературными воспоминаниями", что „в повести было мало бытовых черт, а мотив социальный совсем отсутствовал" и что повесть „написана в духе западной романтики и специально немецкой"[1].

После такого необоснованного отрицания оригинальности повести Гоголя в целом, Котляревский тут же говорит о наличии в ней „некоторых мыслей, выстраданных самим Гоголем" и приступает к анализу повести. Он считает, что следует особо подчеркнуть две следующие мысли Гоголя: во-первых, что Гоголь постановкой вопроса „о степени приближения искусства к жизни, т. е. о границах истинного реализма в художественном воспроизведении" „робко" поставил вопрос: „не служит ли искусство самому греху, когда так правдиво его воспроизводит?"—вопрос, мучивший его лично как писателя.

Вторая же мысль, „выстраданная самим Гоголем", заключается, по мнению Котляревского, в провозглашении „...излюбленной романтиками идеи о религиозном призвании искусства и поэта в жизни"[2].

Д. Н. Овсянико-Куликовский полностью принимает положения Н. Котляревского. Если Котляревский пишет, что Гоголь „робко" поставил вопрос, не является ли искусство греховным, когда оно реалистично, то Д. Н. Овсянико-Куликовский прямо утверждает, что по мнению Гоголя „истинное искусство", „по самой природе своей не от мира сего", „все это „земное", греховное, „адское" Гоголь вычеркивает из сферы „истинного искусства", считает, что искусство изображающее „зло живо и натурально, как оно есть, как изображены глаза на фатальном портрете ростовщика, только содействует распространению зла".

[1] Н. Котляревский, „Н. В. Гоголь", Петроград, 1915 г., стр. 173-179.
[2] Там же.

Далее Д. Н. Овсянико-Куликовский находит, что в повести Гоголя „перед нами своеобразное и, можно сказать, гиперболическое выражение того почти мистического воззрения на искусство, которое в те времена (в 30-40 г. г.) разделялось многими — у нас и в Западной Европе, в особенности в Германии"[1].

Следовательно, Н. Котляревский и Д. Н. Овсянико-Куликовский находят в „Портрете" во-первых, что Гоголь, поставив вопрос о степени близости искусства к жизни, разрешил его в пользу романтизма.

Во-вторых — Гоголь сближает цели и назначение искусства с религиозными целями, считая, что искусство примиряет „противоречия жизни", что „искусством человечество примиряется с самим собою и жизнью" т. е. оно утешает, как религия[2].

В третьих — по их мнению, эти мысли мало оригинальны: Гоголь черпал их у немецких романтиков.

Мы не будем заниматься опровержением совершенно необоснованного положения о зависимости Гоголя от немецких романтиков. Думаем, достаточно вспомнить ироническое замечание Н. Г. Чернышевского, выступившего еще в 60-х годах против утверждения Шевырева о зависимости Гоголя от Гофмана и Тика. „Да ведь нужно было бы спросить, слыхивал ли Гоголь в 1835 году о Гофмане и Тике? О Гофмане — без сомнения, потому что в „Невском проспекте" сапожник, помогавший своему приятелю Шиллеру в совершении неучтивого поступка над поручиком Пироговым, называется Гофманом; и писатель Гофман был тогда уже несколько известен русской публике. Но каким бы образом Гоголь мог подчиниться влиянию Тика, которого едва ли хоть сколько-нибудь знал?"[3].

С мнением, что вопрос о степени близости искусства к жизни Гоголь разрешает не с реалистических позиций, мы согласиться не можем, и как раз попытка решить вопрос как разрешил Гоголь проблему соотношения искусства и жизни, является нашей задачей.

Прежде чем коснуться вышеотмеченного вопроса, мы должны

[1] Д. Н. Овсянико-Куликовский, „Гоголь в его произведениях", СПБ, 1911 г., стр. 57–65.

[2] „Там же, стр. 59.

[3] Н. Г. Чернышевский, Избранные статьи, М.-Л., 1951 г., стр. 236.

отметить, что в ряде трудов советских ученых доказано, что в „Портрете" остро поставлены социальные вопросы, что писатель показывает, что не только „в условиях феодально-бюрократической государственности происходит неизбежный процесс оскудения личности. Но мир капиталистического хищничества таит в себе еще большую угрозу человечеству. Жестокая и циничная власть чистогана уродует сознание и душу человека, калечит талант и губит искусство"[1].

Высказано мнение, что Гоголь в своей повести хотел подчеркнуть, что искусство выше утилитарных, в узком смысле слова, задач человека. Художник не имеет право превращать искусство в средство добывания материальных благ; в проитивном случае он не только снизит высокое искусство до низкого ремесла, которое и является средством достижения материального благополучия, но и сам лично, перестав бескорыстно служить искусству, пострадает, потеряет способность служения искусству, талант — из художника превратится в ремесленика.

Мы совершенно согласны, что в „Портрете" именно эти мысли иллюстрированы трагедией Чарткова.

Прибавим только, что потеря таланта Чартковым, еще сильнее, чем в бесплодных и мучительных попытках создать произведение настоящего искусства, после ряда лет проведенных в погоне за наживой, проявляется в его озлоблении, в неистовом уничтожении уникальных произведений великих мастеров. Этой деталью своей повести Гоголь как бы перекликается с одним из мотивов трагедии Пушкина „Моцарт и Сальери", что гениальность и злодейство несовместимы, во всяком случае, злодейство против искусства. Сальери сумел отравить Моцарта, потому что он не был человеком искусства, не обладал талантом. Чартков уничтожает замечательные произведения искусства. Любовь к искусству не сдерживает его, вернее в нем уже нет этой любви, нет способности восхищаться произведениями искусства, следовательно, в нем потухла последняя искра таланта, он более не художник в высоком смысле слова.

Итак, художник, унизивший искусство, видевший в нем лишь средство заработка, теряет талант, превращается в низкого ремесленника.

[1] С. Машинский, „Н. В. Гоголь", М. 1951 г., стр. 106-107.

Стремясь осветить вопрос, как разрешил Гоголь, проблему близости искусства к действительности в „Портрете" необходимо обратиться к анализу повести Гоголя.

Гоголь подробно передает впечатление, производимое портретом старого ростовщика: „Как ни был поврежден и запылен портрет, но когда удалось ему счистить с лица пыль, он увидел следы работы высокого художника. Портрет, казалось был неоконченным, но сила кисти была разительна. Необыкновеннее всего были глаза: казалось, в них употребил всю силу кисти и все старательное тщание свое художник. Они просто глядели, глядели даже из самого портрета, как будто разрушая его гармонию своей странной живостью.

Когда поднес он портрет к дверям, еще сильнее глядели глаза. Впечатление почти то же произвели они в народе. Женщина, остановившаяся позади его, вскрикнула: „глядит, глядит!" и попятилась назад.

Какое то неприятное, непонятное самому себе чувство почувствовал он и поставил портрет на землю" [1].

Это какое то неприятное чувство продолжало каждый раз возникать, как только художник обращал взор к портрету: „... смыл с него почти всю накопившуюся и набившуюся пыль и грязь, повесил перед собой на стену и подивился еще более необыкновенной работе: все лицо почти ожило и глаза взглянули на него так, что он, наконец, вздрогнул и, попятившись назад, произнес изумленным голосом: глядит, глядит человеческими глазами!" [2].

Приведенные цитаты говорят о несомненном таланте художника, сумевшего до предела приблизиться к натуре. Эту близость к природе замечает даже простой, непосвященный в искусство человек: „глядит, глядит!" вскрикнула женщина, „он просто глядит", сказал квартальный надзиратель, но такое сходство с жизнью, копирование ее еще не искусство — оно поражает только на первый взгляд и затем вызывает какую то тревогу в человеке. Женщина „попятилась назад", квартальный сравнил портрет со страшным „Громобоем".

---

[1] Н. В. Гоголь. Собр. сочинений, М., 1949 г., том III, стр. 71.

[2] Там же, стр. 75.

Через эту гамму чувств, конечно, более осложненную, прошел и художник. Именно эта близость к натуре заставила его воображение вспомнить: „... историю, слышанную давно им от своего профессора, об одном портрете знаменитого Леонардо да-Винчи, над которым великий мастер трудился несколько лет и все еще почитал его неоконченным и который, по словам Визари, был однако же почтен от всех за совершеннейшее и окончательнейшее произведение искусства. Окончательнее всего были в нем глаза, которым изумлялись современники; даже малейшие, чуть видные в них жилки были не упущены и приданы полотну".[1]

Гоголь тут же подчеркивает резкую разницу между легендарным портретом Леонардо да-Винчи и портретом неизвестного художника. „Но здесь однако же в сем, ныне бывшем передним, портрете, было что-то странное. Это было уже не искусство: это разрушало даже гармонию самого портрета. Это были живые, это были человеческие глаза! Казалось, как будто они были вырезаны из живого человека и вставлены сюда"[2].

Следовательно, портрет не вызывал то радостное, светлое чувство, похожее, по словам Н. Г. Чернышевского, на чувство возникающее при встрече с любимым существом и вызываемое в человеке „прекрасным".

Гоголь сам говорит, что „здесь не было уже того высокого наслаждения, которое объемлет душу при взгляде на произведение художника, как ни ужасен взятый им предмет". И перед художником мучительно вставал вопрос: „Что это?" „Ведь это однако же натура, это живая натура; отчего же это странно неприятное чувство? Или рабское, буквальное подражание натуре есть уже проступок и кажется ярким, нестройным криком? Или, если возьмешь предмет безучастно, безчувственно, не сочувствуя с ним, он непременно предстанет только в одной ужасной своей действительности"[3].

Во второй части повести мы узнаем, что художник, рисуя портрет ростовщика, тяготился выражением лица своего натурщика, но „положил себе преследовать с буквальной точностью

[1] Н. В. Гоголь, собр. соч., М., 1949 г., том III, стр. 75.
[2] Там же, стр. 76.
[3] Там же.

всякую незаметную черту в выражение“ [1]. Сам художник признается, что „... не чувствовал в то время никакой любви к своей работе. Насильно хотел покорить себя бездушно, заглушив все, быть верным природе“ [2]. В результате создалась „та странная живопись, которою бы озарилось лицо мертвеца, вставшего из могилы“ [3].

Итак, художник стремился „только быть верным натуре“, т. е. он копировал жизнь со стороны, хладнокровно, не обобщая и не проводя впечатления через свое субъективное „я“, и создал простую копию, которая всегда мертва.

Следовательно, Гоголь указывает, что произведение искусства только тогда озаряется жизнью, когда видно то, что Белинский называет „субъективностью“, Чернышевский — „приговором“, т. е. когда произведение освещено идеей автора. Без определенной идеи копировать жизнь, по мнению писателя, то же самое, что желая постигнуть прекрасного человека, вооружиться анатомическим ножом, рассечь его внутренность и увидеть отвратительного человека. Беспристрастное копирование — это анатомический нож, оно убивает само искусство.

Итак, Гоголь разрешает вопрос о степени близости искусства к действительности с истинно-реалистических позиций. Он выступает не против стремления художника, как можно ближе подойти к жизни, а против стремления — точно срисовать жизнь, сделать ее копию.

Гоголь считает, что природа дает материал, и художник должен перевоплотить его, провести „сквозь чистилище“ своей души, не срисовать натуру, а „наглядевшись на природу“, уже отдалиться от нее и производить ей „равное создание“.

Гоголь ясно определяет разницу между живым воспроизведением жизни и ее копией. Говоря об истинном произведении искусства, Гоголь пишет: „Везде уловлена была эта плывучая округлость линий, заключенная в природе, которую видит только один глаз художника-создателя и которая выходит углами у кописта“ [4].

---

[1] Н. В. Гоголь, Собр. сочинений, М., 1949 г., том III, стр. 114.
[2] Там же, стр. 114.
[3] Там же, стр. 76.
[4] Там же, стр. 99.

Следовательно, по Гоголю, настоящее искусство дает плывучую жизнь, жизнь в процессе, без углов, и потому произведение настоящего искусства — живо как сама жизнь, а копия дает только углы, превращая живое явление в мертвый холст.

Рисуя впечатление от картины бывшего товарища Чарткова, Гоголь характеризует настоящее искусство. В этой картине не нарушалась гармония, она воспринималась как гимн, вызывая в человеке светлую радость.

Но это еще не все. Гоголь показывает, что художник, создавший этот стройный гимн „с пламенной душой труженника", в долгие годы был погружен в работу, посещал галлереи, изучал мастеров прошлого — Рафаэля, Корреджия и др., не слушал толк толпы, отказался от комфорта, пренебрег всем, все отдал искусству, словом, трудился неутомимо и потому сумел занять свое место в искусстве.

Во второй части повести старый художник говорит сыну: „У тебя есть талант; талант есть драгоценнейший дар бога — не погуби его". „Божественный дар" в устах Гоголя, по нашему мнению, означает умение художника видеть больше, заглядывать в жизнь дальше обыкновенного человека. Очень важно, что Гоголь провозглашает решающее значение труда для сохранения этого „божественного дара". Только неутомимый труд приводит художника к созданию великих творений.

Следует отметить еще один момент. В повести явственно выражена мысль, что идея художника находит высшего осуществления в восприятии ее народом.

Гоголь показывает суд черни. Под чернью подразумевается все некультурное как в низших, так и в высших слоях общества. Яркими представителями черни являются и толпа „перед картинной лавочкой на Щукином дворе", и дама, которая „обегала лорнетом все галлереи в Италии", но восхищается „необыкновенной кистью" месье Ноля, и журналист, создающий рекламу Чарткову, и наконец, сам художник, после ряда лет, проведенных в модной мастерской, и готовый оскорбить высокое произведение искусства своим пошлым судом.

Однако, настоящее искусство вызывает восторг даже этой непосвященной толпы. Все были охвачены восторгом перед картиной талантливого художника. Подготовленная „речь умерла на

устах Чарткова". Мысль художника достигла цели — она была воспринята народом.

В заключение можно притти к следующим выводам: истинное искусство в освещении Гоголя, это реалистическое искусство, в отличие от натурализма — безучастной копии жизни.

Истинное искусство, в изображении писателя, поражает даже непосвященных. Оно побеждает как эту непосвященность, так и предвзятые суждения необъективных его ценителей.

По мнению Гоголя, истинное искусство идейно, высшее осуществление этой идейности — восприятие ее народом.

რედაქტორი დოც. ლ. ჭელიძე
Редактор доц. Л. ЧЕЛИДЗЕ.

გამოცემის ხელმძღვანელი დ. გეწაძე
Руководитель издания Д. Гецадзе

ტექნიკური რედაქტორი გ. სოფრომაძე
Технический редактор Г. Сопромадзе

ასოთამწყობი-მეტრანპაჟი შ. კურცხალია
Наборщик-метранпаж Ш. Курцхалия

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. II. 1953 წ.; ანაწყობის ზომა 6×10; სასტამბო ფორმათა რაოდენობა 21,5; ტირაჟი 250; შეკვეთის № 2373; უე 14286.
ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის სტამბა, კიროვის ქუჩა, № 55.

ა 45
1952-1953

ფასი 10 მან.